ბერნარ მ. ფილდენი
იუკა იოკილეტო

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები

MANAGEMENT GUIDELINES FOR WORLD CULTURAL HERITAGE SITES

თბილისი 2007 Tbilisi

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები

MANAGEMENT GUIDELINES FOR WORLD CULTURAL HERITAGE SITES

რედაქტორი: დ. თუმანიშვილი
Editor: D. Tumanishvili

ქართული ტექსტი მოამზადა რ. მირზიკაშვილმა
Georgian text prepared by R. Mirzikashvili

© Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia, 2007

Authorized translation of the second English edition © 1998 ICCROM. This translation is published by permission of ICCROM, the owner of all rights to publish and sell the same.

© საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტრო, 2007

მეორე ინგლისურენოვანი გამოცემის © 1998 ICCROM
ავტორიზებული თარგმანი.

თარგმანი გამოცემულია ICCROM-ის ნებართვით, რომელიც
წარმოადგენს წიგნის გამოცემისა და გაყიდვის სრული საავტორო
უფლების მფლობელს.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტრო

Ministry of Culture, Monuments Protection and
Sport of Georgia

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამა

State Programme for Cultural Heritage Preservation for the Year 2007

გამომცემლობა „ნეკერი“, 2007

ISBN: 978-99940-987-0-5

სარჩევი

შესავალი 9

კონტექსტი 11

1. სახელმძღვანელო პრინციპების მოკლე მიმოხილვა 15
   1.1 მიზნები და ამოცანები 15
   1.2 დოკუმენტაცია 17
   1.3 სამუშაო გეგმები 17
   1.4 პრევენციული მოვლა 18
   1.5 პერსონალი 19
   1.6 ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისია 19

2. კონვენციის ძირითადი პოლიტიკა 21
   2.1 მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი 21
   2.2 კონვენციის შესრულების სამოქმედო პრინციპები 22
   2.3 მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისათვის 22
   2.4 გლობალური სტრატეგია 27
   2.5 დაცვისა და კონსერვაციის ამოცანები 28
   2.6 საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა 29
   2.7 მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამორიცხვა 30
   2.8 ემბლემა 30

3. საკონსერვაციო შეფასება 31
   3.1 მოკლე მიმოხილვა 31
   3.2 რა არის დღეს კულტურული მემკვიდრეობა? 32
      3.2.1 რა განსაზღვრავს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას? *32*

3.3 რა წარმოადგენს ძეგლის ან
ღირსშესანიშნავი ადგილის დაცვის ძირითად საგანს?.....35
3.3.1 კრიტიკული შეფასების პროცესი.....36
*3.3.2 მემკვიდრეობის ობიექტთან
დაკავშირებული ღირებულებები*.....37
3.3.3 მემკვიდრეობის ობიექტის განსაზღვრა.....37
3.3.4 ისტორიული დროის ხაზი.....40
3.3.5 რა არის ავთენტურობა?.....41
3.4 რა ღირებულებები განსაზღვრავენ მკურნალობის სახეს?.....43
3.4.1 კულტურული ღირებულებები.....43
*3.4.2 თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური
ღირებულებები*.....45

4. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მართვა.....49
4.1 შესავალი.....49
4.2 მართვა.....50
4.2.1 მართვის ძირითადი ამოცანები.....50
4.2.2 მონაცემები, რომელსაც ეყრდნობა მართვის გეგმა.....51
4.2.3 ინვენტარიზაცია და დოკუმენტაცია.....52
4.2.4 ინფორმაციის მართვა.....55
4.2.5 კვლევის დაგეგმვა.....57
4.2.6 ზოგადი სქემა.....58
4.2.7 ადმინისტრირება.....60
4.2.8 ხარჯების კონტროლი და პოლიტიკა.....61
4.2.9 სამართლებრივი ინსტრუმენტები.....61
4.2.10 პროგრამების შედგენა.....62
4.3 პროგრამების შემოწმება და სამომავლო დაგეგმვა.....63
4.4 ბიუჯეტის შედგენა.....64
4.4.1 წლიური ბიუჯეტი.....65
4.5 UNESCO-ს როლი.....65
4.6 მართვის კონტროლის კრიტერიუმები.....66

5. ღირსშესანიშნავი ადგილის მართვა
რესურს-პროექტების მეშვეობით 68
5.1. მართვის გეგმის მომზადება 68
5.1.1 პროცედურა 68
5.1.2 მოთხოვნები 69
5.1.3 მომზადებისა და კონსულტაციის პროცედურები 70
5.2 ანგარიშების მომზადება 71
5.2.1 მოკლევადიანი ანგარიშების მომზადება და შემოწმება 71
5.2.2 გრძელვადიანი ანგარიშების მომზადება და შემოწმება 72
5.2.3 მართვის გეგმის ფორმატი 72
5.2.4 კომენტარები ფორმატის შესახებ 76
5.2.5 მართვის გეგმის პრეზენტაცია 76

6. მოვლის პროგრამა 78
6.1 შესავალი 78
6.2 პრევენციული მოვლა 79
6.2.1 პროფესიონალთა წვლილი 80
6.2.2 ისტორიული შენობებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების ინსპექციის კონტექსტი 82
6.2.3 მოვლის პროგრამის მონიტორინგი 83
6.3 განსაკუთრებული პრობლემები 84
6.3.1 ვანდალიზმი და ქურდობა 84
6.3.2 ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებები 85

7. საკადრო პოლიტიკა 88
7.1 სამეურვეო კომისია 88
7.2 მართვის ძირითადი ჯგუფის შერჩევა 89
7.2.1 ექსპერტებისა და პროფესიონალების შერჩევა 89
7.2.2 საკადრო მოთხოვნები 91
7.2.3 კვალიფიცირებული კადრების საჭიროება 92
7.2.4 საკონსერვაციო ხელობების როლი 93
7.2.5 კარგი ხელობა 94

7.3 საკონსერვაციო უნარ-ჩვევების მაგალითები **95**
7.3.1 კონსერვაციის არქიტექტორები და მათი თანამშრომლები *95*
7.3.2 არქიტექტურის კონსერვაციის სპეციალისტები *96*
7.3.3 ხელოვნებისა ნიმუშებისა და არქეოლოგიის კონსერვაციის სპეციალისტები *97*
7.3.4 მემკვიდრეობის აღმნუსხველები *98*
7.4 კადრების აყვანა და დაწინაურება **99**
7.5 საკონსერვაციო დაწესებულებები **100**
7.6 კადრების მართვა **103**
7.6.1 მომსახურება კონტრაქტის საფუძველზე *104*
7.6.2 სტანდარტები და სწავლება *105*

8. მკურნალობა და ავთენტურობა **108**
8.1 მკურნალობის მიზანი **108**
8.1.1 მზადყოფნა *109*
8.1.2 პრიორიტეტები *110*
8.1.3 მკურნალობის მიდგომების განსაზღვრა *111*
8.1.4 მკურნალობა და არქიტექტურა *116*
8.1.5 მკურნალობა და ნანგრევები *118*
8.2 როგორი უნდა იყოს მკურნალობისა და ავთენტურობის თანაფარდობა? **120**
8.2.1 მასალის ავთენტურობასთან დაკავშირებული მკურნალობა *123*
8.2.2 ხელობის ავთენტურობასთან დაკავშირებული მკურნალობა *127*
8.2.3 ჩანაფიქრის ავთენტურობასთან დაკავშირებული მკურნალობა *128*
8.2.4 გარემოს ავთენტურობასთან დაკავშირებული მკურნალობა *132*
8.3 დასკვნა **134**
8.3.1 მართვის კონტროლის კრიტერიუმები *136*

9. ქალაქგეგმარება და მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქები ღირსშესანიშნავი ადგილები 137
9.1 შესავალი 137
9.1.1 ისტორიული ქალაქების მახასიათებლები 138
9.1.2 ისტორიული ქალაქების წინაშე მდგარი საშიშროებები 141
9.2 დაგეგმვის ამოცანები 143
9.2.1 ინტეგრირებული კონსერვაცია 144
9.2.2 ცვლილების კონტროლი 147
9.3 დაგეგმვის პროცედურა 149
9.3.1 ინსპექტირება და შემოწმება 152
9.3.2 განხორციელება 152
9.3.3 საკადრო მოთხოვნები 154
9.3.4 კონსერვაციის ანგარიში და გეგმა 155
9.3.5 ჩარევის ხარისხი 159
9.3.6 მოვლა 160
9.3.7 რეაბილიტაცია 161
9.3.8 დანაკარგის შევსება (infill design) 164
9.3.9 ადმინისტრაციული ღონისძიებები 166
9.4 ურბანული კონსერვაციის კრიტერიუმები 167

10. მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების დამთვალიერებლები 171
10.1 შესავალი 171
10.1.1 დამთვალიერებელთა მოთხოვნილებები 173
10.1.2 ვანდალიზმი და ზარალი 174
10.1.3 დამთვალიერებელთა მიღება 175
10.2 ტერიტორიის მოვლა-პატრონობა 176
10.3 პრეზენტაცია და ინტერპრეტაცია 176
10.4 დამთვალიერებელთა მართვა 180
10.4.1 რეკლამა 184
10.4.2 ქცევის კოდექსი 184

დანართები:

დანართი 1 — ვენეციის ქარტია 187

დანართი 2 — ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ 193

დანართი 3 — UNESCO-ს კონვენციები და რეკომენდაციები 198

დანართი 4 — ძეგლების, ანსამბლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციის სწავლებისა და წერთნის შესახებ ICOMOS-ის სახელმძღვანელო პრინციპები 200

დანართი 5 — ICOMOS-ის პრინციპები ძეგლთა აღრიცხვის შესახებ 208

შესავალი

სახელმძღვანელო პრინციპების ეს კრებული შეიქმნა ICCROM-სა და ICOMOS-ის წარმომადგენლების შეხვედრის შედეგად, რომელიც გამართა UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის სექციამ რომში 1983 წელს.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში თავისი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა გამოცდილების მქონე ექსპერტებმა:

მაქს ბურკე, ავსტრალია

იორდან დიმაკოპულოსი, საბერძნეთი

სერ ბერნარ ფილდენი, დიდი ბრიტანეთი

იუკა იოკილეტო, იკკრომი

ფრანსუა ლებლანკი, კანადა

ჰიუ მილერი, აშშ

სვეტლანა მოშილოვიჩ-პოპოვიჩი, იუგოსლავია

ამინი ა. მტური, ტანზანია

ადლი ქუდსი, სირია

კრებულის სქემა შემუშავებულ იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ, ხოლო ტექსტის მომზადება ეთხოვა სერ ბერნარ ფილდენს. დიდი ბრიტანეთის კომისიამ - ენდრიუ ტონბრუნმა და იუკა იოკილეტომ თავისი წვლილი შეიტანეს მომზადებული ტექსტის კორექტირებაში, რათა ჯეროვნად გათვალისწინებული ყოფილიყო კომიტეტის ყველა წევრის შენიშვნები. კრებულის ტექსტს ასევე გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნების კონსერვაციის ექსპერტები და მენეჯერები, რომელთა შენიშვნებიც მხედველობაში მიღებულ იქნა ტექსტის საბოლოო ვერსიის შემუშავებისას, რომელიც მომზადდა იუკა იოკილეტოსა და სერ ბერნარ ფილდენის მიერ, სუზან ბრონსონისა და ბარეტ კენედის რედაქციით.

განვლილი პერიოდის განმავლობაში შემუშავებულ იქნა მრავალი სხვა სახელმძღვანელო, შესაბამისად წინამდებარე კრებული მოაზრებულ უნდა იქნას როგორც უფრო ფართო კონტექსტის ნაწილი.

კონტექსტი

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის მონაწილე იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განვითარებული სისტემა, კრებულში შემოთავაზებული მოდელი შესაძლებელია რთული აღსაქმელი იყოს. უპირველეს ყოვლისა, ის მოითხოვს მათგან უზრუნველყოფილ იქნას მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლის მიზნით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამასთანავე, კრებულში შემოთავაზებული სისტემა ჩაფიქრებულია როგორც ზოგადი ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეულ ქვეყანაში ადგილობრივი სისტემის განვითარებას. ხშირად განვითარებად ქვეყნებში გააჩნიათ ხელოსნობის მდიდარი ტრადიციები, რაც ნარმოადგენს „ცოცხალ კულტურულ მემკვიდრეობას" და არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ძეგლთა კონსერვაციის კუთხით.

ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანით აღიარებულია მისი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა – ამ სიაში ხომ მთელი დედამიწის სულ 500-მდე ღირსშესანიშნავი ადგილია შეტანილი. მიუხედავად ამისა, დღემდე მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ შეუფარდა ადმინისტრაციული და ქალაქმშენებლობითი პროცედურები ღირსშესანიშნავი ადგილის ახალ, აღმატებულ სტატუსს, რასაც თან ტურიზმის და ახლებური განვითარების მიერ გამოწვეული სიძნელეებიც სდევს. ბუფერული ზონების დადგენა წარმოადგენს სასწრაფო პრიორიტეტს აღნიშნულ ქმედებებს შორის.

კონვენციის მონაწილე ქვეყნებს უნდა გააჩნდეთ დადებითი პოზიცია მსოფლიო მემკვიდრეობის მიმართ და უნდა მისდევდნენ მის პრინციპებს, რაც გულისხმობს, რომ ყველა, ვისაც ეს ეხება, ფართო საზოგადოების ჩათვლით, უნდა იცნობდეს და მისდევდეს ამ პრინციპებს, რადგანაც მემკვიდრეობის გაზიარება, მისი მოვლისა და დაცვის პასუხისმგებლობის გაზიარებასაც ნიშნავს.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლის დიაპაზონი იცვლება წინარე ისტორიული მოხატულობებიდან რომის მსგავს ისტორი-

ულ ქალაქებამდე, ავტორებმა შექმნეს სახელმძღვანელო პრინციპები, და არა კონკრეტული ქმედებების რეცეპტები.

მართვის დაგეგმვა უნდა კონცენტრირდებოდეს ღირებულებებზე და იყენებდეს მათ, როგორც გადაწყვეტილების მიღების მყარ საფუძველს.

ეს წიგნი უკვე ითარგმნა მრავალ ენაზე. მიჩნეულია, რომ იგი დიდ დახმარებას გაუწევს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯერებსა და პერსონალს, თუკი მათ ექნებათ მისი მშობლიურ ენაზე წაკითხვის საშუალება.

ვის ეკისრება მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის ყოველდღიური და ყოველსაათობრივი მართვის პასუხისმგებლობა? ვინ არის პასუხისმგებელი, როცა ძეგლი გადატვირთულია დამთვალიერებლებით? მას შესაძლებელია გენერალური დირექტორიც ჰყავდეს, მაგრამ თუკი იგი სათანადოდ არ გადაანაწილებს უფლებამოსილებას, ვერავინ იმუშავებს ეფექტურად. ადგილობრივი მართვის გარეშე მრავალი პრობლემა შეიძლება წამოიჭრას. კულტურული მემკვიდრეობის პრევენციული დაცვისათვის აუცილებელია სპეციალიზირებული პერსონალის არსებობა, ვისაც კარგად ესმის მისი მნიშვნელობა.

მოცემული სახელმძღვანელო შექმნილია ყველა მათთვის, ვინც დაკავშირებულია მსოფლიო მემკვიდრეობის ღირშესანიშნავ ადგილებთან, თუმცა აქ მოყვანილი პრინციპები თანაბრად გამოსადეგია სხვა ღირსშესანიშნავი ადგილებისთვისაც, რომლებიც დაცულია მათი კულტურული ღირებულებების გამო. სახელმძღვანელოს მიზანია ღირსშესანიშნავი ადგილის მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალის დახმარება მათი მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით. რადგანაც კონსერვაცია მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია, კონსერვაციის ქმედებების წარმმართველი თეორია სათანადოდ გაცნობიერებულ და გამოყენებულ უნდა იქნას მართვის მრავალდისციპლინარული ჯგუფის მიერ.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის სტატუსის მინიჭება გულისხმობს ცვლილებებს. დამთვალიერებელთა გაზრდილი რაოდენობა ახალ საშუალებებს მოითხოვს და მეტ მოვაჭრეს იზიდავს. რამდენიმე დღეში მოზღვავებული მაღაზიების ლიკვიდაციას წლები სჭირდება იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი არსებობა სრულიად არაკანონიერია. მთავრობამ შეიძლება სცადოს ძეგლის მნიშვნელობის აღზევება მისი გადაჭარბებული რესტავრაციის გზით.

ძეგლის ლანდშაფტი და გარემო შეიძლება დაზიანდეს აგრესიული განვითარების შედეგად, როგორიცაა, მაგალითად, საინჟინრო სამუშაოები, მინერალების მოპოვება, ა.შ. მართვა კონცენტრირებული უნდა იყოს პოტენციური საშიშროებების შეფასებაზე (risk assessment).

მართვა არსებითია და მხოლოდ ადგილობრივ შეიძლება განხორციელდეს. რა შედის ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერის მოვალეობებში? მაგალითად, დამთვალიერებელს ცუდი რამ შეემთხვა, მოულოდნელად ჩამოვიდა სკოლის ექსკურსია, წვიმს და თავშესაფარი არსადაა – ვილაცამ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემები; იყო შემთხვევები, როცა უეცარი შტორმის შედეგად, მდინარის დამშრალი კალაპოტი წამში აივსო მოვარდნილი წყლით და მთელი ექსკურსია წაიღო. მუდმივი ეროზია აზიანებს ძეგლის წარწერებით შემკულ იატაკებს. აკროპოლისის კლდესაც კი სჭირდება სათანადო დაცვა. დამთვალიერებელთა მოზღვავება იწვევს გაღიზიანებას და შეიძლება ვანდალიზმის მიზეზიც კი გახდეს. მუდმივად უნდა ხდებოდეს ნაგვის გატანა და დასუფთავება, ბილიკების შეკეთება, მცენარეების დაცვა და ველური ცხოველების საჭიროებების გათვალისწინება. ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერმა მუდმივად უნდა აკონტროლოს უსაფრთხოება და ხანძრის გაჩენის საშიშროება. მართვაზე ყველა ამ დატვირთვის დაკისრება უქმნის მსოფლიოს მოქალაქეებს საშუალებას ისიამოვნონ საკუთარი კულტურული მემკვიდრეობით.

პოლიტიკოსები და ადმინისტრატორები უპირველეს ყოვლისა დაინტერესდებიან პრინციპებით, გენერალური დირექტორი – სტრატეგიით, პერსონალი კი – ღირსშესანიშნავი ადგილის მართვის პრაქტიკული საკითხებით. ყველა ქმედების წარმმართველი უნდა იყოს კონსერვაციის თეორია. ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერს მოეკითხება როგორც ყოველდღიური პრობლემები, ასევე ხელმძღვანელების უფრო მასშტაბური დავალებებიც, რომლებიც აკონტროლებენ ბიუჯეტს და რომელთა უპირველესი პრიორიტეტი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციაა.

კულტურული მემკვიდრეობით სიამოვნების მიღება მის კონსერვაციაზეა დამოკიდებული. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯერების დახმარება მათი მოვალეობების შესრულებაში, იმის გაცნობიერებით, რაც ანიჭებს ძეგლს მნიშვნელობას და მათი დაცვით სხვადასხვა საფრთხისგან.

მსოფლიო მემკვიდრეობა ცხადყოფს, რომ წარსული ცივილიზაციები მათ მონდომებას, ოსტატობას, სიყვარულსა და მზრუნველობას გარემოსათვის გარკვეული შინაარსის მინიჭებას ახმარდნენ. ეს ჩვენ მუდამ ინტერესით უნდა გვავსებდეს. წარსულის გაცნობიერებით შეიძლება ამოვიცნოთ, თუ საით მივდივართ მომავალში.

ბერნარ ფილდენი და იუკა იოკილეტო
მაისი, 1998

თავი I

სახელმძღვანელო პრინციპების მოკლე მიმოხილვა

1.1 მიზნები და ამოცანები

- წინამდებარე სახელმძღვანელოს ამოცანაა „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონვენციის" მიზნების განხორციელებისათვის რჩევებისა და მითითებების მოწოდება.

აღნიშნული სახელმძღვანელო შეიცავს საჭირო ინფორმაციას UNESCO-ს „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონვენციის" მონაწილე იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც უკვე გააჩნიათ UNESCO-ს მიერ შემუშავებული პირობების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და ფორმების მიხედვით მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ღირსშესანიშნავი ადგილები.

მართვის სხვადასხვა მეთოდი შესაძლებელია ტექნიკური სირთულის ნებისმიერ დონეს მიესადაგოს და ასევე გამოყენებულ იქნას ტექნიკური კომპეტენციის ხარისხის ამაღლებისათვის.

- *პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მართვის ზოგადი ჩარჩოს ჩამოყალიბებას.*
- *ყოველი ქმედება დაფუძნებულ უნდა იქნას დისციპლინათაშორის თანამშრომლობაზე და ასევე კონსერვაციის თეორიის მეშვეობით ალტერნატიული ქმედებების შეფასებაზე.*
- *მართვის გეგმა უნდა შედგებოდეს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული რესურს-პროექტის გეგმისაგან.*

კონვენციის მონაწილე ყოველმა ქვეყანამ სასურველია ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პრინციპები დანერგოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვის სირთულის ხარისხის შესაბამისად, რომელიც ამ გზით შეიძლება ეფექტური და ქმედითი გახდეს. ამ სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ ქმედებათა ზოგადი ჩარჩოს სანყის ეტაპზე გამოყენება უზრუნველყოფს შემდგომ ეტაპებზე მართვის დახვეწილი სტრუქტურის შექმნას, თუკი ეს ჩაითვლება საჭიროდ და მოიპოვება საჭირო პროფესიონალებიც.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვა უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი ქვეყნის ტრადიციებსა და კანონმდებლობას. ქვეყანამ, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო ბაზის სისტემატური გადამოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, მისი განახლება.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის მართვა ეყრდნობა მისი ნომინაციისას აღიარებული მნიშვნელობის დეტალურ ანალიზს. იგი მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- პერსონალის მიერ ღირსშესანიშნავი ადგილის დასაცავი კულტურული ღირებულებების გაცნობიერების უზრუნველყოფა;
- ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სპეციფიკური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება;
- ტერიტორიაზე არსებული ყველა კულტურული რესურსის სრული ინვენტარიზაცია;
- შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალების მიერ რეგულარული ინსპექტირებისა და ოფიციალური ანგარიშების მომზადების უზრუნველყოფა;
- მოვლის სტრატეგიული გეგმის შედგენა, რომელიც მიმართულია რესურს-პროექტების შემუშავებისაკენ. რესურს-პროექტები, მათი პრიორიტეტულობის მიხედვით, ჩართულნი არიან წლიურ სამოქმედო გეგმაში.
- ყველა ქმედებისას კონსერვაციის ეთიკის, UNESCO-ს საერთაშორისო რეკომენდაციების, ვენეციის ქარტიისა

და სხვა სახელმძღვანელო პრინციპების სათანადო გათვალისწინება.

1.2 დოკუმენტაცია

ძეგლთან დაკავშირებული გამოქვეყნებული ლიტერატურა შეგროვებულ და სისტემატიზირებულ უნდა იქნას. ამასთან, იგი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისათვის. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელოვნების მტკიცებულება (statement of significance) უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნულ მასალას. თუკი ეს არ გაკეთებულა, ხარვეზი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ღირსშესანიშნავი ადგილის მართვა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი ქვეყნის მიწათსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობას, თუმცა მისი მიმდებარე ტერიტორიის დასაცავად, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი მექანიზმების გამოყენებაც. ინვენტარიზაციამ უნდა მოიცვას ყველა შენობა-ნაგებობა, ასევე, შესაბამის შემთხვევებში, მათი შიგთავსი და ტერიტორიის ურბანული და ბუნებრივი ლანდშაფტური რესურსები.

1.3 სამუშაო გეგმები

გრძელვადიანი (5-30 წელი და მეტი), საშუალო (5 წელზე ნაკლები) და ყოველწლიური სამუშაო გეგმები წარმოადგენენ მართვის დაგეგმვის პროგრამებისა და ბიუჯეტის შედგენის საფუძველს. წლიური პროგრამები შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა პროექტისაგან, რომლებიც შესაძლებელია განხილულ და დამტკიცებულ იქნას ეტაპობრივად.

მართვა შეიძლება ორგანიზებულ იქნას სანიმუშო მეთოდოლოგიის მიხედვით, რესურს-პროექტების მეშვეობით. რადგანაც წლიური პროგრამების შედგენა დამოკიდებულია როგორც ბიუჯეტზე, ასევე პერსონალის შესაძლებლობებზე, რესურს-პროექტები წინასწარ უნდა განისაზღვროს და განხორციელდეს პრიორიტეტულობის მიხედვით.

კვლევითი საქმიანობა მოითხოვს დაგეგმვას, კოორდინაციას და მართვას ცალკე კომიტეტის მეშვეობით. კვლევითი საქმიანობის სქემა დანართის სახით უნდა ახლდეს მენეჯმენტის გეგმას. ქალაქგეგმარებითი კვლევები შეადგენს მენეჯმენტის გეგმის ნაწილს, რომელიც გეგმაში ინტეგრირდება რეგულარული შემოწმების საფუძველზე.

კონსერვაციის ერთ-ერთი მიზანია არ გააუარესოს ისტორიული არეალების მაცხოვრებლების ცხოვრების სტანდარტები. ასე რომ, რეაბილიტაციის პროცესში აუცილებელია შესაბამისი სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა.

1.4 პრევენციული მოვლა

პრევენციული მოვლის სტრატეგია შემუშავებულ უნდა იქნას მრავალდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე. მაშინ, როცა ალტერნატიული პრაქტიკული მიმართულებები შემოწმებული და განხილულია, შედგენილი სტრატეგიის შესაფასებლად სასურველია გამოყენებულ იქნას კონსერვაციის თეორია.

მოვლა-პატრონობა მოიცავს ყველა პრაქტიკულ და ტექნიკურ ზომას, რომლებიც საჭიროა ღირსშესანიშნავი ადგილის მდგომარეობის იმ სტანდარტის მიხედვით შესანარჩუნებლად, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული რესურსებისგან სიამოვნების მიღებას მათი დაზიანების გარეშე. ეს მუდმივი პროცესია. ქმედებების სიხშირე განსაზღვრულ უნდა იქნას პროფესიონალების წვლილსა და ხელოსნების სპეციალიზირებულ სწავლებაზე დაყრდნობით. ამასთან, აუცილებელია **მოვლის პროგრამის** მუდმივი მონიტორინგი და სპეციალური წინასწარული ზომების მიღება ვანდალიზმის, ქურდობის, ხანძრის, წყალდიდობის და მიწისძვრის ასარიდებლად.

1.5 პერსონალი

შესაბამისი ექსპერტები შერჩეულ უნდა იქნან სამოქმედო გეგმის შემუშავების და განხორციელების დროს დახმარების გასაწევად. გეგმას წინ უნდა უძღოდეს მართვის ფილოსოფიის ჩამოყალიბება, რომელიც გამოხატული უნდა იყოს მთელი პერსონალისათვის გასაგები და მისაღები ტერმინოლოგიით. საკადრო მოთხოვნები ჯეროვნად უნდა იქნას შეფასებული, პირველად კი უნდა დაინიშნოს ძირითადი შტატი. საკადრო უზრუნველყოფა და პერსონალი დეტალურად განხილულია მე-7 თავში.

1.6 ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისია

ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიის დანიშვნა რეკომენდირებულია.

სამეურვეო კომისიას ეკისრება მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის მცველის მოვალეობა. მისი მთავარი ამოცანაა ღირსშესანიშნავი ადგილის მართვა და კონსერვაცია. სამეურვეო კომისიის ფორმა და სტრუქტურა შემუშავებულ უნდა იქნას პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხოლო მისი სახელი, სულ ერთია იქნება ეს სააგენტო, კომისია თუ სხვა, მორგებულ უნდა იყოს ეროვნულ ადმინისტრაციულ სტრუქტურასთან.

იმ შემთხვევაში, თუკი რამდენიმე მსგავსი ტიპის მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილი გეოგრაფიულად ახლოს არის განლაგებული, ისინი შეიძლება ერთი სამეურვეო კომისიის ზედამხედველობის არეალში მოექცეს (მაგალითად, ქვეყნის არქეოლოგიური ორგანიზაციის სტრუქტურაში). გარკვეულმა უწყებებმა, როგორიცაა, მაგალითად, ქალაქის საკრებულოს კომიტეტი, ასევე შესაძლებელია შეითავსოს ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიის ფუნქცია.

სამეურვეო კომისიის ბიუჯეტში სასურველია გათვალისწინებულ იქნას თანხები საჯარო ინფორმაციის გასავრცელებლად, საზოგადოების უკეთ გათვითცნობიერებისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად, სასკოლო პროგრამების დასანერგად,

ასევე მას-მედიისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით მსოფლიოსათვის ღირსშესანიშნავი ადგილის გასაცნობად. სათანადო ყურადღებას იმსახურებს გზამკვლევების შექმნა. სასურველია დამთვალიერებელთა და საზოგადოების ჯეროვანი მომსახურების უზრუნველყოფა, თუმცა, ამასთან, არ უნდა იქნას გადაჭარბებული ღირსშესანიშნავი ადგილის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური ზღვარი და დაცულ უნდა იქნას შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.

ღირსშესანიშნავი ადგილის დათვარიელებისათვის საფასურის დაწესების საკითხი სათანადო შესწავლას საჭიროებს. ჩვეულებრივ, სამეურვეო კომისიის პასუხისმგებლობას წარმოადგენს გიდების სწავლება და ლიცენზირებაც.

სამეურვეო კომისიის საქმიანობა დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ კომისია ძირითადად ღირსშესანიშნავი ადგილის დაცვისა და კვლევისათვის გამოყოფილ სახელმწიფო გრანტზეა დამოკიდებული, მას უნდა ჰქონდეს ტურიზმის საშუალებით შემოსავლების მოპოვების უფლება, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერიტორიის განვითარებისათვის, დამთვალიერებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის და სხვადასხვა გადასახადებისათვის. წლიური ბიუჯეტი შედგენილ უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსების ფარგლებში, ასიგნებების ერთი ფინანსური წლიდან მეორეში გადატანის უფლებით. ბიუჯეტის შედგენა უნდა ხდებოდეს სტანდარტიზებული მუხლების მიხედვით.

თავი II

კონვენციის ძირითადი პოლიტიკა

2.1 მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი

„მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია" წარმოადგენს ერთ-ერთს UNESCO-ს სამი კონვენციიდან კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. იგი მიღებულ იქნა UNESCO-ს გენერალური კონფერენციის მე-17 სესიაზე პარიზში 1972 წლის 16 ნოემბერს. 1997 წლის 28 ოქტომბრის მონაცემებით კონვენცია რატიფიცირებულ იქნა 152 ქვეყნის მიერ.

კონვენცია იმართება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ UNESCO-ს სამდივნოს, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დახმარებით. კომიტეტის გადაწყვეტილებები მზადდება მსოფლიო მემკვიდრეობის ბიუროს მიერ, რომელიც შედგება თავმჯდომარის, ვიცე-თავმჯდომარისა და მომხსენებლისგან. კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან კონვენციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები, იკრიბება წელიწადში ერთხელ.

კომიტეტის სამი ძირითადი ფუნქციაა:

- წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ნომინაციების საფუძველზე, განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე კულტურული და ბუნებრივი ობიექტების იდენტიფიცირება, რომლებიც დაცულ უნდა იქნენ კონვენციის მეშვეობით, და მათი შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში;
- გადაწყვეტილების მიღება მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის რომელიმე ღირსშესანიშნავი ადგილის საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის შეს-

ახებ (მაგ., საშიშროების ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები, რომლებიც მათი კონსერვაციის მიზნით მსხვილმასშტაბიან ქმედებებს საჭიროებენ; ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, საჭიროა შესაბამისი ქვეყნის მიერ დახმარების მოთხოვნა);

- მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის რესურსების განაწილების გზებისა და პირობების განსაზღვრა წევრი სახელმწიფოების დასახმარებლად მათი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლების დაცვის მიზნით.

2.2 კონვენციის შესრულების სამოქმედო პრინციპები

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულების სამოქმედო პრინციპები (შემდგომში „სამოქმედო პრინციპები“) შემუშავდა 1977 წელს, რის შემდეგაც პერიოდულად ხდება მისი განახლება. იგი შეიქმნა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისა და საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის დადგენის წესებისა და პრინციპების, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის ეგიდით საერთაშორისო დახმარების გამოყოფის გზების შესახებ კონვენციის წევრი სახელმწიფოების ინფორმირების მიზნით. კონვენციის შესრულების სამოქმედო პრინციპები წარმოადგენს სამუშაო ინსტრუმენტს. საჭიროების შემთხვევაში იგი შესაძლებელია კორექტირებულ იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ ადგილობრივი საჭიროებისა და კონვენციის ფარგლებში განსაზღვრული პოლიტიკის შესაბამისად.

2.3 მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისათვის წარდგენა

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი ან კულტურული ძეგლების გამოვლენა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად. ნომინაციისათვის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს (ობიექტებს) უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება; ნომინაციის სპეციალური კრიტერიუმები მოცემულია კონვენციის შესრულების სამოქმ-

ედო პრინციპებში, რაც შეესატყვისება მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების სამ კატეგორიას:

ა) ცალკეული ძეგლები, შენობათა ჯგუფები ან ღირსშესანიშნავი ადგილები
ბ) ურბანული შენობების ჯგუფები
გ) კულტურული ლანდშაფტები

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად „ა" კატეგორიის ღირსშესანიშნავი ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

I. უნდა წარმოადგენდეს ადამიანის შემოქმედებითი გენიის ნიმუშს; ან

II. უნდა მიუთითებდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში, ან მსოფლიოს რომელიმე კულტურული არეალის ფარგლებში, არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების, ქალაქგეგმარების ან ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების სფეროში ადამიანურ ფასეულობათა მნიშვნელოვან ურთიერთგაცვლაზე; ან

III. უნდა წარმოადგენდეს რომელიმე კულტურული ტრადიციის ან, დღესაც არსებული ან გამქრალი ცივილიზაციის ამსახველ უნიკალურ ან განსაკუთრებულ ნიმუშს; ან

IV. უნდა წარმოადგენდეს ნაგებობის, არქიტექტურული ანსამბლის ან ლანდშაფტის ღირსშესანიშნავ მაგალითს, რომელიც ასახავს კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს (ეტაპებს); ან

V. უნდა იყოს ტრადიციული საცხოვრისის ან მიწათმოქმედების გამორჩეული მაგალითი, რომელიც წარმოადგენს რომელიმე კულტურას (კულტურებს), განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს კულტურა საფრთხის წინაშეა შეუქცევადი ცვლილებების გავლენის გამო; ან

VI. უნდა იყოს უშუალოდ ან თვალსაჩინოდ დაკავშირებული განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე მოვლენებთან, ყოფით ტრდიციებთან, იდეებთან, რწმენასთან, მხატვრულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებთან

(მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ კრიტერიუმმა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში ან სხვა კულტურულ და ბუნების კრიტერიუმებთან თანხვედრისას შეიძლება განაპირობოს ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა).

დამატებით, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარდგენილი ღირსშესანიშნავი ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

I. უნდა აკმაყოფილებდეს ჩანაფიქრის, მასალის, ხელობის ან გარემოს და - კულტურული ლანდშაფტების შემთხვევაში - მათი გამორჩეული მახასიათებლებისა და კომპონენტების ავთენტურობის ტესტს (კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეკონსტრუქცია მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის განხორციელდება ორიგინალის სრული და დეტალური დოკუმენტაციის, და არა რაიმეგვარი ვარაუდის, საფუძველზე).

II. უნდა ჰქონდეს ადეკვატური სამართლებრივი ან/და კონვენციური ან/და ტრადიციული დაცვისა და მართვის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნომინირებული ობიექტის ან კულტურული ლანდშაფტის კონსერვაცია. ეროვნულ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე დამცავი კანონმდებლობის ან კარგად ჩამოყალიბებული ტრადიციული დაცვის ან/და მართვის მექანიზმების არსებობა არსებითია და მკაფიოდ უნდა იქნას აღნიშნული ნომინაციის ფორმაში. ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნული კანონების ან/და მართვის მექანიზმების ეფექტური შესრულების სათანადო გარანტიების წარმოდგენა. გარდა ამისა, კულტურული ძეგლების მთლიანობის შენარჩუნებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ღიაა დამთვალიერებელთა დიდი რაოდენობისათვის, შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს სათანადო ადმინისტრაციული მოწყობის დადასტურება, რომელიც უზრუნველყოფს ძეგლის მართვას, მის კონსერვაციასა და საზოგადოებისათვის მისაწვდომობას.

„ბ" კატეგორია მოიცავს ურბანული შენობების ჯგუფებს და ძირითადად გულისხმობს ისტორიულ ქალაქებს, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა სამ ტიპად (სამოქმედო პრინციპები, პარაგრაფი 27):

I. ქალაქები, სადაც უკვე აღარ არიან მაცხოვრებლები, მაგრამ წარმოადგენენ წარსულის უცვლელ არქეოლოგიურ მოწმობას; ძირითადად, ასეთი ძეგლები აკმაყოფილებენ ავთენტურობის კრიტერიუმს და მათი კონსერვაციის ხარისხი შედარებით იოლად შეიძლება გაკონტროლდეს;

II. ისტორიული ქალაქები, სადაც ჯერ კიდევ არის მოსახლეობა და რომლებიც, მათი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ვითარდებოდნენ და განაგრძობენ განვითარებას სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებების გავლენით. ამგვარი სიტუაცია ართულებს მათი ავთენტურობის შეფასებას და ასევე ნებისმიერი კონსერვაციის პოლიტიკის განხორციელებას;

III. მეოცე საუკუნის ახალი ქალაქები, რომლებსაც პარადოქსულად ბევრი აქვთ საერთო ზემოხსენებულ ორ კატეგორიასთან: მაშინ, როცა მათი საწყისი ურბანული სტრუქტურა ადვილად ამოსაცნობია და მათი ავთენტურობა უდაოა, მათი მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია, რადგანაც ამ ქალაქების განვითარება უმეტეს შემთხვევებში კონტროლს არ ექვემდებარება.

სამოქმედო პრინციპები განსაზღვრავს ისტორიული ქალაქების ნომინაციის შემდეგ კრიტერიუმებს (პარაგრაფი 29):

იმისათვის, რათა ისინი შეტანილ იქნან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ისტორიული ქალაქების აღიარება უნდა მოხდეს მათი არქიტექტურული მახასიათებლების საფუძველზე და არა მხოლოდ ინტელექტუალური მოსაზრებებით, მაგალითად, მათი, როგორც ისტორიული სიმბოლოს ღირებულების გამო ან იმ როლის გამო, რომელიც შეიძლება ჰქონოდათ წარსულში. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად შენობათა ჯგუფების სივრცითი ორგანიზაცია, სტრუქტურა, მასალები, ფორმები და, თუკი შესაძლებელია, ფუნქციებიც არსობრივად უნდა ასახავდეს

კონკრეტულ ცივილიზაციას ან ცივილიზაციების რიგს, რომელთაც განაპირობეს მისი ნომინაცია.

ნომინირებული ისტორიული ქალაქები შეიძლება დაიყოს რამდენიმე კატეგორიად მათი მოცულობის მიხედვით, დაწყებული მთელი ქალაქიდან (მაგ., რომი) დასრულებული ისტორიული ქალაქის რომელიმე მნიშვნელოვანი არეალით (მაგ., შაჰის მოედანი ისფაჰანში). ასევე შეიძლება მოხდეს მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლის შერჩევა, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქის ისტორიის სპეციფიკურ მახასიათებლებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, აუცილებელია **ინტეგრირებული მიდგომა,** იმიტომ, რომ, პირველ რიგში, ზემოაღნიშნული ელემენტები წარმოადგენს მთლიანი ურბანული კონტექსტის განუყოფელ ნაწილს, მაშინაც კი, როცა ისინი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს მიეკუთვნებიან; ამასთანავე, აღნიშნული ელემენტების კონსერვაცია უმეტესწილად მათი სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური გარემოს მართვაზეა დამოკიდებული.

მესამე „გ" კატეგორია, რომელიც 1992 წელს იქნა დადგენილი, მოიცავს კულტურულ ლანდშაფტებს, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა სამ ძირითად კატეგორიად (სამოქმედო პრინციპები, პარაგრაფი 39):

I. ადამიანის მიერ კონკრეტული ჩანაფიქრის თანახმად წინასწარგანზრახულად შექმნილი ლანდშაფტი (მაგ. ბაღი, პარკი);

II. ორგანულად განვითარებული, თავდაპირველი სოციალური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული და/ან რელიგიური წყობის შედეგად წარმოქმნილი ლანდშაფტი (რელიქტური ან განამარხებული ლანდშაფტები, განვითარებადი ლანდშაფტები);

III. ასოციაციური კულტურული ლანდშაფტები, რომლებიც ძეგლად მიჩნეულია რელიგიური, მხატვრული ან კულტურული ასოციაციების ან ბუნებრივი ელემენტების წყალობით.

ისტორიული ქალაქების შემთხვევევაში ავთენტურობის ტესტი განხილულ უნდა იქნას ისტორიულ შენობებთან მიმართებაში, კულტურული ლანდშაფტების შემთხვევაში კი გასათვალისწინებელია მათი გამორჩეული მახასიათებლები და კომპონენტები.

წინამდებარე ტექსტში ტერმინი ღირსშესანიშნავი ადგილი (site) გამოყენებულ იქნება ზემოაღნიშნული დეფინიციით გათვალისწინებული ყველა კატეგორიის აღსანიშნავად.

ზოგ შემთხვევაში ბუნებრივი და კულტურული რესურსები თანაარსებობს. ორივე შემთხვევაში რესურს-პროექტების მეშვეობით მართვის მეთოდოლოგია საკმაოდ მსგავსია. ბუნების ძეგლების მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის კრიტერიუმები განსაზღვრულია სამოქმედო პრინციპების „დ" სექციაში (პარაგრაფი 43-45).

2.4 გლობალური სტრატეგია

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ინიციატივით 1990 წელს საფუძველი ჩაეყარა პროექტს – **გლობალური კვლევა**, რაც მიზნად ისახავდა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი ჩარჩოს დამკვიდრებას, რომელიც, თავის მხრივ, ნიმუშად გამოდგებოდა მომავალი ნომინაციებისათვის. 1994 წელს პროექტს ეწოდა **გლობალური სტრატეგია**, რომელიც მოაზრებულ იქნა, როგორც კონცეპტუალური ჩარჩო მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის წარმომადგენლობითობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად. სტრატეგია ითვალისწინებს რეგიონალური და თემატური შეხვედრების მოწყობას, როგორიცაა, მაგალითად, შეხვედრა გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე კულტურული ლანდშაფტების შესახებ, შეხვედრები ავთენტურობის საკითხების შესახებ. ეს პროექტი ხორციელდება წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ წარმომადგენლებთან, ICCROM-თან და ICOMOS-თან თანამშრომლობით.

2.5 დაცვისა და კონსერვაციის ამოცანები

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია შეიძლება განხილულ იქნას საერთაშორისო თანამშრომლობის ზოგად კონტექსტში, UNESCO-ს სხვა კონვენციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, როგორიცაა, მაგ. **„რეკომენდაცია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ეროვნულ დონეზე დაცვის შესახებ"** (1972) და **„რეკომენდაცია ისტორიული არეალების დაცვისა და მათი თანამედროვე როლის შესახებ"** (1976). მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვა-კონსერვაციის მიზნების გათვალისწინებით, სპეციალური მითითებები მოყვანილია კონვენციის II ნაწილში (მუხლი 4-7), რომელიც ეხება „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე". ამ ნაშრომში დასახული მართვის ძირითადი პრინციპებისათვის განსაკუთრებით ყურადსაღებია დაცვის ღონისძიებათა ქვემოთ მოყვანილი პრინციპები (მუხლი 5).

იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური, აქტიური და ქმედითი ზომები მის ტერიტორიაზე არსებული კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის, კონსერვაციისა და პრეზენტაციისათვის, კონვენციის წევრი ყოველი ქვეყანა შეძლებისდაგვარად და თავისთვის შესაფერისი ფორმით უზრუნველყოფს შემდეგ ღონისძიებებს:

- შეიმუშავებს და ამტკიცებს ძირითად პოლიტიკას, რომლის მიზანია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობისათვის საზოგადოების ცხოვრებაში სათანადო ფუნქციის მინიჭება და მემკვიდრეობის დაცვის ინტეგრაცია კომპლექსური დაგეგმვის პროგრამებში;
- ქმნის მის ტერიტორიაზე (სადაც ასეთი სამსახურები არ არსებობს) კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის, კონსერვაციისა და პრეზენტაციის ერთ ან მეტ სამსახურს, რომელიც აღჭურვილია სათანადო პერსონალით და საშუალებებით მისი ფუნქციების შესასრულებლად;
- აწარმოებს სამეცნიერო და ტექნიკურ კვლევა-ძიებას და შეიმუშავებს სამოქმედო მეთოდებს, რათა სახელმწიფოს შეეძლოს წინ აღუდგეს საფრთხეს, რომელიც ემუქრება

კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას;

- იღებს შესაბამის სამართლებრივ, სამეცნიერო, ტექნიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ ზომებს მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის, დაცვის, კონსერვაციის, პრეზენტაციისა და რეაბილიტაციისთვის; და
- ხელს უწყობს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაციის ეროვნული და რეგიონალური სასწავლო ცენტრების დაფუძნებასა და განვითარებას, მხარს უჭერს ამ დარგში სამეცნიერო გამოკვლევებს.

იმ მომენტიდან, როცა ღირსშესანიშნავი ადგილი ოფიციალურად ჩარიცხულია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ მახასიათებლებისა და ღირებულებების მუდმივი დაცვა და შენარჩუნება, რომლებმაც განაპირობეს მისი საყოველთაო მნიშვნელოვანება და რომლებიც მას გამორჩეულ ნიმუშად აქცევს. კერძოდ, ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის მომენტიდან მიუღებელია ნებისმიერი ქმედება, რომელიც გამოიწვევს მისი ავთენტურობის ან სხვა ღირებულებების შემცირებას. ამიტომ, ოფიციალური შეფასების დოკუმენტი, რომელსაც ემყარება ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის გადაწყვეტილება, ძალზე მნიშვნელოვანია. მან უნდა წარმოაჩინოს ღირსშესანიშნავი ადგილის ის ღირებულებები, რომლებიც მის მნიშვნელობას განსაზღვრავს, თან იმგვარად, რომ ეს გასაგები იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის

2.6 საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა

იმ შემთხვევაში, როცა მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილი ადამიანის მიერ გამოწვეული ან ბუნებრივი (არსებული ან მოსალოდნელი) საფრთხის წინაშეა, იგი შეიძლება შეტანილ იქნას (წევრი სახელმწიფოს მოთხოვნის თანახმად) **საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში,** რაც მიზნად ისახავს წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო დახმარებას აღნიშნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად (სამოქმედო პრინციპები III-ა, პარაგრაფი 76-89).

ამგვარი საშიშროება შეიძლება წარმოიშვას არა მარტო გარე ფაქტორების არასასურველი ზეგავლენით ძეგლის გარემოზე, არამედ მისი შეუსაბამო გამოყენებით და/ან მკურნალობით.

2.7 მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამორიცხვა

სამოქმედო პრინციპების თანახმად (ნაწილი I-ე, პარაგრაფი 46-56), ღირსშესანიშნავი ადგილი შეიძლება ამორიცხულ იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან შემდეგ შემთხვევებში:

- როცა ღირსშესანიშნავი ადგილი დეგრადირებულია იმგვარად, რომ დაკარგული აქვს ძირითადი მახასიათებლები, რომელთაც განაპირობეს მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა;
- თუკი ღირსშესანიშნავი ადგილი იმყოფებოდა ადამიანის ქმედებებით გამოწვეული საფრთხის წინაშე მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის მომენტისათვის და დადგენილ ვადებში წევრი სახელმწიფოს მიერ არ იქნა მიღებული ნომინაციის დოკუმენტით განსაზღვრული ზომები აღნიშნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

2.8 ემბლემა

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად წარდგენილი ღირსშესანიშნავი ადგილებისთვის დასაშვებია გამოყენებულ იქნას **მსოფლიო მემკვიდრეობის ემბლემა** და წარწერა. ემბლემა, რომელიც შექმნილია მიშელ ოლიფის მიერ, „სიმბოლურად ასახავს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ურთიერთდამოკიდებულებას: ცენტრალური კვადრატი წარმოადგენს ადამიანის მიერ შექმნილ ფორმას, ხოლო წრე განასახიერებს ბუნებას. ეს ორი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ემბლემა მრგვალია, როგორც დედამიწა, მაგრამ ამავდროულად წარმოადგენს დაცვის სიმბოლოს“ (სამოქმედო პრინციპები, ნაწილი VII-ა, პარაგრაფი 122-125).

თავი III

საკონსერვაციო შეფასება

3.1 მოკლე მიმოხილვა

კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე ცნება დაკავშირებულია მთელ განაშენიანებულ გარემოსთან და აღქმულ უნდა იქნას მსოფლიო ეკოლოგიური პრობლემების ჭრილში; ამ კონტექსტში მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები გამოირჩევიან მათი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით. კონსერვაციის პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს კრიტიკული შეფასების პროცესს, რომელიც იწყება კულტურული ობიექტის შესწავლით, დოკუმენტირებით, მისი დამახასიათებელი კულტურული თვისებებისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებების განსაზღვრით.

აღნიშნული ღირებულებები ორ ჯგუფად იყოფა: კულტურული ღირებულებები და თანამედროვე ეკონომიკური ღირებულებები.

კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია კულტურული პრობლემაა. რესტავრაცია არ არის მზა რეცეპტი, არამედ დამოკიდებულია მემკვიდრეობის ღირებულებების სწორ გაგებაზე. მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უცილობლად უნდა ეყრდნობოდეს აწონილ-დაწონილ შეფასებას კონვენციის ამოცანების, როგორც პრიორიტეტის, სათანადო გათვალისწინებით. კონსერვაციის პოლიტიკა მოიცავს სხვადასხვა მასშტაბისა და ინტენსივობის ჩარევებს, რომლებიც განპირობებულია ძეგლის ფიზიკური მდგომარეობით, დაზიანების ტიპებითა და მკურნალობის მოსალოდნელი შედეგით. ყოველი ცალკეული შემთხვევა განხილულ უნდა იქნას ინდივიდუალურად, სხვადასხვა არსებული ფაქტორის,

ჩარევის საბოლოო მიზნისა და კონსერვაციისა და რესტავრაციის პრინციპების გათვალისწინებით. უმეტეს შემთხვევებში, მინიმალური ეფექტური ჩარევა გამოდგა საუკეთესო პოლიტიკა.

3.2 რა არის დღეს კულტურული მემკვიდრეობა?

კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე ცნება არის თანამედროვე საზოგადოების, მისი ღირებულებებისა და მოთხოვნების განვითარების შედეგი. წარსულში ძირითადი ყურადღება მიმართული იყო ხელოვნების ცალკეული ნიმუშებისა და უმნიშვნელოვანესი ძეგლებისაკენ.

მსოფლიო ომების მიერ გამოწვეულმა მასობრივმა ნგრევებმა და 1950-იანი წლების შემდგომმა სწრაფმა ინდუსტრიულმა განვითარებამ განაპირობა ადამიანების მიერ მათ საცხოვრებელ და სამუშაო გარემოსთან მჭიდრო ურთიერთკავშირის გაცნობიერება. ის წარმოადგენს ადამიანების კულტურული მეობის საფუძველს, ცხოვრების დაბალანსებული ხარისხის ერთგვარ მენტალურ და სულიერ ათვლის წერტილს.

- *დღეს კულტურული მემკვიდრეობა აღიქმება მისი უფართოესი გაგებით და მოიცავს ნებისმიერ ნიშანს, რომელიც ასახავს ადამიანის ქმედებებსა და მიღწევებს კაცობრიობის არსებობის განმავლობაში.*

ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, სულ უფრო ნაკლებად ესმოდათ თუ რამდენად ურთიერთდამოკიდებულია ადამიანი და ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი რესურსები წინაინდუსტრიულ ხანაშიც გამოიყენებოდა – ზოგჯერ უდიერადაც – ადამიანები და განაშენიანებული გარემო დღევანდელზე მეტად იყვნენ ბუნებაზე დამოკიდებული. პარალელურად, ახალი პრობლემები წარმოიქმნა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის მკვეთრი ზრდისა და ურბანიზაციის მსოფლიო ტენდენციების გამო. დროთა განმავლობაში, არა-განახლებადი (ნავთობი, მინერალები) თუ ნაწილობრივ განახლებადი (წყალი, ჰაერი, ტყეები) ბუნებრივი რესურსების დაუფიქრებელი მოხმარება საერთაშორისო შეშფოთების საგანი შეიქმნა.

- *ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არა-განახლებადი რესურსია, ამიტომაც განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო ადამიანების მოთხოვნილებებსა და მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებს შორის წონასწორობის აღსადგენად.*

კულტურული მემკვიდრეობა სხვადასხვა ვითარებაში არსებული სხვადასხვა ტიპის ობიექტებისაგან შედგება; ამასთან, იგი მოიცავს არა მხოლოდ ცალკეულ მნიშვნელოვან ძეგლებს, ისტორიულ არეალებსა და ბაღ-პარკებს, არამედ ადამიანის მიერ შექმნილ გარემოს, როგორც ერთ მთლიანს. კულტურული მემკვიდრეობის რესურსები, მათი კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება ასოცირებულ იქნენ სხვადასხვა ღირებულებებთან, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებენ სხვადასხვა შემთხვევაში მათი მკურნალობის სპეციფიკას.

- *ობიექტის, მისი ღირებულებებისა და მისი მკურნალობის განსაზღვრასთან დაკავშირებული ცნებები მკაფიოდ უნდა იქნან განმარტებულნი, რათა თავიდან აცილებულ იქნას შინაარსის მცდარი გაგება*

კულტურული მემკვიდრეობის დახასიათების, მასთან დაკავშირებული ღირებულებების განსაზღვრისა და შესაბამისი დამცავი პოლიტიკის შემუშავების საკითხი განხილულია UNESCO-ს მიერ შექმნილ მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, კერძოდ, მთელ რიგ რეკომენდაციებსა და კონვენციებში.

რეკომენდაციები წარმოადგენენ ერთგვარ სახელმძღვანელოს მემკვიდრეობის ცალკეული სახეობების მიხედვით, როგორიცაა არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიული არეალები და შენობები. კონვენციები კი, როგორიცაა, მაგალითად, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, წევრი სახელმწიფოების მიერ რატიფიცირებულია, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია **ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტია**, რომელიც

ცნობილია, როგორც **„ვენეციის ქარტია“**. ვენეციის ქარტია მიღებულ იქნა 1964 წელს ვენეციაში გამართულ არქიტექტორებისა და ისტორიული ძეგლების სპეციალისტების მეორე საერთაშორისო კონგრესზე (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭომ (ICOMOS), რომელიც დაარსდა 1965 წელს, ვენეციის ქარტია მის ფუძემდებელ საწესდებო დოკუმენტად აღიარა).

შემდგომი წლების განმავლობაში აღნიშნული დოკუმენტი გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონსერვაციის პოლიტიკის საფუძველი.

3.2.1 რა განსაზღვრავს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას?

კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მიმართ არსებული საფრთხეების გაცნობიერებამ და მსოფლიო მემკვიდრეობის ერთობლივი დაცვის საერთაშორისო სურვილმა გამოიწვია 1972 წელს UNESCO-ს გენერალური კონფერენციის მიერ მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის მიღება.

კონვენციის მიზანია იმ ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვა, რომლებსაც „განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება“ აქვს (სამოქმედო პრინციპები, I-C). მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა, რომელიც დაფუძნებულ იქნა აღნიშნული კონვენციით, მოიცავს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში არსებულ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ძეგლებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და დაცვას იმსახურებს. ეს სამაგალითო ძეგლები ერთად მსოფლიო მემკვიდრეობის უდიდეს მრავალფეროვნებას წარმოგვიდგენენ და, შესაბამისად, გააჩნიათ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო შინაარსი.

კონვენციის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ცალკეულ ძეგლებს, შენობათა ჯგუფებსა და ღირშესანიშნავ ადგილებს:

- **ძეგლები:** არქიტექტურის, მონუმენტური ქანდაკებისა და მხატვრობის ნიმუშები, არქეოლოგიური ნაგებობები და ელემენტები, ეპიგრაფიკული ნიმუშები, კლდეში ნაკვეთი საცხოვრებლები, რომელთაც ისტორიის, ხელოვნების ან მეცნიერების თვალსაზრისით გააჩნიათ განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება.
- **შენობათა ჯგუფები:** ცალკეული ან ურთიერთდაკავშირებული შენობების ჯგუფები, რომლებსაც მათი არქიტექტურის, მათი ჰომოგენურობის ან ლანდშაფტთან ურთიერთმიმართების გამო, გააჩნიათ განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება ისტორიის, ხელოვნების ან მეცნიერების თვალსაზრისით.
- **ღირსშესანიშნავი ადგილები *(sites)*:** ადამიანის მიერ, ან ადამიანისა და ბუნების მიერ ერთობლივად შექმნილი ნიმუშები, მათ შორის არქეოლოგიური არეალები, რომლებსაც ისტორიის, ესთეტური, ეთნოლოგიური ან ანთროპოლოგიური თვალსაზრისით გააჩნიათ განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება.

ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარდგენისათვის ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს სწორედ მისი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების დადასტურებაში. აღნიშნული ცნება დეტალურადაა განხილული კონვენციის შესრულების სამოქმედო პრინციპებში.

3.3 რა წარმოადგენს ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის დაცვის ძირითად საგანს?

წარსულში რესტავრაციის თეორია ხშირად უპირატესობას ანიჭებდა მკურნალობის ამა თუ იმ კონკრეტულ მეთოდს, მაგრამ დღეს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და მისი ღირებულების ცხადყოფის (*mise-en-valeur)* უბრალოდ რეცეპტების სერიებად განხილვა აღარ შეიძლება. თვით კულტურული მემკვიდრეობის ცნებაც გაცილებით ფართოა. შესაბამისად, დაცვისა და კონსერვაციის მიდგომა მნიშვნელოვნად იცვლება თითოეული ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის კონტექსტისა და მისი თან-

მხლები ღირებულებების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციასა და დაცვას საფუძვლად უდევს სწორი კონსერვაციის ძირითადი პრინციპები.

3.3.1 კრიტიკული შეფასების პროცესი

უპირველეს ყოვლისა, კონსერვაციას და რესტავრაციას საფუძვლად უნდა დაედოს მემკვიდრეობის რესურსის და მისი გარემოსთან კავშირის თავისებურების მკაფიო განსაზღვრა. ამგვარი განსაზღვრა არის ნაწილი კრიტიკული შეფასების პროცესისა, რომელიც მიმართულია მემკვიდრეობის, როგორც თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილის აღქმის კულტივირებისკენ, მემკვიდრეობის რესურსის ღირებულებების შეფასების ჩარჩოს შექმნის, მართვის ამოცანების განსაზღვრის და პრეზენტაციისა და პოპულარიზაციის სტრატეგიის შემუშავების გზით. აღნიშნული პროცესი იყოფა ოთხ ეტაპად:

- **კვლევა:** ობიექტისა და მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს მეთოდური შემოწმება, კვლევა და დოკუმენტაცია;
- **განსაზღვრა:** ობიექტისა და მისი გარემოს რაობის კრიტიკულ-ისტორიული განსაზღვრა და მისი მნიშვნელოვანების შეფასება;
- **ანალიზი:** ობიექტის ნივთიერი შედგენილობისა და მასთან დაკავშირებული კონსტრუქციული სისტემის მეცნიერული ანალიზი და დიაგნოსტიკა მისი შემდგომი კონსერვაციის მიზნით;
- **სტრატეგია:** გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება კონსერვაციისთვისა და ცვლილებების მართვისათვის, რეგულარული ინსპექციის, მუდმივი მოვლისა და გარემოს კონტროლის ჩათვლით.

3.3.2 მემკვიდრეობის ობიექტთან დაკავშირებული ღირებულებები

ღირებულება განისაზღვრება, როგორც საზოგადოების მიერ საგნისათვის გარკვეული ფარდობითი ხარისხის მიკუთვნება. კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ობიექტის კულტურულ მნიშვნელოვნებას, თუმცა, ამავდროულად, ვერც ეკონომიკურ ასპექტებს უგულებელვყოფთ. რიგი ღირებულებები უკავშირდება ძეგლის სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორიცაა მხატვრული გადაწყვეტა, მასალა და ხელობა, სხვა ღირებულებები კი შეიძლება უკავშირდებოდეს მის ადგილმდებარეობას და ობიექტის გარემოსთან ურთიერთობის თავისებურებას. ისტორიული ობიექტის, როგორც წარსულის წარმონაქმნის მდგომარეობა უარესდება ფუნქციური დატვირთვის, ბუნებრივი პირობების ზეგავლენის და ასევე, ხშირ შემთხვევაში, ნაირგვარი გადაკეთების გამო, რომელიც მისი ისტორიული ხასიათისა და ნივთიერი სუბსტანციის ნაწილი ხდება. ამ ნივთიერ სუბსტანციაში მისი აღმშენებლების ესთეტიკური და მხატვრული შეხედულებები, ისტორიული მტკიცებულებები და მათთან დაკავშირებულ წარსული და ამჟამინდელი კულტურული ღირებულებებია დაფლული.

- *კონსერვაციის მიზანია ობიექტის ღირებულებებისა და მახასიათებლების, მისი ნივთიერი სუბსტანციის დაცვა და მისი მთლიანობის შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის.*

3.3.3 მემკვიდრეობის ობიექტის განსაზღვრა

მემკვიდრეობის ობიექტი – ისტორიული ძეგლი, რომელიც ამავდროულად ხელოვნების ქმნილებას წარმოადგენს, განურჩევლად იმისა, ისტორიული ნაგებობაა, ბაღი, ანსამბლი თუ ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელიც შემოქმედებითი პროცესის შედეგია – შეიძლება განსაზღვრულ იქნას სპეციფიკური ცნებებით. ასეთი ქმნილება, ძირითადად, მოიაზრება, როგორც **მხატვრული მთლიანობა,** რომლის ნაწილებსაც წარმოადგენენ მისი ცალკეული ელემენტები. მთლიანი, რომელიც შემოქმედებითი პროცე-

სის შედეგია, პოტენციური ერთიანობაა, რომელთან მიმართებაშიც ხდება ყოველი ცალკეული ნაწილის აღწერა და განსაზღვრა (ხელოვნების ნაწარმოები არ უნდა იქნას აღქმული, როგორც უბრალოდ „ნაწილთა შეჯამება"). კვლევისა და კრიტიკულ-ისტორიული შეფასების ერთ-ერთი მიზანია მემკვიდრეობის ობიექტის მთლიანობის ხარისხის განსაზღვრა.

ისტორიული არეალი, განურჩევლად იმისა, დასახლებაა თუ კულტურული ლანდშაფტი, რომელიც თანდათანობითი განვითარების შედეგია, შეიძლება განსაზღვრულ იქნას მისი **ისტორიული სიმრთელის ხარისხის** (historical integrity) საშუალებით. სიმრთელე (integrity) ზოგადად აღნიშნავს ობიექტის ან არეალის დასრულებულ სახეს და კარგ ფიზიკურ მდგომარეობას. „ისტორიული სიმრთელე" კი აღნიშნავს მემკვიდრეობის ობიექტის ამჟამინდელ ფორმას, როგორც დროთა განმავლობაში განვითარებისა და გარდაქმნის შედეგს. ისტორიული სიმრთელის ხარისხის განსაზღვრა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას არქეოლოგიური არეალების იდენტიფიკაციისას. მემკვიდრეობის ობიექტის საკუთარი თვისებები განისაზღვრება მისი მხატვრული გადაწყვეტით, მასალით, ხელობით, გარემოთი და გარემოსთან დამოკიდებულებით.

დროთა განმავლობაში ძეგლის თავდაპირველი სახე შესაძლებელია ნაწილობრივ დაზიანდეს, განზრახ შეცვლილ ან დანგრეულ იქნეს, რის შედეგადაც მცირდება ან სრულიად იკარგება მისი მთლიანობა. მეორე მხრივ, ობიექტი, ისტორიული განვითარების რომელიღაც ეტაპზე შესაძლებელია გახდეს სხვა რომელიმე მთელის ნაწილი, რის კვალადაც იგი ახალი პოტენციური მთლიანობის ნაწილად გარდაისახება. მსგავსი ცვლილებები მისი ისტორიული სტრატიგრაფიის ნაწილია. ამიტომ, ისტორიული ობიექტის მკურნალობა სწორედ ამ ახალ მთლიანობას უნდა ითვალისწინებდეს და მის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

ისტორიული არეალები და მათი შემოგარენი განსაკუთრებით ფრთხილ შესწავლას მოითხოვს, რადგანაც ცალკეული ისტორიული ძეგლები და შენობები მემკვიდრეობის უფრო ფართო ანსამბლის ნაწილებია. UNESCO-ს რეკომენდაციაში ისტორიული არეალების დაცვისა და მათი თანამედროვე როლის შესახებ (ნაირობი, 1976 წ.), გატარებულია შემდეგი პრინციპები:

„ყოველი ისტორიული არეალი და მისი შემოგარენი აღქმულ უნდა იქნეს განუყოფლად, როგორც განუწვალებელი მთლიანობა, რომლის შეწონილება და სპეციფიკური ბუნება დამოკიდებულია მისი შემადგენელი ნაწილების შერწყმაზე და რომელიც ადამიანის ქმედებებს, შენობა-ნაგებობებს, სივრცით ორგანიზაციასა და გარემოსაც მოიცავს. ყოველი, თუნდაც მოკრძალებული, მაგრამ ღირებული ელემენტი, ადამიანის ქმედებების ჩათვლით, მნიშვნელოვანია მთლიანთან, კავშირში, რაც დაუშვებელია უყურადღებოდ დავტოვოთ."

ამგვარად, ისტორიული არეალების მთლიანობა არ უნდა იქნეს განხილული მხოლოდ არქიტექტურულ სტრუქტურასთან კავშირში. მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ადამიანური ფასეულობებიც, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიული არეალის სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტთან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისტორიული პარკებისა და ლანდშაფტების საკითხი. ისტორიის მანძილზე, მრავალ ქვეყანაში, ბაღების დაგეგმარება არქიტექტურასთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა (მაგ. ჩინეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ინდოეთი, ირანი, იტალია და იაპონია). მნიშვნელოვანია, რომ ღირსშესანიშნავი ადგილის განსაზღვრისას ყურადღება ამ ნიშნებსაც მიექცეს, რაც ჯეროვან არქეოლოგიურ შესწავლას და ლანდშაფტური გეგმარების პრინციპებისა და ისტორიის ცოდნას მოითხოვს, რათა ბაღებისა და პარკების რეაბილიტაციისას არ დაიკარგოს მათი მნიშვნელოვანი და ხშირად სათუთი მახასიათებლები. ბოლო წლების განმავლობაში, საერთაშორისო მასშტაბით დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიული ბაღ-პარკების დაცვისა და დოკუმენტაციის საკითხს. შექმნილია შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები მათი მოვლა-პატრონობის, კონსერვაციისა და რესტავრაციისათვის. მეტადრე 1980 წლის შემდეგ, განაშენიანებული და ბუნებრივი გარემოს ურთიერთდამოკიდებულების და კავშირის მნიშვნელობის აღიარების ზრდის კვალობაზე, დიდი მნიშვნელობა შეიძინა კულტურული ლანდშაფტების დაცვის საკითხმა. ეს საკითხი აქტუალურია როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ასევე სწრაფი განვითარების პირობებში მყოფი არეალებისათვის (სადაც თანამედროვე განვითარება ხშირად უგულებელყოფს არსებულ ეკოლოგიურ ან ტრადიციულ კულტურულ კონტექსტს

და არსებული ობიექტების შენარჩუნების საჭიროებას). ამჟამად მიმდინარეობს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში კულტურული ლანდშაფტების შეყვანის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესწავლა, მაგრამ მიუხედავად იმისა, ამოქმედდება ისინი, თუ არა, უაღრესად საჭიროა არა მარტო კონკრეტულ ძეგლებსა და ანსამბლებზე ზრუნვა, არამედ **სათანადო დაგეგმვის ინსტრუმენტების შემუშავება მათი ფართო კონტექსტის განვითარების კონტროლის და დაბალანსებისათვის.**

3.3.4 ისტორიული დროის ხაზი

მემკვიდრეობის ობიექტის (ხელოვნების ქმნილების, ისტორიული შენობა-ნაგებობისა თუ ისტორიული ქალაქის) დროსა და ისტორიასთან მიმართება შეიძლება სამ ფაზად დავყოთ:

- I ფაზა, რომელიც ობიექტის შექმნით სრულდება;
- II ფაზა, რომელიც გრძელდება შექმნის ფაზის დასასრულიდან დღემდე;
- III ფაზა, რომელიც მოიცავს ძეგლის ამჟამად, თანამედროვე ცნობიერების მიერ აღქმას;

აღნიშნული ფაზების ერთიანობა ქმნის ობიექტის ისტორიული დროის ხაზს, რომელიც შეუქცევადია. იგი არის თითეული იმ ფაზის კონკრეტული კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ნაყოფი, რომელთაც მემკვიდრეობის ობიექტის შექმნასა და სახეცვლაში უდევთ წვლილი. კონკრეტულ ისტორიულ ფაზებთან „მიბმა" წარმოადგენს ისტორიული ობიექტის შეფასების უმთავრეს ამოსავალ წერტილს. ავსტრიელი ისტორიკოსისა და კონსერვაციის ექსპერტის - ალოის რიგლის მიერ 1903 წელს შემუშავებული *Kunstwollen*-ის კონცეფციის მიხედვით კონკრეტულ პერიოდში შექმნილი ობიექტი ასახავს ამ პერიოდის მიმდინარეობებს და, ამავდროულად, წვლილი შეაქვს მათ ჩამოყალიბებაში. საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემთხვევაში მემკვიდრეობის ობიექტი სწორედ დღევანდელობის ქმნილება გახდება.

- *რადგანაც ყოველი ძეგლი უნიკალურია ისტორიულ დროსთან მის მიმართებაში, იგი წარმოადგენს არაგანახლებად რესურსს.*

3.3.5 რა არის ავთენტურობა

ავთენტურობა მემკვიდრეობის ობიექტის შეფასების გადამწყვეტი კომპონენტია. ზოგადად, ავთენტურად მიიჩნევა ის ობიექტი, რომელიც მატერიალურად შემორჩენილია იგივე, რაც ოდესღაც შექმნეს, რასაც დრომ ხანი შესძინა და იერიც უცვალა. თუ ისტორიულ ძეგლს ან ღირშესანიშნავ არეალს ხელოვნების ნაწარმოებად მივიჩნევთ, ავთენტურობა შეიძლება გაგებულ იქნას შემოქმედებით პროცესთან კავშირში, რომელმაც ის რაღაც დროს წარმოშვა და რომელიც ამასთან, ისტორიულ დროში მისი არსებობის ზემოქმედებასაც მოიცავს. ამასთან ავთენტურობა არ უნდა გაიგივდეს იდენტურობასთან. თანამედროვე რეკონსტრუქცია, მიუხედავად იმის, რომ გარეგნულად ისტორიული ფორმის იდენტურია, ვერ იქნება ავთენტური. *ნარას ავთენტურობის დოკუმენტის* (ნარა,1994ნ.) მიხედვით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავთენტურობის შეფასებისას გამოყენებული ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობას. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ კულტურებისა და მემკვიდრეობის მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის სულიერი და ინტელექტუალური სიმდიდრის შეუცვლელ წყაროს.

ავთენტურობა გამომდინარეობს ობიექტის დეფინიციიდან, შესაბამისად, ძეგლის ისტორიული მნიშვნელოვნების კონტექსტიდან გამომდინარე, იგი შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას გაგებული:

- *კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ავთენტურობა, ზოგადად, უნდა ასახავდეს მისი შექმნის მნიშვნელოვან ფაზებს და გამოყენებებს მისი ისტორიული დროის ხაზის სხვადასხვა ფაზაში.*

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ავთენტურობა შეიძლება დაირღვეს მისი ისტორიული სტრატიგრაფიის განადგურებით, თავდაპირველი ელემენტების ახლით შეცვლით (მით უფრო, თუ

ეს ვარაუდით კეთდება) და ახალი ელემენტების დამატებით. მემკვიდრეობის ობიექტი, რომელმაც გაიარა ავთენტურობის ტესტი, ინარჩუნებს მის სიმრთელეს, როგორიც თავდაპირველად შეიქმნა ან ჩამოყალიბდა მისი არსებობის მანძილზე. ვინაიდან ავთენტურობის ხარისხის განსაზღვრისას მემკვიდრეობის ობიექტის სხვადასხვა ასპექტია გასათვალისწინებელი, მნიშვნელოვანია ჩვენი დასკვნა მრავლისმომცველი იყოს - ე.ი. ერთი რომელიმე ასპექტი არაა საკმარისი. კონვენციის შესრულების სამოქმედო პრინციპების მიხედვით ავთენტურობის ოთხი ასპექტი არსებობს:

- ჩანაფიქრის ავთენტურობა
- მასალის ავთენტურობა
- ხელობის ავთენტურობა
- გარემოს ავთენტურობა

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად ობიექტი ავთენტურობის ამ ოთხი კრიტერიუმის მიხედვით შეუბღალავი უნდა იყოს. მაგალითად, თუკი ობიექტი განადგურდა, მისი ასლი ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შეუსაბამო იქნება, ვინაიდან დაკარგული იქნება მასალის ავთენტურობა. მასალის ავთენტურობა უპირველესი კრიტერიუმია, რომელიც დანარჩენ კრიტერიუმებთან ერთად განსაზღვრავს ძეგლის ავთენტურობის ხარისხს.

მეორე მხრივ, ობიექტთა უმრავლესობა სახეცვლილია ბუნებრივი ფაქტორებისა თუ ადამიანის მიერ გამოყენების ზემოქმედებით. ასეთი ცვლილებები წარმოადგენს ძეგლის ისტორიული სტრატიგრაფიის განუყოფელ ნაწილს.

ამასთანავე, სასწრაფო განხილვას მოითხოვს სოციო-კულტურული კონტექსტის ავთენტურობის კონცეფცია.

3.4 რა ღირებულებები განსაზღვრავენ მკურნალობის სახეს?

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან მრავალი ღირებულება შეიძლება იქნას ასოცირებული. მათგან მნიშვნელოვნად მიჩნეულნი შესაძლებელია ობიექტის დაცვისა და კონსერვაციის დასაბუთებად გამოდგეს. ამგვარი ღირებულებები მრავალგვარია – ისტორიულიდან ვიდრე კომერციულამდე, თანაც ერთ ობიექტს შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებებიც ახლდეს, რაც განსაკუთრებით ართულებს მართვისას გადაწყვეტილების მიღებას; ღირებულებითი შეხედულებები ასევე შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირშესანიშნავ ადგილებთან მიმართებაში, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას როგორც კულტურული, ასევე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები.

ამ ღირებულებების არსებობა ან არარსებობა განაპირობებს ისტორიული ობიექტის დაცვასა და კონსერვაციას, ან პირიქით – მის უგულებელყოფას და ნგრევას. მაგალითად, ნაციონალისტური ან პოლიტიკური ღირებულებები ხშირად განაპირობებენ ობიექტის დაცვას და რესტავრაციას, თუმცა, იმავე ღირებულებებმა შეიძლება იმ ობიექტის განადგურება გამოიწვიოს, რომელიც არ პასუხობს გაბატონებულ პოლიტიკურ წარმოდგენას მნიშვნელოვნების შესახებ.

3.4.1 კულტურული ღირებულებები

მემკვიდრეობის ობიექტთან ასოცირებული კულტურული ღირებულებები და მათი მიმართება დღევანდელ დამთვალიერებლებთან უცილობლად სუბიექტურია, რადგანაც ისინი დღევანდელობის ამსახველ ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული. ეს შეფასებები განსაზღვრავს საზოგადოების ინტერესის დონეს ობიექტისა და მისი გარემოს მიმართ, მისი განუყოფელი კულტურული მახასიათებლების ინტერპრეტაციას და მკურნალობის გზების შემუშავებას. მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის და, აქედან

გამომდინარე, მკურნალობის განსაზღვრაც ასევე ეყრდნობა ზემოაღნიშნულ შეფასებას მისი არქეოლოგიური პოტენციალისა და ისტორიული სუბსტანციის სათანადო გათვალისწინებით.

ქვემოთ მოცემული დაჯგუფების მიზანია ღირებულების სხვადასხვა ტიპების იდენტიფიკაცია და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან მათი დამოკიდებულების გარკვევა. შესაბამისი მკურნალობის საკითხი დამატებით განხილული იქნება მე-8 თავში.

ამასთან, კულტურული ღირებულებები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნენ სხვადასხვა გზებით.

თვითმყოფადობა (identity) (დაფუძნებულია აღიარებაზე):

ღირებულებები: ღირებულებების ეს ჯგუფი ასახავს საზოგადოების ემოციურ კავშირს ამა თუ იმ ობიექტთან თუ ადგილთან. იგი მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს: ასაკი, ტრადიცია, უწყვეტობა, მემორიალურობა, ლეგენდარულობა; გრძნობა, სულიერობა, რელიგიურობა; სიმბოლურობა, პოლიტიკურობა, ეროვნულობა და პატრიოტულობა.

ზეგავლენა: ამ ჯგუფს, რომელიც ხშირად ემოციური შეგრძნებებისაგან შედგება, ძლიერი გავლენა აქვს ობიექტის დაცვასა, კონსერვაციასა და რესტავრაციაზე. ეს ღირებულებები ხშირად განაპირობებენ მკურნალობის მიზნით ჩარევის მასშტაბის ზრდას და ზოგჯერ გადაჭარბებულ რესტავრაციასაც იწვევენ. მეორე მხრივ, ამ ღირებულებების არარსებობა ზოგ შემთხვევაში ობიექტის უგულებელყოფას და განადგურებას იწვევს. მათი პოპულარიზაცია სწავლებით და განათლების მეშვეობით შეიძლება.

შედარებითი მხატვრული ან ტექნიკური ღირებულება (დაფუძნებულია კვლევაზე):

ღირებულებები: ეს ჯგუფი დაფუძნებულია მემკვიდრეობის ობიექტის მხატვრული გადაწყვეტის, მისი ტექნიკური, კონსტრუქციული და ფუნქციური მახასიათებლების და ხელობის მნიშვნელოვანების მეცნიერულ და კრიტიკულ-ისტორიულ შეფასებაზე.

ზეგავლენა: აღნიშნული ღირებულებები პროფესიული კვლევის შედეგია, რომლის მიზანია ობიექტის ფარდობითი მნიშვნელოვანების გამოვლენა მის თანადროულ პერიოდთან, სხვა პერიოდებთან და თანამედროვეობასთან კავშირში. ეს ღირებულებები წარმოადგენენ კლასიფიკაციისა და აღრიცხვის და ასევე მკურნალობის სტრატეგიის შემუშავების საფუძველს.

იშვიათობა (დაფუძნებულია სტატისტიკაზე):

ღირებულებები: ღირებულებების ეს ჯგუფი ასახავს ობიექტის მიმართებას იმავე პერიოდის, ტიპის, სტილის, მშენებლის, რეგიონის მქონე სხვა ნაგებობებთან, რაც განსაზღვრავს ობიექტის იშვიათობას ან უნიკალურობას.

ზეგავლენა: აღნიშნული ჯგუფი დაკავშირებულია წინა ორ ჯგუფთან და გავლენას ახდენს ობიექტისათვის დადგენილ დაცვის ხარისხზე. იშვიათობის მაღალ ხარისხს შეუძლია გაზარდოს განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე მახასიათებლების მნიშვნელობა და შესაბამისად ობიექტის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის შესაძლებლობაც.

3.4.2 თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები

გამოყენებითი ღირებულებები დაკავშირებულია დღევანდელ საზოგადოებასთან და მის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინფრასტრუქტურასთან. სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ეკონომიკური ღირებულება:

ღირებულებები: რადგანაც ეკონომიკა ხელს უწყობს რესურსების საუკეთესო გადანაწილებას საჭიროებების ფართო სპექტრის მიხედვით, ეკონომიკური ღირებულება არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ფინანსურ ღირებულებასთან. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ეკონომიკური ღირებულება მოიაზრება, როგორც თავად მემკვიდრეობის ობიექტის მიერ ან მისი კონსერვაციის შედეგად წარმოქმნილი ღირებულება.

ზეგავლენა: ეკონომიკურ ღირებულებას მოგების ოთხი პოტენციური წყარო აქვს. ესენია: ტურიზმი, კომერცია, გამოყენება და კეთილმოწყობა. ნებისმიერი მათგანის არასწორი მართვა იწვევს მემკვიდრეობის ობიექტის არასასურველ განვითარებას ან სრულ განადგურებას. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, როცა ორიენტაცია მიმართულია აბსოლუტურ მოგებაზე, დანახარჯებისა და მოგების სწორი ბალანსის შემუშავების ნაცვლად.

ფუნქციური ღირებულება:

ღირებულებები: ფუნქციური ღირებულება დაკავშირებულია ეკონომიკურთან, რადგანაც იგი გულისხმობს შენობის ან არეალის თავდაპირველი ფუნქციის უწყვეტობას ან მათთვის ახალი, თავსებადი ფუნქციის მინიჭებას. ნანგრევებად ქცეული ობიექტის თავდაპირველი ფუნქციური ღირებულება დაკარგულია, მაგრამ მან შესაძლებელია შეიძინოს ახალი ფუნქცია, რაც მოემსახურება ობიექტის ინტერპრეტაციის პროგრამის მოთხოვნებს ან, მაგალითად, სახვითი და სასცენო ხელოვნების საჭიროებებს.

ზეგავლენა: ტრადიციული ფუნქციების უწყვეტობა უზრუნველყოფს ძეგლის არსის იმგვარ აღქმას, როგორიც ვერასოდეს მიიღწევა შემეცნებითი გამოფენებით. შესაბამისი გამოყენება ასევე აადვილებს კონსერვაციას. შეუსაბამო, არასწორი ადაპტაცია კი ხშირად იწვევს ძეგლის დეგრადაციას, არასასურველ ცვლილებებს ან დანგრევას.

შემეცნებითი ღირებულება:

ღირებულებები: მემკვიდრეობის ობიექტის შემეცნებითი ღირებულება მოიცავს მის პოტენციალს კულტურული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით და ასევე კულტურისა და ისტორიის გაცნობიერებას, რასაც ხელს უწყობს, როგორც ისტორიული ობიექტების დღევანდელ ცხოვრებაში ჩართვის საშუალებას.

ზეგავლენა: მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების სწორად ჩართვა სასწავლო პროგრამებში არსები-

თია. თუმცა ტურიზმზე აქცენტის გაკეთება, ხშირად იწვევს ძეგლის თავდაპირველი ქსოვილის გაუმართლებელ რეკონსტრუქციას ან დანგრევას და არა-განახლებადი არქეოლოგიური მტკიცებულებების განადგურებას.

სოციალური ღირებულება:

ღირებულებები: მემკვიდრეობის ობიექტის სოციალური ღირებულება დაკავშირებულია ტრადიციულ სოციალურ საქმიანობებთან და თავსებად დღევანდელ გამოყენებასთან. სოციალური ღირებულება ასახავს ადგილობრივ თემში თანამედროვე სოციალურ ურთიერთქმედებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური და კულტურული თვითმყოფადობის ჩამოყალიბების პროცესში.

ზეგავლენა: სოციალურმა ღირებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივ გარემოზე ზრუნვა, რაც ასევე უზრუნველყოფს მემკვიდრეობის ობიექტის მოვლასა და შეკეთებას; სოციალური ერთობისა და პატივისცემის ნაკლებობამ კი შეიძლება შეაფერხოს კონსერვაცია.

პოლიტიკური ღირებულება:

ღირებულებები: პოლიტიკური ღირებულება ხშირად დაკავშირებულია მემკვიდრეობის ობიექტის ისტორიის ამა თუ იმ, რეგიონისა ან ქვეყნისათვის საყურადღებო მოვლენასთან. ეს მოვლენები განსაზღვრავენ ობიექტის დღევანდელ მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება თანამედროვე პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

ზეგავლენა: ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის პოლიტიკურ მნიშვნელობას შეუძლია დაგვეხმაროს ფონდების გაზრდასა და საზოგადოების ყურადღების მიმართვაში მისი დაცვისა და კონსერვაციისკენ. მეორე მხრივ, ცუდად გააზრებულმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი განვითარება და ავთენტურობის დაკარგვა.

ღირებულებების ზემოაღნიშნული დაჯგუფება ინდიკატორულია და შეიძლება შეჯერდეს მემკვიდრეობის ობიექტების ეროვნულ

და ადგილობრივ ღირებულებებთან. ეს ჯგუფები წარმოადგენს საარგებლო ჩარჩოს უფრო დეტალური შეფასების პროცესისათვის.

მრავალმა ამ ღირებულებათაგან, განსაკუთრებით თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურმა ღირებულებებმა, მემკვიდრეობის ობიექტზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს, გააჩნია ღირებულების ტიპს და იმას, თუ ზოგად შეფასებაში მას რა ადგილს მივუჩენთ. შესაბამისად, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება იმ ღირებულებების მკაფიო განსაზღვრას, რომლიც გამოც უნდა იქნეს შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ესა თუ ის მემკვიდრეობის ობიექტი. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარდგენისას, ძეგლის მახასიათებელ ღირებულებებსა და ავთენტურობის საკითხი მითითებულია ICOMOS-ის მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტისათვის მომზადებულ შეფასების დოკუმენტში. ეს უკანასკნელი მუდამ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერებისთვის.

თუკი ის ღირებულებები, რომელთაც განაპირობეს ღირსშესანიშნავი ადგილის ნუსხაში შეტანა, მეტადრე „განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება" შემცირებულია ან საფრთხე ემუქრება, მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილი შესაძლებელია შეტანილ იქნას საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკურ დახმარებას საჭირო ღონისძიებების გატარებისათვის.

თავი IV

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მართვა

4.1 შესავალი

➢ *დაგეგმვა, პროგრამებისა და ბიუჯეტის შედგენა უწყვეტი პროცესია, რომელიც რეგულარულ შემოწმებასა და განახლებას მოითხოვს.*

დაგეგმვის პროცესი უნდა იყოს მრავალდისციპლინარული საქმიანობა, რომელშიც ჩაბმული უნდა იყვნენ ექსპერტები ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვანებასთან დაკავშირებული საკითხების დასამუშავებლად. ეს ნიშნავს, რომ ღირსშესანიშნავი ადგილის ღირებულებები აღრიცხულ უნდა იქნას და დალაგდეს პრიორიტეტების მიხედვით.

დაგეგმვის პროცესში წინააღმდეგობები გადაწყვეტილ უნდა იქნას, პირველ რიგში, ყველა შესაძლო ალტერნატივის განხილვითა და ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვანებისათვის ყველაზე ნაკლებ საზიანო მეთოდის შერჩევით. ექსპერტებს შორის ღია დისკუსია ხელს უწყობს შემოქმედებით მიდგომას, რაც გაზრდის ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელობას, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ხანგრძლივი პროცესია.

➢ *თუკი დაგეგმვის პროცესი მეცნიერულად და ლოგიკურად წარიმართება, რეგულარული შემოწმება ხელს უწყობს შეცდომების გამოსწორებას და ღირსშესანიშნავი ადგილის მართვის კონცეფციის დახვეწას.*

პოსტულატები, რომელთაც ეფუძნება მართვის გეგმა, ნათლად

უნდა იქნას ჩამოყალიბებული. ამასთან, დროთა განმავლობაში თავდაპირველი პოსტულატები შეიძლება შეიცვალოს. ზოგი მათგანი კულტურული კონტექსტითაა ნაკარნახევი, ზოგიც მოდურ ან პოლიტიკურ ტენდენციებს ემყარება. ყველა პოსტულატი გაანალიზებულ უნდა იქნეს. გრძელვადიანი მართვის გეგმა (30 წლამდე) უნდა მოიცავდეს სამოქმედო გეგმებში და სხვა დოკუმენტაციაში ასახულ ყველა სახის ინფორმაციას. პარალელურად უნდა არსებობდეს მოკლევადიანი (საშუალოდ 5 წელი) და ყოველწლიური გეგმები.

4.2 მართვა

4.2.1 მართვის ძირითადი ამოცანები

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის კოორდინირებული და ინტეგრირებული დაგეგმვისა და მართვის ძირითადი ამოცანების განხორციელება ამა თუ იმ სახელმწიფომ სხვადასხვა გზით შეიძლება ისურვოს. გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

- იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო ერთზე მეტი მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის პატრონია, როგორი მართვის სისტემა უნდა იქნას შერჩეული – ყველასთვის ინდივიდუალური, თუ ერთიანი?
- თუკი მართვის სისტემა ერთიანია, მიექცევა თუ არა სათანადო ყურადღება თითოეულ ღირშესანიშნავ ადგილს?
- მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ისტორიული ქალაქები და სოფლები, ალბათ ინდივიდუალურად უნდა იმართებოდეს, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიასთან მიმართებაში უნდა იქნენ მოაზრებული და შესაძლებელია საჭიროებდნენ ბუფერული არეალების გაფართოებას.
- იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოში უკვე არსებობს მემკვიდრეობის კონსერვაციის ეროვნული საბჭო, უნდა დაევალოს თუ არა მას მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვა? ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია თუ არა სპეციფიკური მართვის ჯგუფების შექმნა?

არსებობს მრავალი გზა, თუ როგორ იქნეს წარმართული შედეგიანად მკვლევართა, პროფესიონალთა და ხელოსანთა ისტორიული, მხატვრული და ტექნიკური ცოდნა თუ ჩვევები, როგორ განაწილდეს მათ შორის პასუხისმგებლობა და მოვალეობები, რათა კულტურული მემკვიდრეობის რესურსები დაცულ იქნეს და მომდევნო თაობასაც დაუზიანებელი გადაეცეს. მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია კულტურული მემკვიდრეობის შესაბამის ორგანიზაციებს დაეხმაროს მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციის რთული ამოცანების შესრულებაში.

4.2.2 მონაცემები, რომელსაც ეყრდნობა მართვის გეგმა

მართვის ძირითადი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს არსებულ ეროვნულ და ადგილობრივ დაგეგმვის დოკუმენტებს, მონაცემებს მოსალოდნელი დემოგრაფიული ზრდის ან კლების შესახებ, ეკონომიკურ ფაქტორებს, სატრანსპორტო სქემებსა და ინდუსტრიულ ზონირებას. მართვის გეგმა ასევე უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი მრავალდისციპლინარული ჯგუფების დაკვირვებებსა და ანგარიშებს.

ერთ-ერთი ძირითადი ქმედება, რომელიც უნდა განხორციელდეს ღირსშესანიშნავი ადგილის ადეკვატური მართვის უზრუნველსაყოფად, არის მისი მდგომარეობის სისტემატურად აღრიცხვა და დოკუმენტირება ჩარევამდე, ჩარევის განმავლობაში და მის შემდეგ. ჩარევის შემთხვევაში ის, რაც მოშორებული ან შეცვლილია, თუკი სათანადოდ არ იქნა დოკუმენტირებული, სამუდამოდ დაკარგულია. **აღრიცხვა და დოკუმენტირება კონსერვაციის პროცესის თანმდევი მუდმივი საქმიანობაა.**

საზოგადოდ, ღირსშესანიშნავი ადგილის ისტორიული ფუნქცია სასურველია შენარჩუნებულ იქნას, რადგანაც ეს მისი მნიშვნელობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი გარემოებაა. თუმცა, დროთა განმავლობაში ცვლილებები გარდაუვალია, რადგანაც არაფერია მუდმივი. **დაგეგმვის ხელოვნება მდგომარეობს ცვლილებების იმგვარად წარმართვაში, რომ სტრატეგიულ წერტილებში მინიმალური ჩარევის მეშვეობით მოხდეს ღირსშესანიშნავი ადგილის**

მნიშვნელობის შეძლებისდაგვარად გავრცობა. ეს კი ორ კითხვას წამოჭრის:

- როგორ გამოვავლინოთ ჩარევის სტრატეგიული ნერტილები?
- რა არის მინიმალური ჩარევა?

ეს კითხვები დაგეგმვის ჯგუფმა უნდა განიხილოს. დამატებით, ძირითადი მართვის გეგმის შედგენისათვის მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სხვა ასპექტებიც, კერძოდ:

- ალტერნატიული გამოყენების გეგმების, მათი განხორციელების გზების, ღირებულებისა და ადეკვატურობის კვლევა;
- საჭიროების შემთხვევაში გამოყენების ზონების დადგენა;
- ისტორიულ ქალაქებსა და არეალებში, დანაკარგების შემავსებელი ახალი შენობების სიმაღლის, მასშტაბისა და მოცულობის კონტროლი;
- საკონსერვაციო არეალებისა და მის ფარგლებში სუბსიდირების მექანიზმების დადგენა, რომელიც ხელს შეუწყობს ურბანული ქსოვილის, ქუჩის მასშტაბის შენარჩუნებას და შესაბამის გაუმჯობესებას;
- ელექტროგადამცემი ხაზებისა და სხვა საინჟინრო მოწყობილობების, აბრების, ვიტრინებისა და რეკლამების კონტროლი;
- ზონების დადგენა ღირსშესანიშნავი ადგილის ყველა მომხმარებლისათვის მომგებიანი და ამავდროულად გარემოსთან თავსებადი ქმედებების განხორციელებისათვის და ამ ზონებში არათავსებადი ქმედებების აკრძალვა.

4.2.3 ინვენტარიზაცია და დოკუმენტაცია

➢ *აუცილებელია შენობების, მათი შემადგენლობისა და ასევე მათი ლანდშაფტის სრული ინვენტარიზაცია და დოკუმენტაცია.*

ინვენტარიზაცია უნდა გვაწვდიდეს ობიექტის მოკლე აღწერას, მისი ისტორიის მნიშვნელოვან თარიღებსა და ინფორმაციას მისი მდებარეობის შესახებ. ვინაიდან დღეს ინვენტარიზაციის მრავალი სხვადასხვა მეთოდი არსებობს, კონკრეტული ობიექტისათვის შერჩეულ უნდა იქნას ის მეთოდი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილ პროცედურებსა და ნორმებს.

ინვენტარიზაცია და დოკუმენტაცია ფასდაუდებელი ინსტრუმენტია იმგვარი უბედურების დროს, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა ან ქურდობა; უსაფრთხოების მიზნით, დოკუმენტაციის არანაკლებ ორი ასლი უნდა ინახებოდეს სხვადასხვა ადგილას (ერთი - ცეცხლგამძლე საცავში). ინვენტარიზაციისას, დაზღვევის მიზნით, მოძრავი ობიექტები კლასიფიცირებულ უნდა იქნეს შემდეგი პრინციპით:

- ობიექტები, რომელთა ჩანაცვლება შეუძლებელია;
- ობიექტები, რომელთა ჩანაცვლება შესაძლებელია;
- ობიექტები, რომელთა რეპროდუქცია შესაძლებელია.

ინვენტარიზაციის მონაცემები ასევე შეიძლება კატალოგიზებულ იქნას კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების კვალად შესაძლებელი გახდა პროგრამული უზრუნველყოფის და აღჭურვის გაცილებით იაფად მოპოვება. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ კომპიუტერი შეუცვლელი ინსტრუმენტი გახდა მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის რთულ საქმეში და რომ ის შეიძლება განვითარებადი ქვეყნებისთვისაც მისაწვდომი იყოს. თუმცა, კომპიუტერიზებული სისტემა პერსონალისაგან უფრო სწრაფსა და პოზიტიურ გამოხმაურებას მოითხოვს. მასალების მიზანმიმართულ შეგროვებასა და მის დამუშავებაში პერსონალის მოსამზადებლად კომპეტენტური კონსულტანტი უნდა იქნას მოწვეული.

აღსანიშნავია, რომ კომპიუტერი იმდენადაა კარგი, რამდენადაც მასში შენახული მონაცემები. მაგრამ, თუ საველე სამუშაოები კარგადაა ჩატარებული, კომპიუტერი მართვის შეუცვლელი ინსტრუ-

მენტი ხდება, რადგანაც იგი ძირითადი მონაცემების სხვადასხვანაირად დამუშავების საშუალებას იძლევა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მთელი პერსონალის მიერ ხდება ერთი და იმავე ინფორმაციის გამოყენება, რომელიც შეიძლება განახლებულ, შემოწმებულ და გავრცობილ იქნას ერთი ოპერაციის საშუალებით.

ასევე, ხაზგასმით გამოსაყოფია თავსებადობის მომენტი – ფორმა, რომელშიც მონაცემები ინახება, უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს მონაცემების მარტივ გავრცელებას და გადაცემას. ასევე საჭიროა მომხმარებლებისათვის კომპიუტერული სისტემის გამოყენების მარტივი სახელმძღვანელოს შემუშავება მშობლიურ ენაზე და მინიმალური მონაცემების მოთხოვნების დადგენა.

სამომავლო მოთხოვნების გათვალისწინებით, სასურველია მონაცემების მაქსიმალურად დეტალიზებული ფორმით შენახვა, რათა საინფორმაციო სისტემა საკმარისად მოქნილი იყოს შემდგომი ცვლილებებისათვის.

ღირსშესანიშნავი ადგილებისათვის, რომლებიც მოიცავენ დიდ ტერიტორიებს ან/და რთულ ურბანულ ელემენტებს, უმჯობესია გეო-საინფორმაციო სისტემების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაცემების ეფექტური მართვა.

- *ამასთანავე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პრიორიტეტს საფრთხეში მყოფი შენობების კონსერვაცია წარმოადგენს და არა სხვადასხვა აღჭურვილობის შეძენა.*

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვის, დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მართვის საკითხი ძირითადი ფაქტორია კონსერვაციის პროცესში. მის დაწყებამდე საჭიროა სამუშაო გეგმის შედგენა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ობიექტს და მის კონტექსტს, დოკუმენტაციის ამოცანებსა და მოცულობას, დოკუმენტაციის რეკომენდირებულ სიღრმეს, საჭირო ტექნოლოგიებს, დროის მონაკვეთს და ასევე პროექტის ორგანიზებისა და განხორციელების მოთხოვნებს.

- *მემკვიდრეობის ობიექტები სისტემატურად უნდა აღი-*

წერებოდეს ფოტოგრაფირებისა და სხვა შესაფერისი მეთოდების გამოყენებით.

სატელიტური ფოტოები, აეროფოტოგადაღება, საჰაერო და სახმელეთო ფოტოგრამეტრია წარმოადგენენ შეუფასებელ დახმარებას ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ღირსშესანიშნავი ადგილების რაოდენობრივი აღრიცხვისათვის. თუმცა, აღნუსხვისას გამოყენებული ტექნოლოგია დამოკიდებულია როგორც ობიექტის ტიპზე, ასევე მის მახასიათებლებზე და, ამასთანავე, აღნუსხვის მიზნებსა და გამოყენებაზე. სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგია, საჭიროებისამებრ, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ასევე კომბინირებულად. ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ხელით აზომვის, ფოტოგრაფირების, რექტიფიკაციის ან ვიდეოგადაღების მეთოდი, სხვა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტრონული თეოდოლიტი ან სტერეო-ფოტოგრამეტრია CAD ტექნოლოგიების ან გამოსახულების დამუშავების სხვა მეთოდების დახმარებით. აღნუსხვის რეკომენდირებული სიღრმე შესაძლებელია მოიცავდეს საწყის ფოტოგადაღებას, წინასწარულ, ან/და დეტალურ აზომვას, რომელიც შეიძლება იყოს ნაწილობრივი (სამოქმედოდ) ან სრული (სამომავლო მითითებისთვის).

4.2.4 ინფორმაციის მართვა

საჭირო ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც დროთა განმავლობაში გროვდება ღირსშესანიშნავი ადგილის შესახებ, მოითხოვს მემკვიდრეობის ინფორმაციის მართვის ნათელი პოლიტიკის შემუშავებას. ამგვარი პოლიტიკა ასევე საჭიროა პროცედურების სტანდარტიზაციისთვის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს თავსებადობას და გაცვლადობას, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების შემთხვევაში, ამ ფაქტორს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

- *მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზების უმეტესობა დღემდე ვითარდებოდა ერთმანეთისგან იზოლირებულად, ხშირად მომხმარებლების ფართო წრესთან კონსულტაციებისა და*

კავშირების გარეშე. აქედან გამომდინარე, საჭიროა უნიფიცირებისა და სტანდარტიზაციის პროცესის დაწყება, რათა უფრო ადვილი გახდეს საალრიცხვო დოკუმენტების მოპოვება და ინტერპრეტირება, გაადვილდეს მათი შემუშავება და ფართომასშტაბიანი გამოყენება ისე, რომ ამ პროცესში არ იქნეს დავიწყებული არსებითი საკითხები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურის შეგროვება დიდ დროს მოითხოვს და რიგ შემთხვევაში საჭიროებს სხვადასხვა ადგილას დაარქივებული დოკუმენტაციის ასლების დამზადებას ფოტოებისა და მიკროფიშების სახით. იდეალურ შემთხვევაში, უნდა მომზადდეს კატალოგი, სასურველია UNISIST სისტემაში, სათანადო ანოტაციებით, რათა კომპიუტერიზებული აღრიცხვის წყალობით ბევრად მისაწვდომი გახდეს ძირითადი ინფორმაცია. სამეცნიერო და სამართლებრივი დოკუმენტები დაარქივებულ უნდა იქნას ყველა იმ გადაწყვეტილებისა და ოქმების ასლებთან ერთად, რომლებიც წინ უძღოდა ძეგლისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებას.

ეს დოკუმენტები ყოველნაირად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მეცნიერების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის, თუმცა, ამავე დროს, უპირველესი საზრუნავი დოკუმენტების ჯეროვანი მართვა უნდა იყოს. მეტად არსებითია გაწაფული ბიბლიოთეკარებისა და არქივისტების, შესაფერისი სივრცისა და შენახვის პირობების არსებობა. შენახვამდე ყველა ნიმუში შემოწმებულ უნდა იქნას კონსერვაციის სპეციალისტის მიერ და საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი მკურნალობა.

- *დოკუმენტებისათვის პრიორიტეტულია ხანძარსაწინააღმდეგო ზომების გატარება. თუკი არსებობს რომელიმე ბუნებრივი კატასტროფის საშიშროება, რისკი უნდა შეფასდეს და შესაბამისი უსაფრთხოების ზომებიც უნდა იქნას მიღებული.*

- *მართვის ერთ-ერთი კომპონენტია **რეგულარული ყოველწლიური მიმოხილვის** მომზადება და არქივზე პასუხისმგებელი პირის მიერ ანგარიშის ჩაბარება; იგივე პიროვნე-*

*ბას შესაძლებელია ასევე მიენიჭოს **კატასტროფებზე რეაგირების სპეციალისტის (disaster response officer)** სტატუსი.*

კარგად ორგანიზებული მოვლა-პატრონობის გეგმის შემუშავებისათვის ექსპერტების, მაგ., ინჟინრებისა და ხელოვნებათმცოდნეების ნამუშევარი კოორდინირებულ და შეფასებულ უნდა იქნას მთავარი არქიტექტორის მიერ, რომელსაც უნდა გააჩნდეს საკმარისი მეცნიერული, ტექნიკური, მხატვრული და ისტორიულ-კულტურული ცოდნა სხვადასხვა ექსპერტების წვლილის შესაფასებლად. ექსპერტებმა თავისი იდეები და მოსაზრებები უნდა გამოთქვან ნათლად, ჟარგონული გამონათქვამებისაგან თავისუფალი ენით.

4.2.5 კვლევის დაგეგმვა

- რომელი საკითხები მოითხოვს კვლევას?
- როგორ უნდა იმართოს კვლევის პროცესი?

ამ მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა არ არის ადვილი. მსოფლიო მემკვიდრეობის ყოველი ღირსშესანიშნავი ადგილი შეიცავს მრავალ სხვადასხვა ელემენტს, რომელნიც ხშირად წმინდა აკადემიურ კვლევას იმსახურებენ. ამიტომ საჭიროა უნივერსიტეტებთან და სხვა, კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება. დღესდღეობით უნივერსიტეტები ხელს უწყობენ შემოქმედებით, ორიგინალურ სადისერტაციო კვლევებს. სტუდენტები, რომლებიც თავისი კვლევით აღრმავებენ ცოდნას კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ, მომავალში შესაძლოა გახდნენ ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიის მეტად ფასეული თანამშრომლები.

ამ ნაწილის თავში დასმული ორი მარტივი კითხვის საპასუხოდ, საჭიროა შეიქმნას **ღირსშესანიშნავი ადგილის კვლევის საკოორდინაციო კომიტეტი**, რომელიც დაექვემდებარება ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიას და დანერგავს გრძელვადიან პროგრამებს მკვლევართა ურთიერთმონაცვლე ჯგუფების, ან მოკლევადიან პროგრამებს ცალკეულ მკვლევართა მონაწილეო-

ბით. კომიტეტმა ასევე უნდა შეიმუშაოს მიზნები, სამუშაო გეგმა და გრაფიკი, გადაამოწმოს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიმდინარეობა და დაეხმაროს სამეურვეო კომისიას კვლევითი გრანტების გაცემისას და კონტრაქტების დადებისას.

4.2.6 ზოგადი სქემა

მართვის ძირითადი გეგმის შექმნა, შერჩევა და დამტკიცება შემდეგ მოსამზადებელ საფეხურებს მოიცავს:

- ✓ ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელობის დოკუმენტირება და აღიარება;
- ✓ მართვის გეგმის ამოცანის მკაფიოდ განსაზღვრა;
- ✓ შესაბამისი ექსპერტების დასაბუთებებისა და მოსაზრებების განხილვა; შემოწმება და ანგარიშის მომზადება;
- ✓ ქმედებების ალტერნატიული მიმართულებების, მათი მოსალოდნელი შედეგების შესწავლა და დოკუმენტირება.

ყოველივე ამის შემდგომ შესაძლებელია ყველაზე გამართული მართვის გეგმის შერჩევა და დასამტკიცებლად წარდგენა.

- ✓ მართვის გეგმა უნდა იწყებოდეს მართვის მიზნის დადგენით; ეს მთელი პერსონალისათვის მისაღები ტერმინოლოგიით უნდა იქნას გამოხატული;
- ✓ უნდა განისაზღვროს მოვლა-პატრონობის ის მინიმალური დონე, რომელიც შეესაბამება კულტურული ობიექტის მნიშვნელობას, მომხმარებლის საჭიროებებს და ადგილობრივ კლიმატურ პირობებს;
- ✓ უნდა მომზადდეს წევრი სახელმწიფოს დაგეგმვის ნორმატიული დოკუმენტების ზოგადი მიმოხილვა, რამდენადაც ისინი ეხება ღირშესანიშნავ ადგილს;
- ✓ მართვის, მოვლის, განვითარებისა თუ კვლევის ზოგად სქემებში ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას სხვა გეგმები და საკანონმდებლო დოკუმენტები, რომლებიც

გავლენას ახდენენ ღირშესანიშნავ ადგილზე;

- ✓ მართვის ძირითადი გეგმა უნდა ადგენდეს ღირსშესანიშნავი ადგილის მოვლისა და მისი ქმედითობისათვის აუცილებელი პერსონალის შემადგენლობას და მათ ამოცანებს, სხვადასხვა სიტუაციის, ხანგრძლივი, თუ მოკლევადიანი საქმიანობისა და ბიუჯეტის გარემოებათა გათვალისწინებით;
- ✓ კეთილმოწყობის საშუალებების განვითარების წინადადებები ჩართულ უნდა იქნას მართვის გეგმაში, ოღონდ ცალკე საბიუჯეტო მუხლად.

ცალკეული პროექტები შესაძლებელია დამტკიცდეს ეტაპების მიხედვით:

- ✓ კონცეფციის შეთანხმება;
- ✓ ადეკვატურობის შესწავლა და ალტერნატივების მიახლოებითი ღირებულების განსაზღვრა;
- ✓ პროექტის დასაბუთება და კონკრეტული თემების შეთანხმება;
- ✓ დეტალური დაგეგმვა და ბიუჯეტის შედგენა;
- ✓ ფისკალური შეთანხმება და დაგეგმვა;
- ✓ დაწყება და განხორციელება;
- ✓ პროექტის დოკუმენტირება.

➢ *კვლევა და შესწავლა დაგეგმვას და პროგრამის შედგენას საჭიროებს.*

საზოგადოდ, სასურველია ობიექტის შესწავლით დაინტერესებული დამოუკიდებელი ექსპერტების ან აკადემიური დაწესებულებების ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავება. უნდა მომზადდეს კონტრაქტის სანიმუშო ფორმები სტანდარტული მუხლებით საავტორო უფლებების, გამოქვეყნების, ინფორმაციის შენახვისა და სხვა წესების შესახებ, რათა სხვადასხვა საქმიანობა ერთგვარად იქნას წარმართული.

- *ყველა მკვლევარმა უნდა წარადგინოს სამუშაოთა მიმდინარეობის წლიური ანგარიში.*

სამუშაოთა მიმდინარეობის წლიური ანგარიში შედგება ორი ნაწილისაგან: ტექნიკური ნაწილი, რომელიც დეტალურად აღწერს შესრულებულ სამუშაოს, შედეგებს, დანახარჯებს, ა.შ. და პოპულარული ნაწილი, რომელიც გამიზნულია ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად და წარმოაჩენს საქმიანობას და მნიშვნელოვან აღმოჩენებს. ამგვარი ანგარიშები ღირებული ინსტრუმენტებია. პოპულარული ვერსია გამოსადეგია საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის და ფინანსების მოსაზიდად, ტექნიკური კი ძეგლის საარქივო დოკუმენტაციის ნაწილი ხდება.

4.2.7 ადმინისტრირება

- *ადმინისტრაციისა და მართვის ჯგუფის როლი მდგომარეობს მემკვიდრეობის ობიექტის კონსერვაციასა და საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაში ისე, რომ ეს არ აზიანებდეს ღირშესანიშნავ ადგილს.*

პასუხისმგებლობა დეცენტრალიზებულ უნდა იქნას. პერსონალის თითოეულ წევრს უნდა შეეძლოს ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება მართვის გეგმისა და მათი წინასწარ განსაზღვრული პასუხისმგებლობის ფარგლებში. ეს ზრდის სამუშაოს ეფექტურობას და პერსონალის მხრიდან სამუშაოთი კმაყოფილებას. სამუშაოთი კმაყოფილება განაპირობებს კვალიფიციური ექსპერტების დაინტერესებასა და მოზიდვას, რაც წარმატებული მუშაობის საუკეთესო გარანტიაა.

- *ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ჰქონდეს მთელი ადმინისტრაციული სისტემის მუშაობის კონტროლის ძირითადი პრინციპები.*

ადმინისტრაციული ამოცანები მარტივდება, როცა მთელი ტერიტორია ერთი მესაკუთრის მიერ იმართება. ზოგ შემთხვევაში, ყველაფრის ერთ საკუთრებაში მოქცევა ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიის ერთ-ერთი გრძელვადიანი ამოცანაა.

ამავე დროს, საკუთრების ცვლილებისას, მართვის გამარტივებასთან ერთად, გარდაუვალია სოციალური დანაკარგები, როგორიცაა ადგილობრივი თემის და გამოყენების ტიპების რღვევა. ასეთ შემთხვევებში მკაცრი ქალაქმშენებლობითი კონტროლი და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლება შეიძლება უფრო მომგებიანი იყოს.

4.2.8 ხარჯების კონტროლი და პოლიტიკა

კონსერვაციის პროექტების ღირებულების კონტროლი უაღრესად მნიშვნელოვანია. კონსერვაციის მკაფიო კონცეფციის და განხორციელების მკაცრი კონტროლის არარსებობის შემთხვევაში იფლანგება დიდი დრო და თანხები და ამავდროულად ზიანდება ძეგლებიც.

- *გამოცდილი ექსპერტებისაგან შემდგარი მრავალდისციპლინარული ჯგუფის მიერ შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრის შემდეგ, კონტროლის უფლება დელეგირებულ უნდა იქნას ერთ კომპეტენტურ პიროვნებაზე.*

ცალკეული შენობის კონსერვაციის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მის დეტალურ შემოწმებასა და კვლევას. კონსერვაციის პოლიტიკა არ შეიძლება განსაზღვრულ იქნას ერთი პიროვნების მიერ, რადგანაც პასუხისმგებლობა ძალიან დიდია. ერთი პიროვნება, ორკესტრის დირიჟორივით, შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მხოლოდ მის განხორციელებაზე.

4.2.9 სამართლებრივი ინსტრუმენტები

სამართლებრივი ინსტრუმენტები და წესები უნდა შემუშავდეს წევრი სახელმწიფოს სოციალური და შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის:

- მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის სტატუსის მინიჭებისა და სამეურვეო კომისიის შედგენის აქტი;

- სამეურვეო კომისიის წესდება და დაფინანსების წესი. ვინაიდან სამეურვეო კომისია სახელმწიფო ხელისუფლებასთან მეტად დაახლოებული უნდა იყოს, იდეალურ შემთხვევაში იგი უნდა დაფინანსდეს ხუთწლიანი (ინფლაციისგან დაცული) სახელმწიფო გრანტების სახით, რაც საშუალებას მისცემს მას შეიმუშაოს შორს გამიზნული გეგმები და მინიმუმამდე შეამციროს ცუდად გათვლილი ქმედებები;
- საშტატო განრიგი და დასაქმების პირობები;
- მინდობილობა სამეურვეო კომისიაზე მისი კომპეტენციის ფარგლებში ხელშეკრულებების გაფორმებისათვის.

4.2.10 პროგრამების შედგენა

პროგრამების შედგენა დამოკიდებულია ხელმისაწვდომ საშტატო მონაცემებზე და ბიუჯეტზე. ობიექტების პრობლემები წინასწარ უნდა იქნას შესწავლილი და ამის შემდეგ უნდა შემუშავდეს პრიორიტეტები გადაუდებელი საჭიროების მიხედვით:

- **გადაუდებელი** პრობლემები პოტენციურ საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას ან წარმოადგენენ ხიფათს ობიექტისათვის და ამიტომაც პირველ რიგში უნდა იყოს მოგვარებული. ფისკალურ გეგმაში უნდა არსებობდეს რეზერვები გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის გადაუდებელი პრობლემების წამოჭრის შემთხვევებში. რასაკვირველია, ეს არ შეეხება ბუნებრივ კატასტროფებს, რადგანაც პრობლემის მასშტაბი ძალიან დიდია, მაგრამ ტიპიური გადაუდებელი ამოცანები, როგორიცაა ძლიერი ქარის შემდეგ შენობის შეკეთება ან საპარკო ხელოვნების ძეგლის ბილიკების გასუფთავება შესაძლებელია ამ გზით მოგვარდეს.
- **სასწრაფო** პრობლემები, შესაბამისი რეაგირების გარეშე, ქმნიან ძეგლის შემდგომი დაზიანების საფრთხეს და მოგვარებულ უნდა იქნენ პირველი რიგის გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ. გადაუდებელია, მაგალითად, სოკოს გაჩენასა და ტერმიტების შემოსევაზე რეაგირება, ლპობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნე-

ლოვანია წვიმის წყლის გადამყვანი სისტემის გამართული ფუნქციონირება;

- **აუცილებელი** პრობლემები წარმოადგენს უპირატეს ოდენობას იმ სამუშაოებისა, რომელიც საჭიროა ობიექტის მოვლისა და შენარჩუნებისათვის ხუთწლიანი (ან სხვა ხანგრძლივობის) საბიუჯეტო პერიოდის მანძილზე;
- **სასურველი** ღონისძიებები წარმოადგენენ ძეგლის განვითარების ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს;
- **სამეთვალყურეო** საკითხები მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს, რათა გაირკვეს სერიოზულია ისინი, თუ არა. მათ შორისაა შენობათა საძირკვლების ვიბრაციის ან გაყვანილობის ფუნქციონირების დაკვირვება;
- **სამომავლო** საკითხები, როგორიცაა გამხმარი ნარგავების შეცვლა, ბაღის განახლება ან სახურავის გამოცვლა, ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული.

ყველა გათვალისწინებადი ფაქტორის ეფექტური დაგეგმვა და ურთიერთშეთანხმება ევალება სამეურვეო კომისიას, რომელიც მოქმედებს დირექტორის მიერ წარდგენილი წინადადებების თანახმად. ამის შემდგომ განისაზღვრება და შესრულებისათვის დამუშავდება ცალკეული პროექტები.

4.3 პროგრამების შემოწმება და სამომავლო დაგეგმვა

როგორც წესი, თითოეულ ნევრ სახელმწიფოს აქვს შიდა საკომუნიკაციო ქსელი, რის მიხედვითაც ხდება დოკუმენტაციის ბრუნვა პასუხისმგებელ სამინისტროს, ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიის სათაო, რეგიონალურ და ადგილობრივ ოფისებსა და ღირსშესანიშნავი ადგილის მეთვალყურე პერსონალს შორის. სასურველია კავშირის და კოორდინაციის არსებობა ნევრი სახელმწიფოს პროფესიონალებს, ღირსშესანიშნავი ადგილის პერსონალსა და საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაციას შორის. მნიშვნელოვანია, რომ ნევრი სახელმწიფოს წამყვანი პროფესიონალები ჩართულ იქნენ ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიაში, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ექვემდებარებო-

დეს ერთ, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელ სამინისტროს. ამასთან, აუცილებელია სხვა შესაბამისი სამინისტროების ინფორმირება.

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი ანარმოებს მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მდგომარეობის სისტემატურ მონიტორინგს და ანგარიშგებას მისი კონსერვაციის მდგომარეობის პერიოდული ანგარიშების საშუალებით. თუ ადგილზე მონიტორინგი წევრი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, არსებობს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტსა და ღირშესანიშნავ ადგილზე პასუხისმგებელ ორგანოს შორის მუდმივი ორმხრივი ურთიერთობის საჭიროებაც, რაც გულისხმობს ანგარიშების მომზადებას:

- მისი სტატუსისა და არსებული მდგომარეობის შესახებ;
- დაგეგმვისა და სამოქმედო დოკუმენტების შესახებ;
- დაფინანსებასა და ტექნიკურ დახმარებაზე მოთხოვნების შესახებ; და
- არსებული ან მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

4.4 ბიუჯეტის შედგენა

ბიუჯეტის შედგენა მოითხოვს ცოდნასა და გამოცდილებას. ცალკეული ქვეყნების მიხედვით სამუშაო პირობები, ისევე როგორც სახელფასო განაკვეთი, ცვალებადია, მაგრამ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია ძლიერ შრომატევადია და მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და თავდადებას. ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიის დაარსებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში ძნელია ბიუჯეტის ზუსტად შედგენა. ამიტომაც სახელმწიფომ უნდა ითავოს კომისიის დაარსების და მისი საქმიანობის დაწყების ხარჯების უზრუნველყოფა. ეფექტური საქმიანობისთვის კომისიას უნდა შეეძლოს ხუთწლიანი გეგმის გულდამშვიდებით შემუშავება და წლის განმავლობაში გაუხარჯავი თანხების შენარჩუნება შემდეგი წლისათვის, რადგანაც კვლევისა და განვითარების პროექტები, ჩვეულებრივ, დაგეგმილზე უფრო ნელა ხორციელდება. ფისკალური უზრუნველყოფა არსებითია კვალიფიციური მუშახელის სრულად ამოქმედებისათვის.

4.4.1 წლიური ბიუჯეტი

წლიური ბიუჯეტი უნდა შემუშავდეს უფრო გრძელვადიანი ფინანსური გეგმის ფარგლებში. ბიუჯეტი ამოცანების მიხედვით უნდა დაიყოს რამდენიმე ნაწილად. ასეთი რთული ოპერაციების სამართავად და ბიუჯეტის განხორციელების მონიტორინგის მიზნით კვარტალური, თვიური და შერჩევითი რევიზია და ეფექტური საბუღალტრო სისტემაა საჭირო. ღირს ასევე თანამედროვე საანგარიშო მოწყობილობების და კვალიფიციური პერსონალის მოშველიებაც. ბუღალტერი დირექტორის წინაშეა ანგარიშვალდებული. წლიური ბალანსი შემოწმებულ უნდა იქნეს დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ, რომლებიც, დირექტორის ხელით, ანგარიშს წარუდგენენ სამეურვეო კომისიას. ცალკეული დეპარტამენტების ხელმძღვანელები განკარგავენ ფინანსებს დირექტორისაგან დელეგირებული უფლებების ფარგლებში და პასუხს აგებენ მათ სწორ ხარჯვაზე. თუკი ბიუჯეტის რომელიმე მუხლი მოსალოდნელია გასცდეს წინასწარ დაგეგმილს, თანხმობა მანამდე უნდა იქნას მიღებული, ვიდრე მოხდება თანხის დახარჯვა ან მის თაობაზე ვალდებულების აღება. გეგმების, პროგრამებისა და ბიუჯეტის შედგენა მუდმივი პროცესია, რომელიც რეგულარულად, დათქმულ ვადებში შემოწმებასა და განახლებას საჭიროებს.

4.5 UNESCO-ს როლი

UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი ასრულებს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სამდივნოს ფუნქციებს. კომიტეტი განკარგავს მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის სახსრებს და უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების ფინანსურ დახმარებას სხვადასხვა მიზნების მისაღწევად. ეს დახმარება შეიძლება გამოიხატოს სწავლებაში, ტექნიკური მისიების მივლინებაში ან აღჭურვაში. დახმარების მოთხოვნის პროცედურები განსაზღვრულია კომიტეტის მიერ და შესაბამისი წესითაა გამოქვეყნებული. ტექნიკური დახმარების ან მკურნალობისათვის ფინანსები გამოიყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ღირსშესანიშნავი ადგილის მართვის ოფიციალურად შეთანხმებული გეგმა და სახელმწიფო რეგულარულად წარუდგენს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს მისი მდგომარეობის პერიოდულ ანგარიშებს.

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციით აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციებია:

- კულტურული მემკვიდრეობის სწავლის, დაცვისა და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრი (ICCROM);
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო (ICOMOS);
- ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (IUCN).

UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან ერთად, აღნიშნული ორგანიზაციები თანამშრომლობენ წევრ სახელმწიფოებთან მათი ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი ყოველ ხუთ წელიწადში შეიმუშავებს კონვენციის შესრულების სამოქმედო პრინციპების განახლებულ ვერსიას, რათა სათანადოდ გათვალისწინებულ იქნეს მართვისა და მოქმედების თანამედროვე მოთხოვნები.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხია მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოსა და ზემოაღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისათვის სათანადო საფუძვლის მომზადება. ეს პროცესი მოიცავს მართვის, ანგარიშების წარმოების საკითხების განსახილველად სამუშაო შეხვედრების ციკლს, ადგილობრივ სწავლებას, რეგიონულ და საერთაშორისო სასწავლო კურსებში და სემინარებში მონაწილეობას, როგორიცაა, მაგალითად, რომში ICCROM-ის მიერ გამართული სასწავლო კურსები.

4.6 მართვის კონტროლის კრიტერიუმები

- გაქვთ თუ არა მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის მოვლის სტრატეგიული მართვის გეგმა და ხდება თუ არა მისი პერიოდული განახლება?

- არის თუ არა გრძელვადიანი, შუალედური და მოკლევადიანი ამოცანები მკაფიოდ განსაზღვრული?
- არის თუ არა მართვის გეგმაში ღირებულებები, პრიორიტეტები და ყველაზე ნაკლებ საზიანო ქმედებები სათანადოდ გათვალისწინებული?
- მოხდა თუ არა ობიექტის სრული ინვენტარიზაცია, აზომვა და დოკუმენტაციის შედგენა?
- არის თუ არა ხელმისაწვდომი ღირშესანიშნავ ადგილთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია?
- არსებობს თუ არა აღნიშნული დოკუმენტაციის უსაფრთხო ადგილას დაცული ასლები?
- არსებობს თუ არა სათანადოდ შემოწმებული ხანძარსაწინააღმდეგო გეგმა?
- არსებობს თუ არა კატასტროფების არიდების რეგიონული გეგმა?
- არის თუ არა პერსონალის შემადგენლობაში გათვალისწინებული კატასტროფების საპასუხო ღონისძიებებზე პასუხისმგებელი პირი?
- დამყარებულია თუ არა კონტაქტები სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის ინსტიტუტებთან და უნივერსტეტებთან?
- ასახავს თუ არა არსებული სამართლებრივი და ნორმატიული დოკუმენტები კონსერვაციის სფეროში თანამედროვე ტექნიკურ და თეორიულ ცოდნას?
- ეფექტურია თუ არა მათი გამოყენება? თუ არა, რატომ?
- არის თუ არა მართვის ინფრასტრუქტურა მისი ამოცანების ადეკვატური და ეფექტური?
- დამყარებულია თუ არა კონტაქტები მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან?

თავი V

ღირსშესანიშნავი ადგილის მართვა რესურს-პროექტების მეშვეობით

5.1 მართვის გეგმის მომზადება

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის მართვის გეგმის მომზადება გულისხმობს მისი ყველა რესურსის გათვალისწინებას. რესურსი წარმოადგენს ღირსშესანიშნავი ადგილის იდენტიფიცირებად ნაწილს. ზოგიერთ ღირშესანიშნავ ადგილს მხოლოდ ერთი რესურსი გააჩნია, ასეთია, მაგალითად, პრიმიტიული კლდეზე კვეთილობები, ზოგიერთებს კი - მრავალი; დიდი შენობის რესურსები შეიძლება იყოს მისი სამშენებლო ქსოვილი, მოხატულობა, კვეთილობა, მინა, ავეჯი, ქსოვილები, ა.შ.

5.1.1 პროცედურა

მართვის გეგმის მომზადება მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- ღირსშესანიშნავი ადგილის საწყისი კვლევა
- ღირსშესანიშნავი ადგილის აღწერა და მისი საზღვრების დადგენა
- ღირსშესანიშნავი ადგილის რესურსების იდენტიფიკაცია
- რესურსების შეფასება
- ამოცანების ჩამოყალიბება და შემაფერხებელი ფაქტორების გათვალისწინება
- პროექტების ჩამოყალიბება

- სამუშაო პროგრამისა და წლიური გეგმების შემუშავება
- სამუშაოების შესრულება
- ფიქსაცია, ანგარიშის მომზადება და შედეგების შემოწმება
- ინფორმაციის და მონაცემების შენახვა
- ღირსშესანიშნავი ადგილის აღწერის გადამოწმება და ხელახალი შეფასება
- განახლებული ამოცანების ჩამოყალიბება და შემაფერხებელი ფაქტორების გათვალისწინება
- შემდგომი პროექტების ჩამოყალიბება
- განახლებული სამუშაო პროგრამისა და შემდეგი წლის გეგმის შემუშავება

5.1.2 მოთხოვნები

ღირსშესანიშნავი ადგილის მართვის უპირველესი მოთხოვნაა მისი კულტურული რესურსების დაცვა და კონსერვაცია და, შეძლებისდაგვარად, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მახასიათებლების გამოკვეთა. თუკი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, ღირსშესანიშნავი ადგილი შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალი სხვადასხვა მიზნით, მაგალითად შემეცნებითი, კვლევითი, ტურისტული დანიშნულებით. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის მთლიანობა დაცულ უნდა იქნას.

ღირსშესანიშნავი ადგილის ცალკეული რესურსების მართვის დეტალური გეგმები არ უნდა იყოს გრძელი და ჩახლართული. თუკი მთავარი მიზნები განსაზღვრულია და არსებობს კვალიფიციური პერსონალი, რესურსების მართვა შესაძლებელია მუდმივ ზრუნვასა და მოვლას დაეფუძნოს. ყოველ 3-5 წელში უნდა მოხდეს სისტემის სრული შემოწმება, ამავდროულად, სისტემას უნდა შეეძლოს ცვლილებების შესწორების ათვისება, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესრულებული სამუშაოს შედეგების ან მოულოდნელი ცვლილებების მიხედვით რეაგირება და მათი ინტეგრირება მიმდინარე მართვის პროგრამაში.

5.1.3 მომზადებისა და კონსულტაციის პროცედურები

მართვის გეგმის მომზადების პროცესი გულისხმობს სამუშაო გუნდის მონდომებას. ყველაზე მარტივი მართვის გეგმაც კი საკმაოდ რთული და მრავალმხრივია მომზადებისა და განხორციელების თვალსაზრისით და საჭიროებს სხვადასხვა ხელობათა ჩართვას, როგორიცაა არქიტექტორები, არქეოლოგები, ისტორიკოსები, ინჟინრები და ურბანისტები. მრავალდისციპლინარულ გუნდურ მიდგომას გააჩნია პოტენციური უპირატესობა მკაფიო ამოცანების განსაზღვრისა და სხვადასხვა სიძნელეების თავიდან აცილების მხრივ, რომლებიც წამოიჭრება, როდესაც რესურსის მართვის პასუხისმგებლობა ერთ პირს აკისრია. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ამოცანების დასახვისას, რომელთა შესრულებაც, ჩვეულებრივ, სცილდება გუნდის ცალკეული წევრის მუშაობის პერიოდს. როგორიც უნდა იყოს გუნდის შემადგენლობა, უმეტეს შემთხვევებში მართვის გეგმის მომზადების თაოსნობა ერთ ან ორ პირს, უფრო ხშირად არქიტექტორს ან არქეოლოგს და ადმინისტრატორს ეკუთვნის ხოლმე.

მართვის გეგმის მომზადება ასევე მოითხოვს გარეშე პირებთან კონსულტაციას და მსგავსი რესურსების მართვის გეგმის ამოცანათა გათვალისწინებას. ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს:

- **კვლევასა და ინფორმაციაზე ორიენტირებული წყაროები,** როგორიცაა ადგილობრივი ან ეროვნული არქივები, უნივერსიტეტები, ქალაქმშენებლობითი ანგარიშები და მოხალისეთა საგანგებოდ დაინტერესებული ჯგუფები;

- **მართვაზე ორიენტირებული საინფორმაციო წყაროები,** როგორიცაა მესაკუთრეები, მდგმურები, მეზობლები და სხვა დაკავშირებული პირები.

მესაკუთრეებთან, მდგმურებთან და მეზობლებთან კონსულტაცია გულისხმობს იმ პოტენციური საფრთხეების განხილვას, რომელიც გამოვლენილი იყო ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარდგენის მომენტში.

როცა მართვის გეგმის პროექტი მზადაა, იგი დაწვრილებით უნდა

იქნეს განხილული ეროვნულ დონეზე ცენტრალური სამთავრობო უწყების მიერ. ამგვარი განხილვა იძლევა მართვის გეგმის ამოცანების დაწვრილებით განსჯის, სხვა ღირშესანიშნავ ადგილებთან მიმართებაში შედარებითი ანალიზის და სამუშაო პროგრამის ფინანსური მხარის შეფასების საშუალებას. დამტკიცებული მართვის გეგმების სრული პაკეტი და მათი შესრულების წლიური ანგარიშები უნდა ინახებოდეს ცენტრალურ სამთავრობო უწყებაში. რეგიონებისთვის შეიძლება პრაქტიკული იყოს, რომ ეს დოკუმენტაცია მათაც მიეწოდოს.

მომზადების პროცესის სირთულის, საჭირო კონსულტაციების ფართო სპექტრის, პერსონალის დროის მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნების გამო რესურსის მართვის გეგმის მომზადება სავარაუდოდ მოიცავს სამი თვიდან (შედარებით მარტივ შემთხვევებში) ორ წლამდე (უფრო კომპლექსური ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ისტორიული ქალაქების შემთხვევაში). ზევითაც ითქვა, რომ ღირსშესანიშნავი ადგილის მართვა ნაწილობრივი გეგმების საფუძველზეც შეიძლება.

5.2 ანგარიშების მომზადება

5.2.1 მოკლევადიანი ანგარიშების მომზადება და შემოწმება

მართვის ეფექტურობა დამოკიდებულია რეგულარული, სულ ერთია, ყოველთვიური, კვარტალური თუ წლიური ანგარიშების წარმოებაზე. მართვის გეგმა განსაზღვრავს პროექტების წლიურ პროგრამას, მათთან დაკავშირებულ ხარჯებს, გრაფიკებს, ა.შ.

აღნიშნული პროექტებისათვის ორი სახის ანგარიში არსებობს:

- ცალკეული პროექტის მიმდინარეობის თვიური ან კვარტალური შეფასება, რომელიც იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, რაც შეიძლება ადრე, პრიორიტეტების და ვადების ცვლილების საშუალებას;
- ცალკეული პროექტების (ან პროექტთა ჯგუფის) მიმდინარეობის წლიური შემაჯამებელი ანგარიში, მასთან დაკავ-

ანგარიში უნდა მოიცავდეს წლიური პროგრამით გათვალისწინებულ ყველა პროექტს. ზოგჯერ სასურველია პროექტების კლასიფიკაცია მათი მასშტაბის, სამუშაოს ტიპისა და ხანგრძლიობის მიხედვით.

რადგანაც წლიური გეგმები ხშირად იკვეცება და მათი შესრულება ყოვნდება, საჭიროა მათი შემაჯამებელი **პროექტების მიმდინარეობის წლიური ანგარიშის** მომზადება. აღნიშნული ანგარიში თავს უყრის თვიურ და კვარტალურ ანგარიშებში მოცემულ ინფორმაციას და ქმნის საერთო მართვის გეგმაში მოცემული პროექტების შედარებითი ანალიზის და, ასევე გამოვლენილი პრობლემების საფუძველზე, შემდგომი სამუშაო გეგმის მოდიფიკაციის შესაძლებლობას.

5.2.2 გრძელვადიანი ანგარიშების მომზადება და შემოწმება

მართვის გეგმები შემუშავებულ უნდა იქნას მინიმუმ ხუთწლიანი პერიოდით, რომლის ამოწურვის შემდეგაც უნდა მომზადდეს დეტალური მიმოხილვა. ამ დროს უნდა შეჯამდეს პროექტების მიმდინარეობის წლიური ანგარიშები და ჩართულ იქნას ახალ მართვის გეგმაში. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს წინამორბედი გეგმების შესრულების შესახებ ინფორმაციის გადაცემას, გვიჩვენებს საქმის განგრძობის გზას, პერსონალის ცვლილებებს და თავს უყრის ცოდნას ღირსშესანიშნავი ადგილის შესახებ.

5.2.3 მართვის გეგმის ფორმატი

სტანდარტული ფორმატის შემუშავება არსებითია უნიფიცირებული დაგეგმვის სისტემის წარმატებული მუშაობისათვის. იგი ქმნის ერთგვარ ჩარჩოს მყარი ინტერპრეტაციისათვის და რესურსების ფართო სპექტრის შესახებ ინფორმაციის ურთიერთკავშირისათვის. ასევე გადამწყვეტია ცალკეული ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის ღონისძიებების სტანდარტიზაცია მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების ერთიანი მართვი-

სა და მონიტორინგის სისტემის დაგეგმვისათვის. სტანდარტული ფორმატის კიდევ ერთი დადებითი თვისებაა საჭიროების მიხედვით სტატისტიკური და სხვა ტიპის ინფორმაციის შედარებით მარტივი მოძიება. შემოთავაზებული ფორმატი სამნაწილიანია: (1) ღირსშესანიშნავი ადგილის აღწერა, (2) შეფასება და ამოცანების ჩამოყალიბება, (3) მითითებები და რეკომენდაციები, ღირსშესანიშნავი ადგილის სტატუსისა და კონტექსტის შემაჯამებელ სავალდებულო წინათქმასთან ერთად. ქვემოთ შემოთავაზებული ფორმატი რეკომენდირებულია, როგორც სამუშაო ვარიანტი.

წლიური მართვის გეგმა
(რესურსის სახელწოდება, ღირსშესანიშნავი ადგილის სახელწოდება, პროექტის დასახელება, პერიოდი)

წინათქმა

- ღირსშესანიშნავი ადგილის სტატუსი და კონტექსტი

ნაწილი I: ღირსშესანიშნავი ადგილის აღწერა

1.1 ზოგადი ინფორმაცია
- მდებარეობა, ზოგადი აღწერა, საკუთრების ფორმა
- რუკები, სქემები, ფოტოები

1.2 კულტურული ინფორმაცია
- ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ისტორიული, სახელოვნებათმცოდნეო, არქიტექტურული, ტექნოლოგიური, საბუნებისმეტყველო

1.3 ინფორმაცია გარემოს შესახებ
- ჰავა, ჰიდროლოგია, გეოლოგია, გეომორფოლოგია, სეისმოლოგია, ნიადაგები, ადამიანის მიერ შექმნილი საშიშროებები

1.4 ინტერესები
- მიწათსარგებლობისა და რესურსის გამოყენების ისტორია
- საზოგადოებრივი და კერძო ინტერესები, საკუთრების ფორმა

1.5 • ეკონომიკური ინტერესები, ტურიზმის ჩათვლით I ნაწილის დანართი
• წყაროები
• შეტანილი ცვლილებების ჩამონათვალი

ნაწილი II: შეფასება და ამოცანების ჩამოყალიბება

2.1 ღირსშესანიშნავი ადგილის კონსერვაციის სტატუსი
• მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი, ისტორიული სტატუსი
• პოტენციურად საშიში საქმიანობისა და საფრთხეების იდენტიფიკაცია
• რესურსებისა და მათი საზღვრების განსაზღვრა

2.2 ღირსშესანიშნავი ადგილის მახასიათებლებისა და პოტენციალის შეფასება
• თავდაპირველ ისტორიულ მასალასთან და არქეოლოგიურ პოტენციალთან დაკავშირებული კულტურული ღირებულებები (მასალის, ხელობის, მხატვრული გადაწყვეტისა და გარემოს ავთენტურობა)
• ძეგლთან ასოცირებული კულტურული ღირებულებები (უნივერსალური მნიშვნელობა, მემორიალური, ლეგენდარული ან გრძნობისმიერი ღირებულებები, შედარებითი მხატვრული ღირებულება, უნიკალურობა)
• თანამედროვე ეკონომიკური ღირებულებები და ფუნქციური ღირებულება

2.3 მნიშვნელოვანი მახასიათებლების იდენტიფიკაცია და დაზუსტება
• მართვის ამოცანები
• მართვაზე გავლენის მქონე ფაქტორები
• სამოქმედო ამოცანები და მართვის ვარიანტები
• კონსერვაციის მართვის ვარიანტები
• ფუნქციის მართვის ვარიანტები

- შესწავლისა და კვლევის ვარიანტები
- შემეცნებითი და ინტერპრეტაციის ვარიანტები

2.4 II ნაწილის დანართი
- წყაროები
- შეტანილი ცვლილებების ჩამონათვალი

ნაწილი III: მითითებები ღირსშესანიშნავი ადგილის ზოგადი მართვისათვის

3.1 პროექტები
- პროექტის იდენტიფიკაცია, სათაური, კლასიფიკაცია
- პროექტის რეგისტრაცია
- პროექტის აღწერა

3.2 სამუშაო განრიგი
- წლიური სამუშაო გეგმა
- წლიური სამუშაო გეგმის კავშირი შუალედურ და გრძელვადიან გეგმებთან

3.3 ხარჯები და სამუშაოს ეტაპები

3.4 III ნაწილის დანართი
- წყაროები
- შეტანილი ცვლილებების ჩამონათვალი

ბიბლიოგრაფია
- რჩეული ბიბლიოგრაფია და გამოუქვეყნებელი მასალების ჩამონათვალი
- ძირითადი ბიბლიოგრაფია
- ცვლილებები ბიბლიოგრაფიაში

5.2.4 კომენტარები ფორმატის შესახებ

ზემოაღნიშნული ფორმატი ასახავს ღირსშესანიშნავი ადგილის მართვის გეგმის შემუშავების ლოგიკურ თანმიმდევრობას იდეალურ შემთხვევაში. მართვის გადაუდებელი საჭიროებებისათვის შესაძლებელია III ნაწილი – მართვის გეგმის მითითებები და რეკომენდაციები, დაიწეროს პირველად, მაგრამ, ამასთან, იგი არ უნდა უსწრებდეს წინ ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელოვანი მახასიათებლების საწყის შეფასებასა და სამოქმედო ამოცანების ჩამოყალიბებას. რადგანაც იგი მონიშნავს მთელს ჩასატარებელ სამუშაოს, III ნაწილი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სამუშაოების განგრძობითი პროგრამა.

მართვის გეგმა წარმოდგენილი უნდა იქნას, როგორც სამუშაო დოკუმენტი და არა როგორც წიგნის სახით გამოცემული პუბლიკაცია. აუკინძავი, ასხმული ფურცლების ფორმატი გვაძლევს რომელიმე ერთ, ან ერთდროულად რამდენიმე სექციაში ესკიზებისა და შესწორებების ჩამატების საშუალებას. იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება რომელიმე ნაწილის დასრულება (მაგ., არ მოიპოვება ინფორმაცია გარემოს შესახებ 1.3 სექციისათვის), ან თუკი არ ჩატარებულა ღირსშესანიშნავი ადგილის პოტენციალის შეფასება, წარმოდგენილ უნდა იქნას მოკლე, დათარიღებული განცხადება. შემდგომი, ხელახალი შეფასებები ანდა დასრულებული ნაწილები შესაძლებელია დაემატოს მოგვიანებით. როცა მართვის გეგმის რომელიმე ნაწილის შეცვლის საჭიროება არ არსებობს, იგი შესაძლებელია ჩართულ იქნას მომდევნო გეგმაში შესაბამისი მითითებებითა და შენიშვნებით.

5.2.5 მართვის გეგმის პრეზენტაცია

პრეზენტაციის შემდეგი მეთოდებია რეკომენდირებული:

- დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნას აუკინძავ საქაღალდეში;
- სასურველია, გამოყენებულ იქნას ზემოთ წარმოდგენილი რიგითობის სისტემა. თუკი რომელიმე ნაწილი ან ქვეთავი

არ არის შევსებული, მისი ნომერი არ უნდა იქნას გამოყენებული სხვა მიზნით;

- დანართები და რუკები უნდა დაემატოს შესაბამისი ნაწილის შემდეგ და არა ცალკე ნაწილად ანდა დოკუმენტის ბოლოში;
- ყოველი თავი უნდა იწყებოდეს ახალ გვერდზე;
- ყოველი გვერდის ზედა კუთხეზე მითითებული უნდა იყოს თავის სრული ნომერი, რათა აცილებულ იქნას გვერდების დანომვრა, რაც გაართულებდა დოკუმენტის შემდგომ შესწორებას;
- ყოველ ნაწილში მითითებულ უნდა იქნას როდის იქნა იგი შემუშავებული ან შეცვლილი. ეს ინფორმაცია ასევე უნდა აისახოს შესაბამისი ნაწილის ცვლილებების ნუსხაში, რათა გაადვილდეს ცვლილებების იდენტიფიკაცია და დათარიღება;
- ყოველი პროექტი უნდა იქნას დანომრილი;
- წყაროები მითითებულ უნდა იქნას ყოველი ნაწილის ბოლოს და ასევე ბიბლიოგრაფიაში.

თავი VI

მოვლის პროგრამა

6.1 შესავალი

მოვლა ითვალისწინებს კულტურული ობიექტის გალამაზებისათვის ბუნებრივი ძალების გამოყენებას, თუმცა ზედმეტ მოვლას ასევე შეუძლია მისი სილამაზე გაანადგუროს. მოვლის დაგეგმვა ერთგვარი ხელოვნებაა, რომელიც მოითხოვს კულტურულ და ეკოლოგიურ მგრძნობიარობას. კლიმატი და დაზიანების გამომწვევი სხვა მიზეზები, მომხმარებელთა საჭიროებებთან ერთად, განაპირობებენ მოვლის ინტენსიობას. მოვლის პროგრამები და სტრატეგიები ასევე უნდა ითვალისწინებდნენ თითოეული კულტურის სპეციფიკას და არსებული ბუნებრივი მახასიათებლების ბალანსს.

- *მოვლის პროგრამა მიმართულია კულტურული ობიექტების შენახვისაკენ ისე, რომ მათი არც ერთი ნაწილი არ დაიკარგოს. იგი მიმართავს ყველა პრაქტიკულსა და ტექნიკურ ზომას, რათა ღირსშესანიშნავი ადგილი ჯეროვანი სახით შეინარჩუნოს. ეს განგრძობითი პროცესია და არა პროდუქტი.*

მოვლის პროგრამა უნდა ვითარდებოდეს კარგად ჩამოყალიბებული ციკლების მიხედვით, სადაც აღწერილია ვინ რას, როგორ და რა სიხშირით აკეთებს. პროგრამა მარტივი, ყველა თანამშრომლისათვის გასაგები ენით უნდა აღწერდეს საჭირო ქმედებებს, ისე, რომ მისი გამოყენება შეძლონ მწმენდავებმა, ხელოსნებმა, ზედამხედველებმა და ყველა სხვა პირებმა, ვინც კი ჩაბმულია კულტურული ობიექტის მოვლა-პატრონობაში.

მოვლის პროგრამის განხორციელებას თან სდევს მისი ეფექტურობის შეფასება, რაც მიღებულ შედეგებსა და დროის ხანგრძლივობას ეყრდნობა. სამუშაოს შესრულებისათვის დახარჯული დროისა და მასალების დეტალური აღწერა უაღრესად მნიშვნელოვანია. ცალკე უნდა იქნას დაჯგუფებული მონაცემები მივლინებების შესახებ. დავალებები მკაფიოდ უნდა იქნას გაწერილი, რათა გარეშე მუშაკებმა თან იქონიონ ყველა საჭირო მასალა და ინსტუმენტი.

6.2 პრევენციული მოვლა

- *პრევენცია კონსერვაციის უმაღლესი ფორმაა. დაზიანების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა ან თუნდაც შემცირება უკვე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.*

ატმოსფერული დაბინძურება და ტრანსპორტის ვიბრაცია შესაძლებელია შემცირდეს ან აღმოიფხვრას ქალაქგეგმარებითი ან ადმინისტრაციული ზომების მეშვეობით. მოვლასა და ბუნებრივი საფრთხეების მიმართ სიფრთხილეს დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურული ობიექტის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

- *წვრთნა კატასტროფებისათვის მზადყოფნისათვის და ადმინისტრაციული პროცედურები ამცირებენ უწესრიგობას კრიტიკულ მომენტებში და უზრუნველყოფენ გეგმის სწორ განხორციელებას.*

- *დოკუმენტირება პრევენციული მოვლის არსებითი ასპექტია ამ ცნების ფართო გაგებით.*

- *ანგარიშგების პროცედურები, რომლებიც მოვლის პროცესში გამოავლენენ განმეორებით პრობლემებს, ხელს უწყობს პრევენციულ მოვლას.*

- *მოვლის ღონისძიებები შეძლებისდაგვარად ჩართულ უნდა იქნან გეგმიურ რეჟიმში (Sheduled routine).*

გეგმიური რეჟიმი მოიცავს:

- ყოველდღიულ ღონისძიებებს, მათ შორის დასუფთავებას და გაპრიალებას;
- ყოველკვირეულ ღონისძიებებს;
- ყოველთვიურ ღონისძიებებს, როგორიცაა, მაგალითად, შენობებზე და ტერიტორიაზე მცენარეების ზრდის კონტროლი;
- კვარტალური ღონისძიებები;
- სეზონული ღონისძიებები, მაგალითად - შემოდგომასა და გაზაფხულზე;
- ყოველწლიური ღონისძიებები;
- ხუთწლედის ღონისძიებები.

გეგმიური რეჟიმი საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს, რათა შეიძლებოდეს საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი ღონისძიებების დაუყოვნებლივ ჩატარება, რომელნიც ხშირად საჭიროა, მაგ., ძლიერი წვიმის, ქარის, ხანძრის, მიწისძვრის, წყალდიდობის ან სხვა ბუნებრივი კატასტროფების შემდეგ.

6.2.1 პროფესიონალთა წვლილი

მოვლის წარმატებული სტრატეგია მოითხოვს პასუხისმგებელი პროფესიონალების ჩართვას, რომელთაც აქვთ სათანადო ცოდნა, რათა დააკვირდნენ და გამოარკვიონ დაზიანების მიზეზები, ჩაატარონ რეგულარული შემოწმება და მოამზადონ ანგარიშები ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიისათვის. რადგანაც მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილი უმაღლესი ღირებულების მქონეა, მასზე ზრუნვაში ჩაბმული პირებიც თავისი სფეროს უმაღლესი პროფესიონალები უნდა იყვნენ.

იდეალურ შემთხვევაში, პროფესიონალები სამეურვეო კომისიაში შეყვანილ უნდა იქნან ნახევარი განაკვეთით, უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. მათ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება განახორციელონ ნებისმიერი რეკომენდაცია, რომელიც მათ მიერ წარმოდგენილია **პროექტების მიმდინარეობის ნლიურ ანგარიშებში,**

და ასევე უფლება მოიშველიონ გარეშე სამეცნიერო რჩევა და ობიექტური აზრი.

მოვლის ღონისძიებათა განხორციელებაში პროფესიონალები ისევე არიან ჩართულნი, როგორც ზედამხედველები, ხელოსნები, კონსერვაციის სპეციალისტები და მთელი ის ძირითადი პერსონალი, რომელიც ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიას ექვემდებარება.

პროფესიონალებმა უნდა:

- უზრუნველყონ, რომ ღირსშესანიშნავი ადგილის მოვლაში ჩაბმულმა ყველა პირმა დროულად განაცხადოს დაზიანების ნიშნებსა და სხვა ყველაფერზე, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს (მაგ., მწმენდავებმა უნდა აცნობონ სახურავის, ან საწვიმარი მილების ჟონვის, მწერების შესახებ);
- მისცენ მითითებები ხელოსნებს, რათა მათ, სამუშაოს საუკეთესოდ შესრულების ჟინით, არ დააზიანონ ისტორიული მოწმობა ან მასალა. მათ უნდა აუხსნან, რომ საჭიროა კონსერვაცია და არა „ახალივით“ შეკეთება;
- მოაწყონ რეგულარული შეხვედრები ზედამხედველებთან და ადმინისტრატორებთან სამუშაოების დასაგეგმად და ხარჯების შესახებ რჩევის მისაცემად;
- კვარტალში ერთხელ მაინც შეხვდნენ ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიას და ყოველთვის შეეძლოთ დირექტორის ნახვა;
- მომზადებულ იყვნენ საზოგადოებასთან შესახვედრად და ლექციებსა თუ გამოქვეყნებულ სტატიებში განმარტონ მოვლის სტრატეგია; და
- მიიღონ მონაწილეობა მოვლის სტრატეგიასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში.

მოვლის კარგი სტრატეგიის მეშვეობით შესაძლებელია დაზიანებების მნიშვნელოვანწილად თავიდან აცილება და ფინანსების ეკონომია; სამწუხაროდ, ძნელია ამ მოგების რაოდენობრივი შეფასება, რის გამოც ხშირად კულტურული მემკვიდრეობის ხელმძ-

ღვანელები ხედავენ მხოლოდ პროფესიონალთა მომსახურების ხარჯებს და ცდილობენ მათი შემცირებით გასწიონ გაუმართლებელი ეკონომია.

6.2.2 ისტორიული შენობებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების ინსპექციის კონტექსტი

➢ *ისტორიული შენობის ან ღირსშესანიშნავი ადგილის პირველადი ინსპექცია უაღრესად მნიშვნელოვანია. მან ყველა პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად და ამომწურავად[1] უნდა მოიცვას.*

დაზიანების გამომწვევი მიზეზები ხშირად ძალიან კომპლექსურია და არაერთგვაროვანია – ერთდროულად ორი-სამიც შეიძლება მოქმედებდეს. პირველადი შემოწმებისას, ჩვეულებრივ, არქიტექტორი ვერ გამოავლენს ყველა მათგანს. ინსპექტორის უპირველესი მოვალეობაა ფაქტების აღწერა და შემდეგ მიზეზის ძიება.

შესაბამის შემთხვევაში კვლევამ, ინსპექციამ და ანგარიშგებამ უნდა მოიცვას შენობის ან ღირსშესანიშნავი ადგილის კონტექსტიც; ადგილობრივ დაგეგმვის ორგანოებს შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა, მაგ., დაარეგულირონ ტრანსპორტის მიერ გამოწვეული ვიბრაცია სატვირთო ტრანსპორტის შეზღუდვით, შეამცირონ ატმოსფერული დაბინძურება საწარმოებისა და ენერგოსადგურების სწორი განლაგების მეშვეობით, ასევე შეამცირონ ხანძრის საშიშროება სახანძრო მანქანებისათვის მისადგომი გზის უზრუნველყოფით.

➢ *ინსპექტორს არ უნდა ჰქონდეს ძეგლის მიმართ წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება;*

---

1 ისტორიული შენობებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი ნორმები: გამოცდილ კონსერვაციის არქიტექტორს პატარა შენობის შემოწმებისათვის სჭირდება 5 საათი, 10 საათი – უფრო რთული ნაგებობისათვის და 20-40 საათი – დიდი შენობისათვის. კომპლექსური, მონუმენტური შენობების შემოწმება, როგორიცაა საკათედრო ტაძრები, მოითხოვს გაცილებით მეტ დროს – დაახლოებით 100 სამუშაო საათს.

- *ინსპექცია, რომელსაც მოსდევს დეტალური კვლევა, ანალიზი და აღწერა თვითმკმარი როდია, მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს გარკვეული ქმედება;*

- *პირველი ამ ქმედებათაგანია მოვლის სტრატეგიული გეგმის შემუშავება.*

გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მოვლის გეგმა სრულდება ათი წლის განმავლობაში, წლიური მოვლის ღონისძიებების მასშტაბი მკვეთრად მცირდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ძეგლების კონსერვაციის მართვა პრევენციული მოვლის საშუალებით ფინანსების მნიშვნელოვანი ეკონომიის საფუძველია, ეს არ ესმის მრავალ ადმინისტრატორს, რომლებიც თავს იკავებენ რეგულარული შემოწმებისა და მოვლის პროგრამის ორგანიზებისგან საჭირო პროფესიონალთა დაქირავების ხარჯების გამო.

6.2.3 მოვლის პროგრამის მონიტორინგი

მოვლის პროგრამის განხორციელების შემდეგ, ხშირად წლები სჭირდება თავდაპირველი პროფესიული კვლევის ხარჯების დაფარვას. თუმცა, თუკი მიმდინარე ხარჯები და ფინანსური გათვლები მუდმივად კონტროლდება და ინფლაციის და სხვა ცვლილებების გათვალისწინებით ზუსტდება, საბოლოოდ მთლიანი ხარჯი უფრო ნაკლებია ვიდრე დაუგეგმავი სპეციალური ღონისძიებების ხარჯების ჯამი.

ფინანსური ანგარიშგების სისტემა უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ დაეხმაროს დანახარჯების მონიტორინგს. ყველა თანამშრომელი ყოველკვირეულად უნდა აწარმოებდეს დახარჯული დროის აღრიცხვას. განხორციელებული სამუშაოსათვის მათ სწორი კატეგორიები და აღწერის მეთოდი უნდა გამოიყენონ. ხელმძღვანელი პირები უნდა ამოწმებდნენ მათ მონაცემებს შეუსაბამობების გამოსავლენად, მასალების გაფლანგვისა და ქურდობის თავიდან ასაცილებლად. მათ ასევე უნდა დაადგინონ სამუშაოს მიზნები ყოველი თანამშრომლისათვის და შეადარონ რეალური დრო და ხარჯები, წინასწარ ნავარაუდებ ხარჯებს.

➢ *კარგი მართვა და ზედამხედველობა არსებითია მოჟ-ლის სამუშაოების საწარმოებლად, როდესაც ცალ-ცალკე მოქმედი პირნი მრავალგვარ ამოცანებს არიან შეჭიდებული. ამასთან, ხელოსნებსა და კონსერვაციის სპეციალისტებს, რომლებიც ჩართულნი არიან ამ საქ-მიანობაში, კარგად უნდა ესმოდეთ თავისი მუშაობის საფუძვლები.*

6.3 განსაკუთრებული პრობლემები

6.3.1 ვანდალიზმი და ქურდობა

1851 წელს ლონდონის გამოფენაზე ყოველგვარი დაცვის გარეშე გამოფენილი იყო ბრილიანტები. მიუხედავად ამისა, გამოფენაზე არ შექმნილა საზოგადოების ქცევის პრობლემა. საზოგადოების პატივისცემა კულტურული ობიექტების მიმართ მნიშვნელოვნად დაქვეითდა უკანასკნელი ასი წლის მანძილზე. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია ტურიზმის ზეგავლენით, თუმცა ამ კუთხით დიდი განსხვავებაა სხვადასხვა ერებსა და კულტურებს შორის.

ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს და ასევე საზოგადოებას კარგად უნდა ესმოდეს მათი მოვალეობა ვანდალიზმისა და ქურდობის თავიდან ასაცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ შესაბამის სამსახურს ყოველი ინციდენტის შესახებ. თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ პოტენციური ვანდალების ამოცნობა და მათთან დაპირისპირების გარეშე ურთიერთობის დამყარება, მაგ., იკითხონ, ხომ არ შეუძლიათ რაიმე განუმარტონ და ასე გააუვნებელყონ ბრმა უმეცრება და უმართავი ენერგია, რომელიც ხშირად არის ხოლმე ვანდალიზმის მიზეზი. სხვა სახის პოტენციურად დამაზიანებელი ქმედებები, როგორიცაა, აკრძალულ ტერიტორიებზე შესვლა მინდვრის ყვავილების დასაკრეფად, ცეცხლის დანთება, ა.შ. აღკვეთილ უნდა იქნას სპეციალური განმარტებითი ლექციების და მოქცევის წესების გავრცელების საშუალებით. შენობებში ვანდალიზმი და ქურდობა შეიძლება შემცირებულ ან თავიდან აცილებულ იქნას ტელეკამერების საშუალებით, რომელთაც ძალზე მცხრალი განათებისასაც შეუძლიათ ჩვენება. თანამშრომლებისა და საკონტროლო ცენტრის რადიოკავშირი ასევე

იძლევა ეჭვმიტანილის ქმედების ეფექტური მეთვალყურეობის საშუალებას.

ხელოვნების ნიმუშებისა და არქეოლოგიური მასალის ქურდობა საკმაოდ დიდ საერთაშორისო ინდუსტრიადაა ქცეული. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არანაირი რთული სისტემა არ არის ქურდობის სრული აღკვეთის გარანტია. უსაფრთხოების დაცვა ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერების ვალდებულებაა. იგი არ უნდა იყოს დაკისრებული მხოლოდ დაქირავებულ დაცვაზე, რაც, მხოლოდ და მხოლოდ, მნიშვნელოვნად აძვირებს უსაფრთხოების ხარჯებს. ამ საკითხში სასურველია სპეციალისტების კონსულტაცია, თუმცა იგი მოაზრებულ უნდა იქნას ერთობლივად ხანძარსაწინააღმდეგო სისტემასთან და შენობების მაცხოვრებელთა უსაფრთხოების სხვა ზომებთან ერთად.

6.3.2 ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებები

ადამიანების მიერ გამოწვეული ხანძარი, ჩვეულებრივ, შეიძლება თავიდან იყოს აცილებული; ტყის ხანძარი კი სხვა საქმეა და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ხანძრის მიზეზი შეიძლება გახდეს ელვაც, თუკი შესაბამისი დაცვის სისტემა არ არის დამონტაჟებული და წლის განმავლობაში მუდმივად მოვლილი. ხანძრის მიერ უნიკალური კულტურული ღირებულებების განადგურება თავიდან უნდა იქნას აცილებული სხვადასხვა ზომების მეშვეობით, როგორიცაა სიფრთხილის ზომები ცეცხლის წაკიდების რისკის შესამცირებლად და, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა, მოწევის აკრძალვა.

ხანძრის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე საშიში ფაქტორია დაზიანებული ელექტროგაყვანილობა. ელექტროგაყვანილობა უნდა შემოწმდეს ყოველწლიურად და გამოიცვალოს ოც წელიწადში ერთხელ მაინც. სასურველია ის ისე გადაგეგმარდეს, რომ ღამით მხოლოდ აუცილებელი სამსახურები იყოს ჩართული.

ხანძრის აღმომჩენი სისტემები ირთვება კვამლის, ალის ან სიცხის საშუალებით. ცრუ განგაშის თავიდან ასაცილებლად სასურველია რამდენიმე დეტექტორის ურთიერთდაკავშირება. ამგვარად, განგ-

აშის ზარი ჩაირთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოხდება ორი დეტექტორის გააქტიურება, რაც მხოლოდ ხანძრის დროსაა შესაძლებელი. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები კომერციული შენობებისთვისაა შემუშავებული და ისტორიულ შენობებში მათი ქმედითობა შეიძლება შეზღუდული აღმოჩნდეს, ასე რომ, მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს მათი შესაძლებლობების ფარგლები. სწორედ ამიტომ, სასურველია ორი დამოუკიდებელი სისტემის დამონტაჟება, რადგან ერთმა შეიძლება საჭიროების დროს გვიმტყუნოს. გონივრული იქნება აღმომჩენი სისტემის უშუალოდ სახანძრო რაზმთან დაკავშირება. ხელით საქრობები (კულტურის ძეგლებისთვის ყველაზე შესაფერისი ფხვნილი ან შესაბამისი ტიპის აირი – მაგ., CO_2 იქნება), შლანგები ან ცეცხლის საქრობი ონკანები გულდაგულ უნდა იქნას განაწილებული და თვალსაჩინოდ აღნიშნული. წყლის ადგილობრივი, ხანძართან საბრძოლველად გამოსადეგი წყაროები მოსაძიებელი და აღსანუსხია.

ერთმნიშვნელოვნად სავალდებულოა, რომ ყველა თანამშრომელმა გაიაროს საბაზისო მომზადება ხანძარის გამოვლენის, ცეცხლთან ბრძოლის და დაშავებულებისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენაში. სამუშაო საათებში რეგულარულად უნდა ჩატარდეს წვრთნა საგანგებო ვითარებაში ქცევის გასათავისებლად. ხანძრის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი დანიშნული უნდა იქნას დირექტორის მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ხანძრის სამ წუთში დარეგულირება, ხუთ წუთში უკვე შეიძლება უბედურება დატრიალდეს. ეს ნიშნავს, რომ მოშორებულ ადგილებში განლაგებულ ისტორიულ შენობებს სასურველია გააჩნდეს ხანძრისგან დაცვის ავტომატური სისტემა, რაც სრულ განადგურებას მაინც აგვაცილებს. ამ საკითხში მნიშვნელოვანი დახმარება შეუძლია გაგვიწიოს ნორვეგიაში, იაპონიასა და დიდ ბრიტანეთში დაგროვილმა გამოცდილებამ.

გაზისა და წყლის გამომფრქვევი ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები ფულის კარგი დაბანდებაა, მაგრამ ყველა თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობასავით, ისტორიულ შენობებში დაყენებისას ისინიც ფაქიზ მიდგომას მოითხოვს. ადრე Halon აირის სისტემები, თუმცა ძვირად ღირებული, დაცვის საუკეთე-

სო ფორმად ითვლებოდა, რადგან დაბალი კონცენტრაციისას არც ადამიანთა სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს და არც კულტურულ ფასეულობებს. ბოლო დროს გაირკვა, რომ ეს აირები ანადგურებენ დედამიწის დამცავ ოზონის შრეს და ამიტომ არ არის სასურველი მათი გამოყენება. განმფრქვევებთან დაკავშირებული სირთულე ისაა, რომ წყალი ხშირად აზიანებს შენობებს და მის სამშენებლო ქსოვილს და ავეჯს სოკოს გაჩენის საშიშროებას უქმნის. აირის თუ წყლის გამოყენებისას, ცრუ განგაში მაინც ასარიდებელია, რათა არც ძვირადღირებული აირი დაიხარჯოს ტყუილად და არც კულტურული ობიექტი დაზიანდეს.

- *მნიშვნელოვანია თანამშრომლების წვრთნა ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებაში და მაქრობლების ხმარებაში. მეხანძრეებიც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა აწყობდნენ პრაქტიკულ მეცადინეობას და სპეციალური საშვი და კონტროლის უფლებაც უნდა ჰქონდეთ;*

- *ისტორიული ქალაქების შემთხვევაში, შემუშავებულ უნდა იქნას ხანძარსაწინააღმდეგო სტრატეგიული გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ხანძრის შემთხვევაში ყველა შენობაში სათადარიგო შესასვლელების არსებობას (იმ შემთხვევაში, თუ ერთი გზა ჩაიკეტა) და ცეცხლთან საბრძოლველად წყლის საკმარისი მარაგის არსებობას.*

პრაქტიკული მეცადინეობები ავლენს იმ სუსტ წერტილებს, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია. დასაგეგმი და გასაუმჯობესებელია მისასვლელები ცეცხლთან საბრძოლველად, რათა სახანძრო მანქანებს შეეძლოს უმთავრეს წერტილებთან მიღწევა. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ონკანებიდან, რეზერვუარებიდან და სხვა წყაროებიდან წყლის უხვად მიწოდება.

ცეცხლისაგან დაცვის პასიური საშუალებები, როგორიცაა ცეცხლგამძლე კარები, კედლები და სხვენის ტიხრები, მუდამ ასრულებს თავის მოვალეობას და აფერხებს ცეცხლის გავრცელებას. ბუნების ძეგლების შემთხვევაში ამ ფუნქციას ასრულებს სახანძრო ცარიელი მონაკვეთები.

თავი VII

საკადრო პოლიტიკა

7.1 სამეურვეო კომისია

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისად მომზადებული პროფესიონალების საკმაო რაოდენობით არსებობის შემთხვევაში, უმაღლესი პოლიტიკური და ადმინისტრაციული პირებით დაწყებული ძეგლის მცველების, ხელოსნების, ზედამხედველების და გამძღოლების ჩათვლით. დამატებით, რეკომენდირებულია თითოეული მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილისა ან მათი ჯგუფისათვის სამეურვეო კომისიის დაფუძნება. კომისიის პროფესიული და ადმინისტრაციული სტრუქტურა შეიძლება განსხვავდებოდეს ამა თუ იმ ქვეყნის ვითარებისა თუ ღირსშესანიშნავი ადგილის ხასიათიდან გამომდინარე, მაგრამ ყველა შემთხვევაში აუცილებელია, რომ კომისია დაკომპლექტებული იყოს სხვადასხვა სფეროს გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტებით (არქიტექტორები, არქეოლოგები, იურისტები, ურბანისტები, ა.შ). მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის ინტერესებშია, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ სამეურვეო კომისიას მინიჭებული ჰქონდეს მოქმედების საკმარისი თავისუფლება. ამასთან, სამეურვეო კომისია უნდა ინარჩუნებდეს მჭიდრო კონტაქტს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტთან, რომელსაც შეუძლია მიმართოს დახმარებისათვის საჭიროების შემთხვევაში.

- *სამეურვეო კომისიის ერთი მოვალეობათაგანია მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, განურჩევლად იმისა თუ რა სახისაა იგი - ცალკეული ისტორიული შენობა, ისტო-*

რიული ქალაქი თუ ინდუსტრიული კომპლექსი. კომისიის ვალია საერთაშორისო კონვენციებისა და ქარტიების მოთხოვნების შესრულება და, ამავდროულად, ეროვნული და ადგილობრივი კანონებისა და ჩვეულებების გათვალისწინება; მისი უპირველესი მიზანია ღირსშესანიშნავი ადგილის დაცვის, გამოყენებისა და მოვლის ყველაზე მისაღები გზების განსაზღვრა და მათი განხორციელების ზედამხედველობა.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის შემთხვევაში, ადგილობრივი ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ და საერთაშორისო მიზნებთან. სამეურვეო კომისიის პასუხისმგებლობაა ადგილობრივი მაცხოვრებლების კანონიერი ინტერესებისა და დამთვალიერებლების ინტერესების შეთანხმება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ტურიზმის განვითარების კონტროლი: ინტენსიურმა ტურისტულმა ნაკადებმა შეიძლება დაარღვიოს ადგილობრივი მაცხოვრებლების მყუდროება და გამოიწვიოს ადგილობრივი კულტურის გაუფასურება და რღვევაც კი.

7.2 მართვის ძირითადი ჯგუფის შერჩევა

7.2.1 ექსპერტებისა და პროფესიონალების შერჩევა

პროფესიონალთა ნუსხა, რომელიც მეტ-ნაკლებად შეიძლება ჩაბმულ იქნას კულტურული მემკვიდრეობის მართვაში, საკმაოდ გრძელია. ესენია:

- ადმინისტრატორები
- ანთროპოლოგები
- ანტიკვარები
- არქეოლოგები
- არქიტექტორები
- არქიტექტურის კონსერვაციის სპეციალისტები

- არქივარიუსები
- ხელოვნებათმცოდნეები
- ბიოლოგები
- ბოტანიკოსები
- შენობათა ექსპერტები (building surveyors)
- ქიმიკოსები
- კოლექციების კონსერვაციის სპეციალისტები
- ხელოსნები
- კურატორები
- საინფორმაციო-საძიებო საქმის სპეციალისტები (dokumentalists)
- ეკოლოგები
- ეკონომიკის ისტორიკოსები
- სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრები
- ენტომოლოგები
- ეთნოლოგები
- გეოგრაფები
- გეოლოგები
- მემკვიდრეობის აღმნუსხველები/ინვენტარიზატორები
- ისტორიკოსები
- ჰიდროლოგები
- ლანდშაფტის არქიტექტორები
- იურისტები
- მინერალოგები
- სამუზეუმო საქმის სპეციალისტები
- პეტროლოგები
- პოლიტიკოსები

- უძრავი ქონების მენეჯერები
- სეისმოლოგები
- სოციოლოგები
- ტოპოგრაფები და გეოდეზისტები

ზემოაღნიშნული ნუსხა სულაც არ არის სრული, მაგრამ იგი მიუთითებს საქმეში ჩართული პროფესიების სპექტრს და უჩვენებს ახალგაზრდებს, თუ რაოდენი შესაძლებლობანია კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის განვითარებად დარგში.

➢ *მრავალი სხვადასხვა დისციპლინის მონაწილეობის გამო, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც გულისხმობს პრაქტიკული ხელობისა და სამეცნიერო ცოდნის გამოყენებასაც და მხატვრულ და ისტორიულ გრძნობისმიერებასაც. მკაფიოდ განსაზღვრული კონცეფციის გარეშე კონსერვაციის ამოცანები ვერ იქნება მიღწეული.*

ექსპერტების შერჩევა საკმაოდ რთული ამოცანაა. სასურველია, შერჩეულმა ექსპერტმა მოცემულ სამსახურში იმუშაოს არანაკლებ შვიდი წლის განმავლობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას საქმიანობის უწყვეტობა და არაუმეტეს თორმეტი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან აჩვენა, რომ გაითავისა თანამედროვე აზროვნება და პრაქტიკა. ისევე როგორც მედიცინის სფეროში, კონსერვაციის დარგშიც ექსპერტი მუდამ მზად უნდა იყოს გაითვალისწინოს სხვათა დამოუკიდებელი აზრი.

7.2.2 საკადრო მოთხოვნები

საკადრო მოთხოვნები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ სპეციალობის ყოველი განხრის ამოცანების მასშტაბის განსაზღვრის შემდეგ. სახელფასო ნიხრები დგინდება ადგილობრივი და ეროვნული სტანდარტების მიხედვით. თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ზოგ ქვეყანაში ანაზღაურება არარეალურად დაბალია და პერსონალის წევრებს იზიდავს წარმოებასა ანდა კომერციაში უფრო მაღალი ხელფასები.

- *ძეგლის სამეურვეო კომისიამ უნდა დაადგინოს საკუთარი სახელფასო ნიხრები. განაფული ხელოსნები ტექნიკოსებს უნდა გაუთანაბრდეს და არა მშენებელ მუშებს. საჭიროა შესაბამის სამთავრობო ორგანოებთან შეთანხმება მათ მიერ გამოყოფილი სახელფასო ფონდის რეგულარულად გადასინჯვის თაობაზე, რადგან შესაძლოა ახალი საჭიროებებისა და საქმიანობის ახალი ასპარეზის გაჩენა.*

საუკეთესო შემთხვევაში ინიშნება პასუხისმგებელი პერსონალი და შემდეგ, საჭიროებისამებრ – დამხმარე კადრები. დასაწყისისთვის რეკომენდირებულია თანამშრომლების საცდელი ვადით მიღება და მხოლოდ ამის შემდგომ, თუკი ეს საჭირო იქნება, – გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება.

მრავალ მთავრობას შეიძლება გაუჩნდეს სურვილი თავისი მმართველობის დროს პოლიტიკური პრესტიჟისა და პატრონაჟის მოსაზრებებით პირდაპირ მართოს ესა თუ ის ღირსშესანიშნავი ადგილი. ეს შეიძლება ძეგლისათვის ნიშნეული კულტურული ღირებულებების ინტერესის საწინააღმდეგო აღმოჩნდეს, რადგან ხელისუფლების მიდგომა ვერ იქნება ისე მგრძნობიარე და მოქნილი, გადაწყვეტილების მიღება იქნება ნაკლებად სწრაფი, ვიდრე კარგად შერჩეული, მთავრობისგან დამოუკიდებელი სამეურვეო კომისიისა. ეს როდი გულისხმობს ღირსშესანიშნავი ადგილის მართვაში ხელისუფლების კანონიერი ინტერესის უარყოფას – სამეურვეო კომისიის წევრები ინიშნება სწორედ ხელისუფლების მიერ.

7.2.3 კვალიფიცირებული კადრების შერჩევის საჭიროება

ვინაიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილი ჭეშმარიტად ვერაფრით იქნება ჩანაცვლებული, თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რაოდენ საჭიროა კვალიფიციური პერსონალი. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი ღირებულება ვერ იქნება აღებული აბსოლუტურ კრიტერიუმად, კულტურული ობიექტების დაზიანებისა და ნგრევისაგან გადარჩენის ხარჯების ოდენობას უფრო მართებულად დავინახავთ, თუ გავითვალისწინებთ ჩანაცვლების ხარჯებს.

კონსერვაციის დარგის ადმინისტრატორებს განსაკუთრებით კარგად უნდა ესმოდეთ კონსერვაციის საქმიანობაში ჩართული სხვადასხვა ტიპის სპეციალისტების ძლიერი და სუსტი მხარეები. ადმინისტრირების ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც იწვევს კონსერვაციის სპეციალისტების უკმაყოფილებას, ისაა, რომ მათ ბევრი დაბრკოლება ხვდებათ სპეციალური პროდუქტებისა და მომსახურების მცირე ოდენობით მოპოვებისას. კონტროლის ასეთი ზომები შეიძლება საჭირო იყოს პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზნით, როცა საქმე ეხება დიდ თანხებს, მაგრამ მუშაობის მეტი ეფექტურობისათვის სპეციალიტებს უნდა შეეძლოთ სპეციალური პროდუქტების მცირე რაოდენობით პირდაპირი დაკვეთით შესყიდვა, მითუმეტეს, რომ ხშირად მიმწოდებელი მსოფლიოში ერთადერთია. ხშირად იმ ოფიციალური დოკუმენტაციის ღირებულება, რომელიც საჭიროა პროდუქტების შესაძენად, აჭარბებს თავად პროდუქტის ღირებულებას. განსხვავება არის არა მარტო დროში, მაგ., 2 წელი 1 თვის ნაცვლად, არამედ იმ დაზიანებაში, რომელიც შეიძლება მოხდეს პროდუქტის შეძენის დაგვიანების გამო.

- *გადაწყვეტილების დაგვიანება იწვევს მუშაობის არაეფექტურობას და ზედმეტ ხარჯებს, რადგანაც კულტურული ობიექტის დაზიანება გრძელდება, ჩვეულებრივ, აჩქარებული, ზოგჯერ კი მნიშვნელოვნად მეტი სისწრაფითაც. სამეურვეო კომისია და მისი დირექტორი ყოველგვარ ღონეს უნდა ხმარობდნენ ადმინისტრაციული შეფერხებების აღმოსაფხვრელად.*

7.2.4 საკონსერვაციო ხელობების როლი

მშენებლობის ხელობათა სპექტრი კონსერვაციის პროცესში მოიცავს მარტივ შეკეთებასა თუ შიდა გამართულობის მოვლას და ძალიან რთულ საქმიანობასაც, რომელიც ძალზე დიდ დახელოვნებას მოითხოვს. ის პირები, ვინც ასრულებენ ამგვარ სპეციალურ დავალებებს, წარმოადგენენ კონსერვაციის ტექნიკოსებს და უნდა სარგებლობდნენ სხვა პროფესიონალთა მსგავსი სტატუსით.

მეორე მხრივ, ნებისმიერ ახალგაზრდა, მაგრამ საკმარისად გა-

მოცდილ ხელოსანს შეუძლია დამატებით დაეუფლოს ამა თუ იმ ხელობას და მხატვრული გუმანით, დახელოვნების მოშველიებით და მეცნიერების დახმარებით შეაკეთოს და გაიმეოროს წინანდელი ხელოსნების ნაკეთები.

- *დაოსტატებას დრო, გამოცდილება და სწავლა სჭირდება. არსებითია ხელმძღვანელებად გამოცდილი ოსტატები იყვნენ, რაც უზრუნველყოფს ცოდნის უწყვეტობას. ღირსშესანიშნავი ადგილის სახელოსნოებს შეუძლია ამ პროცესის ხელშეწყობა. კონსერვაციის ხელოსნებს კარგად უნდა ესმოდეთ თავისი ხელობის ისტორია და ტექნოლოგია. მათ უნდა შეეძლოთ ისტორიული ნამუშევრის შექმნის პროცესის გაანალიზება. წარსული ხელობის მაგალითები უნდა შეგროვდეს და გამოყენებულ იქნას სანიმუშო მოდელებად (როგორც ეს გაკეთდა ნიდერლანდებში, ამსტერდამში და პოლონეთში, ქ. ტორუნში).*

7.2.5 კარგი ხელობა

ხელობის ხარისხი ნაწილობრივ დამოკიდებულია დაწესებული სამუშაო დღის ჯეროვან ანაზღაურებაზე. სამუშაო დროის გადაჭარბება და ცალობით შეკვეთა, როგორც წესი, უარყოფით შედეგს ინვევს და არ შეიძლება მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის შემთხვევაში შედეგიანობის გაზრდისათვის მოვიშველიოთ.

კარგი ხელოსნის კვალიფიკაცია არის შესაბამისი წვრთნის, უწყვეტი მუშაობის და ხელოსნის სტატუსის დაფასებისა და პატივისცემის შედეგი. სწორედ ხელოსნები არიან პირველი პასუხისმგებლები შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. სამწუხაროდ, თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიას წარსულისაგან განსხვავებული ამოცანები აქვს. იგი უპირატესობას ანიჭებს რაოდენობას და ხშირად უგულებელყოფს ხელობის ჩვევების სწორ გამოყენებას.

კარგი ხელობის შეფასების უნარი სხვადასხვა დროის მრავალი ნაგებობის თვალიერების გამოცდილების შედეგი შეიძლება იყოს. სამეურვეო კომისიამ უნდა განიხილოს ჯეროვანი პროექტისა და

ბიუჯეტის საფუძველზე ღირსშესანიშნავი ადგილისათვის სპეციალიზირებული სამუშაო ძალის მოზიდვის შესაძლებლობაც; სავსებით შესაძლებელია ხელობის უფრო მაღალი ხარისხი უფრო ეკონომიური გზით მივიღოთ.

7.3 საკონსერვაციო უნარ-ჩვევების მაგალითები

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციაში მრავალი სპეციალისტია ჩართული, თუმცა აქ მხოლოდ შემდეგი ძირითადი ჯგუფების თაობაზე ვიტყვით მცირეოდენს:

- კონსერვაციის არქიტექტორები და მათი თანამშრომლები;
- არქიტექტურის კონსერვაციის სპეციალისტები;
- ხელოვნების და არქეოლოგიური ნიმუშების კონსერვაციის სპეციალისტები;
- მემკვიდრეობის აღმნუსხველები/ინვენტარიზატორები.

პროფესიონალთა უმეტესობა, რომლებიც ჩართულნი არიან არქიტექტურის კონსერვაციაში, მიჩვეულნი არიან გუნდში მუშაობას. ამის გარდა, მათ უნდა ჰქონდეთ ისტორიის, განსაკუთრებით კი სხვადასხვა სტილისა და ტექნოლოგიის ისტორიის კარგი ცოდნა და კარგად უნდა ესმოდეთ ხელოსნების, ხელოვნებათმცოდნეებისა და არქეოლოგების როლი.

7.3.1 კონსერვაციის არქიტექტორები და მათი თანამშრომლები

კონსერვაციის არქიტექტორებს (მათ ასევე „ისტორისტ-არქიტექტორებს“ (historical architcts) ან „დამცავ არქიტექტორებს“ (preservation architects) უწოდებენ) უნდა ჰქონდეთ ზოგადი და პრაქტიკული არქიტექტურული გამოცდილება, ისევე როგორც მშენებლობის წინანდელი ტექნოლოგიების ცოდნა. მათ ასევე უნდა შეეძლოთ შენობის თავდაპირველი ქსოვილისა და გვიანდელი დანამატების იდენტიფიცირება. ამავდროულად, მათ უნდა

ჰქონდეთ არქეოლოგების, ისტორიკოსების, ინვენტარიზატორების, ინჟინრების, ურბანისტების, ლანდშაფტის არქიტექტორების, კონსერვაციის სპეციალისტების, მშენებლების, მომმარაგებლების, ხელოსნების და კონსერვაციის პროექტში ჩართული სხვა სპეციალისტების მუშაობის კოორდინაციის უნარი.

კონსერვაციის არქიტექტორი ყველაზე მთავარია შენობის კონსერვაციის პროცესში. თანამედროვე მშენებლობის მეთოდებთან ერთად, იგი კარგად უნდა იცნობდეს არქიტექტურის ისტორიის ყველა პერიოდს. აღნიშნული ცოდნა არსებითია ღირსშესანიშნავი ადგილის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების შეფასებისა და შენარჩუნებისათვის, მით უფრო, რომ სავალდებულოა ხოლმე მშენებლობის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებაც. ეს გულისხმობს თანამედროვე სამშენებლო ნორმატივების სათანადო გათვალისწინებას ან, იმ შემთხვევაში, როცა კონსერვაციის ძირითადი პრინციპები მოითხოვს, აღნიშნული ნორმატივების გვერდის ავლის ნებართვის მოპოვებას. სამშენებლო ტექნოლოგიის კარგ ცოდნასთან ერთად, კონსერვაციის არქიტექტორი უნდა ერკვეოდეს შენობის პათოლოგიებში, როგორიცაა, მაგალითად, საძირკვლების ჯდენა, კედლების ფშვნა, ხის მასალის ლპობა, ა.შ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უფრო და უფრო მეტი **მშენებლები** აირჩევენ სპეციალობად შეკეთებასა და მოვლას და თავისი ხელობის ისტორიაში კარგად ჩახედული კონსერვაციის ტექნიკოსების ახალი თაობა ღირსეულ ადგილს დაიკავებს არქიტექტორების გვერდზე თანაბარი სტატუსითა და ანაზღაურებით. კონსერვაციაში ასევე დიდი როლი ენიჭება ყველა სპეციალობის **ინჟინრების**, განსაკუთრებით კი მშენებელ-ინჟინრების საქმიანობას. ამასთან, საჭიროა ინჟინრების სპეციალური გადამზადება ისტორიული ქსოვილის სპეციფიკის შესასწავლად. ხშირად არასწორი მეთოდით ან მასალით ჩარევა უფრო მეტ ზიანს იწვევს, ვიდრე ჩაურევლობა.

7.3.2 არქიტექტურის კონსერვაციის სპეციალისტები

იმ სირთულეებმა, რასაც აწყდებიან ხოლმე კონსერვაციის არქიტექტორები ისეთი მეცნიერების ძიებისას, ვინც მათ პრობლემებს ალღოს აუღებს, გამოიწვია *კონსერვაციის მრჩეველთა*

ამერიკის ეროვნული საბჭოს რეკომენდაცია არქიტექტურის კონსერვაციაში სპეციალიზაციის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის შემოღების შესახებ. ამგვარი, საგანგებო პასუხისმგებლობით აღჭურვილ პირებს არქიტექტურის კონსერვაციის სპეციალისტები ეწოდებათ. ისინი ფლობენ კონსერვაციის არქიტექტორებსა და ხელოვნების კონსერვაციის სპეციალისტებზე გაცილებით ფართო სპექტრის ცოდნას.

არქიტექტურის კონსერვაციის სპეციალისტები განსწავლულნი უნდა იყვნენ კონსერვაციის ახალი ტექნოლოგიების და სამეცნიერო ლაბორატორიული მეთოდების დარგში. მათ უნდა შეეძლოთ მოიხმონ ქიმიის ქვე-სპეციალობები, როგორიცაა სპექტროგრაფული ანალიზი, რადიო-კარბონული მეთოდით დათარიღება და წინაღობის ანალიზი. მათ უნდა იცოდნენ არქეოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენება ძეგლის მონაცემების ანალიზის დროს, ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება დაარქივებული ინფორმაციის ძიებისას და ფოტოგრამეტრიის გამოყენება ზუსტი ანაზომების შესაქმნელად და აზომვის რთული პრობლემების გადასაჭრელად. ასეთი პირი ჯერჯერობით ძალიან ცოტაა.

7.3.3 ხელოვნებისა ნიმუშებისა და არქეოლოგიის კონსერვაციის სპეციალისტები

ზოგიერთ ქვეყანაში არქეოლოგიური კვლევა სავალდებულოა ნებისმიერი ჩარევის წინ. ასეთივე მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების შემთხვევაშიც. ხელოვნების ნიმუშებისა და არქეოლოგიის კონსერვაციის სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ ხელით მუშაობის კარგი უნარი, ხელოვნების ისტორიის კარგი ცოდნა, გარკვეული გაწაფულობა ბუნებისმეტყველებაში და, უპირველეს ყოვლისა, დაკვირვებული თვალი. უნარ-ჩვევათა ასეთი შეთავსება მეტად იშვიათია, ვინაიდან განათლების სისტემა ზუსტი და ჰუმანიტარული ცოდნის ამგვარ შეჯვარებაზე არ მუშაობს. მარჯვე ხელი არსებითია, მაგრამ ამასთან აკადემიური ხარისხი, იქნება ეს ხელოვნების ისტორიასა, არქეოლოგიასა თუ ანთროპოლოგიაში, კარგი საწყისია. თუმცა კი, ყველა შემთხვევაში რაღაც იქნება დასამატებელი.

ხელოვნების ნიმუშებისა და არქეოლოგიის კონსერვაციის სპეციალისტები განათლებას იღებენ უნივერსტეტებში. ეს მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს კი განავითარებს, მაგრამ ვერ ასწავლის ადმინისტრირებას, თანამშრომლობასა თუ გუნდურ მიდგომას. საქმეს ძალიან ეხმარება საკუთარი საგნის ისტორიის გათვალისწინება, რაც აძლევს ადამიანს თანამოზიარეობის ძალზედ ღირებულ გრძნობასა და იმ ახალი იდეების ცოდნასაც, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მათი დარგის გრძელვადიან გეგმებზე. არსებობს კონსერვაციის სპეციალისტთა მცირერიცხოვანი საგანგებო კურსები, რომლებიც მითითებულია ICCROM-ის „სასწავლო ცნობარში". არცთუ მცირე წვრთნაა საჭირო (მათ შორის საველე და ძეგლზე მუშაობის გამოცდილებაც), რათა ჩამოყალიბდეს ყველა საჭირო უნარ-ჩვევის ფართო სპექტრის მქონე კონსერვაციის სპეციალისტი. მარტოოდენ თეორია და აკადემიური განსწავლა საკმარისი სულაც არ არის.

7.3.4 მემკვიდრეობის აღმნუსხველები

მემკვიდრეობის აღნუსხვა-ინვენტარიზაცია მრავალ ქვეყანაში მიჩნეულია ცალკე სპეციალობად. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვაციის სპეციალისტებს შეუძლიათ ძეგლის აღნუსხვა-დოკუმენტაცია და კვლევებისა და ინსპექტირების ანგარიშების მომზადება, ზუსტი აღნუსხვის პროცესის სირთულემ გამოიწვია მემკვიდრეობის აღმნუსხველთა/ინვენტარიზატორთა უფრო ვიწრო სპეციალობის ჩამოყალიბება. მემკვიდრეობის აღმნუსხველებს უნდა შეეძლოთ ძეგლის მახასიათებლებისა და ღირებულების ზუსტი ამოცნობა, რათა უზრუნველყონ მათი სათანადო აღწერა. ამასთან, მათ კარგად უნდა იცოდნენ დოკუმენტაციის თანამედროვე სტანდარტები და ტექნოლოგიები, უნდა ჰქონდეთ კავშირი დოკუმენტაციის ცენტრებთან და, საერთო მიზნებიდან გამომდინარე, უნდა იმუშაონ მემკვიდრეობის კონსერვაციის სხვა სპეციალისტებთან მჭიდრო კავშირში.

7.4 კადრების აყვანა და დაწინაურება

როგორც წესი, სპეციალისტის აყვანა ხდება, თუკი მას მიღებული აქვს პირველადი აკადემიური ხარისხი. თუმცა, ტექნიკოსებისა და ხელოსნების აყვანაც შესაძლებელია, თუკი მათ გააჩნიათ საკმაო პოტენციალი და სწავლისათვის მზაობა. ასაყვანთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს, თუ არსებობს დაუსწრებელი სწავლების კურსები (ასეთია, მაგ., დიდი ბრიტანეთის „ღია უნივერსიტეტი").

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად არსებობს უზარმაზარი მოცულობის საკონსერვაციო სამუშაოების საჭიროება (მხოლოდ ერთი ეროვნული მუზეუმისათვის, წინასწარული გათვლებით, საჭიროა 250 შრომითი წელი), ზოგი სპეციალისტი ხშირად უმუშევარია დაფინანსების ნაკლებობის გამო. ზოგჯერ კი, პირიქით, სამუშაო ვერ სრულდება სათანადო სპეციალისტების ნაკლებობის მიზეზით. უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება იმიტომ, რომ სახელმწიფო (არის ნიშანდობლივი გამონაკლისები, მაგ., პოლონეთი) სათანადოდ არ აფასებს კონსერვაციის დარგის დაფინანსების საკითხს, და არ არის განვითარებული კონსერვაციის სპეციალისტების სამსახურეობრივი დაწინაურების სისტემა. კონსერვაციის სამსახურს საშუალოდ ოცი წელი სჭირდება ამუშავებისთვის, ამიტომაც სასურველია ცენტრალური კომისიის შექმნა, როგორიცაა აშშ-ს კონსერვაციის მრჩეველთა ეროვნული საბჭო (Unated States Advisory Committee for Conservation). ყოფილ საბჭოთა კავშირს ასევე გააჩნდა კონსერვაციის დარგში სამსახურეობრივი წინსვლის საკმაოდ საინტერესო სტრუქტურა როგორც მეცნიერებისათვის, ასევე პრაქტიკოსებისათვის.

კონსერვაციის სპეციალისტებს ისეთივე რანგი უნდა ჰქონდეთ, როგორც მუზეუმის კურატორებსა თუ მცველებს. მართვის საკითხებით დაინტერესების შემთხვევაში კი, მათ ასევე თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ხელმძღვანელი პოსტების დაკავებისას; ასეა დიდ ბრიტანეთში. მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის მოთხოვნებმა წევრ სახელმწიფოებს უნდა უბიძგოს გადახედონ კონსერვაციის დარგში აყვანა-დაწინაურების საკითხს. დანიშვნისას ჩვეულებრივი პროცედურებია ჩასატარებელი. ასეთ შემთხვევაში მაღალი შეფასება უნდა მიენიჭოს პრაქტიკულ შესაძლებლობებს, ინიციატივას და იმპროვიზაციის უნარს.

7.5 საკონსერვაციო დაწესებულებები

კონსერვაციის პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის სხვადასხვა სახის დასაქმება და ხელშეწყობაა საჭირო.

უპირველესად, საჭიროა **დოკუმენტაციის ცენტრების** დაფუძნება, როგორიცაა ბიბლიოთეკა და არქივი. დამატებით, სათანადო საშუალებებია საჭირო ფოტოგრაფიული ან ფოტოგრამეტრიული ფიქსაციისა და ანაზომების შესაქმნელად (ხელით ნამუშევრის ელექტრონულ ფორმატში გადასატანად, ა.შ). უფრო დიდი ღირსშესანიშნავი ადგილებისთვის ხშირად საჭიროა ინვენტარიზატორთა ადგილობრივი ჯგუფის მუშაობა, თუმცა შესაძლებელია ცენტრალიზებული ჯგუფების და ფოტოგრამეტრიული ლაბორატორიების გამოყენებაც.

კონსერვაციის დაწესებულებები სამეცნიერო კვლევისა და მემკვიდრეობის ობიექტების მკურნალობისათვის შეიძლება დაიყოს კატეგორიებად მათი საქმიანობის მიხედვით და აღიწეროს თანმიმდევრულად, სადაც ფუნქციები იმის შესაბამისად იცვლება, თუ რა ამოცანებს ემსახურებიან აქ დასაქმებული კონსერვაციის სპეციალისტები: ხელოსნები, კონსერვატორ-რესტავრატორები, გამოყენებითი საბუნებისმეტყველო დარგების მუშაკები და მკვლევარ-ბუნებისმეტყველნი.

- **სახელოსნოს (crafts shop)** არც თუ ისე ბევრი ფუნქცია აქვს: აქ შეიძლება შესრულდეს სამუშაოები, როგორიცაა მოჩარჩოება, ლამინირება და სხვა. ობიექტი სახელოსნოში მიაქვთ სპეციფიკური მკურნალობისთვის. გამოკვლევა შემოიფარგლება მოცემული ტიპის მკურნალობისათვის საჭირო მოსამზადებელი მონაცემების მოძიებით. ასეთ სახელოსნოში ხელობათა საგანგებო, ვიწრო სპექტრი შეიძლება სრულყოფილებამდე იქნას აყვანილი. დიდი შეიძლება იყოს თითოეული მუშაკის პროდუქტიულობაც. გამოყენებული მასალების ტიპი და ხარისხი, როგორც წესი, შეესაბამება ტრადიციულს, თუმცა მომხმარებლის საგანგებო მოთხოვნებიც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს, ფასის შესაბამისი გაზრდის შემთხვევაში.

კონსერვაციის პროცესში ხშირად ხელი ეშლება გონებას, ამიტომ არსებითია ხელით მუშაობის უნარი. თუმცა გამოცდილი ხელოსნების ცოდნა – წლობით შრომისა და განაფვის შედეგი, ხშირად სათანადოდ არ ფასდება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გაცილებით ადვილია საბუნებისმეტყველო ცოდნის შეძენა, ან ხელოვნების ისტორიის შესწავლა, ვიდრე ხელით მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. **ტრადიციული ტექნოლოგიები სწორედ ხელოსნობაშია შენარჩუნებული, ამიტომაც, სანამ მისი ლოგიკური საფუძველი სათანადოდ არ არის გაცნობიერებული, მიზანშეუწონელია აჩქარებით ცვლილებების შეთავაზება.**

- **მცირე საკონსერვაციო საწარმოს** შეიძლება ემსახუროს ერთი გამოცდილი და მცოდნე პირი, რამდენიმე დამხმარე პირითურთ, რომელთაც შესაძლოა არც ჰქონდეთ ფორმალური საკონსერვაციო მომზადება. აქ შეიძლება სხვადასხვა ტიპის ნიმუშების დამუშავება. გამოკვლევა ტარდება მკურნალობის ტიპის დასადგენად, მაგრამ ძირითადი აქ ისეთი ჩარევებია, რომლებიც ხორციელდება გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქ ნაცად მასალებს იყენებენ და ნივთების დამუშავებით, შენახვითა თუ დანაწილებით დასაქმებული პერსონალისათვის საქმის გაძღოლის საგანგებო პროცედურებია დაწესებული.

- **სპეციფიკური ურთიერთდაკავშირებული კოლექციების სხვადასხვანაირი ნიმუშების დამუშავების საწარმოს** კოლექტივი შედგება კონსერვაციის სპეციალისტებისა და რესტავრატორებისგან, რომელთაც გააჩნიათ ასეთი კოლექციების სხვადასხვა კატეგორიის ნიმუშებთან მუშაობის გამოცდილება. ასეთ საწარმოში უფრო დეტალური გამოკვლევა ტარდება, ვიდრე ზემოთ აღწერილ შემთხვევებში, თუმცა დიდი გამოცდილების საფუძველზე, უმეტეს შემთხვევაში, ობიექტის მდგომარეობა თვალდათვალ ამოიცნობა ხოლმე. ზოგჯერ, ვიზუალური შეფასების გადასამოწმებლად, შეიძლება საჭირო გახდეს ლაბორატორიული ანალიზიც. საწარმო სრულად უნდა იყოს აღჭურვილი სამუზეუმო ნიმუშების კონსერვაციისათვის. ასეთ

საწარმოში მუშაობა ძალიან პროდუქტიულია, რადგანაც აქ უნარ-ჩვევები გამომუშავდება მსგავსი ტიპის ნიმუშებთან მუშაობის დიდი გამოცდილების შედეგად.

- **კონსერვაციის ლაბორატორია** მოწყობილია მცირე დეტალების სილრმისეული კვლევისათვის, რომლებიც არ ექვემდებარება სტანდარტულ მკურნალობას. აქ საგანგებო საკონსერვაციო პრობლემების გადასაჭრელად ახალი პროცედურების გამომუშავება ხდება და სპეციალური მასალებიც მოიხმარება. ამგვარი ლაბორატორიის კოლექტივი შედგება გამოყენებითი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სპეციალისტებისაგან, რომლებიც კარგად ფლობენ რთული ანალიტიკური მოწყობილობების გამოყენების ტექნოლოგიებს. ასეთი კოლექტივი მეტად დაკვირვებული, ინოვაციური და სპეციალიზირებულია. ამ შემთხვევაში სპეციალისტებს არ მოეთხოვებათ რომელიმე ტიპის ნიმუშთან მუშაობის დიდი გამოცდილება. თითოეული მუშაკის მიერ დამუშავებული ნიმუშების რიცხვი ნაკლებია, ვიდრე იმ საბაზო დაწესებულებებში, რომლებზედაც უკვე ვისაუბრეთ. რთული საკონსერვაციო პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია ყოველ ქვეყანაში სულ მცირე ერთი ამგვარი ლაბორატორიის არსებობა მაინც.

- უკანასკნელად განვიხილავთ დაწესებულებას, სადაც სხვადასხვა ტიპის ღრმა კვლევები ტარდება მკვლევარ-ბუნებისმეტყველთა მიერ. როგორც წესი, ესენია **უნივერსიტეტის კარგად აღჭურვილი განყოფილებები** სადაც მუშაობენ ასპირანტები. ისინი, ჩვეულებრივ, განსაზღვრული წარმომავლობის ნიმუშებს იკვლევენ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეს მხატვრული ღირებულება. ამგვარი ლაბორატორიები, ჩვეულებრივ, არ არის დაკავშირებული კოლექციებთან, თუმცა მათ გარეშეც ვერ გააგრძელებდნენ არსებობას. აქ ჩატარებული სამეცნიერო კვლევა ავსებს ხელოვნების ისტორიკოსთა სტილისტური კვლევის დასკვნებს. მეცნიერები ზოგჯერ მუშაობენ ღირებული ნიმუშების არათვალსაჩინო ადგილებიდან აღებული მცირე სინჯებით. ასეთ ვითარებაში, მკურნალობა არ ტარდება და არც უნდა ჩატარდეს, თუკი მეცნიერს სრულად გაც-

ნობიერებული არ აქვს ნიმუშის ესთეტიკა და, ამასთან, არ ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს. ასეთი ფართომასშტაბიანი კვლევების შედეგად მიღებული ცოდნის გარეშე კონკრეტული ნიმუშის კონსერვაციაზე მომუშავე პრაქტიკოს სპეციალისტს გაუჭირდება მონაცემების მოპოვება სწორი მეთოდოლოგიური გადაწყვეტილების მისაღებად.

დიდმასშტაბიანი, რამდენიმე წლის მომცველი საკონსერვაციო პროექტების შემთხვევაში სხვადასხვა კატეგორიის პერსონალის ბალანსია საჭირო. მაგალითად, სამი-ოთხი მაღალი დონის („ა" კატეგორიის) კონსერვაციის ხელოსანი შეიძლება მუშაობდეს ნაკლებად კვალიფიციურ („ბ" კატეგორიის) კონსერვატორ-რესტავრატორთან და კიდევ უფრო ნაკლებად გამოცდილ („დ" კატეგორიის) მკვლევარ-ასისტენტთან ერთად არქიტექტორის ან კურატორის ხელმძღვანელობით. ხელოსნების საჭირო რიცხვის დადგენა კონსერვატორ-რესტავრატორის პასუხისმგებლობაა, რაზედაც დამოკიდებულია სამუშაოს ეფექტურობა: გუნდს მუდამ ესაჭიროება ლიდერი, რომელსაც ხელენიფება ჰარმონიულად მომუშავე უნარ-ჩვევათა სწორი ბალანსის მოძებნა და რომელსაც ამოძრავებს ჯანსაღი შეჯიბრის და არა ქიშპის სულისკვეთება.

7.6 კადრების მართვა

მნიშვნელოვანია უფლება-მოვალეობების იმგვარი განაწილება, რომ ყოველ თანამშრომელს ჰქონდეს საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების უფლება. ამასთანავე, ყოველი თანამშრომელი პასუხს უნდა აგებდეს ზემდგომის წინაშე, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელმძღვანელობა უნდა იყოს პროფესიულად ორიენტირებული. **ადმინისტრატორებს არ გააჩნიათ გარემოსდაცვითი, ტექნიკური ან მხატვრული დასკვნების გამოტანის კომპეტენცია, რაც კონსერვაციის არსს შეადგენს.** კარგი მმართველი უნდა წარმართავდეს კოლექტივის მუშაობას და ითვალისწინებდეს მათ აზრს გადაწყვეტილების მიღებისას, რაც მაღალი მორალის, სამუშაოთი კმაყოფილების და, საბოლოო ჯამში, გამართული მუშაობის საწინდარია. თანამშრომლების დაწინაურება უნდა ხდებოდეს დამსახურებისა და ინიციატივის მიხედვით, რადგანაც კონსერვაცია არის, და უნდა იყოს, მზარდი

დარგი. მუშაობის დიდი სტაჟი და გამოცდილება უნდა აღინიშნოს ნლიური პრემიებით.

7.6.1 მომსახურება კონტრაქტის საფუძველზე

კონსერვაცია იმდენად ფართო დარგია, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს ყველა საჭირო პროფესიონალის შტატში აყვანა და ყველანაირი ტექნიკის შეძენა. ამიტომაც, ხშირად საჭიროა დამოუკიდებელი ექსპერტების დაქირავება. ისეთი რთული ოპერაციებისათვის, რომელთათვის გამოყენებული ტექნიკა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია საჭირო ან მოითხოვს თანამშრომელთა საგანგებო სწავლებას, რა თქმა უნდა, გაცილებით ეკონომიურია ექსპერტების დაქირავება ხელშეკრულების საფუძველზე. დამოუკიდებელი ექსპერტების დაქირავება ასევე შეიძლება, თუ არსებული თანამშრომლები ზედმეტად დატვირთულნი არიან, თუმცა ამ შემთხვევაში უმჯობესია ამ საკითხის კოლექტივთან წინასწარ შეთანხმება. თუ ეს არ გაკეთდა, არსებულმა თანამშრომლებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ გვერდი აუარეს, მორალურად დაამცირეს ანდა აღარ ენდობიან (თუ ეს მართლაც ასეა, ამაზეც გასაუბრებაა საჭირო).

ხელშეკრულების სწორად ჩამოყალიბება დიდ გაწაფულობას მოითხოვს. სასურველია კონტრაქტორის წინასწარი ჩამოსვლა. მას უნდა შეეთავაზოს ხელშეკრულების პროექტის შედგენაში მონაწილეობის მიღება. უცხოელი ექსპერტების ჩამოყვანა ყოველთვის წარმოქმნის ურთიერთობის სირთულეებს. იდეალურ შემთხვევაში, კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი დავალების სწორად განსაზღვრისა და შესაბამისი სპეციალისტის შერჩევის მიზნით, სასურველია ICCROM-ის, ICOMOS-ის ან ICOM-ის დახმარება.

რთულია კონტრაქტორის ხელფასის განსაზღვრაც, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში ხელფასები მეტად განსხვავებულია. კონტრაქტორის ხელფასი უნდა განისაზღვროს მათი გამოცდილების, ცოდნისა და მათ მიერ დახარჯული დროის საფუძველზე. საზღაური არის პრესტიჟიც და ფულადი ანაზღაურებაც, მაგრამ უპირატესობა პირველს უნდა ჰქონდეს. ასევე ანაზღაურებულ

უნდა იქნას მათ მიერ სამუშაოს შესრულებისას გაწეული ყველა დანახარჯები.

ზოგიერთი ექსპერტი მეტად უპასუხისმგებლოა და ხშირად აგვიანებს ანგარიშების ჩაბარებას. ამიტომაც გონივრულია ხელფასის, სულ მცირე, ერთი მესამედის დაკავება მანამ, სანამ ანგარიში ჩაბარებულ არ იქნება. საბოლოო ანგარიშის მიღების შემდეგ საჭიროა შედგეს ერთობლივი სხდომა და პირისპირ მსჯელობა.

7.6.2 სტანდარტები და სწავლება

კონსერვაციისა და რესტავრაციის თანამედროვე ფილოსოფიისა და პრაქტიკის ჩამოყალიბების დროიდან, კომპეტენტური პრაქტიკოსებისა და პროექტის მენეჯერების პროფესიული სწავლება და განათლება კონსერვაციის პოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნით 1970-იან და 1980-იან წლებში მსოფლიოს მასშტაბით მრავალი სხვადასხვა სასწავლო პროგრამა დაფუძნდა, რომელთა უმეტესობა ევროპაშია კონცენტრირებული, თუმცა არაერთის გახსნა სხვა კონტინენტებზეც არის განზრახული.

პროფესიული სწავლებისა და განათლების მიმართ სათანადო ყურადღების აუცილებლობა მრავალ საერთაშორისო დოკუმენტშია ხაზგასმული, როგორიცაა UNESCO-ს რეკომენდაციები და მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია. ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შექმნილია მრავალი სხვადასხვა ტიპის დაფინანსების პროგრამა. გარკვეული ვალდებულებები ეროვნულ და რეგიონალურ დონეზეცაა აღებული.

ICCROM-ის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საერთაშორისო სასწავლო პროგრამების განვითარება კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და რესტავრაციის სხვადასხვა სპეციალობით. როგორც სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, ICCROM-ი თანამშრომლობს წევრ სახელმწიფოებთან რეგიონული სასწავლო პროგრამების განვითარების მიზნით. მან საერთაშორისო მასშტაბის სასწავლო კურსების ორგანიზების დიდი გამოცდილება დააგროვა, რაც გამოყენებულ იქნა ნიმუშად სხვადასხვა ეროვნული

კურსებისათვის. ICCROM-ი ასევე აწყობს საერთაშორისო შეხვედრებს მსოფლიოს მასშტაბით კონტაქტების განვითარებისა და სხვადასხვა სფეროში ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ICCROM-ის მიერ UNESCO-სთან და პ. გეტის კონსერვაციის ინსტიტუტთან (P. Getty Conservation Institute) ერთად წარმოებულ ცნობარში „კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის დარგში საერთაშორისო სასწავლო პროგრამების შესახებ" მითითებულია მსოფლიოში არსებული ყველა სასწავლო კურსი, რომელიც ეხება კონსერვაციას, ლანდშაფტისა და ბაღ-პარკების კონსერვაციის ჩათვლით. სასწავლო პროგრამები არ უნდა იქნას განვითარებული იზოლირებულად. მნიშვნელოვანია მათი დაკავშირება განათლების ეროვნულ ინფრასტრუქტურასთან. ICCROM-ი ეხმარება წევრ სახელმწიფოებს ამგვარი პროგრამებისათვის ლექტორების შერჩევაში, ან თანამშრომლობს მათთან კონსერვაციის სპეციფიკური მიმართულებებით მოკლევადიანი საგანგებო კურსების მოწყობაში.

ეროვნული პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს მომავალ პროფესიონალებს (არქეოლოგებს, არქიტექტორებს, ხელოვნებათმცოდნეებს) გააცნობიერონ თავისი ქვეყნის მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების ღირებულებები და ასე გაულვივონ ინტერესი კონსერვაციის დარგის მიმართ. თუმცა, თუკი კონსერვაციის სპეციალისტთა ხელფასები გაცილებით დაბალია კომერციულ სფეროში დაკავებულ სპეციალისტთა ხელფასებზე, საკმაოდ რთული იქნება დარგში პროფესიონალთა შენარჩუნება. ასეთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ხელფასები დაბალია, კარგია, თუ არსებობს მთავრობისგან დამოუკიდებელი ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისია, რომელიც თავად დაადგენს ისეთ ნიხრებს, რაც დააინტერესებს და მოიზიდავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებს.

სწავლებისას პირველი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კონსერვაციის პრინციპებისა და ეთიკის გაცნობას, რათა პროფესიონალებს გააჩნდეთ ქმედებების შეფასების სტანდარტები. ამის შემდგომ, განხილულ უნდა იქნას პროფესიონალთა როლი და, საჭიროე-

ბის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ უნდა იქნას სწავლება ინ-სპექტირებისა და ანგარიშების მომზადების განხრით. ასევე შეს-წავლილ უნდა იქნას ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლ-ოგიები და მასალები, რათა პროექტების მომზადებისას განსა-კუთრებული ყურადღება ტრადიციულ ხელობებსა და მასალებს დაეთმოს. დასასრულ, უნდა ისწავლებოდეს კანონმდებლობა, დოკუმენტაცია და დაგეგმვის პროცედურები.

თავი VIII

მკურნალობა და ავთენტურობა

8.1 მკურნალობის მიზანი

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რესტავრაციის პრინციპები გარდაიქმნა ობიექტების მართვისა და მკურნალობის ერთიან მიდგომად. ეს განსაკუთრებით კოლექციებსა და ცალკეულ ძეგლებს ეხება. თუმცა, სხვა ტიპის მემკვიდრეობის ობიექტების, მაგალითად, ისტორიული ანსამბლების, ისტორიული ქალაქების ან ლანდშაფტების მართვა გაცილებით დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. აქ უფრო მეთოდოლოგიებში სხვადასხვა პრინციპების დაახლოებას და კვლევით, სწავლებით, ტექნიკური თანამშრომლობით და ობიექტების მართვის გამოცდილების გაზიარებით საერთო გამოცდილების განმტკიცებას ვხედავთ. მკურნალობისას გარდაუვალია მემკვიდრეობის კულტურული ღირებულების მცირე ნაწილის დაკარგვა, მაგრამ ეს დანაკარგი გამართლებულია მომავალი თაობებისათვის კულტურული ობიექტების სიმრთელისა და ძირითადი ღირებულებების შენარჩუნების მიზნით.

კულტურული მემკვიდრეობის მკურნალობის სტრატეგია შემუშავებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპების მიხედვით:

ა) აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების შესაძლებლობა (რევერსიულობა):

- თუკი ეს ტექნიკურად შესაძლებელია, გამოყენებულ უნდა იქნას მასალები, რომელთა მიერ გამოწვეული ზემოქმედების აღმოფხვრა შესაძლებელია;
- წინდაწინ შეუძლებელი არ უნდა გახადოს ოდესმე, მომა-

ვალში აუცილებელი ჩარევა;

- მკურნალობის შემდეგ მიუწვდომელი არ გახდეს ობიექტის რომელიმე ინფორმატიული კომპონენტი.

ბ) ობიექტებმა უნდა შეინარჩუნონ ავთენტურობა:

- უზრუნველყოფილ უნდა იქნას არსებული ისტორიული მასალის მაქსიმალურად შენარჩუნება (მასალის ავთენტურობა);
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას თავდაპირველ მხატვრულ გადაწყვეტასა და ხელობასთან ჰარმონიული შერწყმა (ფერით, ტონალობით, ფაქტურით, ფორმითა და მასშტაბით);
- ახალი დანამატები არ უნდა დომინირებდნენ ობიექტის თავდაპირველ ქსოვილზე, არამედ ანგარიშს უნდა უწევდნენ მის არქეოლოგიურ პოტენციალს;
- უნდა აკმაყოფილებდეს მხატვრული გადაწყვეტის, მასალის, ხელობის, გარემოს და, კულტურული ლანდშაფტის შემთხვევაში – მისი გამორჩეული ხასიათისა და კომპონენტების ავთენტურობის ტესტს.

8.1.1 მზადყოფნა

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მკურნალობა რთული წამოწყებაა, რომელიც მოითხოვს კონსერვაციის საერთაშორისო პრინციპების ზუსტ ცოდნას. კონსერვაციის სპეციალისტებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ კონსერვაციის მეთოდების გამოყენება. კონსერვაციის თითოეული პროექტი სათანადოდ შესწავლილ და შეფასებულ უნდა იქნას, პრობლემები კი რეალური საჭიროებებისა და პირობების შესაბამისად უნდა გადაწყდეს. კონსერვაციის სპეციალისტებს სიფრთხილე მართებთ წინასწარი ინტუიციური გადაწყვეტილებების მიღებისას. მკურნალობის სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ, თუ მსგავს ძეგლებზე ადრე განხორციელებული ქმედებების გამოცდილება. მკურნალობა უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ მონიტორინგს მისი ეფექტურობის შეფასების მიზნით.

8.1.2 პრიორიტეტები

კონსერვაციის ამოცანებისა და მემკვიდრეობის ობიექტის ღირებულებების ურთიერთკავშირი და მათი ფიზიკური შეფასების პროცესი ზემოქმედებას ახდენს მკურნალობის სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე. რადგანაც მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი მათი ავთენტურობის შენარჩუნებაა, საჭიროა ობიექტებისათვის სპეციფიკური მიდგომების იერარქიის შემუშავება:

- უპირველესი პრიორიტეტია იმ კულტურული ღირებულებების დადგენა, დაცვა და შენარჩუნება, რომელთაც განაპირობეს ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა;
- ყველა სახის საკონსერვაციო ქმედება (დაცვა, გამაგრება, რესტავრაცია, ა.შ.) უნდა უზრუნველყოფდეს ღირსშესანიშნავი ადგილის ავთენტურობის დაცვას, მისი სიმრთელის გახანგრძლივების ხელშეწყობას, მის საინტერპრეტაციოდ მომზადებას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში შენარჩუნებულ უნდა იქნას ობიექტის თავდაპირველი ფუნქცია, თუკი ეს არ აყენებს ზიანს მის ისტორიულ სიმრთელეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მოიძებნოს ახალი, ობიექტის მახასიათებლების შესაბამისი ფუნქცია, რომელიც მისი ზოგადსაკაცობრიო ღირებულების და საგანმანათლებლო დანიშნულების წარმოჩენის კარგად მოფიქრებული გეგმის ნაწილი იქნება.

სხვადასხვა ღირებულებები ხშირად მოითხოვს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისადმი სხვადასხვა მიდგომას. ზოგჯერ ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. რომელიმე კონკრეტული ღირებულების (საგანმანათლებლო, ეროვნული, ტურისტული, ფუნქციური, ეკონომიკური ან პოლიტიკური) ზედმეტად გამახვილებამ შეიძლება გამოიწვიოს ჭარბი რესტავრაცია, უადგილო განვითარება და ავთენტურობის განადგურებაც კი.

➢ *ადეკვატური კონსერვაციის მეთოდოლოგიისა და*

მკურნალობის სტრატეგიის შემუშავებისათვის არსებითია განონასწორებული განსჯა ობიექტის ღირებულებების იერარქიასა და შეფასების სისტემატურ პროცესზე დაყრდნობით.

კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონსერვაცია თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის და განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ კუთხით მან კონკურენცია უნდა გაუწიოს დაგეგმვის პროცესის სხვა ასპექტებს. მეტად მნიშვნელოვანია ყოველი ღირსშესანიშნავი ადგილის რეალური და კრიტიკული შეფასება მათი ფიზიკური, კულტურული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასებისას განსაზღვრულ უნდა იქნას ობიექტის კულტურული ღირებულებები, ისევე როგორც ფართო სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში მათი სათანადო კონსერვაციის, ინტეგრაციისა და ღირებულებათა ამაღლების შესაძლებლობის ალბათობა.

8.1.3 მკურნალობის მიდგომების განსაზღვრა

მკურნალობის სტრატეგიები მოიცავენ ციკლურ და გეგმიურ მოვლას, სხვადასხვა ოდენობით გამაგრებას, კონსოლიდაციას, რესტავრაციას და ადაპტაციასაც კი. კონკრეტული ქმედების შესაბამისობა დასაბუთებულ უნდა იქნას სათანადო ღირებულებების კრიტიკული შეფასების საფუძველზე. საკონსერვაციო პოლიტიკის ნათელსაყოფად აუცილებელია მთლიანი კონცეფციისა და ცალკეული მოქმედებების შეთანადება. ყოველი ტიპის მკურნალობისათვის გამოყენებული ტერმინოლოგია მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონსერვაციისა და მართვის პროცესში ჩართულ პირებს შორის ურთიერთგაგება.

ქვემოთ მოყვანილია ყველაზე უფრო გავრცელებული ცნებების განსაზღვრებანი. ეს უფრო მინიშნებებია, ვიდრე ზუსტი დეფინიციები და შეიძლება კვლავაც გახდეს ბჭობის საგანი.

8.1.3.1 დაცვა

სამართლებრივი ტერმინოლოგიის მიხედვით, დაცვა გულისხმობს მოქმედებას, რომელიც საჭიროა ძეგლის, ღირსშესანიშნავი ადგილის ან ისტორიული არეალისთვის იმგვარი პირობების შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს მის გადარჩენას. აღნიშნული ტერმინი ასევე უკავშირდება ისტორიული ადგილების ფიზიკურ დაცვას ქურდობისა და ვანდალიზმის, გარემოს ზეგავლენის და ვიზუალური ჩარევის თავიდან აცილების მიზნით. ამ მიზანს ემსახურება ისტორიული არეალების ბუფერული ზონებიც.

სამართლებრივი დაცვა, რომელიც ეფუძნება კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, მიზნად ისახავს დამაზიანებელი მოპყრობისაგან დაცვის უზრუნველყოფას, განსაზღვრავს სათანადო ქმედების წესებს და ადგენს დამსჯელ ღონისძიებებს.

ფიზიკური დაცვა მოიცავს სახურავების, საფარების მოწყობას, ა.შ. ან, საჭიროების შემთხვევაში, საფრთხეში მყოფი ობიექტის უსაფრთხო ადგილას გადატანასაც კი.

8.1.3.2 შენარჩუნება

შენარჩუნება გულისხმობს ღონისძიებებს, გამიზნულს ღირსშესანიშნავი ადგილის არსებულ მდგომარეობაში შესანახად. ლათინურ ენებში ეს სიტყვა აღნიშნავს პრევენციულ ქმედებას. შეერთებულ შტატებში ტერმინს - „შენარჩუნება“ (historic preservation) იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბრიტანულ ტერმინ – „კონსერვაცია”-ს ისტორიულ შენობებთან მიმართებაში,

შენარჩუნების ღონისძიებები მოიცავს რეგულარულ შემოწმებას და ციკლურ და გეგმიურ მოვლას. ეს ნიშნავს, რომ ობიექტის შეკეთება უნდა მოხდეს მისი სიმრთელის საჭიროებისამებრ. პრაქტიკაში „შენარჩუნება“ ნიშნავს დაზიანების (მაგ., წყლის, ქიმიკატების, მწერების, მღრღნელების და სხვა მავნებლების, მცენარეებისა და მიკროორგანიზმებისაგან მიყენებული) აღმოჩენისთანავე მის შეჩერებას და მოცილებას.

8.1.3.3 კონსერვაცია

კონსერვაცია გულისხმობს მემკვიდრეობის ობიექტის არსებული მდგომარეობის ნგრევისა და ცვლილებებისაგან დაცვას, ე.ი. პრევენციული ღონისძიებების გზით დაზიანების თავიდან აცილებასა და მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას. კონსერვაციის ცნება მოიცავს სხვადასხვა ტიპის მკურნალობას, კერძოდ – შენობების, ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ისტორიული ქალაქების მოვლას, შეკეთებას, კონსოლიდაციასა და გამაგრებას. ურბანულ არეალებთან ან კულტურულ ლანდშაფტებთან მიმართებაში კონსერვაცია წარმოადგენს მართვის ინტეგრირებული მიდგომის ნაწილს. ამიტომაც, საჭიროა მცირე, თანდათანობით ცვლილებებთან შეგუება, თუმცა ამ დროს სათანადოდ გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ღირებულებები და ავთენტური ელემენტები, რომელთა გამოც ეს ტერიტორია დამცავ ზონად გამოცხადდა. UNESCO-ს რეკომენდაციაში „ისტორიული არეალების დაცვისა და მათი თანამედროვე როლის შესახებ“ (ნაირობი, 1976) სოციალური ფუნქციების შენარჩუნება და მუდმივი გამოყენება აღნიშნული არეალების კონსერვაციის ფუნდამენტურ პრინციპებად არის მიჩნეული.

ცნება კონსერვაცია ასევე გამოიყენება ცალკეული შენობების ელემენტების, კოლექციებში დაცული ნიმუშების მკურნალობის მნიშვნელობითაც. ამ კონტექსტში კონსერვაციის ღონისძიებები შემოიფარგლება თავდაპირველი მასალის დაცვით, განმენდითა და კონსოლიდაციით.

კონსერვაციის უპირველესი მიზანია კულტურული ობიექტის ავთენტურობისა და მთლიანობის შენარჩუნება.

8.1.3.4 კონსოლიდაცია

კონსოლიდაცია ნიშნავს კულტურული რესურსის არსებულ ქსოვილზე შემკვრელის ან დამხმარე მასალის ფიზიკური დამატების გზით მისი სტრუქტურული მდგრადობისა და სიმრთელის უზრუნველყოფას.

კონსოლიდაციის ღონისძიებებს შესაძლოა უარყოფითი შედეგი ჰქონდეს, თუკი სათანადოდ არ იქნება გათვალისწინებული

მკურნალობის შესაძლო მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფიზიკური შედეგები, მოსალოდნელი ცვლილებები ობიექტის თავდაპირველ ქსოვილში და ღონისძიებების რევერსიულობის შესაძლებლობა.

8.1.3.5 რესტავრაცია

წარსულში ტერმინ რესტავრაციას რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაზე გავრცელებული განმარტება გულისხმობდა ობიექტისათვის დაკარგული ფორმის ან იერის დაბრუნებას. ჩრდილო ამერიკაში ეს ტერმინი ხშირად დაკავშირებულია „პერიოდის რესტავრაციის“ (period restoration) ცნებასთან, რაც გულისხმობს ერთ რომელიმე პერიოდში შენობის მხატვრული გადაწყვეტის კონცეფციის ხელახლა შექმნას. ინგლისში რესტავრაცია მოიაზრებოდა როგორც ნეგატიური ან დამანგრეველი ქმედება, რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჯონ რასკინის თაოსნობით ნარმართული კამათის შედეგი იყო. ლათინური წარმოშობის ენებში რესტავრაცია გამოიყენება როგორც ნაშენი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებული ზოგადი ტერმინი.

დღეს რესტავრაციას მინიჭებული აქვს სპეციფიკური განმარტება, რაც ასახულია ვენეციის ქარტიის 9-13 პუნქტებში. რესტავრაციის მიზანი არის არა მარტო ობიექტის სიმრთელის კონსერვაცია, არამედ მისი კულტურული ღირებულებების გამოვლენა და თავდაპირველი ჩანაფიქრის აღქმის გაუმჯობესება. რესტავრაცია მეტად სპეციალიზირებული ქმედებაა, რომელიც ეფუძნება კრიტიკულ-ისტორიული შეფასების პროცესს და არავითარ შემთხვევაში – ვარაუდს. რესტავრაციის თანამედროვე გაგება – თავდაპირველი მდგომარეობის გამოვლენა შემორჩენილი მასალის ფარგლებში – განსხვავდება წარსული განმარტებისაგან, რომელიც მიმართული იყო ობიექტის თავდაპირველი სახის დაბრუნებაზე დაკარგული ნაწილების აღდგენის გზით. ფრანგული ტერმინი – *Mise-en-valeur* მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ცნებასთან.

8.1.3.6 რეკონსტრუქცია

რეკონსტრუქცია ნიშნავს ხელახლა აშენებას. ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ სამუშაოების აღსანიშნავად, რომელიც გულისხმობს თანამედროვე და ძველი მასალის ცალკე ან ერთად გამოყენებას დანგრეული ნაწილების ახლად აშენების მიზნით. რეკონსტრუქცია, ისევე როგორც რესტავრაცია, დაფუძნებული უნდა იყოს ზუსტ არქიტექტურულ და არქეოლოგიურ დოკუმენტაციასა და ფაქტებზე და არა ვარაუდზე.

რეკონსტრუქცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადეკვატურ სტრატეგიად სტიქიური უბედურებების შემდეგ, როგორიცაა ხანძარი, მინისძვრა ან საომარი მოქმედებები. რეკონსტრუქციის საჭიროება სათუოა და გაუმართლებელია ისეთ შემთხვევებში, როცა იგი ძეგლის ან მისი ნაწილის წარმოჩენის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება. ძეგლის ან მისი ნაწილის ახალ ადგილზე გადატანისას ასევე რეკონსტრუქციაა საჭირო, რაც დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ აუცილებლადაა მიჩნეული ობიექტის სტიქიური უბედურებებისგან (წყალდიდობა, გარემოს დაბინძურება) დაცვა. ობიექტის დაძვრა თავდაპირველი ადგილიდან დაუშვებელია, თუ ეს არაა „გამართლებული უაღრესად მნიშვნელოვანი ეროვნული თუ საერთაშორისო ინტერესებით"[2].

8.1.3.7 ანასტილოზი

ანასტოლოზი „რესტავრაციის", „სვეტების კვლავ აღმართვის" ბერძნული შესატყვისია და ნიშნავს „არსებული, მაგრამ განცალკევებული ნაწილების ხელახლა აწყობას"[3]. ანასტილოზი ძირითადად გამოიყენება მკაფიოდ გამოხატული კომპონენტების მქონე ნაგებობების შემთხვევაში, როგორიცაა მშრალი ქვის წყობა ან ხის კონსტრუქციები. მონოლითური სტრუქტურები, როგორიცაა, მაგალითად, დუღაბით შემტკიცებული აგური, არ ექვემდებარებიან ანასტილოზის მეთოდს.

ანასტილოზი რესტავრაციის ერთ-ერთი სახეობაა. მისი მიზანია ნანგრევის სივრცითი ხასიათის ვიზუალური აღქმის გაუმჯობე-

---

2 ვენეციის ქარტია, მუხ. 7

3 იქვე, მუხ. 15

სება, იქვე შემორჩენილი თავდაპირველი ვარგისი მასალის გამოყენებით მისი დაკარგული ფორმის აღდგენის გზით. სამუშაოები უნდა წარიმართოს იგივე პრინციპების დაცვით, რაც გამოიყენება რესტავრაციის დროს და გამყარებული უნდა იყოს არქეოლოგიური მონაცემებით. **ანასტილოზი რეკონსტრუქციის ერთადერთი ფორმაა, რომელიც, ზოგადად, მისაღებია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისათვის.**

8.1.4 მკურნალობა და არქიტექტურა

არქიტექტურა გულისხმობს ურთიერთობას სხვადასხვა მასალებთან, რომელიც იტვირთავს ფუნქციურ გამოყენებას და ექვემდებარება გარემო ფაქტორების ცვლილებებს. შენობა უნდა ფუნქციონირებდეს, უპირველეს ყოვლისა, როგორც სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმი, რომელიც უძლებს გარკვეულ სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებს. შენობას უნდა ჰქონდეს ინტერიერი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ გამოყენებას და დაცულ იქნას ვანდალიზმის, ქარის, წყალდიდობების, ხანძრის და მინისძვრების მსგავსი საშიშროებებისგან. შენობის მატერიალურ ქსოვილის თაობაზე ზრუნვის გარდა, კონსერვაცია ითვალისწინებს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ძეგლის ტერიტორიის, მისი ქსოვილისა და ფიზიკური გარემოს დაცვასთან.

- *პრევენციული მოვლა, უმეტეს შემთხვევებში, წინ უნდა უსწრებდეს მსხვილმასშტაბიანი ჩარევის აუცილებლობის წამოჭრას. ჯცნობილია, რომ კარგი მოვლა მნიშვნელოვნად ამცირებს ისტორიული ობიექტების კონსერვაციის ხარჯებს.*

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კონსერვაცია მნიშვნელოვანი თავსატეხია. ეს ნაწილობრივ განპირობებულია შესაბამისი საკითხების სირთულითა და მასშტაბით და ჩართული პროფესიების მრავალფეროვნებით. კონსერვაცია არ ექვემდებარება მარტივ ფორმულას, არამედ დამოკიდებულია მემკვიდრეობის ობიექტის ღირებულებათა სათანადო შემეცნებაზე.

კონსერვაციის პოლიტიკა მოიცავს სხვადასხვა მასშტაბის და ინტენსიურობის ჩარევების განხორციელებას.

- *განწესებული ქმედებები განპირობებულია ობიექტის ფიზიკური მდგომარეობით, დაზიანების გამომწვევი მიზეზებით და თითოეული კულტურული ობიექტის საკარაუდო სამომავლო გარემოთი.*

რადგან საქმე სპეციფიკურ სიმპტომებთან და მათთან დაკავშირებულ პრობლემებთან გვაქვს, ყოველი ობიექტი უნდა მოიაზრებოდეს, როგორც ერთი მთლიანი, მკურნალობის განაწესში ასახული ყველა ფაქტორის სათანადო გათვალისწინებით.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა დაეფუძნოს მრავალდისციპლინარული გუნდის აწონილ-დაწონილ დასკვნას. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის ამოცანები ამოსავალია პრიორიტეტული მიზნებისა და რეკომენდაციების დადგენისას. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მართვის საბოლოო ამოცანები და სწორი კონსერვაციისა და რესტავრაციის ზოგადი პრინციპები, კერძოდ:

- ამოცანების გაცნობიერება
- განწესებული დავალებების ურთიერთკავშირი
- მათი განხორციელების ზედამხედველობა

უნდა გვახსოვდეს, რომ მინიმალური ჩარევის პოლიტიკა, საზოგადოდ, საუკეთესო არჩევანია ეფექტური კონსერვაციის უზრუნველსაყოფად, ხოლო შენობების შენარჩუნების საუკეთესო გზა, სამუზეუმო კოლექციებისაგან განსხვავებით, მათი მუდმივი გამოყენებაა. თავდაპირველი ფუნქციის შენარჩუნება საუკეთესო შემთხვევაა, რადგანაც არ მოითხოვს შენობის მთლიანობის მნიშვნელოვან ცვლილებებს. თუკი ეს ვერ ხერხდება, შერჩეულ უნდა იქნას ახალი ფუნქცია, რომელიც თავსებადია შენობის/ტერიტორიის მხატვრულ ჩანაფიქრსა და ასოცირებულ ღირებულებებთან. აღნიშნული პრაქტიკა მოიცავს ე.წ. *mise-en-valeur* ან მოდერნიზაციას შესაბამისი საადაპტაციო ცვლილებებით ან მათ გარეშე.

მემკვიდრეობის ობიექტის გარდაქმნა ახალი ფუნქციის შესაბამისად (მაგ., ვენეციის შუა საუკუნეების მონასტრის ადაპტაცია ქვის

კონსერვაციის სკოლისა და ლაბორატორიის განსათავსებლად, ან მე-18 საუკუნის საჯინიბოს საცხოვრებელ სახლად გადაკეთება) ხშირად მისი ისტორიული და მხატვრული ღირებულებების გადარჩენის, ისტორიული შენობებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების თანამედროვე ცხოვრების, უსაფრთხოებისა და ფუნქციონირების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ერთადერთი ეკონომიკურად სანდო გზაა.

ისტორიული შენობის სამუზეუმო მიზნებით გარდაქმნა (ე.ი. კოლექციების გამოფენის ან სახლ-მუზეუმის მოწყობა) ასევე გულისხმობს მისთვის ახალი ფუნქციის მინიჭებას; ამ მიზნით ხშირად საჭიროა ტრანსფორმაციები დამთვალიერებელთა დიდი რაოდენობის განსათავსებლად და სათანადო უსაფრთხოების, მომსახურების, განათების და სხვა განწესებული სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

ახალი ფუნქციების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ისტორიულ ურბანულ არეალებში, სადაც მოსაგვარებელია მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, დაკავშირებული რეაბილიტაციის მართვასა და კონტროლთან. ისტორიული ქალაქის მუზეუმად გარდაქმნა თუ მისი სასტუმროდ, ან ტურისტების გასაჩერებლად გამოყენება განაპირობებს მისი თავდაპირველი სოციალური ფუნქციების სრულ ცვლილებას და ქალაქისათვის ახალი, განსხვავებული ხასიათის მინიჭებას. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ნაბიჯი, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს კეთილგონივრულ გადაწყვეტილებად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არსებული, თავსებადი სოციალური ფუნქციების შენარჩუნებას ან აღორძინებას.

8.1.5 მკურნალობა და ნანგრევები

- *ნანგრევებად ქცეული ძეგლი შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც შენობა, რომელმაც მისი თავდაპირველი ფორმა და შედგენილობა იმდენად დაკარგა, რომ წარსულს ჩაბარდა მისი, როგორც ფუნქციური ნაშენი ფორმის პოტენციური ერთიანობაც.*

თუმცა, ნანგრევი ასევე შეიძლება იყოს გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი და წარმოადგენდეს სპეციფიურ კულტურულ ღირებულებას. ისტორიულ ნანგრევებს დაკარგული ფიზიკური სიმრთელის გამო დაზიანების სპეციფიკური პრობლემები აქვთ და საგანგებო მკურნალობასა და მზრუნველობას იმსახურებენ. შედარებით მარტივ შემთხვევაშიც კი, როცა არ გვაქვს რთული ორნამენტული და სტრუქტურული მახასიათებლები, წარმატებული შედეგისათვის აუცილებელია შესაბამისი კონსერვაციისა და რესტავრაციის ღონისძიებების განსაზღვრა და ხელობის მაღალი ხარისხი.

ნებისმიერი ახალი სამუშაოს მოცულობა და ადგილი სათანადოდ უნდა იქნას განხილული, რადგანაც მან შეიძლება გავლენა იქონიოს ღირსშესანიშნავი ადგილის ისტორიულ ხასიათზე. მაშინაც კი, როცა ჩარევა მიმართულია ნანგრევის სტაბილიზაციის, დაცვისა და ინტერპრეტაციისაკენ, ახალი მოცულობის გაჩენის საკითხი ხშირად წინააღმდეგობრივია და მოითხოვს კონსერვაციის ამოცანების ფაქიზ და დაფიქრებულ გააზრებას.

- *მსოფლიო მემკვიდრეობის ნანგრევების მკურნალობის უპირველესი მიზანია მათი ფიზიკური დაცვა და საზოგადოებისათვის გაცნობა.*

ნანგრევის ინტერპრეტაცია და შეფასება დამოკიდებულია მისი ელემენტებისა და სტრუქტურული სიმრთელის დანაკარგთა ხარისხზე, მდებარეობასა და მოცულობაზე, ასევე დაკარგული მახასიათებლების შესახებ სანდო დოკუმენტაციის არსებობაზე და ძეგლისა და მისი გარემოს რაობის განსაზღვრისას მისი ნანგრევად ყოფნის კულტურულ მნიშვნელობაზე.

ანასტილოზის მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ღირშესანიშნავ ადგილზე შემორჩენილი ავთენტური ელემენტები საკმარისად კარგ მდგომარეობაშია და თუკი ჩატარებული სამუშაო არ დაარღვევს ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ჰარმონიულობას და მემკვიდრეობის ობიექტის ღირებულებებს, რადგან ისტორიულ ადგილს და მის გარემოს შეიძლება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური პოტენციალი ჰქონდეს. მეორე მხრივ, ღირსშესანიშნავი ადგილის კავშირმა მის

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტთან შეიძლება გადაწონოს მისი კულტურული ღირებულებები და ამგვარად გამართლებულ იქნას ადაპტაციური გამოყენება და მკურნალობა.

ყველა შემთხვევაში, აუცილებელია გაცნობიერებულ იქნას ის საფრთხე, რომ ზემოაღნიშნულმა ქმედებებმა შეიძლება შელახოს მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის სტატუსი ან, უკიდურეს შემთხვევაში, გამოიწვიონ აღნიშნული სტატუსის მოხსნა.

8.2 როგორი უნდა იყოს მკურნალობისა და ავთენტურობის თანაფარდობა?

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის პრინციპების თანახმად (პუნქტი 4), კულტურული ობიექტის მართვის უპირველესი მიზანია იმ ღირებულებების შენარჩუნება და საზოგადოებისათვის წარდგენა, რომელთაც განაპირობეს მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია მოვლის კომპლექსური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს რეგულარულ ინსპექტირებას. ობიექტისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის სტატუსის მინიჭება ართულებს მართვას გაზრდილი ტურისტული მოთხოვნების გამო, რომელიც აჩქარებს ძეგლის ცვეთას და იწვევს არასასურველი და დამაზიანებელი კომერციული საქმიანობის გაჩენას. სტატუსის მინიჭებამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს რესტავრაციის, ანასტილოზის და თვით რეკონსტრუქციის პოლიტიკური და კომერციული მოტივით განპირობებული, არასწორი ღონისძიებების დაგეგმვა. ამიტომაც, აუცილებელია დიდი სიფრთხილე, ყურადღება და ყველა ქმედების სათანადოდ გააზრება კონვენციის მოთხოვნების მიხედვით.

„კონვენციის შესრულების სამოქმედო პრინციპების" მიხედვით, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარდგენილი ძეგლი ან ღირსშესანიშნავი ადგილი უნდა პასუხობდეს ავთენტურობის ტესტის მოთხოვნებს მხატვრულ გადაწყვეტასთან, ხელობასთან, მასალასა და გარემოსთან მიმართებაში. მნიშვნელოვანი ღირებულებების კონსერვაციისათვის საჭიროა შემუშავდეს მიზანმიმარ-

თული სტრატეგია. ამგვარად, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც დაგეგმილია ნუსხაში მყოფი ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილისთვის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ კრიტერიუმებს. წინამდებარე რეზიუმე მოკლედ განმარტავს კულტურული ობიექტის იმ ასპექტებს, რომლებიც დაკავშირებულია ავთენტურობის სხვადასხვა ფორმასთან და კონსერვაციის შესაბამის ქმედებებთან. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მკურნალობის მეთოდის შერჩევისას სათანადო ბალანსის დაცვას, რათა შენარჩუნდეს მემკვიდრეობის ობიექტის ავთენტურობა, მისი ისტორიული ხასიათი და მნიშვნელობა.

მასალის ავთენტურობა:

მოწმობა:

თავდაპირველი სამშენებლო მასალა, ისტორიული სტრატიგრაფია, მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპების აღმნიშვნელი მოწმობები და ნიშნები და დაძველების პროცესი (სიძველის დაღი).

მკურნალობის მიზანი:

ისტორიული მასალის შენარჩუნება, ახალი და ისტორიული მასალის გარჩევადობის უზრუნველყოფა, რათა დამთვალიერებელი შეცდომაში არ შევიდეს; ისტორიული არეალებისა და ქალაქების შემთხვევაში ტერმინი „მასალა" გულისხმობს ფიზიკურ შენობებს, რომელიც არეალის შემადგენელი ქსოვილია.

განხორციელება:

მშენებლობის სხვადასხვა პერიოდებთან დაკავშირებული მასალის მოვლა და კონსერვაცია. ისტორიულ არეალებსა და ქალაქებში ეს გულისხმობს ისტორიული ქსოვილის მოვლას და თუნდაც ყველაზე დაძველებული შენობის შეცვლის თავიდან აცილებას, რადგანაც ისინი აყალიბებენ არეალის ისტორიული უწყვეტობის სურათს.

ხელობის ავთენტურობა:

მოწმობა:

თანადროული მშენებლობის ტექნოლოგიისა და ისტორიული შენობების მკურნალობის ტრადიციული ტექნიკის ამსახველი ნივთიერი შედგენილობის და ნიშნების არსებობა.

მკურნალობის მიზანი:
ნაგებობის მასალასა და სტრუქტურულ სისტემაში ასახული თანადროული ხელობის მოწმობათა შენარჩუნება.

განხორციელება:
თავდაპირველი მასალისა და სტრუქტურის კონსერვაცია და მოვლა. ტრადიციული მეთოდების გამოყენების გზით ჰარმონიის შექმნა შეკეთებულსა და ახალ ნაწილებს შორის.

ჩანაფიქრის ავთენტურობა:

მოწმობა:
ელემენტები ან ასპექტები, რომელშიც ასახულია მხატვრული, არქიტექტურული, საინჟინრო ან ფუნქციური ჩანაფიქრი (თავდაპირველი საზრისი და სათქმელი, მხატვრული და ფუნქციური იდეა, მემორიალური ასპექტი, ა.შ). ისტორიულ არეალებსა და ლანდშაფტებში ტერმინი „ჩანაფიქრი" მოიცავს უფრო ფართო კონტექსტს, ცალკეული შემთხვევის შესაბამისად.

მკურნალობის მიზანი:
ძეგლის კონსტრუქციაში, არქიტექტურაში, ურბანულ ან სასოფლო კომპლექსის ფორმებში გამოხატული ჩანაფიქრის კონცეფციის პატივისცემა.

განხორციელება:
ისტორიულ ნაგებობათა კონსერვაცია, მოვლა, შეკეთება, კონსოლიდაცია, რესტავრაცია ან ანასტილოზი, ახალი მოცულობების ჰარმონიზაცია ისტორიულ ფორმებში გამოხატული ჩანაფიქრის კონცეფციასთან.

გარემოს ავთენტურობა:

მოწმობა:
ობიექტის მშენებლობის პერიოდებთან დაკავშირებული ტერიტორია ან გარემო; ისტორიული პარკი ან ბაღი; ისტორიული ან კულტურული ლანდშაფტი; ურბანული ლანდშაფტის ღირებულება და ჯგუფური ღირებულება.

მკურნალობის მიზანი:
ობიექტის შენარჩუნება *in situ* და ძეგლისა და მისი მიდამოს პირ-

ვანდელი ურთიერთკავშირის შენარჩუნება.

განხორციელება:
დაგეგმვის კონტროლი, ურბანული და ტერიტორიული კონსერვაციის დაგეგმვა, ინტეგრირებული კონსერვაცია.

ავთენტურობისა და მკურნალობის ზემოაღნიშნული საკითხები ძირითადად შეეხება ისტორიულ ნაგებობებს, თუმცა მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს ტრადიციული დასახლებებიც, განსაკუთრებით კი სასოფლო დასახლებები, როგორიცაა ტრადიციული ცხოვრების წესისა და ფუნქციონირების შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებული სოფლები და კულტურული ლანდშაფტები, თანდათანობითი ცვლილებებისა და სამშენებლო საქმიანობის ჩათვლით. ასეთ შემთხვევებში, ტრადიციული ხელოსნობის და ჩვევების გაგრძელების ხელშეწყობა მართვის შესაბამისი პოლიტიკის არსებითი ნაწილია და ხელს უწყობს ტრადიციული ეკონომიკური სისტემის, ცხოვრების სტილისა და ყოფის კავშირს. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ტრადიციული ხელოსნობის ოდინდელი ხარისხის შენარჩუნებას და ინდუსტრიული პროდუქტებითა და მეთოდებით მათი ჩანაცვლების თავიდან აცილებას. გამოცდილებამ აჩვენა, რომ არსებულ მასალასთან ფიზიკური და ესთეტიკური შერწყმის უზრუნველსაყოფად, ჩარევისას რეკომენდირებულია ტრადიციული ტიპის მასალებისა და მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებით, ახალი საღებავის, დუღაბის, ან სხვა მასალის შემთხვევაში.

8.2.1 მასალის ავთენტურობასთან დაკავშირებული მკურნალობა

მასალის ავთენტურობა დაფუძნებულია მემკვიდრეობის ობიექტის იმ ღირებულებებზე, რომლებიც ასოცირებულია თავდაპირველ ფიზიკურ სუბსტანციასთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თავდაპირველი სამშენებლო ქსოვილის დაცვას, კონსერვაციასა და მოვლას როგორც ცალკეული შენობების, ასევე ისტორიული არეალების შემთხვევაში.

- *მკურნალობის მიზანია ავთენტური მასალისა და კონ-*

სტრუქციის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივება, მათი თავდაპირველი სახით შენარჩუნება ნაგებობასა თუ ტერიტორიაზე (in situ), სიძველის ღირებულების და ნიშნის, ასევე მისი ისტორიის, გამოყენებისა და სახეცვლის კვალის შენარჩუნება.

მცენარეებთან და ისტორიულ ბაღებთან მიმართებაში მასალის ავთენტურობის საკითხი განსხვავებულ სპეციფიკაციას მოითხოვს. რადგანაც მცენარეები ცოცხალი ორგანიზმებია და ემორჩილებიან ზრდის, დაბერებისა და სიკვდილის ბუნებრივ ციკლს, ამიტომ, ისინი უნდა შეიცვალოს სხვადასხვა ხანგრძლივობის ინტერვალით. სათანადო მოვლის შემთხვევაში ავთენტური მცენარეები შესაძლებელია შენარჩუნდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათი შემცვლელები შესაძლებელია გამრავლებულ იქნან იგივე გენეტიკური შტოდან. ეს მცენარეთა ავთენტურობის შენარჩუნების ერთ-ერთი სახეა. თუმცა, ზრდის განმავლობაში ერთგვარი კონკურენციის გამო, შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი მცენარის გადარგვა სხვა, უფრო შესაფერის ადგილზე.

ფაქტობრივად, ისტორიული ბაღების შემთხვევაში, უპირველესად უნდა გაირკვეს, თუ რამდენად შემორჩენილია მათი სიმრთელე და რა ქმედებები შეიძლება შესრულდეს ბაღის ისტორიულ მახასიათებლებთან საჭირო ბალანსის შენარჩუნებისათვის. ისტორიული ბაღის კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავებისას უმნიშვნელოვანესია კონსერვაციის მომენტის შერჩევა – მცენარეების შეცვლა უნდა მოხდეს რომელიმე კონკრეტული მომენტში: მცენარეთა ზრდის პროცესში ან მათი ზრდისა და დაბერების ციკლის მთლიანად ან ნაწილობრივ დამთავრების შემდგომ. ეს გადაწყვეტილება ინდივიდუალურია ყოველი კონკრეტული ბაღის შემთხვევაში. ძირითადად კი, ავთენტურობა შეეხება დაგეგმარების სქემას და კეთილმოწყობის ელემენტებს (ღობე, ცხაური, განათება, აუზი, ა.შ).

პრევენციული ქმედება გულისხმობს რეგულარულ მოვლას და, საჭიროების შემთხვევაში, შეკეთებას დაზიანების თავიდან ასაცილებლად. იგი ასევე მოიცავს პოტენციური საშიშროების წინმსწრებად, პირდაპირი ჩარევისა და დაგეგმვის მეშვეობით დაზიანების თავიდან აცილებას. ნანგრევის შემთხვევაში,

რომელსაც დაკარგული აქვს თავისი დამცავი გარსი, ამინდის ზეგავლენა განსაკუთრებით დიდია. ასეთ შემთხვევაში დამცავი ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს განსაკუთრებით ფაქიზ ადგილებში გადახურვის ან სახურავის მოწყობას. ამგვარი ღონისძიება უნდა იყოს სადა, რათა არ შეილახოს ძეგლის მახასიათებლები და ღირსშესანიშნავი ადგილის ღირებულებები. ექსტრემალურ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ძეგლის დეკორატიული ელემენტების მოხსნა და მუზეუმში გადატანა მათი კონსერვაციის მიზნით. ამგვარი ქმედება დროებითია და დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია დაცვის სხვა მეთოდების გამოყენება. ზოგადად ეს ეწინააღმდეგება დადგენილ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ისტორიული მნიშვნელობის მასალა უნდა შენარჩუნდეს თავდაპირველ გარემოში.

ავთენტური ელემენტების შეცვლა. მშენებლობის პროცესში გამოყენების მომენტიდან მასალა ხდება ისტორიული და განუყოფლად უკავშირდება ნაგებობის ისტორიული დროის ხაზს. მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებული მასალისა და კონსტრუქციული ელემენტების გამოცვლა ამცირებს მასალის ავთენტურობას ძეგლში, ამგვარი ჩარევა შეიძლება დაშვებულ იქნას ობიექტის პოტენციური მთლიანობის ფარგლებში, თუკი ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძირითადი სტრუქტურის გადასარჩენად. ავთენტური ელემენტების გამოცვლა მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული და უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ შეამციროს თავდაპირველი მატერიალური შედგენილობის ღირებულება. ორიგინალთან მიმსგავსებული მასალისა და ტრადიციული ხელობის გამოყენების შემთხვევაში, ჩარევის შედეგი სავსებით თავსებადი უნდა იყოს ნაგებობის თავდაპირველ ხასიათთან.

კონსოლიდაცია და გამაგრება. იმ შემთხვევაში, როცა მასალის და კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცე მცირდება ისე, რომ მათ აღარ ძალუძთ გაუძლონ მოსალოდნელ საშიშროებებს, რეკომენდირებულია კონსოლიდაციისა და გამაგრების მეთოდი. ასეთი ჩარევა გარკვეულწილად შეამცირებს ობიექტის ავთენტურობას, რადგან შეიცვლება მისი თავდაპირველი მატერიალური შედგენილობა. ტრადიციული მასალებისა და თანამედროვე ინდუსტრიული პროდუქტების კომბინაცია შესაძლებელია არათავსებადი გამოდგეს. ტრადიციული სამშენებლო მასალის გასამაგრებლად

თანამედროვე სამშენებლო მასალების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს თავდაპირველი მასალის ფიზიკურად ან ქიმიურად გარდაქმნა და, უცვლელი გარეგნული სახის მიუხედავად, მასალის ავთენტურობის დაკარგვა. ასეთი ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოსალოდნელი შედეგების ზუსტი შეფასების შემდეგ. გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ჩარევის მეთოდები, როგორიცაა ინექტირება და ხსნარის ჩასხმა, თითქმის ან სულ არარევერსიულია და წარუმატებელი გამოყენების შემთხვევაში შეუძლებელია მათი მოცილება. ასეთი ჩარევების განხორციელებამდე, არსებული მასალის მახასიათებლებისა და შემადგენლობის, გარემო ფაქტორების და ასევე შერჩეული მკურნალობის სამეცნიერო კვლევის საფუძველზე, დაცულ უნდა იქნას ბალანსი დაცვასა და გამაგრებას შორის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული ისტორიულ მოწმობათა განადგურება.

- *მკურნალობის შერჩეული მეთოდის ეფექტურობა სათანადოდ უნდა იქნას შემოწმებული. მკურნალობისათვის შერჩეული მასალის თავსებადობა მოცემულ მასალასთან დამტკიცებულ უნდა იქნას* ***ხანგრძლივი ტესტირების საშუალებით*** *მის ფართომასშტაბიან გამოყენებამდე.*

მასალის ტესტირების პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, რადგან მარცხი ხშირად მკურნალობიდან ათი და თხუთმეტი წლის შემდეგაც შეიძლება მოხდეს. მნიშვნელოვანია ისტორიული ნაგებობებისა და ძეგლების მკურნალობის ყველა შემთხვევის ზუსტი აღრიცხვის წარმოება, გამოყენებული მასალის ქცევის რეგულარული შემოწმება და ანგარიშების მომზადება. საკონსერვაციო მკურნალობის კვლევა სწორედ ამ ისტორიულ ანგარიშებს უნდა ეფუძნებოდეს.

ისტორიული არეალების ქსოვილთან მიმართებაში, ზედმიწევნით ზუსტად უნდა გამოირკვეს და განისაზღვროს თუ რა კომპონენტებს უნდა ჩაუტარდეს კონსერვაცია იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში, ავთენტურობა შენარჩუნდეს. ისტორიული ქალაქებისა და ტრადიციული დასახლებების ისტორიული ღირებულება მდგომარეობს მათ სტრუქტურასა და ქსოვილში. შესაბამისად, მხოლოდ ფასადების შენარჩუნება და მათ უკან ახალი შენობების ჩასმა იწვევს ავთენტურობისა და ისტორიული უწყვეტობის დაკარგვას.

ამიტომაც, ისტორიულ ქალაქებსა თუ დასახლებებში დაგეგმილი ჩარევების მიზანი უნდა იყოს, შეძლებისდაგვარად, კონსერვაციაზე დაფუძნებული რეაბილიტაცია.

8.2.2 ხელობის ავთენტურობასთან დაკავშირებული მკურნალობა

ხელობის ავთენტურობა დაკავშირებულია მასალის ავთენტურობასთან, მაგრამ მისი ძირითადი მახვილი მშენებლობის ხელობის მოწმობათა შენარჩუნებაზე ისმის. ამგვარად ის ემყარება ძეგლის არქეოლოგიურ პოტენციალს, როგორც ისტორიული ტექნოლოგიების მოწმობას.

- *მკურნალობის მიზანია გაუხანგრძლიოს სიცოცხლისუნარიანობა ყოველ ელემენტს, რომელიც წარმოაჩენს თანადროული ხელობის მოწმობას და ასევე უზრუნველყოს ამ ელემენტების თანამედროვე ჩარევით ფალსიფიკაციის თავიდან არიდება.*

კონსერვაცია. ხელობის ავთენტურობის ღირებულების შეცნობის საუკეთესო გზაა სამშენებლო მასალების წარმოების, მკურნალობის და ტრადიციული მშენებლობის მეთოდების სისტემატური შესწავლა, დოკუმენტირება და ანალიზი. სწორედ ეს კვლევა იძლევა საჭირო საფუძველს კონსერვაციის თანამედროვე საშუალებების თავსებადობისთვის.

კონსოლიდაცია. კონსტრუქციული გამაგრებისა და კონსოლიდაციის შემთხვევაში შენარჩუნებულ უნდა იქნას ისტორიული კონსტრუქციული სისტემის სიმრთელე და ფორმა. მხოლოდ ისტორიული შენობის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, ე.ი. როგორც „სტრუქტურულ-სივრცითი გარემოსმიერი სისტემის" (B. Fielden, Conservation of Historic Buildings, London, 1982) ქმედების შესწავლის შემდეგ არის შესაძლებელი ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, გარემოსთან თავსებადობის შესაფერისი რეგულირება, ახალ ფუნქციასთან ადაპტაცია, ა.შ.

მოვლა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობის ობიექტის

შეკეთებას ტრადიციული მეთოდებითა და მასალით. თუმცა, სადაც ტრადიციული მეთოდები ვერ ამართლებს, კონსერვაცია შეიძლება მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ამასთან, ისინი უნდა იყოს რევერსიული, შემოწმებული გამოცდილებით და პროექტის მასშტაბისა და კლიმატური პირობების შესაბამისი.

ხალხური (vernacular) არქიტექტურის შემთხვევაში, რომელიც ხშირად აგებულია ნაკლებად გამძლე და იოლად დასაზიანებელი სამშენებლო მასალისაგან (ტალახი, გამოუმწვარი აგური, ხე, ლერწამი, დატკეპნილი მიწა), დაზიანებული ან გაცვეთილი ნაწილების შეკეთების ან რესტავრაციისას გამოყენებულ უნდა იქნას იმავე ტიპის მასალა და ტრადიციული ტექნიკა. ჩანაფიქრის კონცეფციისა და დეტალების დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სამშენებლო მასალების შენარჩუნება. ხშირ შემთხვევაში საჭიროა დროებითი ზომების მიღება, მანამ სანამ შემუშავებულ იქნება უკეთესი ტექნოლოგია, მეტადრე მაშინ, თუ კონსოლიდაციას შეუძლია შეამციროს ობიექტის სიმრთელე და შეაფერხოს მომავალი საკონსერვაციო ქმედებები.

8.2.3 ჩანაფიქრის ავთენტურობასთან დაკავშირებული მკურნალობა

ჩანაფიქრის ავთენტურობა დაკავშირებულია ძეგლის, ღირსშესანიშნავი ადგილისა თუ მისი გარემოს არქიტექტურულ, მხატვრულ, საინჟინრო და ფუქციურ ჩანაფიქრთან. ძეგლის მემორიალური ღირებულება ასევე დაკავშირებულია ჩანაფიქრის ავთენტურობასთან და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეცნობადია მისი მიზანი.

- *მკურნალობის მიზანია იმ ავთენტური მასალებისა და კონსტრუქციების შენარჩუნება, რომელშიც ასახულია თავდაპირველი ჩანაფიქრი და, საჭიროების შემთხვევაში, მათი რესტავრაცია და მკურნალობის სხვა შესაფერისი მეთოდების გამოყენება, რომლებიც გამოავლენენ დროთა განმავლობაში გადაკეთების, უყურადღებობის, ან ნგრევის შედეგად შეცვლილ ან დაზიანებულ ისტორი-*

ულ ფორმებსა და კონსტრუქციებს და შესაბამის ღირებულებებს.

ისტორიული სტრატიგრაფია. რესტავრაცია, რომელიც მიმართულია ობიექტის დაკარგული ფორმის (სტილის) წინანდელი სახით აღდგენისა და რეკონსტრუქციისაკენ დროის შექცევადობის ილუზიას ქმნის. შედეგად გამონაგონს მივიღებთ, რასაც სტილისტური რესტავრაცია ეწოდება. ამგვარი მიდგომა გულისხმობს ამა თუ იმ პერიოდის ამსახველი ელემენტების მოცილებას. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში სტილისტური რესტავრაცია საყოველთაოდ მიღებულ მეთოდად ითვლებოდა, რესტავრაციის თანამედროვე სტრატეგია ეფუძნება ობიექტის მდგომარეობას მოცემულ მომენტში, რათა მისი ისტორიული დროის ხაზის საყურადღებო დანამატები აღიარებულ იქნას. ობიექტის სისტემატური შემოწმება, აღწერა და დოკუმენტირება საჭიროა მისი ფიზიკური მდგომარეობის და მთლიანობაში თუ ცალკეული ნაწილების მიხედვით მისი სიმრთელის შეფასებისათვის. ისტორიული ბაღებისა და ლანდშაფტების შემთხვევაში ყოვლად აუცილებელია ისტორიული მცენარეების შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა.

იმ შემთხვევაში, თუკი განვითარების ისტორიული ფაზები ერთმანეთს გადაფარავს, ობიექტის ისტორიული სტრატიგრაფიის ქვედა შრეები შეიძლება გახსნილ იქნას მათი შესწავლისა და დოკუმენტირებისათვის. შენობის ადრეული ფენების ნებისმიერი სახით დემონსტრაცია მოითხოვს სიფრთხილეს, რათა არ მოიშალოს მათი ღირებულებითი წვლილი და კონსერვაციის შესაძლებლობა. ისტორიული პერიოდის ამსახველი ელემენტის მოხსნა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როცა „მოხსნილ ელემენტს მცირე ღირებულება აქვს; ამავდროულად, ამ ქმედების შედეგად გამოვლენილი მასალა დიდი ისტორიული, არქეოლოგიური ან მხატვრული ღირებულების მქონეა და მისი მდგომარეობა საკმარისად კარგია იმისათვის, რომ გამართლებულ იქნას განხორციელებული ქმედება“ (ვენეციის ქარტია, მუხლი 11). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პირობების დაკმაყოფილება ძნელია.

რეინტეგრაცია, ანუ დაკარგული ნაწილების (ლაკუნა) შევსება ძირითადად მისაღებია, თუკი არსებობს ამ ნაწილების პოტენციური ერთობა, რაც ქმნის მყარ საფუძველს აღნიშნული ქმედების

განსახორციელებლად. დანაკარგების შევსების მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება მისი კონტექსტის შეფასებას. იგი უნდა გამთლიანდეს მხოლოდ ფაქტიურ მოწმობებზე დაყრდნობით. თუკი რეინტეგრაცია არ აუმჯობესებს მთლიანი სტრუქტურის პოტენციურ ერთიანობას, ან თუკი შეუძლებელია ლაკუნას შევსება მისი მოცულობის, მდებარეობის ან დაკარგული ნაწილების მხატვრული სახის გამო – აღნიშნული ქმედებები არ ჩაითვლება შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როცა დაკარგული ნაწილების რეინტეგრაცია შესაძლებელია, მკურნალობა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ნაგებობის, ან სხვა ობიექტის რეინტეგრაციის მიზანია თავდაპირველ ჩანაფიქრთან ჰარმონიული შერწყმა ფერის, ფაქტურის და ფორმის თვალსაზრისით, ამავდროულად ყველაფერი ჩანაცვლებული პირვანდელისგან მკაფიოდ უნდა განირჩეოდეს, რათა რესტავრაცია არ დაემსგავსოს მხატვრული ან ისტორიული მოწმობის ფალსიფიკაციას. თუმცა, ახალი და ძველი ელემენტების განსხვავების შემოტანისას იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ კონტრასტი გადამეტებული არ გამოვიდეს. უპირველესი მიზანია ახალსა და ძველს შორის განსხვავების დაფიქსირება და არა მისი ხაზგასმა. ასევე აღსანიშნავია, რომ ახალი ელემენტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პირვანდელ ქსოვილს.

თუკი დაკარგული ნაწილების გაერთიანება შეუძლებელია – ასეა ხოლმე ნანგრევებად ქცეული შენობების შემთხვევაში, სადაც ძეგლის პოტენციური ერთიანობა დაკარგულია ფაქტობრივ მოწმობათა სიმწირის, ან დაზიანების მოცულობის გამო – მკურნალობის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ნანგრევის არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. ნებისმიერი გამაგრება ან კონსოლიდაცია ჩატარებულ უნდა იქნას მინიმალური ჩარევის მეთოდით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ობიექტის ფიზიკური სტაბილიზაცია მისი არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების ხელყოფის გარეშე. ასეთი ღირსშესანიშნავი ადგილების ისტორიის და მათთან დაკავშირებული ძეგლების ესთეტიკური ღირებულებების ინტერპრეტაცია და დამთვალიერებელთათვის წარმოდგენა ადგილზევე ხელმისაწვდომი მოწმობების მოშველიებით უნდა მოხდეს.

ამგვარი ღონისძიებები მოიცავს პუბლიკაციების, მცირე მასშტაბის სამგანზომილებიანი მოდელის, ფრაგმენტების კომბინაციის მომზადებას და გამოფენას ადგილზე ან მუზეუმში.

ანასტილოზი. იმ შემთხვევაში, როცა ადგილზე ჯერაც შემორჩენილია განცალკევებული ნაწილები, მისაღებია ანასტილოზის მეთოდი, თუკი იგი დაეფუძნება სანდო მონაცემებს ამ ელემენტების თავდაპირველი მდებარეობის შესახებ. ანასტილოზი ხელს უწყობს ძეგლის თავდაპირველი ჩანაფიქრისა და მხატვრული მნიშვნელობის აღქმის გაუმჯობესებას. ამასთან, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას, რომ განცალკევებული ელემენტები ხშირ შემთხვევაში იმდენად დაზიანებულია, რომ მათი ფორმა აღარ ამოიკითხება და ისინი ანასტილოზისთვის არ გამოდგება.

ზედმიწევნითი ანასტილოზი რთული მისაღწევია, რაც დასტურდება მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლის ანასტილოზისას მიღებული გამოცდილებით. ამიტომაც ამ მეთოდის ფართომასშტაბიანი გამოყენება შეზღუდული უნდა იყოს. გადაჭარბებული გამოყენების შემთხვევაში, ანასტილოზმა ღირსშესანიშნავი ადგილი შეიძლება ფილმის დეკორაციას დაამსგავსოს, რაც ამცირებს მის კულტურულ ღირებულებას.

ახალი მასალების გამოყენებით რეკონსტრუქციის შემთხვევაში იკარგება ისტორიული ავთენტურობა და შედეგად ვიღებთ სრულიად ახალ შენობას. რეკონსტრუქციამ, მეტადრე ფართომასშტაბიანმა, შეიძლება გამოიწვიოს ძეგლის არასწორი ინტერპრეტაცია. თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა განახლება იმ ტრადიციული პროცესის ნაწილია, რომელსაც თავად გააჩნია განსაკუთრებული ღირებულება. ამის ნათელი მაგალითია პერიოდულად იაპონური შინტოს ტაძრების დეკორის განახლებისა და რეკონსტრუქციის ტრადიცია. ასეთი ცერემონიალური განახლება რესტავრაციის თანამედროვე კონცეფციის მიღმა რჩება. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვაცია გულისხმობს ისტორიული ძეგლების, ანსამბლების ან ღირსშესანიშნავი ადგილების, როგორც თანამედროვე საზოგადოების ნაწილის ღირებულების აღდგენას (mise-en-valeur) მათი მნიშვნელოვანების ანდა საზრისის დაკარგვის გარეშე, იგი არ ნიშნავს ცოცხალი კულტურული ტრადიციების უგულებელყოფას, თუკი ეს ტრადიციები

საზოგადოებაში შემორჩენილია ავთენტური სახით, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ისტორიული არეალების, მეტადრე მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების შემთხვევაში, პრიორიტეტები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ტერიტორიის მთლიანი ქსოვილისა და ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და კონსერვაცია. ნებისმიერი ცვლილება და ახალმშენებლობა უნდა განხორციელდეს, როგორც რეაბილიტაციის პროცესის შემადგენელი ნაწილი და ხელს უნდა უწყობდეს შესაბამისი არეალის ისტორიული და არქიტექტურული მთლიანობის შენარჩუნებას.

8.2.4 გარემოს ავთენტურობასთან დაკავშირებული მკურნალობა

დღეს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია, განსაკუთრებით, თუკი იგი ეხება მსხვილ ურბანულ ან სასოფლო ტერიტორიებს, აღიარებულია, როგორც კულტურული და გარემოს განვითარების შემადგენელი ნაწილი. ცვლილებების მდგრადი მართვის სტრატეგიები, რომლებიც სათანადოდ ითვალისწინებენ კულტურულ მემკვიდრეობას, მოითხოვს კონსერვაციის მიდგომების ინტეგრაციას თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებთან, ტურიზმის ჩათვლით.

ისტორიული ქალაქების და ტრადიციული სასოფლო დასახლებების ნიშანდობლივი ღირებულებები და მახასიათებლები განხილულ უნდა იქნენ უფრო ფართო - რეგიონალური და ეროვნული განვითარების გეგმების კონტექსტში. ეს ხშირად ერთადერთი გზაა დაგეგმვის პროცედურების გადამწყვეტ ეტაპებზე ამ დასახლებებისა და ქალაქების სპეციფიკური ფუნქციური, სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნების სათანადო გათვალისწინების გარანტირებისათვის. გარემოს ავთენტურობა გამოიხატება ობიექტისა და მისი ფიზიკური კონტექსტის ურთიერთკავშირით. ეს მოიცავს ბუნებრივი და ურბანული ლანდშაფტის ღირებულებებსა და ადამიანის მიერ შექმნილი ნაგებობების ურთიერთკავშირს მათი გარემოს კონტექსტთან.

ძეგლების შენარჩუნება ადგილზე (*in situ*) წარმოადგენს ძირითად პირობას ზემოაღნიშნული ღირებულებების შენარჩუნებისათვის. ღირსშესანიშნავი ადგილის მკურნალობა გავლენას ახდენს მთლიანობაში გარემოცვაზე და ღირებულებებზე, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ისტორიული განვითარების პროცესში. დანგრეული ძეგლი დროთა განმავლობაში იძენს სპეციფიკურ კულტურულ ღირებულებებს და ნანგრევის სახით ხდება მისი გარემოს განუყოფელი ნაწილი. ეს განსაკუთრებით ამართლებს იმ შემთხვევაში, როცა ნანგრევი ხდება გვიანდელი ქმნილების შემადგენელი კომპონენტი, როგორც, მაგალითად, ფაუნტეინის სააბატოს ნანგრევი მე-18 საუკუნის ლანდშაფტური ბაღის – სტადლი როიალის კონტექსტში. მსგავსად ამისა, ბერძნული და რომაული ანტიკური ძეგლების ნაშთები, რომლებიც ნანგრევის ფორმით აღიარებულია მსოფლიო კულტურის ნაწილად, საჭიროებს მათი ნანგრევის სახით კონსერვაციის მკაცრ პოლიტიკას. გადაწყვეტილება ამგვარი ნანგრევების ანასტილოზის შესახებ, დაკავშირებული უნდა იყოს ძეგლის ფიზიკურ და ისტორიულ კონტექსტთან და მისი გარემოს საერთო ბალანსთან.

თავად **ლანდშაფტები** საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, ტბების რაიონი ინგლისში, რომელიც საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა პოეტებისა და მხატვრების ყურადღების საგანს. პარალელურად არსებობს იაპონური ცნება „ნასესხები ლანდშაფტისა" (borrowed landscapes) რომელიც აფართოებს ვიზუალურ ღირებულებებს ბაღის ფიზიკურ საზღვრებს მიღმა (ამ კონცეფციას აქტიურად იყენებენ ევროპაში მე-17 საუკუნიდან) და **კულტურული ლანდშაფტები**, რომლებიც ჩამოყალიბდნენ, როგორც ადამიანის ჩარევისა და ბუნების ხანგრძლივი დროის მანძილზე ჰარმონიული ურთიერთკავშირის დასტური. რადგანაც კულტურული ლანდშაფტი ხშირად წარმოადგენს კონკრეტული ცხოვრების წესის პროდუქტს ან განუყოფლად ასოცირებულია მასთან, ამ წესის ნებისმიერი ცვლილება გავლენას მოახდენს აღნიშნულ ლანდშაფტზე. შესაძლებელია თუ არა ცხოვრების წესის მთლიანობაში დაკონსერვება? კონსერვაციის სპეციალისტისათვის უკეთესია მიზნად დაისახოს გარკვეული ცხოვრების წესის შედეგად ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი ობიექტების შენარჩუნება, ვიდრე მთლიანად ამ ცხოვრების წესის კონსერვაცია.

ამგვარად, კულტურულ ლანდშაფტს ქმნის მთელი ის გარემო, რომელიც ადამიანმა ჩამოაყალიბა ან ააშენა. მის ფარგლებში ზოგიერთი არეალი შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს, როგორც სპეციალური ისტორიული კუთხით საგულისხმო ტერიტორიები, ე.ი. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ისტორიულ-ასოციაციური ან ისტორიულად მოსაზღვრე ლანდშაფტები", ან როგორც „თანამედროვეობისთვის საინტერესო" ტერიტორიები. ყველა მათგანი მოითხოვს სათანადო ყურადღებას, შესაბამისი დოკუმენტაციისა და დაცვის გეგმების შედგენას.

მიტაცება და აგრესიული კომერციული განვითარება ტიპიურ საფრთხეს წარმოადგენს და შესაბამისად გათვალისწინებულ უნდა იქნას კონსერვაციის მართვაზე პასუხისმგებელი სამსახურების მიერ. ამის გარდა, კარგად დაგეგმილმა ადაპტაციამ და ახალი ფუნქციებისა და ინფრასტრუქტურების განვითარებამ შესაძლოა ყურადღება მოაცილოს თავდაპირველ ძეგლებს და მათ კონტექსტუალურად მნიშვნელოვან გარემოს. ნებისმიერი საინფორმაციო პუნქტი, საგამოფენო სივრცე თუ მომსახურების სხვა ობიექტი დაგეგმილ უნდა იქნას ფრთხილად, რათა გარანტირებულ იქნას ლანდშაფტის მთლიანობა. **საკმაო ზომის ბუფერული ზონები უნდა იქნას დადგენილი ლანდშაფტისა და ისტორიული ქალაქის კონტექსტის დასაცავად აგრესიული ელემენტებისგან, რომლებიც აკნინებენ კულტურულ ღირებულებებს. რეგიონალური და ადგილობრივი დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს *genius loci* და მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის სტატუსის მნიშვნელობას და უზრუნველყოფდეს ყველა სახის ნეგატიური ზეგავლენის პრევენციას ან მკაცრ კონტროლს.**

8.3 დასკვნა

მსოფლიო მემკვიდრეობა წარმოადგენს მყიფე, არაგანახლებად, შეუცვლელ რესურსს. მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვის მიზანია მათი ავთენტურობის და იმ ღირებულებების შენარჩუნება, რომელთა გამოც მათ მიენიჭა ეს სტატუსი. შესაბამისად, ნებისმიერი მკურნალობა უნდა დაეფუძნოს მინიმალური ჩარევის სტრატეგიას და უნდა მოიცავდეს რეგულარული და პრევენციული მოვლის პროგრამას. ჩარევის ოდე-

ნობა და გამოყენებული ტექნოლოგია დამოკიდებულია როგორც თავად ობიექტზე, ასევე მისი გარემოს კონტექსტსა და მასზე მოქმედ კლიმატურ პირობებზე.

ობიექტის შეფასების პროცესი გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ჩარჩო შესაბამისი ღირებულებებისთვის პრიორიტეტების მისაკუთვნებლად, მართვის ამოცანების განსაზღვრისა და პრეზენტაციის სტრატეგიის შემუშავებისათვის. დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის ღირებულებები და მახასიათებლები ფართო საზოგადოებისათვის გასაგები ენით, მკაფიოდ უნდა წარმოაჩენდეს ობიექტის მნიშვნელობას და მის ღირებულებებს.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების წარმატებული მკურნალობა დამოკიდებულია შეფასების ეფექტურ პროცესზე. მკურნალობის ტიპები იცვლება ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის მახასიათებლების მიხედვით, თუმცა იგი მუდამ ეფუძნება კრიტიკულ მსჯელობას. ნებისმიერი სახის მკურნალობის დაგეგმვისას უაღრესად მნიშვნელოვანია იმ კონკრეტული ღირებულებების გათვალისწინება, რომელთა გამოც ღირშესანიშნავ ადგილს მიენიჭა მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი. შესაბამისად, მკურნალობის პრიორიტეტები უნდა დადგინდეს საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად და სამომავლოდ უნდა მომზადდეს სათანადო სამოქმედო გეგმები.

რაიმეგვარი სამუშაოს დაწყებამდე, ნებისმიერი მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილის რესტავრაციისა და ანასტილოზის წინადადება, ისევე როგორც მართვის იმგვარი წინადადება, რომელიც ზეგავლენას ახდენს მის გარემოზე, წარდგენილ უნდა იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტისადმი განსახილველად და შენიშვნების მოსაწოდებლად. ფუნდამენტური სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს **მინიმალური ჩარევის პრინციპის** გატარებას, არის ის, რომელიც ეფუძნება **რეგულარულ შემოწმებას** და **პრევენციულ მოვლას.**

8.3.1 მართვის კონტროლის კრიტერიუმები

- ✓ არის თუ არა სათანადოდ განსაზღვრული მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის ფუძემდებელი ღირებულებები?

- ✓ ნათლად თუა აღწერილი აღნიშნული ღირებულებები შესაბამის დოკუმენტში, რომელიც ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისა და მომხმარებლებისათვის?

- ✓ აქვს თუ არა სათანადოდ გაცნობიერებული ადგილობრივ მაცხოვრებლებს და მომხმარებლებს მათი მემკვიდრეობის ღირებულებები?

- ✓ სათანადოდ არის თუ არა წინ წამოწეული არსებული პოლიტიკის მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის კონსერვაციის ამოცანები?

- ✓ გამოიყენება თუ არა საერთაშორისო კონვენციებსა და ქარტიებში ასახული პრინციპები?

- ✓ დადგენილია თუ არა ძეგლის ღირებულებების შესაბამისად საკონსერვაციო მკურნალობის პრიორიტეტები?

- ✓ ადაპტაციის წინადადების შემუშავებისას, არის თუ არა სათანადოდ შენარჩუნებული ისტორიული ავთენტურობა?

თავი IX

ქალაქგეგმარება და მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები

9.1. შესავალი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი გამოირჩეოდა ინტენსიური ინდუსტრიული განვითარებით, ისევე როგორც მოსახლეობის მკვეთრი ზრდითა და მსოფლიო რესურსების ჭარბი მოხმარებით, რის შედეგადაც სულ უფრო მზარდი ზრუნვის საგანი გახდა გარემოს მდგრადი განვითარება და რესურსების შესაბამისი მართვა, რაც აისახა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში: კონფერენცია სტოკჰოლმში 1972, საცხოვრისის შესახებ კონფერენცია (Habitat Conference) ვანკუვერში 1976, კონფერენცია გარემოს შესახებ რიო-დეჟანეიროში 1992, საცხოვრისის შესახებ II კონფერენცია (Habitat II Conference) სტამბულში 1996, ისევე როგორც გაეროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის (United Nations World Commission on Environment and Development) მოხსენებაში (brudtland report), რომელიც 1987 წელს იქნა გამოქვეყნებული.

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია ასახავს განვითარების ზემოაღნიშნულ პროცესს, ყურადღებას მიაპყრობს რა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას ისტორიული დასახლებებისა და კულტურული ლანდშაფტებისა, სადაც მემკვიდრეობის კონსერვაცია დაპირისპირებულია საზოგადოების განვითარებასა და ეკონომიკასთან დაკავშირებულ მართვის საკითხებთან და ფასეულობებთან. ცვლილების კონტროლი და განაშენიანებული გარემოს დაგეგმვა წარმოადგენს დინამიკურ პროცესს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ახლად გაჩენილ საჭიროებებზე დაუყოვნებლივი რეაგირე-

ბა. ამის გარდა, ფიზიკური ნაგებობებისა და მათი გარემოს ურთიერთკავშირის დაცვის მიზნით, ურბანული კონსერვაცია ასევე მოიცავს შესაბამისი ფუნქციების და, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენების ტრადიციული ფორმების შენარჩუნებას. ისტორიული ქალაქებისა და კულტურული ლანდშაფტების კონსერვაცია აუცილებლად მოითხოვს სხვადასხვა პროფესიონალების, მათ შორის ქალაქმგეგმარებლების, არქიტექტორების, სოციოლოგების და ადმინისტრატორების ჩართვას. ამავდროულად, სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობასა, ტექნიკოსებსა და ადმინისტრატორებში მემკვიდრეობის ღირებულებებისა და ისტორიული ნაგებობების მნიშვნელობის შესახებ შეგნების ამაღლება. ასევე მნიშვნელოვანია რეკომენდაციების შემუშავება ტრადიციული მასალების გამოყენების, რეგულარული მოვლისა და დროული შეკეთების შესახებ და, იმ შემთხვევაში, თუ გარდაუვალია ახალი ნაგებობებისა და საწარმოების შემოტანა, საამისო კრიტერიუმების დადგენა. ამოცანის სირთულის გათვალისწინებით, ჩვენი სახელმძღვანელო შემოიფარგლება კონსერვაციის დაგეგმვის პროცესის მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტის მიმოხილვით.

9.1.1. ისტორიული ქალაქების მახასიათებლები

კარგად მოვლილი ისტორიული ურბანული ცენტრი მრავალ უპირატესობას სთავაზობს მის მაცხოვრებლებს. იგი ძლიერ მყუდრო და ინტიმურია, გააჩნია ადამიანური მასშტაბი და მდიდარია სხვადასხვა ფუნქციით. ახლად დაგეგმარებულ ქალაქებთან შედარებით, ისტორიული უბნები შეიძლება მეტად მოსახერხებელი იყოს საცხოვრებლად, საგანგებო საზოგადოებრივი ფუნქციებისათვის, შესაბამისი მასშტაბის სხვადასხვა მომსახურებისათვის, გართობისა და ვაჭრობისათვის. ჩვეულებრივ, ქალაქი ფორმირებულია უმნიშვნელოვანესი შენობების ირგვლივ, როგორიცაა კათედრალი, მეჩეთი, ციხე-სიმაგრე ან მერია და ცენტრალური სავაჭრო მოედანი. ისტორიულ ქუჩებს, ჩიხებს, თვით არხებსა და ხიდებს ხიბლი და მიმზიდველობა გააჩნიათ ფეხით მოსიარულეთათვის. ეს ურბანული სივრცეები ერთობლიობაში ნამდვილ ვიზუალურ დრამას გვთავაზობენ – შეკუმშვის, განვრცობის, განცვიფრების მძაფრი შეგრძნებით და დახვეწილი არქიტექტურული სურათების

მოფიქრებული განლაგებით. ძირითადი შენობების ვიზუალური აღქმის სხვადასხვა წერტილები წარმოადგენენ ერთგვარ ორიენტირებს. მოქალაქეებს, რომლებმაც იციან მათი ქალაქის ისტორია, გააჩნიათ ისტორიის უწყვეტობის და თვითმყოფადობის შეგრძნება და საკუთარ თავს აღიქვამენ, როგორც ამ ისტორიის უშუალო მონაწილეები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შენობას სიმბოლური დატვირთვაც აქვს. ამ შენობების გარეშე ისტორიული უბანი აღარასოდეს იქნებოდა იგივე.

ისტორიული ქალაქის მატერიალური ავთენტურობის და ისტორიული ღირებულების ამსახველი არსი და არქეოლოგიური პოტენციალი დაცულია თითოეულ შენობაში, ისევე როგორც ქალაქის ინფრასტრუქტურაში. ხშირად ურბანული ქსოვილის დიდი ნაწილი შედგება უბრალო შენობებისაგან, რომელთაც არ გააჩნიათ განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება – ეს არის უცნობი არქიტექტორებისაგან შექმნილი ხალხური არქიტექტურა, რომელიც დაკავშირებულია ღია მოედნებით, გასასვლელებით, ქუჩებითა და პარკებით. სწორედ ეს ურბანული სტრუქტურა, სადაც განვითარდა ქალაქის სპეციფიკური ცხოვრება, გამოარჩევს ისტორიული ქალაქის ცნებას ძეგლთა ჯგუფისაგან. რადგანაც მათი განადგურება ან მოუვლელობა ისტორიული ქალაქის არსს გაანადგურებს, შემუშავებულ უნდა იქნას სათანადო პოლიტიკა ისტორიული შენობების შენარჩუნებისათვის.

- *ისტორიული ქალაქის ღირებულება მისი ქვებისა და შენობების მატერიალურ სახეშია განსხეულებული და ხშირად დაფარულია მათ ხილულ ზედაპირს მიღმა. ეს ისტორიული სტრატიგრაფია — დროთა განმავლობაში ფუნქციათა ცვლილებით მოტანილი მოწმობები და ნიშნები, ისევე როგორც კავშირები და უწყვეტობა, რომელიც ინდივიდუალურ შენობებს ურბანული კონტექსტის ნაწილად აყალიბებს, შეადგენს ისტორიული ქალაქის კონსერვაციის კრიტერიუმების შემუშავების საფუძველს.*

მაგალითად, რომში შესაძლებელია სრულებით რიგით ნაგებობებში ანტიკური რომაული ნაგებობების ნაშთების ნახვა. შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ისტორიული ქალაქების მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ როგორ აყალიბებენ ცალკეული შენო-

ბები უწყვეტ ურბანულ ფორმას, რომელიც შედგება საცხოვრებელი უბნებისა (თავისი მომსახურებებით და საზოგადოებრივი სივრცეებითურთ) და ძირითადი კომერციული არეალებისაგან. ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული ქალაქების ურბანული ქსოვილი შედგება სხვადასხვა ელემენტებისა და ფუნქციებისაგან, რომლებიც ერთანეთთან მჭიდროდაა შეკავშირებულ-შეჭიდებული.

ჩანაფიქრის ავთენტურობა გამოიხატება ისტორიული ქალაქის სხვადასხვა ასპექტში. იგი აისახება მთლიანი ქალაქის გეგმის ჩანაფიქრში, ისევე როგორც ინდივიდუალური შენობების არქიტექტურულ, მხატვრულ, საინჟინრო და ფუნქციურ ჩანაფიქრში, მათ ურთიერთკავშირში და გარემოსთან მიმართებაში.

- *ტრადიციული სამშენებლო მასალებითა და მშენებლობის მეთოდებით შექმნილი ჰარმონია წარმოადგენს ავთენტურობის ნაწილს და სათანადოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს.*

ბუნებრივ პიგმენტებზე ან კირის საღებავზე დაყენებული ტრადიციული ფერების გამოყენება უნდა გაგრძელდეს. ამასთან, დაცულ უნდა იქნას ქალაქის ფაქტურა და მასშტაბი და თავიდან უნდა იქნას აცილებული ახლის უხეში შემოჭრა. ამა თუ იმ ადგილს სწორედ მისი ხასიათი (*genius loci)* აქცევს უნიკალურად და ანიჭებს გამორჩეულ ღირსებას.

- *ისტორიული ქალაქი მრავალფუნქციური ორგანიზმია, რომელსაც ახასიათებს საცხოვრებელი, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობები. რადგანაც მრავალფუნქციურობა ურბანული ორგანიზმის ძირითად არსებას წარმოადგენს, ისტორიული არეალი შესაბამისად უნდა განისაზღვროს და ზემოაღნიშნული ასპექტები ადეკვატურად უნდა იქნას გათვალისწინებული და ადმინისტრირებული.*

ქალაქის, როგორც ურბანული ერთეულის უწყვეტობისათვის არსებითია ისტორიულ არეალში ყოველი შენობის და მათი სოციალური ფუნქციის შენარჩუნება და მოვლა. სტრუქტურული და ეკო-

ნომიკური პრობლემების დროულად აღმოსაჩენად ისტორიული ქალაქის კონსერვაციის გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგულარული შემოწმებები კონსერვაციის არქიტიტექტორების მიერ. ამ გეგმაში ასევე უნდა აისახოს ის გარემო, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს ისტორიული ქალაქი. ისტორიული არეალების სათანადო დაცვის ერთადერთ გზას წარმოადგენს პოლიტიკის გაფართოება დაგეგმვის უფრო ვრცელი კონტექსტის გათვალისწინების მიზნით.

9.1.2 ისტორიული ქალაქების წინაშე მდგარი საშიშროებები

დღეს ისტორიული ქალაქების ფუნქციონალური და ტრადიციული მთლიანობა ხშირად საფრთხის წინაშეა; განსაკუთრებით – განვითარებად ქვეყნებში. დაზიანების მრავალრიცხოვან მიზეზებს შორისაა:

- დემოგრაფიული ზრდა და მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის გადაადგილება სასოფლო ტერიტორიებიდან ურბანული ცენტრებისაკენ, რაც იწვევს სოციალურ ცვლილებებს და ქალაქების ისტორიული ცენტრების რღვევას, სადაც სასახლეები იძენს კომერციულ დატვირთვას, საცხოვრებელი შენობები კი ხშირად გადატვირთული და არაჯანსაღია;
- პირადი საავტომობილო ტრანსპორტის მზარდი გამოყენება ისეთ ადგილებში, რომლებიც არასოდეს ყოფილა განკუთვნილი ტრანსპორტისათვის, რაც წარმოშობს ატმოსფერულ დაბინძურებას და დამანგრეველ ვიბრაციას;
- მაღლივი შენობების გავრცელება, რომლებიც ცვლის ისტორიული ურბანული ცენტრების მიკროკლიმატს;
- სამრეწველო და კომერციული ოპერაციების მეთოდებისა და მასშტაბის ცვლილებები, რაც გავლენას ახდენს ისტორიული ადგილების ეკონომიკურ ფუნქციებზე;
- ხელოსნობიდან მასობრივ წარმოებაზე გადასვლა, რაც მოითხოვს მსხვილმასშტაბიან ნაგებობებს და შედეგად იწვევს ისტორიულ ცენტრებში ტრანსპორტის კონცენ-

ტრაციას, რასაც ისინი ვერ იტევს;

- თანამედროვე ფუნქციების და ახლებური მომსახურების შემოტანას ტრადიციული ინფრასტრუქტურების ნაცვლად, რაც იწვევს უმუშევრობას;
- ძველი შენობების მოვლა-პატრონობის ნაკლებობა და მათი კულტურული და ფუნქციონალური ფასეულობების არასათანადო გაგება, რაც ზრდის მათი განადგურების საშიშროებას.

თანამედროვე ქალაქმგეგმარებლები ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ ისტორიული ცენტრების კულტურულ მნიშვნელობას. ავტოტრანსპორტის უპირობო გამოყენება ხშირ შემთხვევაში იწვევს ისტორიული ცენტრების ფაქიზ ქსოვილში ფართო, სწორი ქუჩების გაყვანას, რის შედეგადაც ირღვევა ისტორიული უბნების ადამიანური მასშტაბი, ურბანული ქსოვილის დახვეწილი ტრადიციული სტრუქტურა და ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩების ქსელი, ისევე როგორც საზოგადოებრივი და კერძო სივრცეების თანაფარდობა. ისტორიული უბნებისათვის ზიანის მომტანია ისეთი თანამედროვე შენობების მშენებლობა, რომელთაც არც კულტურული ფესვები გააჩნიათ და ვერც გარემოსთან ჰარმონიულად თანაქმედებენ.

დაკნინების გზაზე დამდგარი ისტორიული არეალების გადაქცევა სხვადასხვა სოციალური კატეგორიებისათვის მიმზიდველ, ცოცხალ ცენტრად შესაძლებელია საცხოვრებელი, კომერციული, მცირე საწარმო და დასასვენებელი აქტივობების ტრადიციული ნაზავის აღორძინებით. ურბანული მართვის მიზანია ჰარმონიის შექმნა, გამოყენების არასასურველი სახეების თავიდან აცილება და შენობა-ნაგებობების არსებული მასშტაბის, ისევე როგორც მათი ფუნქციური და კულტურული ღირებულებების შენარჩუნება. ამ მიდგომის მეთოდოლოგიას ეწოდება ***ინტეგრირებული კონსერვაცია***.

9.2 დაგეგმვის ამოცანები

ისტორიული ქალაქებისადმი მიძღვნილ ყველა ქალაქგეგმარებით კვლევაში, არსებითია რაიმე გადაწყვეტილების შემუშავებამდე სწორი ამოცანების ჩამოყალიბება. არ არსებობს უნივერსალური მოდელი, რადგანაც თითოეულ შემთხვევაში გამოყენებული ტექნოლოგია დამოკიდებულია პროფესიულ რესურსებზე და იმ სოციალურ და ფიზიკურ სტრატეგიებზე, რომლებიც ეხება მოცემულ ისტორიულ ცენტრს.

- *მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქებში უპირველესი ამოცანაა ურბანული ქსოვილის შენარჩუნება მისი მომგებიანი გამოყენების მეშვეობით.*

ურბანული მასშტაბით, კონსერვაცია მოიცავს არა მხოლოდ კულტურულ და ისტორიულ ფასეულობებს, არამედ მათგან განუყოფელ ეკონომიკურ და სოციალურ შინაარსსაც. ისტორიულ ქალაქში კონსერვაციის პრობლემას უფრო მეტად პოლიტიკური და ეკონომიკური მიდგომები წამოჭრის, ვიდრე რომელიმე ფიზიკური ასპექტი. ქალაქი წარმოადგენს რამდენიმე ისტორიული პერიოდის და სპეციფიკური სოციალური, კულტურული, ანთროპოლოგიური, გეოგრაფიული და ეკონომიკური ურთიერთკავშირს ნაყოფს.

- *ისტორიული ცენტრი უფრო დიდი მთლიანობის შემადგენელი ნაწილია და შესწავლილ უნდა იქნას როგორც დღევანდელი დინამიკური რეალობის ნაწილი და არა როგორც ჭვრეტისა და ტურისტთა მიზიდვის სტატიკური საგანი.*

ისტორიულად, ქალაქში შექმნილი სიმდიდრე ხმარდებოდა საკულტო შენობების, ძეგლების, სასახლეების, ბაღების და სხვა ობიექტების აგებას. დღეს პრობლემას წარმოადგენს ამ გაუფლანგავი სიმდიდრის ჭკვიანური კონტროლი, რომელიც წარმოიქმნება ქალაქში ერთ დროს კერძო მოხმარების ობიექტის კოლექტიური მოხმარების საგნად გარდაქმნისას. კონსერვაციის ხელშეწყობისაკენ მიმართული ღონისძიებები, შესაბამისად, უკავშირდება დინამიკურ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს და არა სტატისტიკურ ან ტექნიკურ საშუალებებს. ამგვარად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქისა და მისი რეგიონის სოციალური და ეკონომიკური გამოყენების დაგეგმვას.

9.2.1 ინტეგრირებული კონსერვაცია

- *ინტეგრირებული კონსერვაცია გულისხმობს კონსერვაციის მოთხოვნებისა და ქალაქგეგმარების ამოცანების შეთანხმებას, ე.ი, არსებული ისტორიული ქსოვილის ღირებულებებისა და ინტერესების გათვალისწინებას ზოგადი დაგეგმარების პროცესის სხვა ფაქტორების თანასწორი სტატუსით.*

მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქები საყოველთაოდ აღიარებულია მათი „განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების" გამო. შესაბამისად, გადამწყვეტი როლი ენიჭება მათი ავთენტურობისა და კულტურული ღირებულებების სათანადო დაცვის გარანტირებას. ინტეგრირებული კონსერვაცია მოიცავს ისტორიული შენობებისა და არეალების კონსერვაციას და რეაბილიტაციას და ისეთი საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფას, რომელიც ითვალისწინებს ისტორიული არეალების კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ისინი არის აგებული. იმისათვის, რომ გარანტირებულ იქნას აღნიშნული პროცესის გრძელვადიანი წარმატება, იგი განხორციელებულ უნდა იქნას ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით და ქალაქგეგმარების კანონმდებლობისა და ნორმების გამოყენებით.

- *ნებისმიერი სახის დაგეგმვის და არსებულ ქსოვილში ჩარევის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ობიექტის შესწავლა და გაგება მისი ისტორიისა თუ თანამედროვე მდგომარეობის თვალსაზრისით.*

- *კონსერვაციის დაგეგმვის საწყის წერტილს წარმოადგენს ქალაქის ისტორიული ქსოვილის იდენტიფიკაცია მის ზედმიწევნით შესწავლასა და ანალიზზე დაყრდნობით.*

ბოლოდროინდელი ნაგებობები შეიძლება გავიაზროთ მათი აგების ძირითადი ნორმებისა და სტანდარტების საფუძველზე. უფრო ძველი ქსოვილი, როგორც წესი, ასევე არ არის ხოლმე გაგებული, ამიტომაც საჭიროა დეტალური კვლევები მისი აგების ტექნოლოგიებისა და კრიტერიუმების გამოსავლენად. ისტორიუ-

ლი ქსოვილის ასეთი „წაკითხვა“ შესაძლებელია შენობებისა და მათი ურბანული გარემოს არქიტექტურული, სტრუქტურული და ფუნქციონალური ტიპოლოგიის სისტემური ანალიზით. ანალიზი უნდა წარმოადგენდეს კონსერვაციის დაგეგმვის საფუძველს, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს ისტორიული არეალების პოტენციალის ოპტიმიზაციას.

➢ *ისტორიული ურბანული სტრუქტურის და თანამედროვე, ტრანსფორმირებული ქსოვილის იდენტიფიკაციას აადვილებს თანამედროვე საკადასტრო რუკებისა და მსგავსი ტიპის საარქივო დოკუმენტების შედარებითი კვლევა.*

სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში არსებობდა სხვადასხვა კანონები და წეს-ჩვეულებები, რაც განპირობებული იყო არსებული ტექნიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოტივებით. აღნიშნული მიზეზების და მათი გამოყენების მეთოდების გამოვლენა (მაგ., თანადროული სახელმძღვანელოების შესწავლა) უაღრესად საჭიროა ისტორიული შენობების განლაგების, მშენებლობის მეთოდების, საზოგადოებრივი სივრცის მოწყობის ლოგიკის სწორად გასაგებად.

შედეგად, შესაძლებელია როგორც შემორჩენილი ისტორიული შენობებისა და სივრცეების, ასევე ნგრევისა და თანამედროვე მინაშენების იდენტიფიკაცია. ამგვარი ანალიზი ეხმარება მნიშვნელოვანი ისტორიული არეალებისა და შესაბამისი ბუფერული დამცავი ზონების ფიზიკურ განსაზღვრას და ასევე დაგეგმარების ნორმების შემუშავებას მათი სათანადო კონსერვაციისათვის.

ურბანული არეალების ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალების კვლევა ეხმარება ისტორიული არეალების თვით-შენარჩუნების უზრუნველყოფას. განვითარების კონტროლი დამოკიდებულია დამგეგმარებლებზე და ითვალისწინებს მასშტაბური, აგრესიული შენობების, არასასურველი სატრანსპორტო ნაკადებისა და შეუსაბამო ფუნქციების თავიდან აცილებით ქალაქის ბალანსის შენარჩუნებას. მაღალი ბიზნეს-ცენტრები ისტორიული ცენტრისაგან მოშორებით უნდა იქნას განლაგებული; წყლის საქაჩი სადგურები, სამრეწველო ნაგებობები და ზოგიერთი დაწესებულებებიც კი შეიძლება იყოს დამანგრეველი, თუ სათანადო სიფრთხილ-

ით არ მოხდება მათი განლაგების დაგეგმვა.

- *სატრანსპორტო მოთხოვნები გაანალიზებულ უნდა იქნას დეტალურად, ისტორიული არეალებში სამანქანო და საფეხმავლო ნაკადების გამტარუნარიანობის საფუძველზე.*

ზოგი ისტორიული არეალის გეგმარება ბუნებრივად ქმნის ბარიერს საავტომობილო ნაკადებისათვის (მაგ., ვიწრო ქუჩები და ქუჩა-კიბეები). ნებისმიერ შემთვევაში, აუცილებელია ავტოტრანსპორტის მოთხოვნების გათვალისწინება კონკრეტული არეალის ძირითადი საჭიროებების შესაბამისად. აუცილებელია ისტორიულ უბნებში სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვა, რადგანაც ისინი აწუხებენ მოსახლეობას და აჩქარებენ ისტორიული შენობების დაზიანებას. ისტორიულ ზონაში სამანქანო მოძრაობის შეზღუდვის საუკეთესო მეთოდია შემოვლითი მაგისტრალების მოწყობა და, ამასთანავე, ქალაქის ისტორიულ ნაწილში შესაბამის არეალებთან მისასვლელების უზრუნველყოფა.

UNESCO-ს მიერ შემუშავებულ წინადადებაში ისტორიულ ქალაქ ალეპოს კონსერვაციისათვის დაფიქსირებულია ზემოაღნიშნული საშიშროებები და მოცემულია ძირითადი გეგმა და რეკომენდაციები საკითხის შემდგომი შესწავლისათვის. ქვემოთ მოყვანილია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შენიშვნა:

„ისლამური ურბანული ქსოვილის ფუნდამენტური სტრუქტურული მახასიათებლები, როგორიცაა მისი არქიტექტურის ჩაკეტილი გეგმარება, ცალკეული შენობების შედარებით დიდ დაჯგუფებებში ჩართვა, ურბანული სტრუქტურის განუწვალებლობა და საფეხმავლო ქსელის თავისებური ხასიათი, არ ყოფილა მხედველობაში მიღებული დაგეგმვის წინა დოკუმენტებში. ძველ ქალაქში არქიტექტურული ტიპოლოგიითა და მასშტაბით გამოწვეული სპეციფიკური პირობები მცირე ოდენობით თუ დაუშვებს ისეთ საქმიანობას, რაც პირდაპირ ითხოვს სატვირთო ტრანსპორტით მომსახურებას.“

მრავალი ისტორიული არეალი, მათ შორის მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქები, შედგება თითქმის გაუკაცრიელებული

არეალებისა და ჯეროვან ინფრასტრუქტურას მოკლებული საცხოვრებლებისაგან; სატრანსპორტო პრობლემა აქ ფეხით მოსიარულეებისა და ავტოტრანსპორტის მოთხოვნათა კონფლიქტში მდგომარეობს. ამ ქალაქების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა კერძო საკუთრების განაწილების რთული სურათი. აქ თავს იჩენს ეკონომიკური პრობლემებიც: თუკი ტერიტორიის ღირებულება აღემატება შენობის ღირებულებას, წარმოიქმნება ტერიტორიის ახლებური განვითარების საფრთხე. ასეთი ისტორიული ცენტრების ინტეგრირებული კონსერვაცია გულისხმობს ყველა პოლიტიკური და ტექნიკური ძალის გაერთიანებას და დისციპლინათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში არქეოლოგების, ეთნოგრაფების, სოციოლოგების და ისტორიკოსების, არტიტექტორებისა და მშენებლების უნარ-ჩვევების თავმოყრას კონსერვაციის საკითხებში კომპეტენტური ქალაქმგეგმარებლის ხელმძღვანელობით.

9.2.2 ცვლილების კონტროლი

➢ *ურბანული კონსერვაციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ურბანულ სისტემაში ცვლილების ოდენობის კონტროლი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ სისტემის სასიცოცხლო ძალების და მისი კვდომის პოტენციური მიზეზების ცოდნა.*

სამშენებლო მასალების შედარებითი გამძლეობის გამო ურბანული ქსოვილი ხანგრძლივად არსებობისკენაა მიდრეკილი. ადამიანის საქმიანობა კი, რომელიც ამ ქსოვილში წარმოებს, პირიქით, გაცილებით სწრაფად იცვლება (საცხოვრებელი სტანდარტები, ოჯახის წევრების რაოდენობა, საწარმოო საშუალებები, ახალი ტექნოლოგიების მიერ შემოტანილი ცვლილებები, როგორიცაა ავტომანქანები, ტელევიზორი, მასობრივი გადაადგილებები ომებისა და ბუნებრივი კატასტროფების გამო). დროთა განმავლობაში წარმოიქმნება შენობებისა და ინფრასტრუქტურის ნამდვილ თუ მოჩვენებით მოძველებასთან დაკავშირებული კონფლიქტის ალბათობა. თუკი შესაბამისი ზომები არ იქნება მიღებული, აღნიშნული პროცესი განაპირობებს არასწორ დაგეგმარებას, რომელიც, თავის მხრივ, გამოიწვევს არსებული შენობების შემდგომ დეგრადირებას.

არსებობს მოძველების ორი ძირითადი მიზეზი:

- ფიზიკურ-სტრუქტურული ან ფუნქციური;
- ადგილობრივი ან გარემოსმიერი, გამოწვეული ხმაურით, სატრანსპორტო მოძრაობით ან ჰაერის დაბინძურებით.

არასწორი დაგეგმარება ერთგვარი ეკონომიკური „დაავადებაა", რომელიც გამოწვეულია საკითხების გადაწყვეტის უუნარობით ან მოდერნიზაციის დაჩქარების ზედმეტად ამბიციური, წარუმატებელი მცდელობებით. ის აგრეთვე შესაძლებელია გამოიწვიოს კატასტროფებისათვის მზაობის გეგმის არქონამ სეისმურად აქტიურ ან წყალდიდობის ზონებში. კარგად მომზადებულ ტიპოლოგიურ-ფუნქციურ ანალიზსა და რეაბილიტაციის პროგრამაზე დაყრდნობით, ურბანული კონსერვაციის მართვის სისტემა საკმარისად მოქნილი უნდა იყოს ცვლილებებთან მორგების, კონფლიქტების განტვირთვისა და მიტოვებული ადგილების თანდათანობით განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით. ამასთან, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკვანძო წერტილებში **დროულ და მინიმალურ ჩარევებს საუკეთესო შედეგი მოაქვს ადგილობრივი საზოგადოებისთვის.**

ქალაქებისა და სოფლების ურბანული და რეგიონალური სისტემები საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა სხვადასხვა ძალების ზემოქმედებით, რომელთა ფარგლებში საზოგადოებრივი და კერძო სექტორის მეწარმეებსა და მიწათმფლობელებს შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება. უმეტეს თემებში ეს ქმედებები კონტროლდებოდა მთავრობის ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი პირობებითა და შეზღუდვებით. წარსულში სამშენებლო ტექნოლოგიისა და სტილის მდგრადი გამოყენება თავისებურ ჰარმონიას ქმნიდა და ქმედებების მასშტაბიც შეზღუდული იყო. ურბანული და რეგიონალური დაგეგმარება ჩამოყალიბდა მხოლოდ მე-20 საუკუნეში, როგორც შეუზღუდავი, კერძო ინტერესების მქონე საბაზრო ურთიერთობებსა და საზოგადოების ამოცანებსა და მიზნებს შორის კონფლიქტის მოგვარების საშუალება.

ასეთი დაგეგმარება სამთავრობო ფუნქციად იქცა საკუთარი კანონებით, ადმინისტრაციითა და ფინანსური რეგულირებით. ეს ფუნქცია, ჩვეულებრივ, მოიცავს გეგმის მომზადებას, გეგმის განხორციელებას და მის შემოწმებას. ეს პროცესი სხვადასხვა

ქვეყანასა და დროში ერთნაირი არ არის. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი შეეფარდება ქვეყნის კულტურას, ტრადიციას და ამ ქვეყანაში არსებულ პროფესიულ რესურსებს. გამზადებული სისტემების სესხება დიდი შეცდომაა, რადგანაც ისინი შესაძლებელია არ მიესადაგოს ადგილობრივი მოსახლეობის სურვილებსა და მოთხოვნილებებს. მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქები მუზეუმები როდია. ისინი უნდა იყოს ადგილები, სადაც ხალხი ცხოვრობს, მუშაობს და თავისუფალ დროს ატარებს.

9.3. დაგეგმვის პროცედურა

თუკი გაცნობიერებულია განსხვავება ზოგად ფიზიკურ დაგეგმარებასა და სპეციფიკური კულტურული ფასეულობებით გამორჩეული არეალების დაგეგმარებას შორის, შესაძლებელია ქალაქგეგმარების პროცესისათვის გარკვეული მოდელის გამოკვეთა, რომელიც გამოყენებულია მთელს მსოფლიოში აქცენტუაციისა და ადაპტაციის განსხვავებული ხარისხით. ამ პროცეში შედის:

- არსებული სიტუაციის იდენტიფიკაცია;
- გეგმარებითი ჩარევის გარეშე მომავალი მოვლენების ერთგვარი განჭვრეტა;
- იმ სავარაუდო სამომავლო შესაძლებლობების ფორმულირება, რომელიც წარმოიქმნება დაგეგმვის შედეგად;
- ასეთი ვარიანტების ვარგისიანობის და სასურველობის შეფასება;
- შერჩეული ვარიანტის დეტალური დამუშავება;
- შერჩეული ვარიანტების განხორციელებისათვის პროგრამისა და საამისოდ საჭირო იურიდიული, ადმინისტრაციული, ფინანსური და სხვა საშუალებების ფორმულირება;
- განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილების მოშველიებით აღნიშნული ვარიანტების გადახედვა, რაც მოითხოვს მოვლენების რეგულარულ მონიტორინგს.

ურბანული არეალის ტიპიურ გენერალურ გეგმას ორი მთავარი

კომპონენტი აქვს. პირველი შედგება ტერიტორიის მომხმარებლების (მაცხოვრებლები, სხვა ტიპის ყოველდღიური მომხმარებლები) ახლანდელი და მომავალი პროფილის დახასიათებისაგან. მეორე კომპონენტი კი უზრუნველყოფს მათთვის მიწათსარგებლობის ტიპების შესაბამისი კომბინაციის მიწოდებას ისეთი საქმიანობებისათვის, როგორიცაა მრეწველობა, სავაჭრო ცენტრები, სკოლები, რათა მოხდეს სათანადო ფიზიკური განვითარება.

მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ისტორიული ქალაქების შემთხვევაში ურბანული დაგეგმარების ჩვეულებრივი ტექნოლოგია, რაც გულისხმობს დემოგრაფიული ტენდენციების, მოსახლეობის მოძრაობის, სატრანსპორტო ნაკადებისა და ტრანსპორტის (რაც ასევე მოიცავს ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის რაოდენობის ზრდის საკითხს) შესწავლას, წინადადებების შემუშავებას ფუნქციური ზონირებისათვის და ტერიტორიების გამოყოფას განვითარებისათვის და გაუმჯობესებული სატრანსპორტო მოძრაობისათვის – ხშირად ხისტი და არაადეკვატურია.

ზონირების კონცეფცია – ყოველი არეალის გამოყენების ერთი კონკრეტული კატეგორიის გამოყოფა — ეწინააღმდეგება „ცოცხალი“ ისტორიული ცენტრის კულტურულ სიმდიდრესა და სოციალურ მრავალფეროვნებას. ზონირებაზე დაფუძნებული სტატისტიკა ვერ უზრუნველყოფს საკმარისად ზუსტ ინფორმაციას კონკრეტული საკუთრების შესახებ. ასევე დიდია რისკი არსებული ისტორიული რეალობის სათანადო გათვალისწინების გარეშე ზოგადი სტანდარტების გამოყენების შემთხვევაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არსებული მასშტაბისა და ურბანული სტრუქტურის განადგურება.

ისტორიულ უბნებში არსებული სოციალური პრობლემები მოითხოვს ამომწურავ კვლევას ადგილობრივი პირობების შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებით. არსებული საკუთრების ფორმები და მათზე სახელმწიფო კანონმდებლობისა და ტრადიციების ზეგავლენა სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული. თუ ისინი ან მათი დაუფიქრებელი გამოყენება ეწინააღმდეგება ეფექტურ მართვას, შესაძლებელია მათი თანდათანობით ან კანონმდებლობის მეშვეობით შეცვლა. ამ საკითხის მნიშვნელოვანი ფაქტორებია განათლება და პროფესიული სწავლება.

ეროვნულმა და რეგიონალურმა გეგმებმა შეიძლება არსებითი

გავლენა იქონიონ მსოფლიო მემკვიდრეობის ღირშესანიშნავ ადგილებზე. ასეთი გეგმები შესწავლილ უნდა იქნას დაკვირვებით, რის შედეგადაც დროულად უნდა იქნას შეთავაზებული ნებისმიერი შესწორება, რომლებიც საჭიროდ ჩაითვლება კონსერვაციის მართვისათვის. ტიპიურ საშიშროებებს წარმოადგენენ ახალი გზების გეგმები, სამრეწველო ობიექტების განლაგება და მავნე აირებით დაბინძურება. მსოფლიო მემკვიდრეობის კონსერვაცია უნდა წარმოადგენდეს უმაღლეს პრიორიტეტს დაგეგმვის ყველა დონეზე, ადგილობრივი გენგეგმიდან რეგიონული, სამხარეო და ეროვნული სტრატეგიების ჩათვლით.

➢ *მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქებში არსებული პრობლემები სხვადასხვა კუთხით დაკავშირებულია გარემოს უფრო ზოგად გარემოსდაცვით საკითხებთან და განვითარების კონტროლთან.*

აღნიშნული საკითხები ნათლადაა ასახული გაეროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის (United Nations World Commission on Environment and Development) მოხსენებაში (გაერო, 1987 წ.) და იმავე წელს გამოქვეყნებულ ტოკიოს დეკლარაციაში. ამ მოხსენებებში სიღარიბე აღიარებულია გარემოს დეგრადაციის მთავარ წყაროდ და, ამავდროულად, ხაზგასმულია საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება განვითარების ხარისხის შეცვლის და რესურსების მარაგის კონსერვაციისა და გაუმჯობესებისათვის. ეს გულისხმობს ტექნოლოგიის რეორიენტაციასა და რისკ-ფაქტორების მართვას, აგრეთვე გარემოს დაცვისა და ეკონომიკური საკითხების ინტეგრაციას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ეს ახალი მიდგომა გააძლიერებს **კონსერვაციის ინტეგრირებული დაგეგმვის** მოთხოვნას, რეალისტურ მართვასთან და კულტურული ობიექტების **მდგრად განვითარებასთან** ერთად.

ეროვნულ და ადგილობრივ მმართველობებს ხშირად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ქალაქგეგმარების პრიორიტეტების შესახებ. აღნიშნული კონფლიქტი შესაძლებელია გადაწყდეს არსებული ვითარების შესწავლითა და შემდგომი რეგულარული ინსპექტირების მეშვეობით ობიექტის მდგომარეობის ზუსტი იდენტიფიკაციის მიზნით.

9.3.1. ინსპექტირება და შემოწმება

➢ *ქალაქის გეგმა უნდა ეფარდებოდეს არსებული განაშენიანების პოტენციალს. შემორჩენილი ისტორიული განაშენიანების დეტალური შემოწმება ქალაქმგეგმარებლებს საშუალებას მისცემს შეადგინონ რეალური გეგმები, კულტურული ობიექტების საუკეთესო გამოყენებით.*

ისტორიული ურბანული არეალების მართვა ტრადიციული ურბანული დაგეგმარებისგან გამოირჩევა რეგულარული შემოწმების აუცილებლობით. თუ ცნობილია ობიექტის ზუსტი რაობა და არსებობს სრული სააღრიცხვო დოკუმენტაცია, შესაძლებელია მისი არქეოლოგიური ღირებულებების იდენტიფიკაცია. ზოგჯერ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო შენობაში დაფარულია უმნიშვნელოვანესი ელემენტები, რომლებიც შენარჩუნებისა და რესტავრაციის ღირსია.

რეგულარული ინსპექტირების მრავალი გზა არსებობს. როცა ადგილობრივად არსებული პროფესიული მომზადება არასაკმარისია, ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისია ამტკიცებს შესაბამისი კვალიფიკაციის არქიტექტორების საბჭოს. გარემოებების მიხედვით, შესაძლებელია ამ სამუშაოს სრული ანაზღაურება ან სუბსიდიების სახით დაფარვა. ასევე საჭიროა მესაკუთრეების გაფრთხილება, რათა ინსპექტორებს მისცენ დათვარიელების საშუალება. ეს პროცესი გაცილებით გამარტივდება, თუკი შემოწმების შემდგომ მესაკუთრეები მიიღებენ ანგარიშის ასლს, რაც დაეხმარება მათ გააცნობიერონ, რომ რეგულარული შემოწმება ამცირებს ობიექტის მოვლის გრძელვადიან ხარჯებს.

9.3.2 განხორციელება

მრავალ ქვეყანაში დაგეგმვის პროცედურა იწყება მთელი ქვეყნის მასშტაბით და შემდგომ გადადის სამხარეო, რეგიონულ და ქალაქის დონეზე; ასეთივე პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა პასუხისმგებლობა დელეგირებულია ადგილობრივ თემებზე. გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო ხელმძღვანელობს და აკონტროლებს განვითარების, კონსერვაციის და რეაბილიტა-

ციის სააგენტოების ღონისძიებებს. დაგეგმვის სამსახურს ასევე შეიძლება შეთავსებული ჰქონდეს დაგეგმვის განხორციელების განსაკუთრებული ფუნქციები კონკრეტული სექტორებისათვის, როგორიცაა წყალმომარაგების, სანიაღვრე და საკანალიზაციო, ელექტრომომარაგების, გზების, ავტოსადგომებისა და ბინათმშენებლობის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, აგრეთვე ისტორიული შენობებისა და ცენტრების კონსერვაცია. განხორციელება ხანგრძლივი ღონისძიებაა, რომელიც იწყება ქალაქგეგმარებითი პროცესიდან. ამგვარადვე მოხდება პროცესის პერიოდული ზედამხედველობა და გეგმის გადამოწმება.

- *ობიექტის, ღირსშესანიშნავი ადგილის ან ისტორიული ცენტრის ღირებულების შეფასებისას კონსერვაციის დაგეგმვის სპეციალისტის მუშაობა მიმართულია უმცირესიდან უფრო მნიშვნელოვანისკენ; იგი, პირველ რიგში, აღწერს საკვლევი ობიექტის ისტორიას და ამჟამინდელ მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ აყალიბებს მინიმალური ჩარევის წინადადებას მისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.*

- *დაზიანება შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ეკონომიკური და კულტურული, ასევე ფიზიკური მიზეზებით. კონსერვაციამ შეიძლება მხოლოდ გადაავადოს ფიზიკური მიზეზებით გამოწვეული რღვევა, მაგრამ, ამავდროულად, ობიექტის ღირებულების საზოგადოებისთვის გაცნობით, მას შეუძლია შეცვალოს კულტურული დამოკიდებულება ობიექტის მიმართ და, დაგეგმვის დახმარებით, აღმოფხვრას რღვევის ეკონომიკური მიზეზები.*

კონსერვაციის დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქების ისტორიული ცენტრების რეაბილიტაციასთან მიმართებაში. თუმცა, ხშირად რთული ქალაქგეგემარებითი პროგრამების მქონე ქვეყნებიც კი არ ითვალისწინებენ კულტურული მემკვიდრეობის არსებულ მდგომარეობას და ალტერნატიული გამოყენებისთვის მის ვარგისობას (უმეტეს ისტორიულ არეალებში რეაბილიტაცია წარმოადგენს ეკონომიკურ საჭიროებას და განხილულ იქნება მოგვიანებით).

➢ *ქალაქმგეგმარებელმა პატივი უნდა სცეს არა მარტო ისტორიულ შენობებსა და სივრცეებს, ასევე კულტურული მემკვიდრეობის იმ უხილავ ელემენტებს, რომლებიც გამოხატულია ადგილობრივი თემის ღირებულებებში ან ხალხურ ყოფაში. დაგეგმვის მიზანია იმგვარი ცვლილების დასახვა, რომლებიც შეძლებისდაგვარად ინარჩუნებს და არ არღვევს ადგილობრივი თემის არსებობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ და თანამედროვე ფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ხალხური ყოფის დროში დაკონსერვება, სასურველია ცვლილებების ხელშეწყობა იმ ხალხის არჩევანის გათვალისწინებით, ვისაც ეხება დაგეგმილი ცვლილება.*

9.3.3 საკადრო მოთხოვნები

დაგეგმვის პროცესი, თუკი ის ხორციელდება სათანადოდ, ყველა აუცილებელი კვლევის თანხლებით, მოითხოვს პროფესიური კადრების ჩართვას. ყველა ქვეყანას როდი ჰყავს შესაფერისი კადრები დაგეგმის რთული სისტემის ორგანიზებისათვის. მართლაც, ქალაქგეგმარება იმდენად რთულია, რომ დილეტანტები ხშირად ვერ ერკვევიან მის პროცედურებში და მათ შინაგან ლოგიკაში. გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება არ შველის ამ საქმეს.

კონსერვაციის დაგეგმვის ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს მესაკუთრეებთან ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება და მათი უზრუნველყოფა მათ საკუთრებაში არსებული ძეგლების მოვლის სახელმძღვანელო პრინციპებით. საამისო შესაძლებლობა შეიძლება გაიზარდოს კონსერვაციის არეალების მოსაზღვრითა და არქიტექტორ-მგეგმარებლისა და მისი თანაშემწის დანიშვნით, რომლებიც გაუძღვებიან ამ პრინციპებს. ეს მეთოდი არ არის სრულყოფილი, თუმცა იგი უმოკლესი გზაა განვითარებადი ქვეყნებისათვის ღირსშესანიშნავი ადგილების აუცილებელი დაცვის უზრუნველსაყოფად.

9.3.4 კონსერვაციის ანგარიში და გეგმა

კონსერვაციის დაგეგმვის შემდგომი ნაბიჯი არის დამოუკიდებელი კონსულტანტების მიერ ისტორიული ცენტრის შესახებ კონსერვაციის ანგარიშის მომზადება. ეს ანგარიში მოიცავს როგორც საარქივო, ასევე ნატურულ კვლევას. შედეგები უნდა დაჯგუფდეს და ილუსტრირებულ იქნას შესაბამისი მასშტაბის რუკებითა და სქემებით[4]. ამ ანგარიშს უნდა დაეფუძნოს კონსერვაციის გეგმა და განხორციელების ნორმები, რომელიც შემუშავებულ უნდა იქნას მესაკუთრეებთან კონსულტაციების პროცესში, შესაბამისი წესებისა და რეჟიმების სათანადო გათვალისწინებით. პრაქტიკული მითითებების წყებისა და ბროშურების მომზადება სასარგებლოა ტექნიკური საკითხების შესახებ მესაკუთრეების ინფორმირებისთვის.

კონსერვაციის ანგარიში და გეგმა მოიცავს შემდეგ დოკუმენტებსა და კვლევებს:

- **რუკები:** ძირითადი რუკები, რომელიც გამოსახავენ მთელ ქალაქს და კონკრეტულად ისტორიულ ცენტრს;
- **საკუთრების ფორმები:** რუკები, რომლებიც გამოსახავენ საკუთრების ფორმებს და ისტორიული ძეგლების არსებულ ფუნქციებს;
- **ისტორია:** მთელი განაშენიანებული ტერიტორიის ძირითადი ისტორიული განვითარების ილუსტრაცია ძირითად არეალებზე აქცენტით. ასევე უნდა მომზადდეს არსებული შენობების ასაკისა და ისტორიული პერიოდების ამსახველი მასალაც;
- **ტიპოლოგია:** ა) შენობების არქიტექტურული, სტრუქტრული და ფუნქციური ტიპოლოგიის ამსახველი მასალა; ბ) საზოგადოებრივი და კერძო ღია სივრცეების ტიპოლოგია; გ) ლანდშაფტისა და ურბანული პეიზაჟის ანალიზი.

---

4 სხვადასხვა სახის ინფორმაცია რუკებზე დატანილ უნდა იქნას ფერით ან შტრიხით. უმჯობესია შტრიხის გამოყენება, რადგანაც მათი რეპროდუცირება და შავ-თეთრი სამუშაო ასლების გადაღება გაცილებით მარტივია.

- **მდგომარეობა:** ცალკეული ისტორიული ობიექტების, შესაბამის კონსერვაციის არეალებში ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების ფიზიკური მდგომარეობის კვლევა;
- **კონსერვაციის გეგმა:** შედგება რუკისაგან, რომელიც განსაზღვრავს შეთავაზებულ კონსერვაციის პოლიტიკას და მკურნალობის დონეს, ისევე როგორც განხორციელების ნორმებსა და რეჟიმებს.

რუკები და საკუთრების ფორმები:
სამუშაოებისათვის საჭიროა რუკების წყება, რომელიც ასახავს მთლიან ქალაქს და კონკრეტულად ისტორიულ არეალებს. ამგვარი რუკებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისი მასშტაბი, რომელიც ცალკეული ნაკვეთებისა და მათი საზღვრების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა (1:500 ან 1:1250). ასევე საჭიროა რუკა, რომელზედაც დატანილია საკუთრების ფორმები და მესაკუთრეები (კერძო, სოციალური, კომერციული, საწარმოო, რელიგიური და სხვა). ამ რუკაზე ასევე შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოწოდებული მიწის რეგისტრაციის და საკადასტრო კვლევების მონაცემების შეთავსება. სასარგებლოა არსებული და წინა ეტაპების საკუთრების ფორმების შედარება, რათა გამოვლინდეს საკუთრების ფორმებზე თანამედროვე განვითარების ზეგავლენა. შემდგომ ეტაპზე სასურველი იქნება მომზადდეს რუკები, სადაც ასახული იქნება შენობების სართულების გეგმები. კვლევა ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ინფრასტრუქტურისა და გეოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

ისტორია:
რუკების წყება უნდა მომზადდეს მთელი განაშენიანების, განსაკუთრებით კი, ძირითადი არეალების ზოგადი ისტორიული განვითარების წარმოჩენის მიზნით. გამოვლენილ უნდა იქნას სხვადასხვა პერიოდში ტერიტორიის განვითარების ან დაქვეითების მიზეზები. ამ მასალას თან უნდა ერთვოდეს სრული ბიბლიოგრაფიული კვლევა და ისტორიული ნახაზების, გრავიურების, რუკებისა და ქალაქის ისტორიული გეგმების კრებული. ანალიზის დროს მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა მოცულობით იქნა განხორციელებული ქალაქის ისტორიული გეგმები და შემორჩენილი ურბანული ქსოვილის რომელი ელემენტი განვითარების რო-

მელ ისტორიულ ფაზას შეესაბამება. ასეთი კვლევა მნიშვნელოვანია არა მარტო ფიზიკურად არსებული შენობების მშენებლობის კრიტერიუმების დასადგენად, არამედ მათი ფუნქციური მნიშვნელობის განსაზღვრისათვის, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ამ შენობების შემდგომი რეაბილიტაციის საფუძველს. იდენტიფიცირებულ უნდა იქნას შენობების ასაკი და ისტორიული პერიოდები. რუკაზე ასევე დატანილ უნდა იქნას შენობები და არეალები, რომლებიც სპეციალური დაცვის ქვეშ იმყოფებიან[5].

ტიპოლოგია და ფიზიკური მდგომარეობა:
ეს კვლევები და მათი საილუსტრაციო ანალიტიკური რუკები ასახავს ისტორიული ნაგებობების, საზოგადოებრივი და კერძო ღია სივრცეების ტიპოლოგიას. ეს ინფორმაცია დაფუძნებულია ისტორიული შენობების აღრიცხვასა და კვლევაზე, რომლის მიზანია მათი ჩანაფიქრისა და მშენებლობის კრიტერიუმების დადგენა. ნაგებობების შემადგენელი სხვადასხვა ელემენტები უნდა აღინუსხოს და მოძებნილ იქნას მათი ანალოგები თანადროულ სახელმძღვანელოებში ფუნქციის, მასალების, მშენებლობის მეთოდების კუთხით (მაგ., გეგმარება, სართულების სტრუქტურა, სახურავები, ეზოები, კიბეების განლაგება, კარები, ფანჯრები). ობიექტები შეიძლება დაგჯუფდეს კატეგორიებად მათი ფუნქციის და ტიპების მიხედვით (მაგ., საზოგადოებრივი ნაგებობები, რელიგიური კომპლექსები, სასახლეები, საცხოვრებელი შენობები, სასამართლო შენობები და ა.შ.)

---

5 შენობებისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები შეთანხმებულ უნდა იქნას, მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ყველა 100 წელზე მეტი ხნის შენობა და ასევე 80 წლის შენობების უმრავლესობა შეტანილ უნდა იქნას ძეგლთა ნუსხაში; უფრო თანამედროვე შენობებს სტატუსი უნდა მიენიჭოს სპეციალური ღირებულებების არსებობის შემთხვევაში. ძეგლებს შესაძლებელია მიენიჭოს სხვადასხვა კატეგორია (მაგ., I კატეგორია – ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები, II კატეგორია – რეგიონული მნიშვნელობის ძეგლები, III კატეგორია – ადგილობრივი ძეგლები ან ფონური განაშენიანება). მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიები გავლენას ახდენს ობიექტების მართვაზე, მათ არ უნდა მოახდინონ გავლენა მათ შეფასებაზე, რადგანაც ურბანულ კონსერვაციაში თითოეული ცალკეული ობიექტის ისტორიული ღირებულება უკავშირდება მთელი ქალაქის ურბანული ქსოვილის ღირებულებას.

აღნიშნულ ანალიზს უნდა ახლდეს დოკუმენტირებული ინფორმაცია, მათ შორის:

- დროთა განმავლობაში გადაკეთებების კვლევა;
- ობიექტების ფიზიკური მდგომარეობის გამოვლენა;
- შესაბამისი არეალის სოციალური და ეკონომიკური სტატუსის დადგენა.

ეს დოკუმენტები ქმნიან მკურნალობის რეკომენდაციების ძირითად საფუძველს. კვლევა შეიძლება გაფართოვდეს და მოიცვას ურბანული პეიზაჟისა და ლანდშაფტის ანალიზი, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს ჩანაფიქრის კრიტერიუმებსა და მონიშნავს მნიშვნელოვან ანსამბლებს, სარეკრეაციო სივრცეებსა და არეალებს, ისტორიულ პარკებსა და ბაღებს, შენობებისა და ქუჩების აღქმის წერტილებს, პანორამებს. ამგვარი ანალიზი წარმოადგენს როგორც კონსერვაციის დაგეგმვის, ასევე თანამედროვე განვითარების საფუძველს. ამ კონტექსტში არსებითია იმ შენობა-ნაგებობების გათვალისწინება, რომლებიც მნიშვნელოვანია მოქალაქეების თვითიდენტიფიკაციის თვალსაზრისით.

კონსერვაციის გენერალური გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აჯამებს ზემოაღნიშნული ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს. იგი შედგება კონსერვაციის გენერალური გეგმის რუკისაგან და მისი განხორციელების ნორმებისაგან. აღნიშნული გეგმა განსაზღვრავს კონსერვაციის პოლიტიკას ყოველი ცალკეული არეალისთვის და მონიშნავს მკურნალობის პარამეტრებს კონკრეტული შენობებისა და არეალებისათვის. ზუსტად უნდა განისაზღვროს სპეციალური დაცვის, ბუფერული და რეგულირების ზონები. დამატებით, კონსერვაციის გეგმით უნდა განისაზღვროს ის ადგილები, სადაც არ შეიძლება მსხვილმასშტაბიანი შენობების აშენება, ასევე უნდა დადგინდეს ზონები და პირობები თანამედროვე განვითარებისათვის (ე.ი. მსხვილმასშტაბიანი ან მაღალი შენობები, სამრეწველო ტერიტორიები და სხვა). ასეთი ზონირება უზრუნველყოფს ისტორიული ღირებულების მქონე არეალების ხელყოფის თავიდან აცილებას. ეს დოკუმენტი წარმოადგენს კონსერვაციის ინტეგრირებული დაგეგმვის საფუძველს, როგორც მთლიანად ქალაქისათვის, ასევე მისი ცალკეული ობიექტებისთვის. კონსერვაციის გენერალური გეგმა ასევე უნდა

წყვეტდეს გამოყენების საკითხს. იგი უნდა ეფუძნებოდეს განაშენიანების ტიპოლოგიისა და ფიზიკური მდგომარეობის და არსებული მოთხოვნების (მაგ., მომსახურება, მიღწევადობა) სისტემატურ ანალიზს. იმ შემთხვევაში, როცა შენობას გააჩნია საზოგადოებრივი ფუნქციის პოტენციალი, ქალაქმგეგმარებლებმა, უძრავი ქონების მენეჯერებმა და არქიტექტორებმა შესაძლებელია იმუშაონ ერთობლივად. ქალაქმგეგმარებელმა უნდა იცოდეს არსებობს თუ არა ისტორიულ ცენტრში რომელიმე ფუნქციის დეფიციტი – მაგ., ბიბლიოთეკა ან სკოლა, - არქიტექტორს კი გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს არსებული შენობების და გარემოს შეთავაზებული ფუნქციისათვის ადაპტაციის შესაძლებლობები. უძრავი ქონების მენეჯერს შეუძლია იპოვოს პოტენციური ინვესტორი და მოაგვაროს გაყიდვის სამართლებრივი პირობები. ზემოაღნიშნული უნარ-ჩვევების კომბინაციით, მეტადრე უძრავი ქონების მენეჯერის უნარის გამოყენებით, შესაძლებელია ისტორიული ცენტრის აღორძინება.

9.3.5. ჩარევის ხარისხი

განაშენიანებული გარემოსათვის, კონსერვაციის როლს განსაზღვრავს ფიზიკურად არსებული განაშენიანება. იქ, სადაც დომინირებს გამოყენებითი ღირებულებები, მოსალოდნელია მუდმივი ცვლილებები თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად განხორციელებული განვითარების პროცენტი, ჩვეულებრივ, მცირეა ხოლმე მთელ ურბანულ ქსოვილთან შედარებით.

აქედან გამომდინარე, კონსერვაციის გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას არსებული განაშენიანება და მისი აქამომდელი განვითარების პროცესი, ისევე როგორც სამომავლოდ დაგეგმილი ცვლილებები. რეაბილიტაციის მეშვეობით კონსერვაცია ისტორიული ქალაქების დაგეგმვის უმთავრესი ასპექტია. ისტორიული განაშენიანების დაგეგმვაში კონსერვაცია მუდამ უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს, ვიდრე განვითარება.

9.3.6 მოვლა

➢ *რეგულარული მოვლა აუცილებელია შენობების ფიზიკური სტრუქტურის შენარჩუნებისათვის.*

მიწისაგან აგებული შენობები ყოველწლიურად კედელ-სახურავების მიმართ ყურადღებას საჭიროებენ. აფრიკაში კედლების შელესვა საჭიროებს განახლებას ყოველ 2-3 წელში. ლითონის დეტალები საჭიროებს კოროზიისაგან დაცვას, ხის დეტალები კი - მწერებისაგან და სოკოსაგან. ნესტიან კლიმატში მოვლის არსებითი ნაწილია ხელახლა შეღებვა. მრავალ ქვეყანაში სასარგებლოდაა მიჩნეული ყველა შენობის და დამხმარე ნაგებობის დაფერვის კარგ მდგომარეობაში შენახვა და მისი რეგულარული განახლება. ეს ქმნის დამახასიათებელ, ადგილობრივი დამოკიდებულების ამსახველ გარემოს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ტრადიციები დაკარგულია სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო, რომელიც ცვლის მოვლის ტრადიციებს. მოვლის მეთოდები ასევე განსხვავდება უფრო მდგრადი სამშენებლო მასალების გამოყენების შემთხვევაში (მაგ., იტალია), რაც პატინირებული ზედაპირებისადმი განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს.

გადაღებვის ნებისმიერი სამუშაო უნდა განხორციელდეს თავდაპირველი ფერთა გამისა და საღებავის ტიპის გათვალისწინებით, რაც გამოვლენილ უნდა იქნას ისტორიული და ტექნიკური კვლევის შედეგად. იაპონიაში, ნიკოში არსებობს ტაძარი, რომელიც ყოველ 25 წელში ხელახლა იფარება ლაკის ფენით, მაშინ როცა მის გვერდით არსებული მე-17 საუკუნის აკლდამის დეკორი გახუნებული და გაუფერულებულია. ორივე შეესაბამება მის კონტექსტს, რადგანაც ტრადიციულად დადგენილია პროცედურები, რომლებიც შეესაბამება შენობის ფუნქციას. დღეს გაძნელებულია ტრადიციული პიგმენტების და საღებავის მოპოვება. ტყვიის, როგორც საღებავის კომპონენტის გამოყენება, აკრძალულია უმრავლეს ქვეყანაში. ცემენტის ან მსგავსი ზედაპირისათვის განკუთვნილი თანამედროვე საღებავები ხშირად შეუსაბამოა ისტორიული შენობებისათვის, რადგანაც ისინი ქმნიან ჰაერგაუმტარ აპკს, რომელიც აჩენს ნესტს, აფერხებს აორთქლებას და შედეგად იწვევს შენობის დაზიანებას. ასეთი საღებავები დიდხანს ვერ ძლებს, ამავდროულად, რთულია მათი გადაღებვა. მსოფლიო მემკვიდრეობის

ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის პროცესში რეკომენდირებულია ფერისა და დეკორის განახლების სტრატეგიის შემუშავება. შეიძლება საჭირო გახდეს ტრადიციული მეთოდების აღდგენა და საღებავების მომზადება ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებით. აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური ნებართვაა საჭირო იმ მასალების გამოყენებისათვის, რომელიც, ჩვეულებრივ, ამოღებულია ხმარებიდან (ასე გაკეთდა დიდ ბრიტანეთში პირველი კატეგორიის ძეგლებისთვის).

9.3.7 რეაბილიტაცია

ურბანული დაგეგმვის კონტექსტში, **რევიტალიზაცია** გულისხმობს დაგეგმვის ზომებს, რომლებიც აუცილებელია იმ ისტორიული ქალაქის სოციალური და ეკონომიკური საქმიანობების გაუმჯობესებისათვის, სადაც დაკარგულია თავდაპირველი ფუნქციური მრავალფეროვნება, რის შედეგადაც მიტოვებული და უგულებელყოფილია ისტორიული შენობები და ურბანული არეალები. რევიტალიზაციის მიზანია კონსერვაციასა და განვითარებას შორის საჭირო წონასწორობის მიღწევა.

.

რევიტალიზაცია ისტორიული არეალისა, რომელიც განიცდის ეკონომიკურ სიძნელეებს, მოითხოვს დიდი რაოდენობით ტიპიური შენობების, ისევე როგორც გამოუყენებელი ნაგებობების, რეაბილიტაციას, როგორიცაა მიტოვებული ეკლესია-მონასტრები, საწყობები და საწარმოები.

რეაბილიტაცია გულისხმობს ფიზიკურ გაუმჯობესებას, რომელიც აუცილებელია ცარიელი ან შეუსაბამო ფუნქციის მქონე ნაგებობების შესაბამისი გამოყენებისათვის. რეაბილიტაცია მიზნად უნდა ისახავდეს შენობის თავდაპირველ ფუნქციასთან რაც შეიძლება მიახლოებული თანამედროვე ფუნქციის მისადაგებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ავთენტურ ქსოვილში მინიმალური ჩარევა და კულტურული ფასეულობების მინიმალური დანაკარგი; ეს ეკონომიკური მხრითაც აზრიანია.

- *რაც უფრო ახლოსაა ახალი ფუნქცია რეაბილიტირებული შენობის თანდაპირველ ფუნქციასთან, მით უფრო ნაკლე-*

ბია სამუშაოების ხარჯი და მით უფრო უკეთესია მთლიანობაში ურბანული გეგმისათვის.

ხშირად ზედაპირული დეფექტები და ცუდი მოვლა აფიქრებინებს ადამიანებს შენობის დანგრევის აუცილებლობას. თუმცა, თუ საძირკველი, კედლები და სართულშუა გადახურვები ნორმალურ მდგომარეობაშია, შესაძლებელია შენობის რეაბილიტაცია, თუნდაც საჭირო გახდეს ახალი სახურავის მოწყობა, ცხელი და ცივი წყლის გაყვანილობის, ელექტრომომარაგების თუ მექანიკური მოწყობილობების შეცვლა.

- *თუ მნიშვნელოვნად (მაგ., მიწისძვრის ან მოუვლელობის შედეგად) დაზიანებული ცალკეული შენობის ნაწილობრივ რეაბილიტაციას ჯეროვანი პასუხისმგებლობით ვეკიდებით; დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ჩარევის განხორციელების ხარისხს და მის გავლენას მთლიანობაში ისტორიული ქალაქის ურბანულ ქსოვილზე.*

ასეთ შემთხვევებში, შენობის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა, მაგალითად, კედლები, უნდა შენარჩუნდეს ადგილზე *(in situ)*. ახალი ნაშენი კი უნდა განხორციელდეს თავსებადი მასალების და შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებით. დადგენილია, რომ ერთგვაროვანი ნაშენი უფრო საიმედო და მდგრადია (მაგ., სეისმური თვალსაზრისით), ვიდრე ტრადიციული ქვისა და ხის და თანამედროვე ბეტონისა და ფოლადის მასალების შერევით მიღებული კონსტრუქცია. სტრუქტურული კონსოლიდაციის ნებისმიერ წინადადებას წინ უნდა უძღოდეს დეტალური კვლევა და არსებული კონსტრუქციების შეფასება, რათა მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას მისი პოტენციალი.

- *თუ დანამატები აუცილებელია, ისინი უნდა აიგოს არსებული შენობის მასალასთან თავსებადი მასალებისგან. თუკი ტრადიციული მასალები არ არის ხელმისაწვდომი, თანამედროვე მასალები გამოყენებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ არ იზარალოს თავდაპირველი ნაშენის კონსერვაციამ.*

არსებულ არახისტ სისტემაში თანამედროვე ხისტი კარკასული კონსტრუქციების ჩართვამ შეიძლება გამოინვიოს არასასურველი

შედეგი მათი დამატებითი წონისა და განსხვავებული სეისმური მედეგობის გამო. ასევე მიჩნეულია, რომ ახალი მასალების გადაჭარბებულმა გამოყენებამ შეიძლება იმდენად შეცვალოს ტრადიციული ურბანული ქსოვილი, რომ შეილახოს მისი ავთენტურობა.

კონსერვაციამ არ უნდა დასწიოს ისტორიული არეალების მოსახლეობის საცხოვრებელი სტანდარტები. ამავდროულად, თანამედროვე ცხოვრების სტილის და მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება არცთუ იოლია. თუ მაცხოვრებლებს აქვთ მანქანები, ავტოსადგომები უნდა მოეწყოს ისე, რომ არ დაირღვეს არსებული ისტორიული ქსოვილი. ამის გარდა, გათვალისწინებულ უნდა იქნას წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და გაზმომარაგების მოთხოვნები და ასევე საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების საკითხი. მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას აკუსტიკური დაცვის საკითხი; შეზღუდულ უნდა იქნას ხმაურის წყაროები - მეტადრე რესტორნები და კლუბები.

- *მომსახურების ახალი სახეები არ უნდა იქნას შეტანილი ისტორიულ არეალში, სანამ არ იქნება შესწავლილი მოცემული არეალის მიერ მომსახურების აღნიშნული სახეების შეთავსების, გამოყენების და შენარჩუნების პოტენციალი. სადღეისო სტანდარტები შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს მაცხოვრებლების ცხოვრების წესს ან არსებულ ინფრასტრუქტურას (მაგ., წყლის მიწოდება, ელექტრომომარაგება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საშუალებები).*

ისტორიული არეალის **რეაბილიტაციის** სპეციალური რეკომენდაციები უნდა შემუშავდეს მისი ადგილობრივი კულტურული და ფიზიკური მახასიათებლების თანახმად. ამის მაგალითები შეიძლება ვიპოვოთ ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ სტანდარტებსა და რეკომენდაციებში ან კენიაში, ლამუს გენერალური გეგმისათვის შემუშავებულ რეკომენდაციებში (Siravo and Pulver, Planning Lamu: Conservation of an East African Seaport, 1986). ასეთი სახელმძღვანელოები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო რეკომენდაციებს და, მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების შემთხვევაში, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვეციის მოთხოვნებს.

9.3.8 დანაკარგის შევსება (Infill Design)

➢ *კონსერვაციის დაგეგმვის უმთავრეს მიზანს, განსაკუთრებით თუკი საქმე ეხება მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ადგილებს, წარმოადგენს არსებული ისტორიული ქსოვილის კონსერვაციის უმკაცრეს პრიორიტეტად დასახვა. ახალი ნაგებობების მშენებლობა არ უნდა იქცეს ძველი შენობების დანგრევის გამართლებად. თუმცა, შესაძლოა წარმოიშვას ახალმშენებლობების აუცილებლობა ფუნქციური და არქიტექტურული უწყვეტობის აღსადგენად. ასეთი აუცილებლობა შესაძლებელია წარმოიშვას იმ შემთხვევებშიც, როდესაც ცარიელი ადგილები საფრთხეს უქმნის გარემომცველ ნაგებობებს, ან ხელს უწყობს მათ შემდგომ დაზიანებას.*

„შემავსებელი შენობები", განმარტების თანახმად, თანამედროვე ნაგებობებია და, შესაბამისად, დღევანდელობის სულისკვეთების გამომხატველი უნდა იყოს. ამავდროულად, მათი მხატვრული და გეგმარებითი გადაწყვეტა უნდა ითვალისწინებდეს მათ ისტორიულ კონტექსტს. „შემავსებელი შენობების" გადაწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს არსებული ურბანული ქსოვილის ისტორიული მორფოლოგიისა და მისი ფუნქციების მკაფიო და სისტემატურ ანალიზს. ძირითადი მიზანია ურბანულ ქსოვილში არსებული სიცარიელეების შევსებით მისი რეინტეგრაცია. მხატვრული გადაწყვეტის პრობლემის გადაჭრა ხდება სხვადასხვანაირად, ისტორიული არეალების სპეციფიკური კულტურული ღირებულებების, არსებული ნაგებობების ტიპოლოგიისა და მდგომარეობის, არეალის ჰომოგენურობის ხარისხის და ა.შ. მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ზუსტი ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპების შეთავაზება, რომელიც შეიძლება მივუსადაგოთ ყველა „შემავსებელ შენობას" ყველა ისტორიულ არეალში, სპეციფიკური სახელმძღვანელო პრინციპები შეიძლება შეიქმნას ცალკეული კულტურული რეგიონებისა თუ ღირსშესანიშნავი ადგილებისთვის. ქვემოთ მოყვანილი მინიშნებები შეიძლება გამოსადეგი იყოს ზოგი მნიშვნელოვანი ასპექტების წარმოსაჩენად. „შემავსებელ შენობას" ნაგებობას უნდა ჰქონდეს:

რიტმი, რომელიც შეთანადებულია გარემომცველი ურბანული ქსოვილის რიტმს და მორფოლოგიურ მახასიათებლებს;

მოცულობა, რომელიც შეწონასწორებულია საერთო კონტექსტთან, არ არის ზედმეტად დიდი ისტორიული ცენტრის ინტიმური, ადამიანური მასშტაბისათვის; და არ მოიცავს მიწის რამდენიმე, ხელოვნურად გაერთიანებულ ნაკვეთს, ერთი მასშტაბური ფუნქციის განთავსების მიზნით;

ქუჩის სასაზღვრო ზოლი, რომელიც ემთხვევა არსებული შენობების საფასადო ზოლს;

სილუეტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ, ტრადიციულ ხასიათსა და სილუეტს;

მასალა, რომელიც ტრადიციულია, ან თავსებადია ტრადიციულ მასალასთან;

ფანჯრები, რომელიც ხასიათით და ფანჯრისა და კედლის ურთიერთმიმართებით ამავე არეალის ტიპიური შენობების მსგავსია;

მშენებლობისა და დიზაინის **მაღალი ხარისხი**, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას საგულდაგულოდ შერჩეული პროპორციებითა და – სათანადო შემთხვევებში – ფასადის რელიეფური ან პლასტიკური დამუშავებით.

ურბანულ პეიზაჟთან დაკავშირებული ფაქტორები იშვიათად ამართლებს დაკარგული შენობების რეპროდუქციას; ასეთი გადაწყვეტა, ძირითადად, განიხილება, როგორც არქიტექტურული სტილიზაცია. ფასადიზმის პრაქტიკა (ე.ი. ფასადის შენარჩუნება და მის უკან ახალი ნაგებობის აგება) უგულებელყოფს ურბანული კონსერვაციის ძირითად პრინციპებს, რამდენადაც იგი გულისხმობს არსებული შენობის დანგრევას, რასაც თან სდევს ხოლმე ახალი, შეუთავსებელი, მსხვილმასშტაბიანი ფუნქციების შეტანა ისტორიულ ქსოვილში. ისტორიულ ცენტრში ახალმშენებლობები უნდა შემოიფარგლებოდეს ურბანულ ქსოვილში არსებული წყვეტების შევსებით; „შემავსებელი შენობები" უნდა იყოს მხატვრულად ცოცხალი; მათი გადაწყვეტა უნდა შეესაბამებოდეს უმაღლეს სტანდარტებს, ამას-

თანავე მასშტაბითა და ხასიათით ჰარმონიულად უნდა ეწერებოდეს მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქში, რომელშიც ისინი იგება.

9.3.9 ადმინისტრაციული ღონისძიებები

ურბანული სისტემა წარმოადგენს მრავალი სხვადასხვა ობიექტის კომპლექსურ ერთიანობას და განხილულ უნდა იქნას როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. ყველაზე მარტივ დონეზე ის მოიცავს ურბანულ მომსახურებას (წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, კანალიზაცია, ტრანსპორტის მოძრაობა და ავტოსადგომები). ზოგიერთი რესურსი ამოწურვადი, მაგრამ განახლებადია (მაგ., გამწვანება). ისტორიული შენობები არ მიეკუთვნება ასეთ კატეგორიას. არაგანახლებადი რესურსების კერძო პირთა მიერ მართვამ სწრაფი გამდიდრების მიზნით შეიძლება გამოიწვიოს ამ რესურსების სწრაფად ამოწურვა. მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების წარმატებული მართვა დამოკიდებულია უფრო ფართო მიზნებზე. მოგება არ არის აუცილებელი იყოს ფინანსური, არამედ შესაძლებელია შეფასდეს სოციალური სტატუსის, პრესტიჟის ამაღლების და პოლიტიკის თვალსაზრისით.

მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების მმართველებმა უნდა მიიღონ არსებული რეალობა, რომელიც ისტორიულ ცენტრებზე მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს. დღეს, უმეტეს შემთხვევებში, იცვლება საზოგადოების ტრადიციული ცხოვრების წესი, რაც, სხვა შედეგებთან ერთად, იწვევს ქალაქების ხასიათის ძლიერ და სწრაფ გარდასახვას, სადაც მოსახლეობის დიდი კონცენტრაციაა და თანამედროვე კულტურა ეძიებს თავის გამოხატულებას. ქალაქები საზოგადოების განვითარების უპირველესი მსხვერპლია, სწორედ ამიტომ, სულ უფრო მნიშვნელოვანია ამ ცვლილებების მართვა. სწორედ ეს არის ამოცანა, რომლის პირისპირ აღმოჩნდებიან ხოლმე ქალაქის მმართველები.

როდესაც ცვლილებების კონტროლი მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების კონსერვაციის პოლიტიკის ფარგლებში ხდება, ეს პრობლემები კიდევ უფრო მეტს მოითხოვს მათგან, ვინც მათ სამართავადაა არჩეული თუ დანიშნული. იმისათვის რათა არც ძველმა ნაგებობებმა შეიწიროს და არც თანამედროვეობის ჩრდილოვანმა

მხარეებმა სძლიოს, ისტორიული ქალაქები უნდა იმართებოდეს კარგად ინფორმირებული კვალიფიციური პროფესიონალების მიერ, რომელთაც სწორი ხედვა აქვთ. აუცილებელია, ჩამოყალიბდეს მრავალდისციპლინარული კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქალაქის ისტორიული განაშენიანების კონსერვაციაზე, დაეყრდნობა სწორად შედგენილ რეჟიმებს და გამოიყენებს ეფექტურ მეთოდს მისი ქმედებების მონიტორინგისათვის.

თუ შევაჯამებთ, ისტორიული ურბანული არეალების მართვა მოიცავს:

- **ურბანული მორფოლოგიის ანალიზი** შენობების ტიპოლოგიის, ფიზიკური მდგომარეობის, გამოყენების და მფლობელობის სისტემატური შესწავლის თანხლებით. ასევე განვითარების ან დაქვეითების ეკონომიკური მიზეზების გამოვლენა.
- **უძრავი ქონების მართვა, რეგულარულ ინსპექციასა** და **მოვლის სტრატეგიასთან** ერთად, ფასადების დეკორისა და მოხატულობის ზედამხედველობის ჩათვლით.
- ზომიერი და არა-ამბიციური **რეაბილიტაციის გეგმა.**
- სოციალური კომპონენტი და **მოსახლეობასთან კონსულტაცია.**

➢ *კონსერვაციის დაგეგმვა არის ქმედება, რომელიც შემუშავებულია სასურველი მომავლისა და ანმყოს დასაკავშირებლად; იგი წარმოადგენს კულტურული რესურსების მართვის გადამწყვეტ ელემენტს.*

9.4 ურბანული კონსერვაციის კრიტერიუმები

➢ არის თუ არა დამაკმაყოფილებლად განსაზღვრული მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქის ფუძემდებლური ღირებულებები?

➢ არსებული პოლიტიკა უწყობს თუ არა ხელს მსოფლიოს მემკვიდრეობის კონსერვაციის ამოცანების განხორციელებას?

- დაინერგა თუ არა საერთაშორისო კონვენციებში და ქარტიებში გამოხატული პრინციპები?
- არის თუ არა განახლებული შესაბამისი კანონები და კანონქვემდებარე აქტები?
- არის თუ არა ეფექტური მათი განხორციელება? თუ არა, რაა დამაბრკოლებელი?
- აღიქვამენ თუ არა მაცხოვრებლები მათი მემკვიდრეობის ღირებულებებს?
- არსებობს თუ არა სათანადო ინფრასტრუქტურა და არის თუ არა იგი წესრიგში?
- არის თუ არა უძრავი ქონების მფლობელების მხრიდან წინააღმდეგობა კონსერვაციის პოლიტიკის მიმართ?
- როგორ უნდა მოევლოს დაინტერესებული მხარეების ინერტულობას და გულგრილობას?
- როგორ უნდა იქნას შეთანხმებული დაცვის მოვალეობა და სიმჭიდროვის გაზრდის გზით ახლებურად განვითარებითა და ბინათმშენებლობით ფინანსური დაინტერესება?
- არის თუ არა დამაკმაყოფილებელი მესაკუთრეებისა და ექსპერტების ურთიერთობა?
- მიმდინარეობს თუ არა დამაკმაყოფილებლად კონსერვაციის გეგმების განხორციელება?
- რა თანხა ჯდება დამცავი და სარეაბილიტაციო ღონისძიებები?
- განხილულია თუ არა დაფინანსების ყველა ვარიანტი? იქნება თუ არა დახმარება კერძო ფონდებისა და ორგანიზაციების მხრიდან? შეიძლება თუ არა მბრუნავი ფონდების შექმნა? არსებობს თუ არა დაუძლეველი ფინანსური სიძნელეები?
- არსებობს თუ არა მთავრობის უმაღლესი ინსტანციების მხრიდან ფინანსური დახმარება?
- საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის რა ოდენობა ხმარდება კონსერვაციას?

- არის თუ არა შემუშავებული მესაკუთრეებისათვის ფინანსური და ფისკალური შეღავათები მათ საკუთრებაში მყოფი ისტორიული ძეგლების მოვლა-რეაბილიტაციისათვის მათ წასახალისებლად?
- არსებობს თუ არა ადეკვატური ფინანსური და ფისკალური დახმარების კონტროლი?
- საჭიროა თუ არა ქირის კონტროლი, ბინის მოქირავეთა გადინების თავიდან აცილების მიზნით?
- შესაძლებელია თუ არა ისტორიული ავთენტურობისა და არქეოლოგიური ღირებულებების შენარჩუნების შემთხვევაში, რეაბილიტაციის შედეგად შესაბამისი ფინანსური მოგების მიღება?
- როგორ ხდება ისტორიული ავთენტურობის შენარჩუნება ფუნქციის ადაპტაციის შემთხვევაში?
- როგორ ხდება პროგრამების კულტურული, ეკონომიკური და ფისკალური ზეგავლენის შეფასება?
- არსებობს თუ არა შესაბამისი დოკუმენტაცია ისტორიულ უბნებსა და ცალკეულ შენობა-ნაგებობებზე?
- ხორციელდება თუ არა ისტორიული შენობების რეგულარული ინსპექცია?
- შემუშავებულია თუ არა სუბსიდიები მესაკუთრეების წასახალისებლად, რათა მათ ხელი შეუწყონ და მოითხოვონ რეგულარული ინსპექცია და ანგარიშები?
- შემუშავებულია თუ არა მოვლის სტრატეგია?
- არის თუ არა ხელმისაწვდომი შესაბამისი მასალები და კვალიფიციური ხელოსნები ისტორიული შენობების მოვლის, შეკეთებისა და რესტავრაციისათვის?
- არის თუ არა საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური ექსპერტები?
  - არქიტექტორები
  - ინჟინრები
  - არქეოლოგები

- ხელოვნებათმცოდნეები
- კონსერვაციის სპეციალისტები
- ადმინისტრატორები

➢ შესაძლებელია თუ არა დემოგრაფიულ გადაადგილებებზე (ე.ი. მეტისმეტი სიმჭიდროვე, ან პირიქით - ისტორიული ცენტრიდან მოსახლეობის გადინება) ზეგავლენის მოხდენა?

➢ როგორია ტურიზმის სოციალური გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე?

➢ შესაძლებელია თუ არა ისტორიული ცენტრების ტურისტების მხრივ ჭარბი გამოყენების შემცირება და ვის მიერ?

➢ რა დამატებითი ღირებულებები გააჩნია მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქს და როგორ ხდება მათი გამოყენება?

თავი X

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების დამთვალიერებლები

10.1 შესავალი

დღეს ტურიზმის ინდუსტრია ჩვენი კულტურისა და საერთაშორისო ეკონომიკის ნაწილია და ფინანსური თვალსაზრისით მეორე ადგილზეა ნავთობის ინდუსტრიის შემდეგ. ტურიზმი დინამიკურია, თუმცა იგი ძალიან სწრაფად არ უნდა ვითარდებოდეს; მისი განვითარება არ უნდა აღემატებოდეს მოცემული ტერიტორიისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებს. როგორც აღნიშნულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (World Tourism Organization) მანილას დეკლარაციაში - ეკონომიკური მოგება არ არის ტურიზმის ერთადერთი მიზანი. ტურიზმმა უნდა გააუმჯობესოს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე მათი ტრადიციული კულტურის ხელყოფის გარეშე.

- *მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვარიელება ინტელექტუალური გამოცდილების მომტანია; წინასწარ მომზადებული დამთვალიერებლები ყველაზე მეტს მიიღებენ.*

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების დამთვალიერებლების უმეტესობას უბრალოდ გასეირნება, გარემოს გამოცვლა ან რაღაც ისეთის მონახულება სურს, რაზედაც შინ დაბრუნებული მოყვება. ზოგიერთი დაინტერესებულია საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობით, ზოგიც – არქეოლოგიით ან არქიტექტურით. მსოფლიო მემკვიდრეობის მენეჯერების ამოცანა ნაწილობრივ იმაში მდგომარეობს, რომ სტუმრობა

ყველასათვის სასიამოვნო და საინტერესო იყოს, რაც დაეხმარება ღირსშესანიშნავი ადგილის კონსერვაციისათვის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებასა, უცხოური ვალუტისა და შემოსავლების მოზიდვასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. იმედია, დამთვალიერებლები საკუთარი კულტურით უფრო დაინტერესებულნი გაბრუნდებიან, ვიდრე ჩამოსვლამდე იყვნენ.

თუკი სკოლის მოსწავლეები ვერ ისიამოვნებენ ექსკურსიით, მათ შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში აღარ მოისურვონ მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება და ასევე არ ჩათვალონ საჭიროდ საკუთარი შვილებისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის გაცნობა. ისინი წარმოადგენენ რთულ ჯგუფს მათი დაინტერესების თვალსაზრისით. კონსერვაციის გრძელვადიან ინტერესს არ შეესაბამება, რომ ისინი მოვიდნენ და იმედგაცრუებულნი წავიდნენ; ამას სულ არმოსვლა სჯობს.

იმისათვის, რომ ვიზიტები სასიამოვნო და საინტერესო იყოს, საჭიროა ობიექტზე ფიქრის უწინარეს, დამთვალიერებლების ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე ფიქრი, რაც შეიძლება საკმაოდ რთული იყოს ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერისათვის. მრავალი მათგანი დამთვალიერებლებს მხოლოდ ბოლო ადგილზე აყენებს. ტურიზმის, დამთვალიერებელთა მართვის, პრეზენტაციისა და მარკეტინგის ექსპერტებს ამ თვალსაზრისით დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ. დამთვალიერებელთა გამოკითხვა გამოავლენს მათ ინტერესებს, იმას, თუ საიდან მოდიან ისინი, რამდენი ხნით რჩებიან, დაბრუნდებიან თუ არა კიდევ და რამდენი ფულის დახარჯვა შეუძლიათ.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების **მართვის გეგმა** უნდა განსაზღვრავდეს დამთვალიერებელთა მომსახურების ამოცანებს. ეს ამოცანები განხილულ უნდა იქნას ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიასთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად, რათა კონფლიქტის არსებობა გამორიცხულ იქნას. მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა შესვლის გადასახადიდან შემოსავალი, მოგება ადგილობრივი ტურისტული ბიზნესიდან, მემკვიდრეობის ობიექტთა პოტენციური დაზიანება, იმედგაცრუებულ დამთვალიერებლებთან ურთიერთობის, ტერი-

ტორიის გადატვირთვის, პიკის საათებში დამთვალიერებელთა კლების და მათი ნაირფეროვნების შენარჩუნების პრობლემები. მეტად საჭიროა განვასხვავოთ არდადეგებზე მყოფი დამსვენებლები, ტურისტული მარშრუტით, ერთდღიანი ვიზიტით, სასკოლო ექსკურსიით ჩამოსული დამთვალიერებლები, კონფერენციის მონაწილეები და მოწვეული ექსპერტები. მართვის გეგმაში ყველასთვის ცალკე ამოცანები უნდა დაისახოს.

10.1.1 დამთვალიერებელთა მოთხოვნილებები

ყველა დამთვალიერებელს მოსწონს:

- მეგობრული მიღება და დახმარება ნებისმიერი სიძნელისა თუ გაჭირვებისას;
- სუფთა და კარგად მოვლილი ტერიტორია;
- მითითებები ადგილობრივი აკრძალვებისა და რელიგიური და კულტურული შეხედულებების შესახებ (მაგ., ღორების თაობაზე ისლამურ ქვეყნებში, ძროხების თაობაზე ინდუსური კულტურის ქვეყნებში, შესაბამის ჩაცმულობასა და ქცევის წესებზე რელიგიურად სათაყვანო ადგილებში და სხვა);
- ამა თუ იმ ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ისტორიის, მათი საგანძურის პრეზენტაცია დამთვალიერებელთათვის გასაგები სახით;
- დამთვალიერებელთა და მათი ნივთების უსაფრთხოება და დაცვა.

საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით, დამთვალიერებლებს, რომლებიც ღამეს ათევენ სახლიდან მოშორებით, ტურისტები ეწოდებათ. ამ ხალხს სჭირდება სასტუმროები, დასაბანაკებელი ადგილები, რესტორნები და სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტი; მათ ასევე შეიძლება დასჭირდეთ სხვადასხვა ტიპის მაღაზიები. კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული პირობების უზრუნველყოფა, რადგანაც ამის გარეშე კულტურა ბევრისათვის არახელმისაწვდომი იქნებო-

და. ამგვარი მომსახურებების უზრუნველყოფა, ჩვეულებრივ, არ შედის ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერის მოვალეობაში, მაგრამ ეს საკითხი მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას მართვის სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორს შორის.

- *დამთვალიერებელთა კარგი მართვა შეამცირებს ხარჯებს ღირსშესანიშნავი ადგილის საზოგადოებისთვის მიწოდებისა და რეკლამირებისთვის: მისი მიმზიდველობა ცნობილი გახდება მას-მედიისთვის და, შესაბამისად, იგი მასზე ილაპარაკებს კიდეც. ბევრ შემთხვევაში, წარმოიშვება კონფლიქტი ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერებს და ტურისტულ სამმართველოებს ან კომერციული ინტერესის მქონე კერძო კომპანიებს შორის: ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერებს ხშირად სურთ შეზღუდონ ტურისტების რაოდენობა ძეგლის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, კომპანიებს კი სურთ მისი გამოყენება ტურისტების მოსაზიდად.*

10.1.2 ვანდალიზმი და ზარალი

ვანდალიზმი ხშირად მოწყენილობითაა გამოწვეული. კულტურული მემკვიდრეობის ღირშესანიშნავ ადგილებში შესაძლებელია ვანდალური ქმედებების ალბათობის შემცირება საინტერესო პრეზენტაციის მეშვეობით. კარგი მართვისა და პოლიციის ზედამხედველობის შეთანხმების შედეგად შესაძლებელია უსაფრთხოების მრავალი სხვა პრობლემის გადაჭრა. სამწუხაროდ, ტურიზმს მნიშვნელოვანი დაზიანებისა და ცვეთის გამოწვევა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დამთვალიერებელთა მიერ გამოწვეული დაზიანებების კარგად დოკუმენტირებული კვლევები, არაპირდაპირი მტკიცებულებებიც ცხადყოფს კონსერვაციის ხარჯების ზრდას. წმინდა ადგილებში, დამთვალიერებლები გაფრთხილებულ უნდა იყვნენ, რათა არ იხმაურონ და თავი შეიკავონ ხელოვნური განათებით ფოტოების გადაღებისგან. გამოყოფილ უნდა იქნას სპეციალური ადგილები მოწევისათვის და, შესაბამისად, უნდა მოეწყოს სანაგვე ურნებიც. დამთვალიერებელთათვის გამოყოფილ უნდა იქნას სპეციალური სასიარულო ბილიკები, ასევე აკრძალულ უნდა იქნას ყვავილების კრეფა და წარწერების გაკეთება.

10.1.3 დამთვალიერებელთა მიღება

- *პერსონალის დამოკიდებულება დამთვალიერებელთა მიმართ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც სტუმრობას სასიამოვნოს ხდის. თითოეულ დამთვალიერებელს შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურად უნდა მოეკიდონ და მკაფიო უნდა იყოს, ვინ და რა დახმარებას აღმოუჩენს მას გაჭირვებისა თუ სიძნელეების გაჩენის შემთხვევაში. დამთვალიერებლები გაფრთხილებულ უნდა იქნან ნებისმიერი სპეციფიკური საშიშროების, მათ შორის, საშიში ცხოველების ან მცენარეების, ქურდობის და სხვა საფრთხეების შესახებ.*

არაფერი უფუჭებს დამთვალიერებელს შთაბეჭდილებას ისე, როგორც ქურდობა; განსაკუთრებით პასპორტის, ფოტოაპარატის და კამერის მოპარვა. ზედამხედველ პერსონალს დამთვალიერებლების სტუმრებად მიღებასა და დახმარებასთან ერთად ქურდობასა და სხვა ზარალზეც უნდა ეჭიროს თვალი. მნიშვნელოვანია, თანამშრომლებმა ყოველთვის ზრდილობა გამოიჩინონ, თუნდაც დამთვალიერებელი მომაბეზრებელი იყოს.

მანიშნებელი აბრები და ტერიტორიის სიტუაციური გეგმები დამონტაჟებულ უნდა იქნას ავტოსადგომებთან და საერთოდ ყველგან, სადაც შესაძლებელია უცხო ადამიანს გზა აებნას. აბრები უნდა დამაგრდეს ისეთ ადგილებში, სადაც ისინი ხელს არ შეუშლის ისტორიული ნაგებობების ან ლამაზი ხედის აღქმას. დამთვალიერებლების ქცევაზე დაკვირვება დაგვეხმარება მანიშნებელი აბრების სტრატეგიულად განლაგებაში.

მანიშნებელი აბრების მიზანია დამთვალიერებლის დახმარება და არა უთუოდ მათი ყურადღების მიპყრობა ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტებისაკენ. გამძღოლებს უნდა ეცვათ უნიფორმები, ან ეკეთოთ სამკლავეები, რათა დამთვალიერებლებმა ადვილად შეძლონ ამოიცნონ ისინი და დახმარებისათვის მიმართონ მათ. სუვენირის გამყიდველები, მათხოვრები და თვითმარქვია ექსკურსიამძღოლები არ დაიშვებიან ღირშესანიშნავ ადგილებში, რადგანაც ისინი აწუხებენ დამთვალიერებლებს და ყურადღებას უფანტავენ მათ. ასევე გაკონტროლებულ უნდა იქნას ტაქსების და თავზეხელაღებული მძღოლები.

10.2 ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

სისუფთავის შენარჩუნების საუკეთესო გზაა ნაგვის დაუყოვნებლივ აკრეფა. სანაგვე ურნები რეგულარულად უნდა ცარიელდებოდეს. ზოგიერთ ქვეყნებში უფრო ნაკლები ნაგავი იყრება, თუკი სანაგვე ურნები საერთოდ არაა დამონტაჟებული. სხვა ქვეყნებში, დაბინძურებისათვის გათვალისწინებულია ჯარიმები. თუ ღირსშესანიშნავი ადგილის გარკვეული ტერიტორია გამოყენებულია გართობისათვის და სპეციალური ღონისძიებებისათვის, უმჯობესია თუ ორგანიზატორები აალაგებენ ყველა სანაგვე ურნას, სპეციალურ აღჭურვილობას თუ სტენდებს ღონისძიების დასრულებისთანავე.

ღირსშესანიშნავი ადგილების გამოყენება ფილმების გადასაღებად მომგებიანიცაა და ერთგვარი რეკლამაც. მიუხედავად ამისა, ფილმის გადამღებ და სატელევიზიო ჯგუფებს სჭირდებათ ზუსტად განსაზღვრული ინსტრუქციები, რათა უყურადღებობით რაიმე არ დააზიანონ. მათ მიერ გამოყენებული განათებით გამოწვეულმა სითბომ შეიძლება დააზიანოს ისტორიული მასალები და ასევე შექმნას ხანძრის საშიშროება.

ავტოსადგომებზე დაცულ უნდა იქნას სისუფთავე, ამოვსებულ უნდა იქნას გუბეები და ატალახებული ადგილები. დამონტაჟებული უნდა იყოს გაფრთილებები ქურდობის შესახებ. დიდი ავტოსადგომები ღირშესანიშნავ ადგილებთან ახლოს დანაწევრებულ უნდა იქნას ყვავილების ნარგავებით, მცენარეებით ან რელიეფით, ან საერთოდ თავიდან იქნას აცილებული. იქ, სადაც ავტოსადგომები მოშორებითაა განლაგებული, მოხუცებისთვის და უნარშეზღუდული პირებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას სპეციალური პირობები ძეგლამდე მისასვლელად.

10.3 პრეზენტაცია და ინტერპრეტაცია

მსოფლიო მემკვიდრეობის ყველა ღირშესანიშნავ ადგილს უკავშირდება მის წარსულზე თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი თქმულება: მათი აგების, ან დანგრევის შესახებ, ხალხზე, რომელიც აქ ცხოვრობდა, აქ მომხდარ სხვადასხვა მოვლენაზე, მის ადრინდელ ფუნქციებზე, ან გადმოცემა დიდ განძეულობაზე. ღირსშესანიშ-

ნავი ადგილის ისტორიის პრეზენტაციისა და ინტერპრეტაციისათვის შესარჩევი და გადასაწყვეტია თუ რომელი ელემენტები იქნება ყველაზე მეტად საინტერესო იმ ადამიანებისათვის, ვინც მან უნდა მიიზიდოს; ადამიანთა ცხოვრებასთან დაკავშირებული ისტორიები ხშირად ყველაზე პოპულარულია.

➢ *ღირსშესანიშნავი ადგილის ინტერპრეტაციის მიზანი საჭიროებს ზუსტ განსაზღვრას მუშაობის დაწყებამდე და მოითხოვს რეგულარულ გადახედვას აზროვნების ცვლილებებისა და დაგროვილი გამოცდილების თანახმად.*

ღირსშესანიშნავი ადგილის ისტორიის ინტერპრეტაციისათვის უნდა შეირჩეს ისეთი საშუალება, რომელიც შთამბეჭდავი იქნება ყველა სტუმრისათვის, მემკვიდრეობის ობიექტის იერის და გარემოს ხელყოფის გარეშე. მაგალითად, ხმოვანმა და განათების აღჭურვილობამ შეიძლება დააზიანოს უძველესი კედლები ან დღის განათებისას შებღალოს საერთო ხედი. მიმანიშნებელმა აბრებმა ასევე შეიძლება დაარღვიონ საერთო ხედები. ინტერპრეტაციისათვის გამოყენებული საშუალებები შეიძლება მოიცავდეს:

- ზუტად ჩამოყალიბებულ განმარტებებს, მიმთითებელ პანელებს, გეგმებს, ბუკლეტებს, გზამკვლევებს, სასაჩუქრო და საცნობარო წიგნებს სხვადასხვა ენაზე;
- გამძღოლებს ან მასწავლებლებს;
- მუზეუმებს, გამოფენებს, მაკეტებს, სამშენებლო მასალების ნიმუშებს, ხელოვნების ნიმუშების, სურათებისა და მონეტების ასლებს;
- დიორამებს, სტაციონარულსა თუ გადასატან სასმენ აპარატებს;
- ფილმებს, ტელევიზიას, ვიდეოს, ფირებისა თუ სლაიდების ჩვენებას, სპექტაკლებს, მუსიკას, ხმა-შუქის წარმოდგენებს (Sound and Light Performance) და განათებებს ღირსშესანიშნავი ელემენტების წარმოსაჩენად.

მედიის გამოყენებისას ადვილია შეცდომების დაშვება: შეიძლება მოხდეს ფულის გაფლანგვა, ძეგლის იერის ხელყოფა, ექსკურსიე-

ბმა შესაძლებელია შეაწუხოს სხვა დამთვალიერებლები, მიმთითებელი პანელები და ბუკლეტები შეიძლება ცუდად იყოს შედგენილი. თითოეული ღირსშესანიშნავი ადგილი უნიკალურია და ის, რაც შემუშავებულია ერთისთვის, შეიძლება არაეფექტური იყოს დანარჩენებისთვის. მსოფლიო მნიშვნელობის ინტერპრეტაციისათვის საჭიროა მოზრდილი ბიუჯეტის მოძიება და კვალიფიციური კონსულტანტების მოწვევა.

ხშირად სასარგებლოა მარტივი, ადვილად გასაგები გზამკვლევების გაყიდვა მათთვის, ვინც ნაკლებად ან სულ არ იცნობს ღირსშესანიშნავ ადგილს; ამით შეიძლება შეივსოს ისტორიის მათეული ცოდნის ხარვეზები. დაინტერესებული სტუდენტებისათვის უნდა შეიქმნას დეტალური მეგზურები, რომლებიც რედაქტირებულია ექსპერტების მიერ, არ არის დატვირთული ნებისმიერი მსჯელობით და შეიცავს ბიბლიოგრაფიას დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ზოგადი ტურისტული ინფორმაცია ხშირად თვით ღირსშესანიშნავ ადგილზე მიეწოდება. ეს საჭირო და ზოგჯერ მომგებიანი მომსახურებაა და მოიცავს როგორც ტურისტული გზამკვლევების და რუკების გაყიდვას, ასევე სასტუმროებისა და თეატრების დაჯავშნას, ბუკლეტებს სხვადასხვა გასართობებისა და ტრანსპორტის შესახებ. თუ მსგავსი მომსახურება მეტად დიდი მოცულობისაა, იგი გამოყოფილ უნდა იქნას თავად ღირსშესანიშნავი ადგილის შესახებ ინფორმაციის მიღებისაგან – მაშინ არც რიგები დადგება. კარგად ილუსტრირებული სასაჩუქრო წიგნები, რომელიც გაახსენებს სტუმრებს მათ ვიზიტს, სურათიანი საფოსტო ბარათები და წიგნები ძეგლთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ, შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

დიდაქტიკური პანელები, რომელნიც განმარტავენ ღირსშესანიშნავი ადგილის მნიშვნელობას, შექმნილი უნდა იყოს გემოვნებით, მიმზიდველი შრიფტითა და კარგად შერჩეული ფერებით და გამძლე მასალისაგან. ყველა მათგანისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ერთი და იგივე გრაფიკული სტილი, რომელიც მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს მიმართულების მიმანიშნებელი და გამაფრთხილებელი ნიშნების სტილისგან. მოსარიდებელია სპეციალური ტერმინოლოგია. რადგანაც ეს პანელები ხშირად ღირსშე-

სანიშნავი ადგილების ინტერპრეტაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, მათი სათანადო პრეზენტაცია ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს. რეკომენდირებულია ერთ კვალიფიციურ პიროვნებას დაევალოს ყველა ნიშნის დიზაინის და მათი განლაგების სქემის შემუშავება, ასევე ნიშნების რაოდენობის გაკონტროლება.

აუდიო-ვიზუალური პრეზენტაციები უმაღლესი ხარისხის უნდა იყოს; მათი ხანგრძლივობა კი – საშუალოდ 10-15 წუთი. ხმა-შუქის პრეზენტაციები შესაძლებელია იყოს უფრო ხანგრძლივი. ყურადსაღებია, რომ ტექსტი იყოს ამაღელვებელი, მაგრამ ამავდროულად ისტორიულად ზუსტი, რაიმე ტენდენციურობის გარეშე.

ღირსშესანიშნავ ადგილზე წარსულში განვითარებული მოვლენების საილუსტრაციოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემცირებული მასშტაბის ან სრული ზომის რეპროდუქციები. მათი უპირატესობა ისაა, რომ დაზიანებისა ან დაძველებისას მარტივად შეიძლება მათი შეცვლა. რეპროდუქციების შექმნისას მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ორიგინალის მსგავსი, ტრადიციული მასალები, რადგანაც თანამედროვე მასალების (მაგ., პლასტმასი) ცვეთა და დაძველება არ მოხდება ტრადიციული მასალის მსგავსად.

ფართოდ გავრცელებული ენები (როგორიცაა ინგლისური დ ფრანგული) სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა აქცენტით გამოითქმება, ასე რომ, სასმენი აპარატების, გზამკვლევების ან ექსკურსიამძღოლების საუბარი შეიძლება ძნელი გასაგები აღმოჩნდეს სტუმრებისთვის, ხშირად მათთვისაც, ვისთვისაც ისინი მშობლიურია. ეს ზღუდავს ექსკურსიამძღოლების მომსახურებისა და სასმენი აპარატურის გამოყენებას და ზოგჯერ სჯობს მხოლოდ ბეჭდვით მასალას დავჯერდეთ. სპეციალური ინტერაქტიული ეკრანები, რომელზეც იწერება ან გამოისახება ინფორმაცია შესაბამის ღილაკზე თითის დაჭერის შედეგად, ხშირად სასმენი აპარატურის ალტერნატივას წარმოადგენს.

ექსკურსიამძღოლი კარგად მომზადებული და მცოდნე უნდა იყოს. იგი ლიცენზირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ ან დაქირავებული ღირსშესანიშნავი ადგილის მმართველთ მიერ. სასკოლო ექსკურსიებს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას (კარგია თუ

– შენობაში), ერთად თავმოყრილთ უნდა აუხსნან ღირსშესანიშ-ნავი ადგილის შესახებ. ინსტრუქტორებს შეუძლიათ დაეხმარონ სკოლის მასწავლებლებს ბავშვებისათვის ძეგლის მნიშვნელობის განმარტებაში. სასურველია, მასწავლებლებმა ნინასწარ მოინახუ-ლონ ძეგლი და მიიღონ განმარტებები სპეციალისტებისგან. ასეთ შემთხვევებში ძალიან სასარგებლოა მასწავლელთათვის საგან-მანათლებლო ლიტერატურის არსებობა.

არქეოლოგიური თხრილების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს პანელზე ან გზამკვლევში. დათვარიელების გასა-მარტივებლად მიღებულ უნდა იქნას ზომები, მაგ., მოეწყოს სპე-ციალური გადასახედი პლატფორმები, რათა ხელი არ შეეშალოთ გათხრებზე მომუშავე სპეციალისტებს. ინფორმაცია საჭიროებს რეგულარულ განახლებას. მნიშვნელოვანი აღმოჩენები გამოცხა-დებულ უნდა იქნას პრესის საშუალებით, მხოლოდ იმ შემთხვევა-ში, თუკი დამთვალიერებელთა მართვის თვალსაზრისით არ არის მოსალოდნელი დამატებითი პრობლემები.

ბავშვები უკეთესად აღიქვამენ ღირსშესანიშნავი ადგილის ის-ტორიას, თუკი პირადად გამოელაპარაკებიან ისტორიული პირის როლის შემსრულებელ მსახიობებს, შეხედავენ ან მონაწილეობას მიიღებენ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების გათამაშებულ წარმოდგენაში, მოუსმენენ ბალადებს, ან ნახავენ ხმა-შუქის წარ-მოდგენას ნამდვილი მსახიობების შესრულებით. მსახიობები მო-წვეულ უნდა იქნენ ზუსტად შერჩეული გარემოებების გამო. სა-ნახაობა უნდა ესადაგებოდეს კონკრეტულ აუდიტორიას; ინფორ-მაცია უნდა იყოს ზუსტი, თუმცა ასეთ შემთხვევებში დასაშვებია მცირე მხატვრული იმპროვიზაცია.

10.4 დამთვალიერებელთა მართვა

დამთვალიერებელთა მართვის მეთოდები უზრუნველყოფს, რომ სტუმრების უმრავლესობამ ისიამოვნოს ღირსშესანიშნავი ადგი-ლის მონახულებით და, ამავდროულად, თავიდან აცილებულ იქ-ნას ისტორიული რესურსების ფიზიკური დაზიანება. ეს მეთოდე-ბი ასევე ამცირებს მოვლის ხარჯებს და ზრდის შემოსავალს.

დამთვალიერებელთა გადაჭარბებული რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, თუ ახლომახლო არსებობს გართობის სხვა საშუალებები. ასეთი შეიძლება იყოს: ზოოპარკი, აკვარიუმი, დასასვენებელი პარკი, პლაჟი ან სხვა. რადგანაც, ხშირად ყველაზე მოსაფრთხილებელი მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები საყოველთაოდ ცნობილნი არიან და მათ ახლოს არ არის სხვა გასართობი საშუალებები, ტურისტული ორგანიზაციები შეიძლება შეიზღუდონ მათ რეკლამირებაში. მათ ასევე შეუძლიათ საყოველთაო ყურადღება მემკვიდრეობის ნაკლებად ცნობილი ღირსშესანიშნავი ადგილებისკენ წარმართონ, რომელთა პოტენციალი არ არის გამოყენებული.

- *პიკური დატვირთვის შემცირება შესაძლებელია ჩამომსვლელთათვის ბილეთების დაჯავშნის სისტემით და დროის მოცემულ მონაკვეთში დამთვალიერებელთა რაოდენობის შეზღუდვით.*

- *ექსკურსიების ჩამოსვლის დროის მცირე ცვლილება დიდად ამსუბუქებს ზეწოლას.*

- *სასარგებლოა ექსკურსიებისათვის ალტერნატიული მარშრუტების არსებობა, ისე, რომ შესაძლებელი იყოს ერთდროულად ჩამოსული რამდენიმე ექსკურსია განცალკევდეს ან სხვადასხვა სიგრძის მარშრუტებზე განაწილდეს.*

იატაკების ცვეთა შესაძლებელია შემცირდეს ხალიჩის, ნოხის, ტილოს, რეზინის ან სხვა მასალის დაგებით. ბალახის შენარჩუნება შესაძლებელია სასიარულო ბილიკების ერთი მეტრის ან მეტი მანძილით რეგულარულად გადანაცვლებით. არც ისე ადვილია ათასობით ხელის შეხებით და ამოსუნთქვით გამოწვეული ზიანის გამოსწორება, ასე რომ, ზოგჯერ საჭიროა დამთვალიერებელთა გაკონტროლება, რათა ისინი უსაფრთხო მანძილს არ გადმოსცდნენ.

დამთვალიერებლებს უნდა შეეძლოთ ღირსშესანიშნავი ადგილების დათვარიელება საკუთარი ტემპის შესაბამისად. იქ, სადაც უსაფრთხოების ან ადგილის სიმცირის გამო შეუძლებელია ინდივიდუალური თვალიერება, უზრუნველყოფილ უნდა იყოს ცირკუ-

ლაციის სხვადასხვა ტემპის მქონე ექსკურსიები, რათა სტუმრებმა შეძლონ ამოირჩიონ სწრაფი ან შედარებით ნელი, დეტალური ექსკურსია. რადგანაც შენობაში მუდმივად ბევრი ხალხის ყოფნა ფარდობითი ტენიანობის სახიფათო ზომის ზრდას იწვევს, საჭიროა დამთვალიერებელთა რაოდენობის მკაცრი კონტროლი.

- *დამთვალიერებელთა მარშუტების მიმართულება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის მიდრეკილებას — სივრცეში შესვლისას მარცხნივ შეტრიალდეს.*

- *მაღაზიები მოხერხებულად უნდა იქნას განლაგებული ღირსშესანიშნავი ადგილის შესასვლელათან ან გამოსასვლელთან.*

შესვლის ფასი განსაზღვრული უნდა იყოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს დამთვალიერებელთა მომსახურების გაუმჯობესება კონსერვაციის ხარჯების შემცირების გარეშე, რომელიც ცალკე ბიუჯეტის სახით დგინდება. შესვლის ფასი შეიძლება იცვლებოდეს კვირის დღეების მიხედვით დამთვალიერებელთა რაოდენობის გადანაწილების მიზნით. შესვლის ფასი საუკეთესო მაჩვენებელია, თუ რამდენად საინტერესო და სახალისოა ღირსშესანიშნავი ადგილის დათვარიელება. როცა ხალხი იხდის ფულს ძეგლის დათვარიელებაში, ის,შესაბამისად, რაღაც ღირებულს ელოდება და იმედგაცრუების შემთხვევაში კრიტიკას არ დაიშურებს. დამატებითი შემოსავლები ლიტერატურის, ფოტოების, ნახატების, გზამკვლევების, სუვენირების მიწოდებისა ან გაყიდვისგან ასევე ხელს უწყობს ღირსშესანიშნავი ადგილის განვითარებას და სარგებლობა მოაქვს დამთვალიერებელთათვის. შესასვლელი ფასის შემოღებისას შესაძლებელია წარმოიშვას უკმაყოფილება; ამიტომ, სასურველია ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის უფასო შესვლის უფლების მინიჭება კვირის ერთი რომელიმე (წყნარი) დღის განმავლობაში, ან გარკვეული საათის შემდეგ. შესვლის ფასი ასევე შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, იმ პირობით, რომ არგადამხდელებმა არ გადმოლახონ ბარიერები.

უმეტეს შემთხვევაში, ერთჯერადი გადახდა უნდა იძლეოდეს ღირსშესანიშნავი ადგილის მთლიანად დათვარიელების შესაძლებლობას, რადგანაც ასეთი მეთოდით შესაძლებელია მეტი

შემოსავლის მიღება ნაკლები საშტატო ხარჯებით. თუ საჭირო ხდება სხვადასხვა შენობაში შესვლა, ბილეთი მონიშნულ უნდა იქნას თითოეულ შესვლაზე. თუკი დასათვარიელებელი ობიექტების რიცხვი დიდია, შეთავაზებულ უნდა იქნას სხვადასხვა ვარიანტი, რათა შენარჩუნებულ იქნას საერთო ბილეთის რეალური ფასი. ასეთ შემთხვევაში, მკაფიოდ უნდა იქნას განმარტებული თითოეული ვარიანტი. ძირითადად, დამთვალიერებელთა მართვა უნდა ითვალისწინებდეს ფიზიკურ მოწესრიგებასა და დარწმუნებას, რეგულირებას, ამკრძალავი ნიშნების განთავსებას და ზედამხედველობას შესაბამისი გზით.

დამთვალიერებელთა მართვა მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილისთვის მოიცავს სარეკლამო სტრატეგიის შექმნას. ყურადღება უნდა გადატანილ იქნას ისეთ დეტალებზე, რომლებიც არ არის ერთად თავმოყრილი. ასევე მითითებულ უნდა იქნას ყველაზე პოპულარული ნიმუშის მონახულების სასურველი დრო. საზოგადოებისათვის, ისევე როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული სააგენტოებისათვის გამიზნული რეკლამები შესაძლებელია შემოიფარგლოს გარკვეული სეზონით, ან მასმედიის შერჩეული კატეგორიით, რაც განსაზღვრავს პოტენციურ დამთვალიერებელთა ტიპს. ბილეთის შემცირებული ფასი შეიძლება შეთავაზებულ იქნას კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტებით დაინტერესებული ჯგუფებისათვის. განსაკუთრებული პრივილეგიები შესაძლებელია მიენიჭოს წმინდა საგანმანათლებლო ექსკურსიებს.

გრძელი რიგები შესასვლელებთან არასასურველია, რადგანაც ისინი ზრდის დამთვალიერებელთა უკმაყოფილებას, იწვევს ღირსშესანიშნავი ადგილის და ავტოსადგომების გადატვირთვას. დამთვალიერებელთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულ უნდა იქნას და არ უნდა მოხდეს მისი გადაჭარბება. ამის გარდა, გადატვირთულობის შეგრძნება შეიძლება შემცირებულ იქნას დამთვალიერებელთა მართვის მეთოდების ფრთხილი გამოყენებით.

10.4.1 რეკლამა

რადგანაც მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები მნიშვნელოვან ეკონომიკურ და კულტურულ ფასეულობას წარმოადგენს, გარდაუვალია მათი რეკლამირება, აფიშირება და ხელშეწყობა მათი მხრიდან, ვისთვისაც ეს ყოველდღიური მოვალეობაა და არა ინტერესის საგანი. თუკი ღირსშესანიშნავი ადგილის მმართველებს არ გააჩნიათ აღნიშნული საქმიანობისათვის საკმარისი კომპეტენტურობა, რათა ეს მომჭირნედ და ეფექტურად აკეთონ, ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ შედეგი რაც შეიძლება სასიკეთო იყოს ღირსშესანიშნავი ადგილისთვის და რაც შეიძლება ნაკლებ საზიანო კონსერვაციისათვის.

რეკლამის მიზნებისათვის მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილი წარმოადგენს საქონელს მსოფლიო ბაზარზე, რომელიც უნდა აღიწეროს ზუსტად, მაგრამ კაშკაშა ფერებით, დამთვალიერებლების მოსაზიდად. ჟურნალისტური სტატიები უმჯობესია ვიდრე სარეკლამო განცხადებები, ამიტომ ხელი უნდა შეეწყოს პრესის მუშაკთა სტუმრობას. ჟურნალისტებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას ზუსტი ინფორმაცია და ასევე საჭირო მასალები პრეს-რელიზების და სხვა დეტალური ცნობების სახით.

სარეკლამო მასალების და განცხადებების დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს მაღალ სტანდარტებს, რათა ღირსშესანიშნავი ადგილისა და მათი მმართველებისადმი ნდობა გააჩინოს. ამასთანავე, რეკლამაზე ნებისმიერი ხარჯის გაწევამდე ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული სამიზნე აუდიტორია და მისი ინტერესები.

10.4.2 ქცევის კოდექსი

მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებასა და მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას შორის თანაფარდობის დამყარება და მათი კოორდინაცია ორმხრივი სარგებლის მისაღებად. ინგლისის ეროვნული ფონდის (English National Trust) დირექტორმა, ბ-ნ სტრილინგმა კენტერბერიში, 1990 წელს ICCROM-ის კონფერენციაზე თავის მოხსენებაში, საკუთარი გამოცდილების მიხედვით, ქცევის შემდეგი კოდექსი ჩამოაყალიბა:

1. ტურიზმის განვითარების მრავლისმომცველი გეგმები არსებითია, რადგანაც ისინი განაპირობებენ ტურიზმის ნებისმიერი პოტენციალის განვითარებას;

2. ტურიზმის განვითარების ნებისმიერი გეგმის ძირითად პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, რომ სარგებელი უნდა მიიღოს როგორც კონსერვაციამ, მისი ფართო გაგებით, ასევე ტურიზმმა. ეს პრინციპი უნდა წარმოადგენდეს ყველა ეროვნული ტურისტული სააგენტოს, ადგილობრივი ტურიზმისა და რეკრეაციის დეპარტამენტების უმთავრეს განზრახვას;

3. ტურიზმისგან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი გამოყენებული უნდა იქნას კონსერვაციისათვის როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე;

4. მასპინძელ საზოგადოებაში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების გრძელვადიანი ინტერესები უნდა იყოს ტურიზმის განვითარების ვარიანტების შერჩევის უპირველესი განმსაზღვრელი ფაქტორი;

5. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა დაეხმაროს ტურისტებს და მოიზიდოს ისინი ადგილობრივი ცხოვრების წესის, კულტურის, ისტორიისა და რელიგიის გასაცნობად. ეს ფაქტორები გათვალისწინებულ უნდა იქნას ტურიზმის პოლიტიკაში;

6. ახალი შენობების და სატრანსპორტო სისტემების დიზაინი ხელს უნდა უწყობდეს ტურიზმის მიერ შექმნილი პოტენციურად დამაზიანებელი ვიზუალური ეფექტის მინიმუმამდე შემცირებას. ყველა სახის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას დაბინძურების კონტროლი. განსაკუთრებული სილამაზის ბუნებრივი ლანდშაფტების შემთხვევაში, ახალმშენებლობების შემოჭრა შეძლებისდაგვარად აცილებულ უნდა იქნას;

7. კარგი მართვის შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს ტურიზმის განვითარების მისაღები დონე და შემოღებულ

იქნას სათანადო კონტროლი აღნიშნული დონის შესანარ-
ჩუნებლად.

ზემოაღნიშნული პრინციპები თანაბრად მიესადაგება მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ადგლებს და გამოსადეგია ნებისმიერი მართვის გეგმის შემუშავებისას.

საერთაშორისო ქარტია
ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ

„ვენეციის ქარტია" (ვენეცია, მაისი, 1964 წ.)

ხალხთა თაობების მიერ შექმნილი ისტორიული ძეგლები, რომლებიც წარსულის გზავნილის მატარებელია, დღემდე რჩება მათი საუკუნოვანი ტრადიციების ცოცხალ მოწმედ. კაცობრიობა დღითიდღე რწმუნდება, რომ ადამიანებს საერთო ღირებულებები გააჩნიათ და პატივს მიაგებს ისტორიულ ძეგლებს, როგორც საერთო მემკვიდრეობას. მომავალი თაობებისათვის მათი დაცვის საერთო პასუხისმგებლობა ასევე არის აღიარებული. თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა - ეს მემკვიდრეობა მისი ავთენტურობის მთელი სიმდიდრით გადავცეთ მომავალ თაობებს.

არსებითია ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის ძირითადი პრინციპების შეთანხმება და დამტკიცება საერთაშორისო დონეზე, სადაც ყოველი ქვეყანა პასუხისმგებელი უნდა იყოს ამ პრინციპების განხორციელებაზე საკუთარი კულტურისა და ტრადიციების ფარგლებში.

პირველად განსაზღვრა რა ეს ძირითადი პრინციპები, 1931 წლის ათენის ქარტიამ დიდად შეუწყო ხელი ფართო საერთაშორისო მოძრაობის განვითარებას, რომელმაც კონკრეტული ფორმა მიიღო ეროვნული დოკუმენტების, ICOM-ისა და UNESCO-ს მუშაობის და ამ უკანასკნელის მიერ კულტურული ობიექტების დაცვისა და რესტავრაციის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრის დაარსების სახით. მზარდი ცოდნა და კრიტიკული ხედვა მოშველიებულ იქნა უფრო და უფრო გართულებული და მრავალფეროვანი პრობლემების გადასაწყვეტად. დღეს დადგა დრო, როცა ეს ქარტია ხელახლა უნდა გადაისინჯოს, რათა საფუძვლიანად შესწავლილ იქნას მასში ასახული პრინციპები და გაფართოვდეს მისი მასშტაბი ახალ დოკუმენტში.

შესაბამისად, ვენეციაში, 1964 წლის 25-31 მაისს შეკრებილმა არქიტექტორთა და ისტორიული ძეგლების სპეციალისტთა II საერთასორისო კონგრესმა დაამტკიცა შემდეგი ტექსტი:

განმარტებები:

მუხლი 1. ისტორიული ძეგლის ცნება მოიცავს არა მხოლოდ ცალკეულ არქიტექტურულ ნაწარმოებს, ასევე ურბანულ ან სასოფლო გარემოს, რომელშიც მოიპოვება კონკრეტული ცივილიზაციის, მნიშვნელოვანი განვითარების ან ისტორიული მოვლენის დამადასტურებელი მოწმობა. ეს შეეხება არა მხოლოდ ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს, არამედ შედარებით მოკრძალებულ ნამუშევრებსაც, რომელთაც დროთა განმავლობაში შეიძინეს კულტურული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ძეგლთა კონსერვაცია და რესტავრაცია უნდა იშველიებდეს ყველა სამეცნიერო დარგსა და ტექნოლოგიას, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ არქიტექტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვას.

მუხლი 3. ძეგლთა კონსერვაციის და რესტავრაციის მიზანია მათი, არანაკლებ როგორც ხელოვნების ნიმუშის, ვიდრე, როგორც ისტორიული მოწმობის დაცვა.

კონსერვაცია

მუხლი 4. ძეგლთა კონსერვაციისთვის არსებითია მათი მუდმივი მოვლა.

მუხლი 5. ძეგლთა კონსერვაციას მუდამ ხელს უწყობს მათი გამოყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნით. ასეთი გამოყენება სასურველია, თუმცა დაუშვებელია ამ მიზნით შენობის გეგმარებითი სტრუქტურის ან დეკორის შეცვლა. ფუნქციის ცვლილებით გამოწვეული გადაკეთება მოაზრებულ და ნებადართულ უნდა იქნას მხოლოდ ამ შეზღუდვების გათვალისწინებით.

მუხლი 6. ძეგლის კონსერვაცია გულისხმობს იმ გარემოს შენარჩუნებასაც, რომელიც არ არღვევს მასშტაბს. ყოველთვის, როცა არსებობს ტრადიციული გარემო, იგი შენარჩუნებულ უნდა იქნას. არ უნდა იქნას დაშვებული იმგვარი ახალმშენებლობა, ნგრევა, ან გადაკეთება, რომელიც შეცვლის მასისა და ფერის არსებულ ურთიერთმიმართებას.

მუხლი 7. ძეგლი განუყოფელია მისი ისტორიისგან, რომლის მოწმეცაა და მისი გარემოსგან, რომელშიც იგი გვხვდება. ძეგლის, ან მისი ფრაგმენტის გადაადგილება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ქმედება გამართლებულია უმაღლესი მნიშვნელობის ეროვნული ან საერთაშორისო ინტერესებით.

მუხლი 8. ქანდაკების, მხატვრობის ან დეკორატიული მორთულობის ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ძეგლის განუყოფელ ნაწილს, შეიძლება მოიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს მისი შენარჩუნების ერთადერთი გზაა.

რესტავრაცია

მუხლი 9. რესტავრაციის პროცესი უაღრესად სპეციალიზებული ქმედებაა. მისი მიზანია ძეგლის ისტორიული და ესთეტური ღირებულებების შენარჩუნება და გამოვლენა და დაფუძნებულია თავდაპირველი მასალისა და ავთენტური დოკუმენტების პატივისცემაზე. რესტავრაცია უნდა შეწყდეს იქ, სადაც იწყება ვარაუდი და, უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში, ყველა საჭირო დამატებითი სამუშაო უნდა გამოირჩეოდეს თავდაპირველი არქიტექტურული ქმნილებიდან და ატარებდეს თანამედროვეობის ნიშანს. ყველა შემთხვევაში, რესტავრაციას წინ უნდა უძღოდეს და მოსდევდეს ძეგლის არქეოლოგიური და ისტორიული შესწავლა.

მუხლი 10. როცა ტრადიციული ტექნოლოგიები არაადეკვატურია, ძეგლის კონსოლიდაცია შესაძლებელია კონსერვაციისა და მშენებლობის იმ ნებისმიერი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით, რომლის ეფექტურობა ნაჩვენებია სამეცნიერო მონაცემებით და დადასტურებულია გამოცდილებით.

მუხლი 11. რადგანაც სტილისტური ერთიანობა არ წარმოადგენს რესტავრაციის მიზანს, სათანადოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა პერიოდის წვლილი ძეგლის ნაშენ სტრუქტურაში. როდესაც შენობა შეიცავს სხვადასხვა პერიოდის ზედდებულ ფენებს, ქვედა ფენის გამოვლენის მიზნით გვიანდელი ფენების მოხსნა შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და როცა მოცილებული ფენა მცირედ მნიშვნელობის მქონეა, გამოვლენილი მასალა კი დიდი ისტორიული, არქეოლოგიური და მხატვრული ღირებულების მქონეა და საკმაოდ კარგადაა შემონახული იმისთვის, რომ გამართლებულ იქნას ეს ქმედება. ჩართული ელემენტების მნიშვნელობის შეფასება და გადაწყეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იქნას დანგრეული, არ შეიძლება მინდობილ იქნას მხოლოდ ამ სამუშაოზე პასუხისმგებელ ერთ პიროვნებაზე.

მუხლი 12. ნაკლული ელემენტების შევსება უნდა მოხდეს მთელთან ჰარმონიულად, მაგრამ, ამავდროულად უნდა გამოირჩეოდეს თავდაპირველისგან, ისე რომ რესტავრაცია არ აყალბებდეს მხატვრულ ან ისტორიულ მოწმობას.

მუხლი 13. დამატებები დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი არ აკნინებს შენობის საინტერესო ნაწილებს, მის ტრადიციულ გარემოს, მისი შემადგენლობის ბალანსს და მის კავშირს გარემოსთან.

ისტორიული ადგილები

მუხლი 14. ძეგლების ტერიტორია უნდა იყოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რათა დაცულ იქნას მათი სიმრთელე, უზრუნველყოფილ იქნას მათი სისუფთავე და სათანადო მეთოდით პრეზენტაცია. ასეთ ადგილებში განხორციელებული საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები განმსჭვალულ უნდა იყოს წინამდებარე მუხლებში განმარტებული პრინციპებით.

არქეოლოგიური გათხრები

მუხლი 15. გათხრები უნდა განხორციელდეს სამეცნიერო სტანდარტების და UNESCO-ს მიერ 1956 წელს მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს არქეოლოგიური გათხრების შემთხვევაში გამოსაყენებელ საერთაშორისო პრინციპებს.

ნანგრევები უნდა შენარჩუნდეს და მიღებულ უნდა იქნას საჭირო ზომები არქიტექტურული მახასიათებლების და აღმოჩენილი ობიექტების მუდმივი კონსერვაციისა და დაცვისათვის. მეტიც, ყოველი საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ძეგლის გაგების ხელშეწყობისა და გამოვლენისთვის მისი საზრისის დამახინჯების გარეშე.

ნებისმიერი სარეკონსტრუქციო სამუშაო უნდა გამოირიცხოს *a priori*. მხოლოდ ანასტილოზი, ე.ი. არსებული, მაგრამ განცალკევებული ნაწილების ხელახლა შეერთება შეიძლება იქნას დაშვებული. გამთლიანებისათვის გამოყენებული მასალა მუდამ ცნობადი უნდა იყოს და მისი გამოყენება კი – უმცირესი, რაც უზრუნველყოფს ძეგლის კონსერვაციას და მისი ფორმის აღდგენას.

პუბლიკაციები

მუხლი 16. შენარჩუნების, რესტავრაციის ან გათხრების სამუშაოებს მუდამ უნდა ახლდეს ნახაზებითა და ფოტოებით ილუსტრირებული ზუსტი დოკუმენტაცია ანალიტიკური და კრიტიკული ანგარიშების სახით.

გაწმენდის, კონსოლიდაციის, გადაკეთების და ინტეგრაციის ყოველი ეტაპი, ისევე როგორც სამუშაოს მსვლელობისას გამოვლენილი ტექნიკური და გარეგნული მახასიათებლები, ჩართული უნდა იყოს. ეს ჩანაწერი უნდა განთავსდეს საჯარო დაწესებულების არქივში და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველა მკვლევარისთვის. რეკომენდირებულია ანგარიშის გამოქვეყნება.

კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა პირებმა

ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ საერთაშორისო ქარტიის პროექტის შესადგენად:

პიერო გაძოლა, თავმჯდომარე (იტალია)

რეიმონდ ლემეირი, მომხსენებელი (ბელგია)

ხოსე ბასეგონდა-ნონელი (ესპანეთი)

ლუის ბენავენტე (პორტუგალია)

ჯურჯე ბოსკოვიჩი (იუგოსლავია)

ჰიროში დაიფუკუ (UNESCO)

პ.ლ. დე ვრიზე (ნიდერლანდები)

ჰარალდ ლანგბერგი (დანია)

მარიო მატეუჩი (იტალია)

ჟან მერლეტი (საფრანგეთი)

კარლოს ფლორეს მარინი (მექსიკა)

რობერტო პანე (იტალია)

ს.ჩ.ჯ. პაველი (ჩეხოსლოვაკია)

პოლ ფილიპო (ICCROM)

ვიქტორ პიმენტელი (პერუ)

ჰაროლდ ჯ. პლენდერლეიზი (ICCROM)

დეოკლეციო რედიგ დე ცამპოს (ვატიკანი)

ჟან სონიე (საფრანგეთი)

ფრანსუა სორლინი (საფრანგეთი)

ეუსტათიოს სტიკასი (საბერძნეთი)

გერტრუდ ტრიპი (ავსტრია)

ჟან ზაშვატოვიჩი (პოლონეთი)

მუსტაფა ს. ზბისი (ტუნისი)

ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ

პრეამბულა

1. ჩვენ, ნარაში შეკრებილ ექსპერტებს, გვსურს პატივი მივაგოთ იაპონიის სახელმწიფოს კეთილშობილ შემართებას და ინტელექტუალურ სითამამეს დროული ფორუმის ჩატარებაში, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა გადაგვესინჯა აზროვნების ტრადიციული მიმართულებები კონსერვაციის სფეროში და კონსერვაციის პრაქტიკაში დაგვენერგა უფრო მეტი პატივისცემა კულტურათა და მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მიმართ.

2. ჩვენ ასევე გვსურს აღვნიშნოთ მნიშვნელოვანება დისკუსიის შემოთავაზებული ჩარჩოსი, რომელიც გამოიწვია მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სურვილმა – მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისათვის წარდგენილი კულტურული ობიექტების განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შემოწმებისას ავთენტურობის ტესტი გამოყენებულ იქნას იმგვარად, რომ ითვალისწინებდეს ყოველი საზოგადოების სოციალურ და კულტურულ ფასეულობებს.

3. ნარას ავთენტურობის დოკუმენტი განმსჭვალულია ვენეციის ქარტიის სულისკვეთებით, ეფუძნება მას და განავრცობს მის პრინციპებს თანამედროვე მსოფლიოში კულტურული მემკვიდრეობის მზარდი მნიშვნელობისა და დაინტერესების შესაბამისად.

4. მსოფლიოში, რომელიც სწრაფად მზარდი გლობალიზაციისა და ჰომოგენიზაციის ძალების ზემოქმედებას განიცდის და სადაც კულტურული თვითმყოფადობის ძიება

ხშირად გამოიხატება აგრესიულ ნაციონალიზმსა და უმ-ცირესობების კულტურების შევიწროებაში, კონსერვაციის პრაქტიკაში ავთენტურობაზე მსჯელობის მთავარი არსია ნათელი მოჰფინოს კაცობრიობის კოლექტიურ მეხსიერე-ბას.

კულტურული მრავალფეროვნება და მემკვიდრეობის მრავალ-ფეროვნება

1. ჩვენს სამყაროში კულტურებისა და მემკვიდრეობის მრა-ვალფეროვნება წარმოადგენს მთელი კაცობრიობის სუ-ლიერი და ინტელექტუალური სიმდიდრის შეუცვლელ წყაროს. კულტურებისა და მემკვიდრეობის მრავალ-ფეროვნების დაცვასა და განვითარებას მსოფლიოში აქ-ტიურად უნდა დავუჭიროთ მხარი, როგორც ადამიანის განვითარების არსებით ასპექტს.

2. კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება არსე-ბობს დროსა და სივრცეში და მოითხოვს პატივისცემას სხვა კულტურების და მათი შეხედულებათა სისტემის ყველა ასპექტის მიმართ. იმ შემთხვევებში, სადაც კულ-ტურული ფასეულობები კონფლიქტშია ერთმანეთთან, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის პრინ-ციპი მოითხოვს თითოეული მხარის კულტურული ფასეუ-ლობის ლეგიტიმურობის აღიარებას.

3. ყველა კულტურა და საზოგადოება ეფუძნება მატერი-ალური და არამატერიალური ფასეულობების გამოხატ-ვის ინდივიდუალურ ფორმებსა და საშუალებებს, რაც მთლიანობაში შეადგენს მათ მემკვიდრეობას, და რო-მელიც სათანადო პატივისცემას მოითხოვს.

4. მნიშვნელოვანია UNESCO-ს ფუნდამენტური პრინციპის ხაზგასმა, რომელიც გულისხმობს, რომ თითოეულის კულტურული მემკვიდრეობა ყველას კულტურული მემ-კვიდრეობაა. კულტურულ მემკვიდრეობაზე და მის მართ-ვაზე პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, იმ საზოგა-დოების ვალია, რომელმაც შექმნა იგი და შემდგომ მათი,

რომელნიც ზრუნავენ ამ მემკვიდრეობაზე. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის შექმნილ საერთაშორისო ქარტიებთან და კონვენციებთან მიერთება, ავალდებულებს საზოგადოებას გაითვალისწინოს მათში ასახული პრინციპები და პასუხისმგებლობები. თითოეული საზოგადოებისათვის მეტად სასურველია ჰარმონიულად შეუფარდოს საკუთარი მოთხოვნები სხვა კულტურული ჯგუფების მოთხოვნებს, თუმცა, ამ ბალანსის მიღწევისას არ უნდა იქნას უგულებელყოფილი ფუნდამენტური კულტურული ფასეულობები.

ღირებულებები და ავთენტურობა

1. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია ეფუძნება ყველა ფორმისა და ყველა ისტორიული პერიოდის მემკვიდრეობისათვის მიკუთვნებულ ღირებულებებს. ამ ღირებულებების გაგების შესაძლებლობა დამოკიდებულია, ნაწილობრივ, მათ შესახებ ინფორმაციის წყაროს სანდოობის და უტყუარობის ხარისხზე. ინფორმაციის აღნიშნული წყაროების ცოდნა და გაგება კულტურული მემკვიდრეობის თავდაპირველ და შემდგომ შემატებულ მახასიათებლებთან კავშირში, ასევე მათი საზრისიც წარმოადგენს ავთენტურობის ყოველი ასპექტის შეფასების აუცილებელ საფუძველს.

2. ამ სახით მოაზრებული ავთენტურობა, რაც დადასტურებულია ვენეციის ქარტიაშიც, არის ღირებულებების ძირითადი შეფასებითი ფაქტორი. ავთენტურობის გაგებას ძირითადი როლი ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის ყველა სამეცნიერო კვლევაში, კონსერვაციისა და რესტავრაციის დაგეგმვაში, ისევე როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციისათვის გამოყენებულ პროცედურებში და კულტურული მემკვიდრეობის სხვა სახის ნუსხებში.

3. კულტურული მემკვიდრეობისათვის მიკუთვნებული ღირებულებების შესახებ ყველანაირი მსჯელობა, ისევე როგორც ინფორმაციის შესაბამისი წყაროების სანდოო-

ბა შესაძლებელია განსხვავდებოდეს სხვადასხვა კულ-ტურაში და თვით ერთი კულტურის ფარგლებშიც კი. ამგვარად, შეუძლებელია ღირებულებებისა და ავთენ-ტურობის შესახებ მსჯელობა დაეფუძნოს ფიქსირებულ კრიტერიუმებს. პირიქით, ყველა კულტურის მიმართ სათანადო პატივისცემა მოითხოვს, რომ კულტურული მემკვიდრეობა განხილულ იქნას იმ კულტურული კონ-ტექსტის გათვალისწინებით, რომელსაც იგი მიეკუთ-ვნება.

4. ამიტომაც, უაღრესად მნიშვნელოვანი და სასწრაფოა, რომ ყოველი კულტურის ფარგლებში განსაზღვრულ იქნას მისი მემკვიდრეობის ღირებულებების სპეციფი-კური ბუნება და შესაბამისი საინფორმაციო წყაროების სანდოობა და უტყუარობა.

5. კულტურული მემკვიდრეობის ბუნების, მისი კულ-ტურული კონტექსტის და დროთა განმავლობაში მისი განვითარების მიხედვით, ავთენტურობის შეფასება შესაძლებელია დაკავშირებულ იქნას მრავალ საინფორ-მაციო წყაროსთან. აღნიშნული წყაროების ასპექტები შესაძლებელია მოიცავდეს ფორმასა და ჩანაფიქრს, მა-სალასა და ნივთიერებას, გამოყენებასა და ფუნქციას, ტრადიციებსა და ტექნიკას, მდებარეობასა და გარემოს, სულისკვეთებასა და შეგრძნებას, ისევე როგორც სხვა შინაგან თუ გარეგან ფაქტორებს. ამ წყაროების გამ-ოყენება საშუალებას იძლევა შემუშავდეს მოცემული კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური მხატვრუ-ლი, ისტორიული, სოციალური და სამეცნიერო განზო-მილებები.

განმარტებები

კონსერვაცია: ყველა სახის ქმედება, რომელიც გამიზნულია ობიექტის, მისი ისტორიისა და საზრისის შესწავლასა, მის მატერიალურ დაცვასა და, საჭიროების შემთხვევაში, მის რესტავრაციასა და განვითარებაზე.

ინფორმაციის წყარო: ყველა მონუმენტური, წერილობითი, ზეპირსიტყვიერი და სახვითი წყაროები, რომლებიც იძლევა ობიექტის ბუნების, თავისებურების, საზრისის და ისტორიის შესწავლის საშუალებას.

შენიშვნა: ეს ტექსტი მიღებულ იქნა ნარას კონფერენციის დასასრულს, შემდგომი რედაქციული შესწორებებით ინგლისური და ფრანგული ვერსიების შესათანხმებლად.

გამოქვეყნებულია:
K.E. Larsen (ed.) Nara Conference on Authenticity/ Conference de Nara sur l'Authenticite, Japan/Japon, 1994, Proceedings/Compte-rendu, UNESCO, ICCROM, ICOMOS, Agency for Cultural Affairs, Japan, 1995, XXI-XXV

UNESCO-ს კონვენციები და რეკომენდაციები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ

ა. კონვენციები

- კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ობიექტების დაცვის შესახებ (ჰააგის კონვენცია), კონვენციის შესრულების წესები, ოქმი და კონფერენციის გადაწყვეტილებები, 14 მაისი, 1954

- კონვენცია კულტურული ობიექტების უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვის საშუალებების შესახებ, 14 ნოემბერი, 1972

- კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 16 ნოემბერი, 1972

ბ. რეკომენდაციები

- რეკომენდაცია არქეოლოგიური გათხრების საერთაშორისო პრინციპების შესახებ, 5 დეკემბერი, 1956

- რეკომენდაცია მუზეუმების ყველასათვის ხელმისაწვდომ ობიექტებად გარდაქმნის ეფექტური ზომების შესახებ, 14 დეკემბერი, 1960

- რეკომენდაცია ლანდშაფტებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების სილამაზისა და ხასიათის შენარჩუნების შესახებ, 11 დეკემბერი, 1962

- რეკომენდაცია კულტურული ობიექტების უკანონო

შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვის საშუალებების შესახებ, 19 ნოემბერი, 1964

- რეკომენდაცია საზოგადოებრივი ან კერძო სამუშაოების გამო საფრთხეში მყოფი კულტურული ობიექტების დაცვის შესახებ, 19 ნოემბერი, 1968

- რეკომენდაცია ეროვნულ დონეზე კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 16 ნოემბერი, 1972

- რეკომენდაცია კულტურული ობიექტების საერთაშორისო მიმოცვლის შესახებ, 26 ნოემბერი, 1976

- რეკომენდაცია ისტორიული არეალების თანამედროვე როლის და დაცვის შესახებ, 26 ნოემბერი, 1976

- რეკომენდაცია მოძრავი კულტურული ობიექტების დაცვის შესახებ, 28 ნოემბერი, 1978

- რეკომენდაცია მოძრავი გამოსახულებების დაცვისა და შენარჩუნების შესახებ 27 ოქტომბერი, 1980

ძეგლების, ანსამბლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციის სწავლებისა და წვრთნის სახელმძღვანელო პრინციპები

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს გენერალური ასამბლეა, შრი-ლანკა, მე-10 სესია, 1993 წელი

ითვალისწინებს რა ძეგლების, ანსამბლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების ცნებაში მოაზრებული მემკვიდრეობის ფართო სპექტრს;

ითვალისწინებს რა მემკვიდრეობის ამ ობიექტების კონსერვაციისათვის საჭირო ქმედებებისა და მკურნალობის მრავალფეროვნების და მათი სწორი ხელმძღვანელობისათვის ერთიანი დისციპლინის არსებობის საჭიროებას;

აცნობიერებს რა მრავალი სხვადასხვა პროფესიის თანამშრომლობის საჭიროებას კონსერვაციის ერთიანი დისციპლინის ფარგლებში და სათანადო განათლებისა და სწავლების აუცილებლობას კონსერვაციის სფეროში სწორი კომუნიკაციისა და კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

აღნიშნავს რა ვენეციის ქარტიისა და ICOMOS-ის შესაბამის დოქტრინას, და სასწავლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილე ინსტიტუციებისა და ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ამოსავალი წერტილის შექმნის საჭიროებას, და მათი დახმარების საჭიროებას სტანდარტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრისა და ჩამოყალიბების მიზნით, თითეული რეგიონის კულტურული და ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად;

იღებს შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს და რეკომენდაციას უწევს მათ გავრცელებას შესაბამის ინსტიტუციებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის.

სახელმძღვანელო პრინციპების მიზანი

1. აღნიშნული დოკუმენტის მიზანი არის მსოფლიო მემკვიდრეობის 1972 წლის კონვენციით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის - ძეგლების, შენობათა ჯგუფების („ანსამბლების") და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციის სწავლებისა და წვრთნის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ისტორიულ შენობებს, ისტორიულ არეალებსა და ქალაქებს, არქეოლოგიურ ტერიტორიებს და მათ შემადგენლობას, ისევე როგორც ისტორიულ და კულტურულ ლანდშაფტებს. მათი კონსერვაცია არის და იქნება გადაუდებელი საჭიროების საგანი.

კონსერვაცია

2. დღეს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია განიხილება, როგორც კულტურული და გარემოს განვითარების ზოგადი სფეროს შემადგენელი ნაწილი. ცვლილებების მართვის მდგრადი სტრატეგიები, რომელიც სათანადოდ ითვალისწინებენ კულტურულ მემკვიდრეობას, მოითხოვენ კონსერვაციის მიდგომის ინტეგრაციას თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებთან, მათ შორის ტურიზმთან.

3. კონსერვაციის ამოცანაა გაუხანგრძლივოს სიცოცხლე კულტურულ მემკვიდრეობას და, შეძლებისდაგვარად, ნათელი მოჰფინოს მხატვრულ და ისტორიულ გზავნილს, რომელიც მასშია დაცული, მისი ავთენტურობისა და საზრისის დაუკლებლად. კონსერვაცია არის კულტურული, მხატვრული, ტექნიკური და ხელოსნური საქმიანობა, რომელიც დაფუძნებულია საგნის ჰუმანიტარულ და სამეცნიერო შესწავლასა და სისტემატურ კვლევაზე. კონსერვაცია უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ კონტექსტს.

4. კულტურულ პლურალიზმზე და მრავალფეროვნებაზე დაყრდნობით, საჭიროა განვითარდეს ერთიანი მიდგომა ჩვენი მემკვიდრეობის მიმართ, რომელიც პატივდებულ იქნება პროფესიონალების, ხელოსნებისა და ადმინიტრატორების მიერ. კონსერვაცია მოითხოვს დაკვირვების, ანალიზისა და სინთეზის უნარს. კონსერვაციის სპეციალისტს უნდა ჰქონდეს კულტურულ შეგნებაზე დაფუძნებული მოქნილი, თუმცა პრაგმატული მიდგომა, რომელიც, ადგილობრივი საზოგადოების პრობლემებში ჩაწვდომის უნართან ერთად, მოიცავს პრაქტიკულ საქმიანობას, სწორ განათლებასა და პროფესიულ წვრთნას, ჯანსაღ მსჯელობასა და პროპორციის გრძნობას. ეს დისციპლინათაშორისი საქმიანობა მრავალ პროფესიულ და ხელოსნურ უნარი-ჩვევას მოიცავს.

5. კონსერვაციის სამუშაოები მხოლოდ აღნიშნულ სპეციალიზებულ საქმიანობაში კომპეტენტურ პირებს უნდა მიანდონ. კონსერვაციის სფეროში განათლებითა და წვრთნით სხვადასხვა პროფესიონალები უნდა იქცნენ კონსერვაციის სპეციალისტებად, რომელთაც შეუძლიათ:

- ძეგლის „წაკითხვა“ და მისი ემოციური, კულტურული და გამოყენებითი მნიშვნელობის იდენტიფიკაცია.
- ძეგლის ისტორიისა და ტექნოლოგიის ამოცნობა, იმისთვის რათა განსაზღვრონ მისი თვითმყოფადობა, დაგეგმონ მისი კონსერვაცია და განმარტონ კვლევის შედეგები.
- ჩაწვდნენ ძეგლის, ანსამბლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის გარემოს, მათ შემადგენლობასა და შემოგარენს სხვა შენობებთან და ლანდშაფტთან კავშირში.
- იპოვონ და შეისწავლონ ძეგლთან, ანსამბლთან თუ ღირსშესანიშნავ ადგილთან დაკავშირებული ყველა საინფორმაციო წყარო.

- შეიმეცნონ და გააანალიზონ ძეგლის, ანსამბლისა თუ ღირსშესანიშნავი ადგილის, როგორც რთული სისტემის „ქცევა".
- დიაგნოზი დაუსვან დაზიანებების შინაგან და გარეგან მიზეზებს, შესაბამისი ქმედებების განსაზღვრის მიზნით.
- ინსპექტირების შედეგად მოამზადონ სათანადო გრაფიკული (მაგ., ჩანახატები) და ფოტო ილუსტრაციებით გაფორმებული, არა-სპეციალისტებისათვის გასაგები ანგარიშები.
- იცნობდნენ, გაიგონ და გამოიყენონ UNESCO-ს კონვენციები და რეკომენდაციები, ICOMOS-ისა და სხვა აღიარებული ქარტიები, წესები და სახელმძღვანელო პრინციპები.
- საერთო ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით გამოიტანონ აწონილ-დაწონილი დასკვნები და იტვირთონ კულტურული მემკვიდრეობის გრძელვადიანი შენარჩუნების პასუხისმგებლობა.
- გამოარკვიონ როდის და რა ზომითაა საჭირო კვლევაში სხვადასხვა სპეციალისტების (მაგ., კედლის მხატვრობის, ქანდაკების, მხატვრულად და ისტორიულად ღირებული საგნების და/ან მასალებისა და კონსტრუქციების) ჩართვა.
- მიაწოდოს ექსპერტული რჩევა მოვლის სტრატეგიების, მართვის პოლიტიკის და გარემოს დაცვისა და ძეგლებისა და მათი შიგთავსის შენარჩუნების პოლიტიკის ჩარჩოს შესახებ.
- აღნუსხოს განხორციელებული სამუშაოები და გახადოს ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი.
- იმუშაოს მრავალ-დისციპლინარულ ჯგუფებში და გამოიყენოს ჯანსაღი მეთოდები.
- შეეძლოს მოსახლეობასთან, ადმინისტრაციასთან და მგეგმარებლებთან მუშაობა კონფლიქტების მოსაგვარებლად და ადგილობრივი საჭიროებების,

შესაძლებლობებისა [illegible]ა რესურსების შესაბამისად
კონსერვაციის [illegible]ის შემუშავების მიზნით.

კურსების მიზნ[illegible]

6. აუცილე[illegible] კონსერვაციის მიდგომების ცოდნა გადაცემულ[illegible] იქნას ყველასთვის, ვისაც შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა კულტურულ ობიექტებზე.

7. კონსერვაციის პრაქტიკა დისციპლინათაშორისია. შესაბამისად, სასწავლო კურსებიც მრავალდისციპლინარული უნდა იყოს. პროფესიონალებს, მეცნიერებისა და სპეციალიზებული ხელოსნების ჩათვლით, რომელთაც უკვე მიიღეს შესაბამისი კვალიფიკაცია, დასჭირდებათ შემდგომი სწავლება, რათა გახდნენ კონსერვაციის სპეციალისტები. ასევე უნდა მოიქცნენ ისინიც, ვისაც სურს ისტორიულ გარემოში კომპეტენტურად საქმიანობა.

8. კონსერვაციის სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ძეგლზე, ანსამბლზე ან ღირშესანიშნავ ადგილზე მომუშავე ყოველმა ხელოსანმა და თანამშრომელმა სათანადო პატივი მიაგოს მის მნიშვნელოვნებას.

9. კურსები უნდა მოიცავდეს კატასტროფებისათვის მზადების, კულტურული ობიექტებისათვის ზიანის შემცირების მეთოდების, ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების და უსაფრთხოების სხვა ზომების სწავლებას.

10. ტრადიციული ხელოსნობა მნიშვნელოვანი კულტურული რესურსია. ხელგაწაფულმა ხელოსნებმა უნდა გაიარონ შემდგომი წვრთნა კონსერვაციის სამუშაოსთვის მოსამზადებლად, უნდა გაეცნონ მათი ხელობის ისტორიას, ისტორიულ დეტალებსა და მეთოდებს, კონსერვაციის თეორიას და სათანადო დოკუმენტაციის შედგენის წესებს. შესწავლილ და გაცოცხლებულ უნდა იქნას მრავალი ისტორიული უნარ-ჩვევა.

11. სათანადო განათლებისა და წვრთნის მრავალი მეთოდი არსებობს. მათი სხვადასხვაობა დამოკიდებულია ტრადიციებსა და კანონმდებლობაზე, ისევე როგორც თითოეული კულტურული რეგიონის ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ კონტექსტზე. ხელი უნდა შეეწყოს სწავლების და წვრთნის ახალი მიდგომების შესახებ იდეებისა და შეხედულებების აქტიურ გაცვლა-გამოცვლას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. პროფესიონალთა და ინსტიტუციების თანამშრომლობის ქსელის არსებობა იდეების წარმატებული ურთიერთგაცვლის წინაპირობაა.

12. კონსერვაციის სწავლება და გაცნობიერება სკოლიდან უნდა იწყებოდეს, გრძელდებოდეს უნივერსიტეტში და მის შემდგომაც. ამ ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ კულტურული და ვიზუალური შეგნების ამაღლებაში, კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების აღქმისა და „წაკითხვის" უნარის გაუმჯობესებაში და მომავალი სპეციალისტების მომზადებაში. ასევე წახალისებულ უნდა იქნეს ხელობაში პრაქტიკული წვრთნაც.

13. უწყვეტი პროფესიული განათლების კურსები აფართოებს პროფესიონალთა თავდაპირველ ცოდნას. გრძელვადიანი და მოკლევადიანი კურსები პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი მეთოდია და, განსახლების ძირითად ცენტრებში, მეტად სასარგებლოც. მოკლე კურსები აფართოებს ცოდნას ძირითადი მიდგომების შესახებ, თუმცა მოკლე პერიოდში შეუძლებელია კონსერვაციის ღრმად შესწავლა და უნარების გამომუშავება. სასწავლო კურსები ხელს უწყობს კონსერვაციის კონცეფციისა და ტექნიკის დანერგვას განაშენიანებული და ბუნებრივი გარემოს და მისი შემადგენელი ობიექტების მართვაში.

14. სპეციალიზებული კურსების მონაწილეები უნდა იყვნენ მაღალი დონის პროფესიონალები, რომელთაც უკვე მიიღეს შესაბამისი განათლება და დააგროვეს პრაქტიკული

მუშაობის გამოცდილება. ასეთი კურსები უნდა იყოს მრავალდისციპლინარული და ყველა მონაწილისათვის სავალდებულო ძირითადი საგნების გარდა უნდა მოიცავდეს არასავალდებულო საგნებს მონაწილეთა შესაძლებლობების გაფართოების და/ან მანამდელი განათლებისა და წვრთნის ხარვეზების შესავსებად. კონსერვაციის სპეციალისტის განათლების და სწავლების სრულყოფისათვის საჭიროა სტაჟირება პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

15. ყოველ ქვეყანასა და რეგიონულ ჯგუფს ხელი უნდა შეეწყოს რათა მათ შექმნან ერთი მსხვილმასშტაბიანი ინსტიტუტი მაინც, რომელიც გამართავს განათლების, წვრთნისა და პროფესიული სწავლების კურსებს. კონსერვაციის კომპეტენტური სამსახურის ჩამოსაყალიბებლად ხშირად ათწლეულებია საჭირო. შესაბამისად, საჭიროა სხვადასხვა სპეციალური მოკლევადიანი ზომების მიღება, მაგ., ახალი წამოწყებების არსებულ პროგრამებზე დამყნობა, საბოლოოდ ახალი, სრულყოფილი პროგრამების შესამუშავებლად. წახალისებულ უნდა იქნას მასწავლებლების, ექსპერტებისა და სტუდენტების ეროვნული, რეგიონიული და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები. ასევე აუცილებელია კონსერვაციის სასწავლო პროგრამების რეგულარული შეფასება კომპეტენტური პირების მიერ.

რესურსები

16. სპეციალიზებული კურსებისათვის საჭირო რესურსები შეიძლება იყოს:

- სათანადო დონის შესაბამისი რაოდენობის მონაწილეები, სასურველია 15-დან 25-მდე;
- მუდმივი კოორდინატორი შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერით;
- საღი თეორიული ცოდნის და კონსერვაციის პრაქ-

ტიკული გამოცდილების და სწავლების უნარის მქონე ინსტრუქტორები;

- სრულად აღჭურვილი სათავსები, მათ შორის, სასწავლო აუდიტორიები, აუდიო-ვიზუალური მოწყობილობები, სახელოსნოები, ლაბორატორიები, აუდიტორიები სემინარებისა და სამუშაო შეხვედრებისთვის და ოფისები თანამშრომლებისათვის;
- ბიბლიოთეკა და დოკუმენტაციის ცენტრი დამხმარე კოლექციებით, ადგილი კოორდინირებული კვლევისათვის და კომპიუტერიზებული საინფორმაციო ქსელების ხელმისაწვდომობა;
- ძეგლების, ანსამბლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების გარკვეული რაოდენობა დაცილების არცთუ დიდ რადიუსში.

17. კონსერვაცია დამოკიდებულია ძეგლების, ანსამბლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების შესწავლისათვის აუცილებელ დოკუმენტაციის არსებობაზე. ყოველ ქვეყანაში უნდა არსებობდეს ინსტიტუტი კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის და და არქივი მისი აღრიცხვისა და მასზე განხორციელებული საკონსერვაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად.

18. სწავლების გადასახადის დაფინანსება შესაძლებელია იყოს სპეციალური შეთანხმების საგანი პროფესიონალ მონაწილეებთან, რადგანაც მათ უკვე გააჩნიათ გარკვეული პირადი პასუხისმგებლობები.

ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების აღრიცხვის პრინციპები

(ტექსტი რატიფიცირებულია ICOMOS-ის მე-11 გენერალური ასამბლეის მიერ, სოფია, ბულგარეთი, 1996)

რადგანაც კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს კაცობრიობის მიღწევების უნიკალურ გამოხატულებას;

და რადგანაც ეს კულტურული მემკვიდრეობა მუდმივად საფრთხეშია;

და რადგანაც აღრიცხვა არის ერთ-ერთი მთავარი ჩვენს ხელთ არსებული გზა, მივანიჭოთ საზრისი, გაგება, განსაზღვრება და აღიარება კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებს;

და რადგანაც პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის მოვლასა და კონსერვაციაზე ეკისრება არა მხოლოდ მათ მესაკუთრეებს, არამედ ასევე კონსერვაციის სპეციალისტებსა და პროფესიონალებს, მენეჯერებს, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე მომუშავე პოლიტიკოსებსა და ადმინისტრატორებს და საზოგადოებას;

და რადგანაც ვენეციის ქარტიის მე-16 მუხლის შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა პირებმა აღრიცხონ კულტურული მემკვიდრეობის რაობა.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის ძირითადი მიზეზები, პასუხისმგებლობები, დაგეგმვის მეთოდები, შინაარსი, მართვისა და საზოგადოებისთვის მიწოდების მეთოდები.

დოკუმენტში გამოყენებულ სიტყვათა განმარტებები:

კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ძეგლებს, შენობათა ჯგუფებსა და კულტურული ღირებულების მქონე ღირსშესანიშნავ ადგილებს, რომლებიც შეადგენენ ისტორიულ ან განაშენიანებულ გარემოს.

აღრიცხვა გულისხმობს აღწერითი ინფორმაციის შეგროვებას ძეგლის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ფიზიკური კონფიგურაციის, მდგომარეობისა და გამოყენების შესახებ დროის გარკვეულ მომენტში. აღრიცხვა წარმოადგენს კონსერვაციის პროცესის არსებით ნაწილს.

სააღრიცხვო მონაცემები ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ შეიძლება მოიცავდეს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ მოწმობებს. ისინი შეადგენს დოკუმენტაციის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ხელს უწყობს მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებების გაგებას.

აღრიცხვის მიზეზები

1. კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს:

   - ცოდნის დაგროვება და კულტურული მემკვიდრეობის, მისი ღირებულებებისა და განვითარების გაგების გაუმჯობესება;

   - აღრიცხული ინფორმაციის გავრცელების გზით მემკვიდრეობის დაცვით საზოგადოების დაინტერებისა და ამ საქმეში მისი ჩაბმის ხელშეწყობა;

   - სამშენებლო სამუშაოებისა და კულტურული მემკვიდრეობის ყველანაირი ცვლილების ინფორმირებული მართვა და კონტროლი;

- იმის უზრუნველყოფა, რომ მემკვიდრეობის მოვლა და კონსერვაცია იქნება ფაქიზი მისი ფიზიკური ფორმის, მასალების, კონსტრუქციებისა და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელოვანების მიმართ.

2. აღრიცხვა უნდა მოხდეს იმდენად დეტალურად, რომ უზრუნველყოფილ იქნას:

   - ინფორმაციის მიწოდება მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის, გაგების, ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციისათვის, ასევე საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობისათვის;

   - ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მუდმივი აღრიცხვის წარმოება, რომლებსაც ემუქრებათ დანგრევის, რამენაირად გადაკეთების ან ადამიანის საქმიანობით ან ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული სხვა საფრთხე;

   - ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრატორებისა და დამგეგმარებლებისათვის ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე, რათა დაგეგმვა, განვითარების კონტროლის პოლიტიკის შემუშავება და გადაწყვეტილებების მიღება სათანადოდ ფაქიზი იყოს;

   - ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება შესაბამისი და მდგრადი გამოყენება, ასევე ეფექტური კვლევის, მართვის, მოვლის პროგრამების და სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა.

3. კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა უნდა განიხილებოდეს, როგორც პრიორიტეტი და უნდა განხორციელდეს განსაკუთრებით შემდეგ შემთხვევებში:

   - ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ინვენტარიზაციის დროს;

   - კვლევითი და საკონსერვაციო სამუშაოებისას, როგორც მათი განუყოფელი ნაწილი;

- ნებისმიერი შეკეთების, გადაკეთების ან სხვა ჩარევის წინ, განმავლობაში და შემდგომ და ასევე მაშინ, როცა მსგავსი სამუშაოებისას გამოვლენილია ობიექტის ისტორიის მოწმობანი;

- ნაწილობრივი ან სრული დაშლის, დანგრევის მიტოვებისა და გადატანის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევებში, როცა მემკვიდრეობას ემუქრება გარეშე ადამიანისმიერი ან ბუნებრივი ძალების გავლენით დაზიანება;

- შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი არეულობის დროს, რომელიც აზიანებს კულტურულ მემკვიდრეობას და მის შემდეგ;

- როცა ხდება ფუნქციის ან მართვის ანდა კონტროლზე პასუხისმგებლობის ცვლილება.

აღრიცხვაზე პასუხისმგებლობა

1. მემკვიდრეობის კონსერვაციის ვალდებულება ეროვნულ დონეზე მოითხოვს აღრიცხვის პროცესზე თანაბარ ვალდებულებასაც.

2. აღრიცხვისა და ინტერპრეტაციის პროცესების სირთულე მოითხოვს ურთიერთდაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად შესაბამისი უნარის, ცოდნისა და შეგნების მქონე პროფესიონალთა დასაქმებას. საამისოდ აუცილებელია წვრთნის პროგრამების გამართვა.

3. აღრიცხვის პროცესში, ჩვეულებრივ, ჩართულნი არიან ერთობლივად მომუშავე ცალკეული პირები: მემკვიდრეობის აღრიცხვის სპეციალისტები, ამზომველები, კონსერვაციის სპეციალისტები, არქიტექტორები, ინჟინრები, მკვლევარები, არქიტექტურის ისტორიკოსები, არქეოლოგები და სხვა სპეციალობის მრჩევლები.

4. კულტურული მემკვიდრეობის ყველა მენეჯერი პასუხის-

მგებელია მემკვიდრეობის სათანადო აღრიცხვაზე, დოკუმენტაციის ხარისხსა და მის განახლებაზე.

აღრიცხვის დაგეგმვა

1. სანამ ახალი სააღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადდება, მოძიებულ და შემოწმებულ უნდა იქნას არსებული საინფორმაციო წყაროები.

   - დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ასეთი ტიპის ინფორმაციას, მოძიებულ უნდა იქნას კვლევებში, ნახაზებში, ფოტოებში, გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ანგარიშებში და აღწერებში და სხვა მათგვარ დოკუმენტებში, რომლებიც ეხება ძეგლის შექმნასა და ისტორიას. მნიშვნელოვანია მოპოვებულ იქნეს როგორც ახალი, ასევე ძველი დოკუმენტები;

   - არსებული ინფორმაცია მოძიებულ უნდა იქნას ეროვნულ და ადგილობრივ საჯარო არქივებში, პროფესიულ, ორგანიზაციებისა და კერძო არქივებში, ინვენტარიზაციის მასალებში და კოლექციებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში;

   - ინფორმაციის მოძიებისას საჭიროა კონსულტაციები ცალკეულ პირებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ფლობდნენ ან რომელთაც ეკუთვნოდათ მოცემული ძეგლი, შენობათა ჯგუფი ან ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელთაც განუხორციელებიათ მათზე კვლევითი, სააღრიცხვო, საკონსერვაციო ან სამშენებლო სამუშაოები, ანდა აქვთ ცოდნა მათ შესახებ.

2. ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, ძეგლთა აღრიცხვის შესაბამისი მასშტაბის, დონისა და მეთოდების შერჩევა მოითხოვს, რომ:

   - აღრიცხვის მეთოდები და შექმნილი დოკუმენტაციის ტიპი შეესაბამებოდეს მემკვიდრეობის ბუნებას, აღრი-

ცხვის მიზანს, კულტურულ კონტექსტს, დაფინანსებას ან სხვა არსებულ რესურსებს. ასეთი რესურსების შეზღუდვის გამო შეიძლება საჭირო გახდეს აღრიცხვის ეტაპებად დაყოფა. ეს მეთოდები შესაძლებელია მოიცავდეს წერილობით აღწერას და ანალიზს, ფოტოფიქსაციას (აეროფოტოგადაღებას და სახმელეთო გადაღებას), რექტიფიცირებულ ფოტოგრაფიას, ფოტოგრამეტრიას, გეოდეზიურ აზომვას, რუკების, ანაზომების, ნახაზებისა და კროკების, მულაჟების შესრულებას ან სხვა ტრადიციულ თუ თანამედროვე ტექნოლოგიებს;

- აღრიცხვის მეთოდოლოგია სასურველია იყენებდეს ტექნიკას, რომელიც არ მოითხოვს აღსარიცხ ობიექტში ჩარევას და არ გამოიწვევეს მის დაზიანებას;

- განზრახული მასშტაბის და აღრიცხვის მეთოდის საფუძველი ნათლად უნდა იქნას გამოთქმული;

- მასალები, რომლებიც გამოიყენება საბოლოო სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად არქივში შესანახად, გამძლე უნდა იყოს.

სააღრიცხვო დოკუმენტის შემადგენლობა

1. ყოველი სააღრიცხვო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს საიდენტიფიკაციო ინფორმაციას:

   - შენობის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის სახელწოდებას;

   - უნიკალურ კოდს;

   - სააღრიცხვო დოკუმენტის შედგენის თარიღს;

   - აღმრიცხავი ორგანიზაციის სახელწოდებას;

- მითითებებს მასთან დაკავშირებული სააღრიცხვო დოკუმენტების, ანგარიშების, ფოტო და გრაფიკული მასალის, ტექსტური და ბიბლიოგრაფიული დოკუმენტაციის, არქეოლოგიური და გარემოსდაცვითი სააღრიცხვო დოკუმენტების შესახებ.

2. ძეგლის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის მდებარეობა და ტერიტორია ზუსტად უნდა იქნეს მითითებული; ეს შეიძლება მიღწეულ იქნას დეტალური აღწერით, რუკების, გეგმების ან აეროფოტოსურათების გამოყენებით. სასოფლო ტერიტორიების შემთხვევაში კარტოგრაფიული მითითება ან უკვე ცნობილ წერტილებზე ტრიანგულაციის მეთოდით მიბმა ხშირად ტერიტორიის იდენტიფიკაციის ერთადერთი შესაძლო მეთოდია. ურბანული ტერიტორიების შემთხვევაში ხშირად საკმარისია მისამართისა და ქუჩის დასახელების გამოყენებაც.

3. ახალ სააღრიცხვო დოკუმენტებში მითითებულ უნდა იქნეს ყველა იმ ინფორმაციის წყარო, რომელიც არ იქნა მოპოვებული უშუალოდ ობიექტის შესწავლით.

4. სააღრიცხვო დოკუმენტი მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   - შენობის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ტიპს, ფორმასა და ზომებს;

   - საჭიროებისამებრ, ძეგლის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ინტერიერისა და ექსტერიერის მახასიათებლებს;

   - ინფორმაციას მემკვიდრეობისა და მისი კომპონენტების რაობის, ხარისხის, კულტურული, მხატვრული და სამეცნიერო მნიშვნელოვნების შესახებ, ასევე შემდეგი კომპონენტების კულტურულ, მხატვრულ და სამეცნიერო მნიშვნელოვნების აღწერას:

- მასალა, შემადგენელი ნაწილები და კონსტრუქცია, მორთულობა, ორნამენტები ან წარწერები;
- მომსახურებები, მოწყობილობები და მექანიზმები;
- დამხმარე ნაგებობები, ბაღები, ლანდშაფტი და ღირსშესანიშნავი ადგილის კულტურული, ტოპოგრაფიული და ბუნებრივი მახასიათებლები;

- მშენებლობის ან მოვლისას გამოყენებულ ტრადიციულ და თანამედროვე ტექნოლოგიასა და ხერხებს;

- ავტორის, შექმნის თარიღის, საკუთრების, თავდაპირველი ჩანაფიქრის, მოცულობის, გამოყენებისა და მორთულობის დამადასტურებელი მოწმობანი;

- შემდგომი გამოყენების ისტორიის, მასთან დაკავშირებული მოვლენების, კონსტრუქციის და დეკორის ცვლილებების, ხელოვნური და ბუნებრივი ძალების ზეგავლენის შედეგების დამადასტურებელი მოწმობანი;

- მართვის, მოვლა-პატრონობისა და შეკეთებების ისტორია;

- შენობათა ან ღირსშესანიშნავი ადგილის მასალათა წარმომჩენი ნიმუშები ან ელემენტები;

- მემკვიდრეობის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება;

- მემკვიდრეობისა და მისი გარემოს ვიზუალური და ფუნქციური ურთიერთკავშირის შეფასება;

- ხელოვნური და ბუნებრივი მიზეზებით, გარემოს დაბინძურებით და მომიჯნავე ტერიტორიების გამოყენებით გამოწვეული საფრთხისა და კონფლიქტების შეფასება.

5. აღრიცხვის სხვადასხვა მიზეზების გათვალისწინებით

შეიძლება საჭირო გახდეს დეტალიზაციის სხვადასხვა დონე. ყველა ზემოჩამოთვლილი ინფორმაცია, თუნდაც მოკლედ მოწოდებული, წარმოადგენს მნიშვნელოვან მონაცემებს ადგილობრივი დაგეგმვის, მშენებლობის კონტროლისა და მართვისათვის. უფრო დეტალური ინფორმაცია, ჩვეულებრივ, საჭიროა ღირსშესანიშნავი ადგილის ანდა შენობის მესაკუთრეების, მენეჯერებისა და მფლობელთათვის მათი გამოყენების, მოვლისა და კონსერვაციის განსახორციელებლად.

სააღრიცხვო დოკუმენტების მართვა, გავრცელება და საზოგადოებისთვის მიწოდება

1. სააღრიცხვო დოკუმენტების ორიგინალები შენახულ უნდა იქნეს საიმედო არქივში. ამასთან არქივის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის შეულახავობასა და დაუზიანებლობას აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. სააღრიცხვო დოკუმენტების სრული ასლები შენახულ უნდა იქნეს ცალკე, უსაფრთხო ადგილას.

3. სააღრიცხვო დოკუმენტების ასლები ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფლებამოსილი დაწესებულებებისათვის, პროფესიონალებისა და საზოგადოებისათვის კვლევის, კონტროლისა და სხვა ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი პროცესების წარმართვის მიზნით.

4. განახლებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია იოლად მისაწვდომი უნდა იყოს, შეძლებისამებრ, ადგილზევე, მემკვიდრეობის კვლევის, მართვის, მოვლისა და კატასტროფების შემსუბუქებისათვის.

5. სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმატი სტანდარტიზირებულ უნდა იქნეს. დოკუმენტებს შეძლებისდაგვარად უნდა მიენიჭოს სპეციალური ინდექსი ადგილობრივ, ეროვნულ და საერთასორისო დონეზე ინფორმაციის გაცვლისა და მოძიების გამარტივებისათვის.

6. სააღრიცხვო ინფორმაციის ეფექტური მართვა და გავრცელება მოითხოვს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შეძლებისდასგვარად გამოყენებას.

7. სააღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

8. სააღრიცხვო სამუშაოების ძირითადი შედეგების ამსახველი ანგარიში სასურველია გავრცელდეს და, თუ საჭიროა, გამოქვეყნდეს.